

დიალოგიზმი, პოლიფონია და ინტერტექსტუალურობა პოლიტიკურ  
დისკურსში

თამარ მშვენიერაძე

*სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფილოლოგიის დოქტორის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ხელოვნების  
ინტერდისციპლინური პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მზალო დოხტურიშვილი, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ მშვენიერაძე

2014 წლის 25 ივლისი

## აბსტრაქტი

ჩვენი კვლევის მიზანია - დავამტკიცოთ დებულება იმის შესახებ, რომ ნებისმიერი ტექსტი/დისკურსისათვის დამახასიათებელი ინტერტექსტუალური ურთიერთობები გამოხატულია, ერთი მხრივ, დიალოგიზმის სამი ფორმით: ინტერდისკურსული, ინტერლოკუციური და ინტრალოკუციურით, გამოხატული ხმათა სიმრავლით იერარქიულ დონეზე, ხოლო, მეორე მხრივ, პოლიფონიით, რომელშიც ეს ხმები ერთ დონეზე არიან წარმოდგენილნი. ასევე ის ფაქტი, რომ დიალოგიზმი, პოლიფონია და ინტერტექსტუალურობა, სამივე ერთად, დისკურსის ჰეტეროგენულ ხასიათს განაპირობებს.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, თანამედროვე ქართულ ენთმეცნიერებაში, სახელდობრ დისკურსის ანალიზის სფეროში, არ არსებობს კვლევები, რომლებიც აღნიშნულ სამ ფენომენს ცალ-ცალკე, ან ერთად განიხილავდნენ.

აღნიშნულ საკითხებს ფრანგულ და ქართულ დისკურსებში, შეპირისპირებით პლანში განვიხილავთ. ანალიზის შედეგად, ვეცდებით, გამოვკვეთოთ ყველა ის მარკერი, რომლებიც დიალოგიზმის სამი ტიპის - ინტერდისკურსული, ინტერლოკუციური და ინტრალოკუციურის - და პოლიფონიის გამოხატვას ემსახურება. ჩვენ ასევე ვნახავთ, დიალოგიზმის რომელი ტიპია პოლიტიკური დისკურსისათვის ყველაზე მეტად დამახასიათებელი, მოვახდენთ სხვადასხვა მეცნიერის მიერ შესწავლილი დიალოგიზმისა და პოლიფონიის მარკერების კლასიფიკაციას, დავადგენთ მათი გამოყენების სიხშირეს, გავაანალიზებთ, შესაძლებელია თუ არა, რომ ერთი და იგივე მარკერი ერთდროულად სხვადასხვა ტიპის დიალოგიზმს გამოხატავდეს. ასევე, ვეცდებით, ვაჩვენოთ, რამდენად განაპირობებს პოლიტიკური დისკურსის სტრუქტურის თავისებურებას დიალოგიზმისა და პოლიფონიის გამოყენება ორ განსხვავებულ ენაში, როგორია ამ ენებში დიალოგიზმისა და პოლიფონიის მარკერების ბუნება და სტრუქტურა, რამდენად მრავალფეროვანია ისინი თითოეულ ენაში, როგორია მათ შორის არსებული მსგავსება-განსხვავებები და გავაკეთოთ შესწავლილი მარკერების საბოლოო კლასიფიკაცია.

ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა ასეთი გახლავთ: შესავალი, ოთხი თავი (თითოეულ მათგანში გამოყავით პარაგრაფები), დასკვნა და ბიბლიოგრაფია. პირველ თავში მოცემულია თანამედროვე ლინგვისტური მიმდინარეობების აღწერა. მეორე თავი ეძღვნება ტერმინოლოგიასთან დაკავშირებულ პრობლემატიკას, ასევე ჩვენი საკვლევი საკითხების: დიალოგიზმის, პოლიფონიისა და ინტერტექსტუალობის ცალ-ცალკე განხილვას, და ბოლოს, ურთიერთმიმართებას ამ სამ ფენომენს შორის.

მესამე თავში წარმოდგენილია დიალოგიზმისა და პოლიფონიის ყველა ლინგვისტური თუ დისკურსული მარკერის ანალიზი, რომლებიც ამ სფეროში მოღვაწე მეცნიერებმა შემოგვთავაზეს.

მეოთხე თავი კი უშუალოდ ჩვენი კვლევის ანალიზს ეძღვნება, რომელშიც ვაჩვენებთ რამდენად არის დამახასიათებელი პოლიტიკური დისკურსისათვის ინტერტექსტუალობის ფენომენი, ანუ რამდენად შეგვიძლია განვიხილოთ პოლიტიკური დისკურსი როგორც ჰეტეროგენული დისკურსი, რასაც მასში დიალოგიზმის ტიპებისა და პოლიფონიის არსებობა განაპირობებს.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** დისკურსის ანალიზი, ტექსტი/დისკურსი, პოლიტიკური დისკურსი, ჰეტეროგენული დისკურსი, დიალოგიზმი, პოლიფონია, ინტერტექსტუალობა, ლინგვისტური და დისკურსული მარკერები.

## **Abstract**

This study was carried out to prove the thesis that inter-textual relations characterized for any text/discourse is, on one hand, represented by three types of dialogism: inter-discourse, inter-locution and intra-locution relations, expressed by multiple sounds set in a hierarchal way; and on the other hand, it is represented by polyphony where the sounds are set on the same level. The study also confirms the fact that dialogism, polyphony and intertextuality, altogether prove heterogenic character of the discourse.

As it is known there are no researches provided in the contemporary Georgian Linguistics and in particular, in Discourse Analysis that have studied abovementioned phenomena separately or together.

The study provides comparative study of the abovementioned issues in French and Georgian discourses. The study attempts through analysis to highlight all markers which serve the representation of three types of dialogism (inter-discourse, interlocution and intra-locution) and polyphony. It also shows which type of dialogism is the most characteristic for political discourse; classifies the dialogisms and polyphony markers researched by different scientists; finds out the frequency of use; and analyzes if it is possible that one and the same marker could represent different type of dialogisms. The study also attempts to illustrate: how the use of dialogism and polyphony conditions originality of political structure in the two different languages; what is the structure and nature of dialogism and polyphony markers in the given languages; how diverse they are in each of the languages; what is the difference and/or similarity between them; and finally, it attempts to make final classification of the explored markers.

The structure of the study is as follows: introduction, four chapters (each chapter is divided into subsections), conclusion and bibliography.

The first chapter describes linguistic trends.

The second chapter is dedicated to term-related problems; description of the study subjects (dialogism, polyphony and intertextuality) and the interrelation between these three phenomena.

The third chapter presents the analysis of all linguistic and discourse markers of dialogism and polyphony proposed by the scientists working in the field.

The fourth chapter is directly dedicated to the entire analysis given in the study. It demonstrates at what intense the phenomenon of intertextuality is characteristic for political discourse and reviews political discourse as heterogenic discourse that is proved by the presence of the types of dialogism and polyphony in it.

**Key words:** Analysis of discourse, text/discourse, political discourse, heterogenic discourse, dialogism, polyphony, inter-textual relation, linguistic and discourse markers.

## მადლობა

უპირველეს ყოვლისა, მინდა გამოვხატო ღრმა პატივისცემა და დიდი მადლობა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტის რომანისტიკის მიმართულების სრულ პროფესორს- ქნ მზალო დოხტურიშვილს, ვინაიდან მისი თანადგომის, ხელშეწყობისა და საინტერესო რჩევების გარეშე მე ნამდვილად ვერ შევძლებდი ჩემი სადისერტაციო ნაშრომის დასრულებას. სწორედ მისი დახმარებით შევძელი მონაწილეობა მიმელო საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, ასევე ერთი თვის სტაჟირება გამეწყო საფრანგეთის პოლ ვალერის უნივერსიტეტ - მონპელიე 3- ში.

ასევე მინდა ჩემი დიდი მადლიერება გამოვხატო პოლ ვალერის უნივერსიტეტ მონპელიე 3-ის პროფესორის ბ-ნ ჟაკ ბრესისადმი, რომელმაც საინტერესო რჩევები და კონსულტაციები გამიწია ჩემი იქ ყოფნის დროს და საშუალება მომცა, გავცნობოდი თავად უნივერსიტეტ - მონპელიე 3-ში არსებული პრაქსილინგის (PRAXILING) ლაბორატორიის ყველა ბიბლიოთეკაში არსებულ ლიტერატურას დისკურსის ანალიზის სფეროში.

მადლობა მინდა გადავუხადო აგრეთვე ქნ ქეთევან გურჩიანს, რომლის დახმარებითაც ტემპუსის (TEMPUS) პროექტის ფარგლებში საშუალება მომცა აღმოსავლეთ-პარიზის უნივერსიტეტში სამეცნიერო კვლევითი ვიზიტი გამეხორციელებინა და შევხვედროდი ისეთ პროფესორებს, როგორებიც არიან: დომინიკ დიუკარდი, ალისა კრიგ-პლაკი, იზაბელ ლაბორდ მილა, დომინიკ დემარშელიე , ჟან-მარი ლებლან, რომლებმაც საინტერესო რჩევები მომცეს.

და ბოლოს, მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს მშობლებს და ოჯახის ყველა წევრს იმ თანადგომისა და მხარდაჭერისათვის, რომელიც ჩემი ძიების პროცესში გამოიჩინეს ჩემ მიმართ.

## სარჩევი

განაცხადი .....	2
აბსტრაქტი .....	3
მადლობა .....	6
სარჩევი.....	7
შესავალი.....	9
თავი1. თანამედროვე ლინგვისტური მიმდინარეობები (სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა) .....	18
1.1 კომუნიკაციური ლინგვისტიკა .....	18
1.2 გამონათქვამის თეორიები .....	20
1.3 ტექსტის ლინგვისტიკა .....	28
1.4 პრაგმატიკა .....	31
1.5 დისკურსის ანალიზი .....	35
1.6 დისკურსის ჟანრები .....	41
1.7 პოლიტიკური დისკურსი .....	44
1.8 პირველი თავის დასკვნები .....	47
თავი 2. დიალოგიზმი, პოლიფონია და ინტერტექსტუალურობა - ჰეტეროგენული დისკურსის არსებობის ფორმები .....	49
2.1 ტერმინოლოგიასთან დაკავშირებული პრობლემები.....	49
2.2 დიალოგიზმის ფენომენი.....	59
2.3 ბახტინის გამონათქვამის თეორია .....	79
2.4 პოლიფონიის ფენომენი.....	85
2.5 დიალოგიზმი/პოლიფონია .....	91
2.6 ინტერტექსტუალურობის ფენომენი .....	101

2.7 ურთიერთმიმართება დიალოგიზმს, პოლიფონიასა და ინტერტექსტუალურობას შორის .....	109
2.8 მეორე თავის დასკვნები .....	115
თავი 3. დიალოგიზმისა და პოლიფონიის მარკერები .....	116
3.1 მესამე თავის დასკვნა .....	148
თავი 4. ფრანგული და ქართული პოლიტიკური დისკურსის შეპირისპირებითი ანალიზი .....	149
4.1 ინტერდისკურსული დიალოგიზმის მარკერები .....	152
4.2 ინტერლოკუციური დიალოგიზმის მარკერები .....	168
4.3 ინტრალკუციური დიალოგიზმის მარკერები.....	183
4.4 სხვადასხვა ტიპის დიალოგიზმი და მათი გამოხატვის მარკერები ერთ გამონათქვამში.....	189
4.5 პოლიფონიის მარკერები .....	208
4.6 დიალოგიზმისა და პოლიფონიის მარკერების კლასიფიკაცია.....	217
4.7 მეოთხე თავის დასკვნები .....	230
- დასკვნა .....	231
- ბიბლიოგრაფია .....	233



## შესავალი

წინამდებარე დისერტაცია ეძღვნება დიალოგიზმის, პოლიფონიისა და ინტერტექსტუალურობის ფენომენების შესწავლას. ვინაიდან თითოეული მათგანი ნებისმიერი ტექსტი/დისკურსის არსებობის ფორმას წარმოადგენს, ძირითადად ისინი დისკურსის ანალიზისა და ტექსტის ლინგვისტიკის სფეროში შეისწავლება.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ტექსტი და დისკურსი წარმოადგენს არა მარტო ენათმეცნიერების, არამედ, ზოგადად, ჰუმანიტარული მეცნიერების შესწავლის საგანს. სწორედ მათ ფარგლებში ხდება თანამედროვე ჰუმანიტარულ აზროვნებაში ადამიანური რეალობის გააზრება. იმავდროულად, მუდმივად არსებობს ტექსტი/დისკურსის შინაარსობრივი გამიჯვნის პრობლემა. ამიტომ, ხშირად, ისინი იხმარებიან როგორც სინონიმები.

რაც შეეხება დიალოგიზმს, პოლიფონიასა და ინტერტექსტუალურობას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს ის ფენომენებია, რომლებიც დიდ როლს ასრულებენ დისკურსისა და ტექსტის არსის პროდუცირებაში. მათ გარეშე არც ერთი დისკურსი და ტექსტი არ არსებობს. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, არ არსებობს ნაშრომები, რომლებიც ამ სამ ფენომენს ერთდროულად სწავლობდეს მათ შორის ურთიერთმიმართების დასადგენად.

დიალოგიზმის ფენომენი აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ნებისმიერი გამონათქვამი გარკვეული სახით ყოველთვის არის პასუხი. ის გამოხატავს არა მხოლოდ საკუთარ დამოკიდებულებას გამონათქვამის ობიექტისადმი, არამედ მოლაპარაკე სუბიექტის დამოკიდებულებას სხვისი ნათქვამისადმიც. რაც იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი დისკურსი ყოველთვის შედის სხვა დისკურსებთან ინტერაქციაში იმპლიციტურად თუ ექსპლიციტურად. მხოლოდ ბიბლიური ადამი იყო, რომელმაც პირველი სიტყვები წარმოთქვა. ის, რასაც ნებისმიერი ადამიანი ამბობს, ორმაგად დიალოგიკურია, იგი

წარმოადგენს მანამდე ნათქვამის ერთგვარ გამეორებას და გაგრძელებას, ანუ იბადება სხვა დისკურსების საპასუხოდ, ის მათი ერთგვარი გამოძახილია და ასევე ორიენტირებულია ადრესატისაკენ, რომლისგანაც მოითხოვს შესაბამის პასუხსა და რეაქციას.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, დიალოგიზმის ცნების შემოღებას რუს მეცნიერს, ბახტინსა და მის წრეს (მე-19 საუკუნის 30-70 იანი წლები) უნდა ვუმადლოდეთ. ამ პერიოდიდან მოყოლებული დღემდე, დიალოგიზმის ფენომენს თავისი აქტუალობა არ დაუკარგავს. ამდენად, ამ კონცეპტმა მრავალი ცნობილი ლინგვისტის დაინტერესება გამოიწვია, რომელთა ნაშრომებშიც ის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საგანი გახდა. ფრანგულ აზროვნებაში დიალოგიზმის ბახტინისეულ თეორიას სათავე დაუდო 1981 წელს გამოცემულმა, ბულგარელი მეცნიერის ც.ტოდოროვის, ნაშრომმა ბახტინის თეორიის შესახებ «Mikhail Bakhtine. Le principe dialogique, suivi de *Ecrits du Cercle de Bakhtine* ». ასევე აღსანიშნავია, რომ ამ წლიდან მოყოლებული, ბახტინის თითქმის ყველა ნაშრომი ითარგმნა რუსულიდან ფრანგულად, რის შედეგადაც მისმა ნააზრევმა ფართო განვითარება ჰპოვა ფრანგულ ენათმეცნიერებაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მე-20 საუკუნის 70-იან წლებში საფრანგეთში შეიქმნა ახალი ლინგვისტური მიმდინარეობა *პრაქსემატიკა*, რომლის მიმდევრებმაც განავრცეს თეორია დიალოგიზმის ფენომენის შესახებ და მის შესწავლას არაერთი ნაშრომი თუ კოლოქვიუმი მიუძღვნეს, რითაც დიდი წვლილი შეიტანეს ამ სფეროს განვითარებაში. ცნობილი პრაქსემატიკოსი ლინგვისტები არიან: ჟაკ ბრესი (Bres J.), ა. ნოვაკოვსკა (Nowakowska A.), ლ. როზიე (Rosier L.), ჟ. ოწიე-რევიუ (Authier-Revuz J.) და სხვ. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მათ ნაშრომებში შედარებით ნაკლები ყურადღება ექცევა პოლიფონიის ფენომენის შესწავლას.

რაც შეეხება პოლიფონიის ფენომენს, იგი მუსიკალური მეტაფორისაგან მომდინარეობს და დისკურსში გაჟღერებულ მრავალხმიანობას აღნიშნავს. თავდაპირველად, ეს ცნება გვხვდება რუსი მეცნიერისა და კრიტიკოსის, მიხაილ

ბახტინის ნაწერებში მე-20 საუკუნის 30-იან წლებში. თუმცა, ბახტინის მიერ ამ ტერმინის დიკურსულ კონცეპტუალიზაციამდე იგი მიეკუთვნებოდა ესთეტიკის სფეროს, ვინაიდან გამოიყენებოდა მუსიკის დარგში. უნდა აღინიშნოს, რომ ბახტინი პოლიფონიაზე ვრცლად არ საუბრობს, რადგანაც თავის ნაშრომებს ძირითადად დიალოგიზმის ფენომენს უძღვნის. ამრიგად, პოლიფონიის ცნებას იგი მხოლოდ თავის ნაწარმოებში „Проблемы поэтики Достоевского“ (1963) იყენებს, რათა აღწეროს დოსტოევსკის რომანული ჟანრი და მისი ტექსტების თავისებურებანი. ანუ, იგი აღწერს ავტორის, პერსონაჟებისა და ანონიმური ხმების ურთიერთობებს. ბახტინისათვის არსებობს ტექსტების მთელი კატეგორია, კერძოდ კი ლიტერატურული ტექსტები, რომელშიც მრავალი ხმა საუბრობს ერთდროულად, ისე რომ არც ერთი მათგანი არაა სხვებზე უფრო მნიშვნელოვანი და არ აკრიტიკებს მათ, ანუ მათ შორის არ არის იერარქიზაცია და ყველანი ერთ დონეზე არიან წარმოდგენილი.

ბახტინის შემდეგ, პოლიფონიის თეორია მრავალი დეფინიციისა თუ ინტერპრეტაციის საგანი გახდა. პოლიფონიის ბახტინისეული თეორია ყველაზე ნათლად და ექსპლიციტურად განიხილა ფრანგმა მეცნიერმა ოსვალდ დიუკრომ (O. Ducrot) მე-20 საუკუნის 80-იან წლებში. ამის შემდეგ სკანდინავიელმა პოლიფონისტებმა განავრცეს ეს თეორია. მას უწოდეს *სკაპოლინი* (ScaPoLine), ანუ პოლიფონიური ლინგვისტიკის სკანდინავიური თეორია. მისი წარმომადგენლები არიან: ჰ. ნოლკე (Nølle H.), კ. ფლოტუმი (Flottum K.) და კ. ნორენი (Noren C.). ასევე, აღსანიშნავია, რომ ამ ლინგვისტიკის პარალელურად, ცნობილი ფრანგი ლინგვისტიკი - ჟაკ ბრესი, ალექსანდრა ნოვაკოვსკა და პრაქსემატიკის სხვა მკვლევარებიც - არაერთგზის საუბრობენ პოლიფონიის შესახებ, თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ისინი უპირატესად მაინც დიალოგიზმის ფენომენზე ამახვილებენ ყურადღებას.

ამრიგად, როგორც დავინახეთ, დიალოგიზმისა და პოლიფონიის ცნებები მეტად მსგავსი და ამავე დროს განსხვავებულია. ზოგ შემთხვევაში ძნელია მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა.

რაც შეეხება ინტერტექსტუალურობას, ჩვენ მიგვაჩნია, რომ დიალოგიზმისა და პოლიფონიის ფენომენები მჭიდრო კავშირშია ისეთ, არანაკლებ მნიშვნელოვან დისკურსულ და ტექსტისათვის დამახასიათებელ ფენომენტთან, როგორცაა ინტერტექსტუალურობა. ეს ცნება სათავეს იღებს იულია კრისტევადან (Kristeva J.) და აღნიშნავს იმ ექსპლიციტურ თუ იმპლიციტურ ურთიერთობებს, რომლებსაც ესა თუ ის ტექსტი სხვა ტექსტებთან მიმართებაში ამყარებს. როგორც კრისტევა აღნიშნავს, ყოველი ტექსტი წარმოადგენს სხვა ტექსტების ტრანსფორმაციასა და გამოძახილს.

რამდენადაც ჩვენთვის არის ცნობილი, არ არსებობს, ყოველ შემთხვევაში საქართველოში, გამოკვლევები, რომლებიც ტექსტი/დისკურსის არსებობისათვის ამ სამ მნიშვნელოვან ფენომენტს - დიალოგიზმს, პოლიფონიასა და ინტერტექსტუალურობას - ცალ-ცალკე და მათ შორის ურთიერთმიმართებასა და დამოკიდებულებას შეისწავლიდეს.

ჩვენი მიზანია, ზემოთ ხსენებულ მეცნიერთა ნაშრომებზე დაყრდნობით და შერჩეული საკვლევო კორპუსის ანალიზის შედეგად ჩვენეული მოსაზრება შემოგთავაზოთ დიალოგიზმის, პოლიფონიისა და ინტერტექსტულობის ფენომენტების შესახებ.

ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის **ჰიპოთეზა** შემდეგნაირად განისაზღვრება: ნებისმიერი ტექსტი/დისკურსი მოიაზრება ინტერტექსტუალური ურთიერთობების დონეზე, რომლებიც წარმოდგენილია, ერთი მხრივ, დიალოგიზმის სამი ფორმით: ინტერდისკურსული, ინტერლოკუციური, და ინტრალოკუციური, გამოხატული ხმათა სიმრავლით იერარქიულ, სხვადასხვა დონეზე, ხოლო მეორე მხრივ, პოლიფონიით, რომელშიც ეს ხმები იერარქიის გარეშე, ერთ დონეზე არიან წარმოდგენილნი. დიალოგიზმი, პოლიფონია და ინტერტექსტუალურობა ერთმანეთისაგან განუყოფელი და ამავედროულად, ერთმანეთის შემავსებელი ფენომენტებია და სამივე ერთად ჰეტეროგენული დისკურსის არსებობაზე მიუთითებენ, ვინაიდან არც ერთი ტექსტი

თავისთავად არ იზადება, იგი სხვა ტექსტების გამოძახილია და ყოველთვის ჰეტეროგენულ ხასიათს ატარებს.

ჩვენი სადისერტაციო თემის **მეთოდოლოგია** არის ინტერდისციპლინარული და შეპირისპირებითი. მის ინტერდისციპლინარულობას განაპირობებს საკვლევო თემის მრავალსპექტიანობა, ისეთი დისკურსული ჟანრის ანალიზი, რომელიც სოციალურ მეცნიერებებს განეკუთვნება. ძირითადად, ეს იქნება, რა თქმა უნდა, ლინგვისტური კვლევა, თუმცა, იგი მოიცავს სოციო-კულტურულ და ლინგვო-კულტურულ ასპექტებს. შეპირისპირებითია იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენ ორენოვან დისკურსებს ვადარებთ. მეთოდოლოგიაში ასევე გამოვიყენებთ ლექსიკომეტრიულ მიდგომასაც, რაც შეპირისპირებითი ანალიზის გაკეთებას გაგვიადვილებს.

**საკვლევ საკითხებს** განვიხილავთ იმ **კორპუსზე** დაყრდნობით, რომელიც შედგება ფრანგი და ქართველი პოლიტიკოსების მიერ წარმოთქმული დისკურსებისგან. ფრანგი პოლიტიკოსებიდან ავარჩიეთ საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტების: ჟაკ შირაკის (2002-2010), ნიკოლა სარკოზის (2007-2012) და ამჟამინდელი პრეზიდენტის ფრანსუა ოლანდის (2012-2013), წინასაარჩევნო თუ მათი პრეზიდენტობის პერიოდში წარმოთქმული დისკურსები. ხოლო, ქართველი პრეზიდენტებიდან არჩევანი საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის - მიხეილ სააკაშვილისა (2006-2012) და ახლანდელი პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის (2013-2014) წინასაარჩევნო თუ მათი პრეზიდენტობის პერიოდში წარმოთქმულ დისკურსებზე გავაკეთეთ.

ანალიზის შედეგად, ვეცდებით გამოვკვეთოთ ყველა ის მარკერი, რომლებიც დიალოგიზმის სამი ტიპის - ინტერდისკურსული, ინტერლოკუციური და ინტრალოკუციურის - და პოლიფონიის გამოხატვას ემსახურება. ჩვენ ასევე ვნახავთ, დიალოგიზმის რომელი ტიპია პოლიტიკური დისკურსისათვის ყველაზე მეტად დამახასიათებელი, მოვახდენთ დიალოგიზმისა და პოლიფონიის სხვადასხვა მეცნიერის მიერ შესწავლილი მარკერების კლასიფიკაციას, დავადგენთ მათი გამოყენების სიხშირეს, გავაანალიზებთ, შესაძლებელია თუ არა, რომ ერთი და იგივე

მარკერი ერთდროულად სხვადასხვა ტიპის დიალოგიზმს გამოხატავდეს. ვეცდებით, ვაჩვენოთ, რამდენად განაპირობებს პოლიტიკური დისკურსის სტრუქტურის თავისებურებას დიალოგიზმისა და პოლიფონიის გამოყენება ორ განსხვავებულ ენაში, როგორია ამ ენებში დიალოგიზმისა და პოლიფონიის მარკერების ბუნება და სტრუქტურა, რამდენად მრავალფეროვანია ისინი თითოეულ ენაში, როგორია მათ შორის არსებული მსგავსება-განსხვავებები და გავაკეთოთ შესწავლილი მარკერების საბოლოო კლასიფიკაცია.

კვლევის **აქტუალობა და სიახლე** მდგომარეობს იმაში, რომ როგორც უკვე აღვნიშნეთ, თანამედროვე ქართულ ენთმეცნიერებაში, სახელდობრ დისკურსის ანალიზის სფეროში, არ არსებობს კვლევები, რომლებიც აღნიშნულ სამ ფენომენს - დიალოგიზმი, პოლიფონია და ინტერტექსტუალურობა - ცალ-ცალკე, ან ერთად განიხილავდეს. ასევე ჩვენი **კვლევის სიახლე** განპირობებულია იმითაც, რომ არც შეპირისპირებითი კვლევები არსებობს აღნიშნულ სფეროში ამ ფენომენებთან მიმართებაში. კიდევ **ერთ-ერთი უმთავრესი სიახლეა** ის ფაქტიც, რომ, როგორც კვლევებმა გვიჩვენა, ეს სამი ფენომენი ძირითადად ლიტერატურულ ჟანრში შეისწავლება. პოლიტიკური დისკურსი ამ კუთხით ფაქტიურად არ არის შესწავლილი. ამავდროულად, აღსანიშნავია ის მნიშვნელოვანი გარემოებაც, რომ დიალოგიზმისა და პოლიფონიის მარკერების კვლევისას, მეცნიერები არ ახდენენ მათ კომპლექსურ შესწავლას და შემოიფარგლებიან ერთ გამონათქვამში არსებულ მხოლოდ ერთი მარკერის ფუნქციის ანალიზით და ყურადღების მიღმა ტოვებენ ამავე გამონათქვამში არსებულ სხვა ენობრივ თუ დისკურსულ მარკერებს. ამდენად, ჩვენ შევეცდებით გამოვასწოროთ ეს ხარვეზი და ერთ მოცემულ გამონათქვამში არსებული ყველა მარკერი შევისწავლოთ, რაც საშუალებას მოგვცემს დავადგინოთ თითოეული მათგანის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი როლი არა მხოლოდ დიალოგიზმისა და პოლიფონიის გამოხატვაში, არამედ, ზოგადად, მოცემული გამონათქვამის არსის პროდუცირებაში. ამასთანავე, მეცნიერები არ გვთავაზობენ მათ მიერ განხილული მარკერების კლასიფიკაციას ამა თუ იმ კრიტერიუმზე დაყრდნობით. წარმოდგენილ ნაშრომში ჩვენ შევიმუშავებთ, როგორც სხვადასხვა მეცნიერის მიერ დღემდე გაანალიზებული

მარკერების, ასევე ჩვენ მიერ შერჩეული კორპუსის ანალიზისას გამოკვეთილი მარკერების კლასიფიკაციას.

წარმოდგენილი ნაშრომის **თეორიული დანიშნულება** მდგომარეობს იმაში, რომ მასში გაანალიზებული და შემუშავებული თეორიული დებულებები მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს, ზოგადად, დისკურსის ანალიზის სფეროში არსებული გამოკვლევების გამდიდრებაში და ხელს შეუწყობს, კონკრეტულად, ქართულ საენათმეცნიერო სივრცეში დისკურსის ანალიზის მიმართულებით კვლევის ტრადიციის დამკვიდრებას ისეთი მნიშვნელოვანი კუთხით, როგორც არის პოლიტიკური დისკურსის, როგორც ჰეტეროგენული დისკურსის, კვლევა და დისკურსების შეპირისპირებითი ანალიზი.

ნაშრომის **პრაქტიკული დანიშნულება** მდგომარეობს იმაში, რომ ის შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც ცალკე სალექციო კურსი, ჰუმანიტარული მეცნიერებების პროფილის სამაგისტრო პროგრამებში, რომლებიც ტექსტისა და დისკურსის კვლევის პრობლემატიკით არიან დაინტერესებული. ასევე ნაშრომის პირველ თავში კომუნიკაციური ლინგვისტიკის სხვადასხვა მიმართულების მიმოხილვა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ფილოლოგიური კვლევით დაინტერესებულ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში. მთლიანად ნაშრომი, მასში მითითებული ბიბლიოგრაფია გარკვეულ დახმარებას გაუწევს მაგისტრატურის სტუდენტებს სამაგისტრო ნაშრომების მომზადებაში. დიალოგიზმისა და პოლიფონიის მარკერების ანალიზი შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე აკადემიური წერის სწავლების პროცესში, როგორც მსჯელობის აგებისა და არგუმენტაციულად სტრუქტურირებული ტექსტის შექმნის მნიშვნელოვანი ენობრივი და დისკურსული საშუალებები.

შერჩეულმა **პრობლემატიკამ**, კვლევის **საგანმა** და **მიზანმა** განაპირობეს ნაშრომის **სტრუქტურა**. იგი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: შესავალი, ოთხი თავი (თითოეულ მათგანში გამოყოფილია პარაგრაფები), დასკვნა და ბიბლიოგრაფია.

დისერტაციის პირველ თავში, რომლის სათაურია *„თანამედროვე ლინგვისტური მიმდინარეობები“*, ვრცლად მიმოვიხილავთ თანამედროვე კომუნიკაციური ლინგვისტიკის ძირითად მიმდინარეობებს: გამონათქვამის თეორიებს, ტექსტის ლინგვისტიკას, პრაგმატიკას, დისკურსის ანალიზს, დისკურსის ჟანრებს და ბოლოს პოლიტიკურ დისკურსს.

მეორე თავს - *„დიალოგიზმი, პოლიფონია და ინტერტექსტუალურობა, ჰეტეროგენული დისკურსის არსებობის ფორმები“*, ვუთმობთ ჩვენი საკვლევე ფენომენების შესწავლას. თავდაპირველად, შემოგთავაზებთ ტერმინოლოგიასთან დაკავშირებულ პრობლემატიკას, ვინაიდან ჩვენი კვლევის პროცესში არაერთი ახალი ტერმინი თუ ცნება/კონცეპტი შეგვხვდა, რომელთა შესატყვისები ქართულ ენაზე, ხშირ შემთხვევაში, დადგენილი არ არის. ამის გამო, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, მას მთლიანი პარაგრაფი დავუთმოთ, რათა დავძლიოთ ტერმინოლოგიური სირთულეები. ამის შემდეგ, თითოეულ ფენომენს - დიალოგიზმს, პოლიფონიასა და ინტერტექსტუალურობას - ცალ-ცალკე პარაგრაფში დეტალურად განვიხილავთ. ხოლო ბოლო პარაგრაფში ვაანალიზებთ ურთიერთმიმართებას ამ სამ ფენომენს შორის და წარმოვადგენთ მათ, როგორც ჰეტეროგენული დისკურსის არსებობის ფორმებს.

ნაშრომის მესამე თავს - *„დიალოგიზმისა და პოლიფონიის მარკერები“*, ვუძღვით დიალოგიზმისა და პოლიფონიის მარკერების ანალიზს და ვაკეთებთ იმ მარკერების კლასიფიკაციას, რომლებიც შეისწავლეს ამ ორ ფენომენზე მომუშავე მეცნიერებმა.

დისერტაციის მეოთხე თავს - *„ფრანგული და ქართული პოლიტიკური დისკურსის შეპირისპირებითი ანალიზი“* მთლიანად ვუთმობთ ჩვენ მიერ შერჩეული კორპუსის - ფრანგი და ქართველი პოლიტიკოსების დისკურსის - ანალიზს. ვაჩვენებთ, რამდენად არის დამახასიათებელი პოლიტიკური დისკურსისათვის ინტერტექსტუალურობის ფენომენი, ანუ რამდენად შეგვიძლია განვიხილოთ პოლიტიკური დისკურსი როგორც ჰეტეროგენული დისკურსი, რასაც მასში დიალოგიზმის ტიპებისა და პოლიფონიის არსებობა განაპირობებს. ასევე ვაანალიზებთ



ურთიერთმიმართებას ტექსტის/დისკურსის არსებობის ამ სამ ფენომენს შორის პოლიტიკურ დისკურსში და ვახდენთ ამ სფეროში მომუშავე მეცნიერების მიერ შესწავლილი და ჩვენ მიერ დამატებით გამოკვლეული დიალოგიზმისა და პოლიფონიის მარკერების ჩვენეულ კლასიფიკაციას.

**დასკვნაში** ვაჯამებთ ჩვენი კვლევის შედეგებს.

## თავი 1. თანამედროვე ლინგვისტური მიმდინარეობები (სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა)

იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენი თემის საკვლევი ფენომენები - დიალოგიზმი, პოლიფონია და ინტერტექსტუალურობა - თანამედროვე ლინგვისტიკის სფეროს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა სწორედ თანამედროვე ლინგვისტიკის მიმდინარეობების ანალიზით დავიწყეთ.

ამდენად, წინამდებარე თავში, ჩვენ შევეცდებით ნათლად ვაჩვენოთ თანამედროვე ლინგვისტიკის მიმდინარეობების: კომუნიკაციური ლინგვისტიკის, გამონათქვამის თეორიების, ტექსტის ლინგვისტიკის, პრაგმატიკის და დისკურსის ანალიზის ძირითადი დებულებები. ჩვენი მიზანია, განვსაზღვროთ ზემოთ აღნიშნული კომუნიკაციური ლინგვისტიკის მიმდინარეობების მიმართება ჩვენ საკვლევ საკითხებთან. ამასთანავე, აქვე შემოგთავაზებთ მოსაზრებებს დისკურსის ჟანრების თაობაზე. განსაკუთრებით კი, ყურადღებას დისკურსის ერთ-ერთ ჟანრზე - პოლიტიკურ დისკურსზე შევაჩერებთ, ვინაიდან სწორედ ის წარმოადგენს ჩვენი კვლევის ძირითად ობიექტს.

### *1.1 კომუნიკაციური ლინგვისტიკა*

როგორც საყოველთაოდ ცნობილია, თანამედროვე ლინგვისტური თეორია, ანუ თანამედროვე ენათმეცნიერება სათავეს იღებს XX საუკუნეში მოღვაწე შვეიცარელი მეცნიერის ფ. დე სოსიურის ფუნდამენტურ ნაშრომში ”ზოგადი ენათმეცნიერების კურსი” « Cours de linguistique générale ». სწორედ მან დააფუძნა ენის თანამედროვე სემიოტიკური ხედვა, რომლის მიხედვითაც ენა არის „ნიშანთა სისტემა“ « Systeme des signes ». როგორც ქართველი მეცნიერი, გურამ ლებანიძე აღნიშნავს, „XX საუკუნის ლინგვისტიკა ხასიათდება გარკვეული დინამიკით, რომელიც დაიწყო სოსიურიდან და

დღემდე გრძელდება. დინამიკის შედეგი დღეს არის ის, რასაც ჩვენ შეგვიძლია ვუწოდოთ თანამედროვე კომუნიკაციური ლინგვისტიკა“. (ლებანიძე 2004: 149). მისივე მოსაზრების თანახმად, კომუნიკაციური ლინგვისტიკა წარმოიშვა იმ ჰორიზონტალური და ვერტიკალური დინამიკის ურთიერთგადაკვეთის წერტილში, რომლებსაც პრაგმატიკა და ტექსტის ლინგვისტიკა ქმნიან. ამრიგად, „კომუნიკაციური ლინგვისტიკის კონცეპტუალური ბირთვი ისეა აგებული, რომ ერთ მხარეს წარმოადგენს ლინგვისტური პრაგმატიკა, ხოლო მეორეს - ტექსტის თეორია“ (ლებანიძე 2004: 152).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სოსიურისეული თეორიის მიხედვით, ენა განიხილებოდა როგორც ნიშანთა სისტემა, ხოლო კომუნიკაციური ლინგვისტიკისათვის ენა განიხილება, როგორც „სისტემა მოქმედებაში“ « *Système en action* ». ამრიგად, აქცენტი გადატანილია სისტემიდან, რომელსაც იყენებს ადამიანი, თავად ადამიანზე, ანუ მეტყველ სუბიექტზე, რომელიც ენას იყენებს როგორც საკომუნიკაციო, სხვა ადამიანებთან ინტერაქციის დამყარების საშუალებას. თუმცა, დღესდღეისობით, თანამედროვე ლინგვისტიკის განვითარების შედეგად, კომუნიკაციური ლინგვისტიკა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს არა მხოლოდ მეტყველ სუბიექტს, არამედ მსმენელ სუბიექტსაც, ანუ ადრესატსაც, რომლებიც თანაბრად მონაწილეობენ დისკურსის არსის პროდუცირებაში. ამრიგად, როგორც ლებანიძე აღნიშნავს: „ეს პარადიგმული სიტუაცია უნდა გავიგოთ, როგორც ლინგვისტური აზროვნების გადასვლა სემანტიკიდან პრაგმატიკაში. რაკი პრაგმატიკა განისაზღვრება, როგორც ენობრივი ნიშნის მიმართება იმ სუბიექტებთან, რომლებიც იყენებენ ამ ნიშანს, ეს უკვე ნიშნავს, რომ ყურადღების ცენტრში ექცევა ადამიანი.“ მისივე მოსაზრებით, ეს ნიშნავს, რომ ლინგვისტიკაში მკვიდრდება ანთროპოცენტრისტული პრინციპი. (ლებანიძე 2004: 157).

ამრიგად, კომუნიკაციური ლინგვისტიკის ფარგლებში, კომუნიკაციური პარადიგმა გულისხმობს ყოველი ენობრივი ერთეულის, როგორც პირველ რიგში, კომუნიკაციური ერთეულის, კვლევას. დღეისათვის არ არის საკმარისი უბრალოდ ვიგულისხმოთ, რომ ენობრივი ერთეული გამოიყენება კომუნიკაციის დროს. დღევანდელი ლინგვისტური კვლევა გულისხმობს, ყოველი ენობრივი ერთეული

გავიგოთ, როგორც პირველ რიგში, კომუნიკაციური ერთეული. ამ შემთხვევაში მთავარი ხდება არა საკუთრივ ენა, არამედ ენობრივი თვალსაზრისით დანახული ადამიანი.(იგივ. 221)

კომუნიკაციური ლინგვისტიკის ფარგლებში განვითარდა სხვა ლინგვისტური მიმდინარეობებიც, ესენია: გამონათქვამის თეორიები, ტექსტის ლინგვისტიკა, პრაგმატიკა, დისკურსის ანალიზი. ყველა მათთვის დამახასიათებელია ის საერთო ნიშანი, რომლის მიხედვითაც ისინი ნებისმიერ ენობრივ ფაქტს კომუნიკაციურ ჭრილში განიხილავენ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თითოეულ მათგანს ენისა და დისკურსისადმი განსხვავებული მიდგომა გააჩნია. მაგალითად, გამონათქვამების თეორია აქცენტს ძირითადად სუბიექტურობასა და ინტერსუბიექტურობაზე აკეთებს. დისკურსის ანალიზი ძირითადად, დისკურსის პროდუცირების სოციალურ კონტექსტს უსვამს ხაზს. პრაგმატიკა მეტყველ და მოლაპარაკე სუბიექტებს ანიჭებს უპირატესობას. ტექსტის ლინგვისტიკა ტექსტზე აკეთებს აქცენტს<sup>1</sup>.

ამრიგად, ნაშრომში მიზნად დავისახეთ ზემოთხსენებული თანამედროვე ლინგვისტური მიმდინარეობების მთავარი დებულებების წარმოჩენა, რადგან ჩვენი საკვლევი საკითხები უმთავრესად ამ მიმდინარეობებში არსებულ ძირითად პოსტულატებს ეყრდნობა.

## ***1.2 გამონათქვამის თეორიები***

გამონათქვამების თეორიები თანამედროვე ლინგვისტიკაში მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან განვითარდა. მის ფუძემდებლად ფრანგი ენათმეცნიერი ემილ ბენვენისტი ითვლება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ 1910-1930 წლებში

---

<sup>1</sup> ძირითად აქცენტს გამონათქვამის თეორიებსა და დისკურსის ანალიზზე გავაკეთებთ, რადგან სწორედ ამ ორი მიმდინარეობის სფეროს განეკუთვნება ჩვენი საკვლევი საკითხები.

ევროპასა და რუსეთში აღნიშნული პრობლემატიკით მრავალი ცნობილი ლინგვისტი დაინტერესდა, ესენი არიან: მ. ბახტინი, ვოლოშინოვი, შ. ბალი და სხვა. თუმცა, სტრუქტურალიზმის გაბატონებამ ბალისა და რუსი მეცნიერების კონცეფციების განვითარება დროებით შეაჩერა.

1966 წელს გამოსულმა, ფრანგი მეცნიერის, ემილ ბენვენისტის ნაშრომმა „ზოგადი ენათმეცნიერების პრობლემები“ « problèmes de linguistique générale » და ასევე შემდეგ წლებში მის მიერ გამოქვეყნებულმა სხვადასხვა სტატიამ, რომლებიც გამონათქვამს ეხებოდა, მნიშვნელოვანი გარდატეხა მოახდინა თანამედროვე ლინგვისტურ აზროვნებაში. ბენვენისტის თეორიის მთავარი მონაპოვარი არის ის, რომ მან სუბიექტი და სუბიექტურობა ლინგვისტიკაში წინა პლანზე წამოწია მაშინ, როდესაც სტრუქტურალისტები მასზე აქცენტს არ აკეთებდნენ. ამასვე მოწმობს ბენვენისტის მიერ შეთავაზებული გამონათქვამის ცნობილი დეფინიცია:

„ L'énonciation est cette mise en fonctionnement de la langue par un acte individuel d'utilisation . Le discours, dira-t-on, qui est produit chaque fois qu'on parle, cette manifestation de l'énonciation, n'est pas simplement la «parole» (...) C'est l'acte même de produire un énoncé et non le texte de l'énoncé qui est notre objet. Cet acte est le fait du locuteur qui mobilise la langue pour son compte". (Benveniste , 1974 : 80) „ თქმის პროცესი არის ენის ფუნქციონირება გამოყენების ინდივიდუალური აქტის საშუალებით. დისკურსი, თქმის პროცესის ის გამომყდავენებაა, რომელიც, როგორც იტყვიან, ყოველი ლაპარაკის შედეგად წარმოიშვება, მხოლოდ „სიტყვა“ არ არის (...) ჩვენს საგანს წარმოადგენს თავად გამონათქვამის პროდუცირების აქტი და არა გამონათქვამის ტექსტი. ეს აქტი ლოკუტორის საქმეა, რისთვისაც ის ენის მობილიზებას ახდენს”<sup>2</sup>.

---

<sup>2</sup> განსხვავება Enoncé/énonciation-ს (გამონათქვამი/თქმის პროცესი) შორის გამონათქვამის თეორიების მნიშვნელოვანი ნაწილია და მათ შესახებ ცოტა ქვემოთ ვისაუბრებთ.

აღსანიშნავია კ. კერბრატ-ორევიონის, ა. კულიოლის, ო. დიუკროს, მ. ფუკოს ნაშრომები, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს გამონათქვამების ლინგვისტიკის განვითარებაში.

ახლა კი, ზემოთხსენებულ ავტორთა ნაშრომებზე დაყრდნობით, ზოგადად ვეცადოთ, განვსაზღვროთ, ტერმინი "გამონათქვამის" არსი და აღნიშნული თეორიისათვის დამახასიათებელი დებულებები, ცნებები და კონცეპტები.

როგორც გ. ლებანიძე აღნიშნავს: „ გამონათქვამი არის არა უბრალოდ რომელიმე ენის აქტუალიზაციის შედეგად მიღებული ენობრივი სეგმენტი, არამედ ისეთი სეგმენტი, რომელიც მოცემულია მინიმუმ ორ კომუნიკანტს შორის და ემსახურება გარკვეულ კომუნიკაციურ მიზანს, ასახავს გარკვეულ რეფერენტულ სიტუაციას, დაკავშირებულია გარკვეულ კომუნიკაციურ სიტუაციასთან და ა.შ.“ (ლებანიძე 2004: 240)

ასევე საინტერესოა გამონათქვამის ლ. გესპენის მიერ შემოთავაზებული განმარტება, რომელსაც იგი დისკურსთან მიმართებით აკეთებს : « L'énoncé , c'est la suite des phrases émises entre deux blancs sémantiques, deux arrêts de la communication ; le discours c'est l'énoncé considéré du point de vue de mécanisme discursif qui le conditionne. » (Guespin1971:10) „გამონათქვამი, ორ სემანტიკურ სივარტელსა და კომუნიკაციის ორ პაუზას შორის გადმოცემული ფრაზების თანამიმდევრობაა; დისკურსი კი გამონათქვამია, რომელიც განპირობებულია დისკურსული მექანიზმით”.

რაც შეეხება ბახტინს, მანაც შემოგვთავაზა გამონათქვამის მისეული თეორია<sup>3</sup>. მისთვის გამონათქვამი არის „ L'unité réelle de l'échange verbale“ „ვერბალური გაცვლის რეალური ერთეული“, რომელიც გარკვეულ ფარგლებშია მოცემული და განპირობებულია მოლაპარაკე სუბიექტების მონაცვლეობით. ამდენად, აქცენტი ძირითადად თავად ადამიანზე არის გაკეთებული. რადგან სწორედ ადამიანია

---

<sup>3</sup> ბახტინისეულ გამონათქვამის თეორიას ცალკე პარაგრაფს დაუთმობთ დიალოგიზმის ფენომენზე საუბრისას

ენობრივი რეალობის მთავარი ბირთვი. როგორც ტოდოროვი ბახტინის თეორიის აღწერისას აღნიშნავს: « Il est impossible de concevoir l'être en dehors des rapports qui le lient à l'autre [...] L'énoncé entier est une entité, non plus de la langue, mais de la communication ». (Todorov , 1981 : 145) „ შეუძლებელია, შევიმეცნოთ ადამიანი, იმ ურთიერთობების გარეშე, რომლებიც მას სხვასთან აკავშირებენ...მთლიანი გამონათქვამი არის არა ენის, არამედ ვერბალური კომუნიკაციის ერთეული“.

როდესაც ვსაუბრობთ გამონათქვამის თეორიის შესახებ, არ შეიძლება არ ვახსენოთ თავად თქმის პროცესი, რომელიც წარმოადგენს გამონათქვამის განუყოფელ ერთეულს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ფრანგულში ეს ორი ერთეული ძალიან კარგად არის გამოკვეთილი énoncé/énonciation-ის სახით, ქართულში კი შესაბამისი ვარიანტი არ მოგვეპოვება, ამიტომ პირველს ვთარგმნით, როგორც გამონათქვამს, ნათქვამს, ხოლო მეორეს - თქმას, ანუ თქმის პროცესს. გამონათქვამი წარმოადგენს ლინგვისტიკის საგანს, რომელიც გამომდინარეობს ენის გამოყენებისაგან, ხოლო თავად თქმა / თქმის პროცესი არის ენის გამოყენების ინდივიდუალური აქტი. ეს ორი ცნება ერთმანეთისაგან განუყოფელია. როგორც აღნიშნავს ფრანგი მეცნიერი დომინიკ მენგენო, ხშირად, შეუძლებელია გამონათქვამის აზრის გაგება, თუ ჩვენ მისი თქმის გარემოებებს არ გავითვალისწინებთ (Maingueneau 1994: 9-11). კიდევ ერთი ფრანგი მეცნიერი დიუბუა თქმის პროცესს მიიჩნევს, როგორც «Soit comme le surgissement du sujet dans l'énoncé, soit comme la relation que le locuteur entretient par le texte avec l'interlocuteur , ou comme l'attttitude du sujet parlant à l'égard de son énoncé » (J. Dubois, 1969: 100) . „ სუბიექტის გამოჩენას გამონათქვამში, ან როგორც თანამოსაუბრესა და მოსაუბრეს შორის ტექსტის საშუალებით ურთიერთობას, ან კიდევ სუბიექტის დამოკიდებულებას თავისი გამონათქვამის მიმართ“. ხოლო ფრანგი სოციოლინგვისტის, შ. ბეილონისათვის « L'énonciation désigne par opposition à l'énoncé, l'acte de production linguistique et non son résultat ». (Baylon 1996 : 250). „თქმის პროცესი, გამონათქვამისაგან განსხვავებით, აღნიშნავს ლინგვისტური პროდუქციების აქტს და არა მის შედეგს“.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბენვენისტის მიერ შემოთავაზებული კონცეფციის ამოსავალ წერტილს სუბიექტურობის ფაქტორი წარმოადგენს. მეცნიერის აზრით, „La subjectivité dont nous traitons ici est la capacité du locuteur à se poser comme « sujet ». (Benveniste1966 : 259-260) „ *სუბიექტურობა, რომელსაც ჩვენ აქ ვეხებით, არის ლოკუტორის უნარი, წარმოჩნდეს, როგორც სუბიექტი*“ .

ბენვენისტის შრომებში ასევე მნიშვნელოვანია ინტერსუბიექტურობის ფაქტორი, ანუ დიალოგიზმი, რადგან მთქმელის მიერ განხორციელებული ნებისმიერი თქმის პროცესი გულისხმობს სხვა თანამოსაუბრესაც, რომლისკენაც მიმართულია ეს გამონათქვამი. ბენვენისტი თავად მონოლოგსაც კი შინაგან დიალოგად მიიჩნევს, რომლის დროსაც მეტყველი სუბიექტი საკუთარ თავს ან სხვას მიმართავს « *Toute énonciation, implicite ou explicite, est une allocution, elle postule un allocutaire ou interlocuteur* » . (Benveniste1966 : 14) „ *ყოველი თქმის პროცესი, იმპლიციტურია ის თუ ექსპლიციტური, არის ალოკუცია, იგი გულისხმობს ალოკუტორს და თანალოკუტორს, ანუ თანამოსაუბრეს*“ .

ბენვენისტისთვის ასევე მნიშვნელოვანია რეფერენციის ცნება, ანუ სუბიექტის მიმართება გარე სამყაროსთან. მისი აზრით, „ La référence est partie intégrante de l'énonciation . Le locuteur s'approprie l'appareil formel de la langue et il énonce sa position de locuteur par des indices spécifiques, d'une part, et au moyen de procédés accessoires, d'autre part.» (Benveniste1966 : 82) „ *რეფერენცია თქმის პროცესის განუყოფელი ნაწილია, ლოკუტორი ითავისებს ენის ფორმალურ აპარატს და იგი მის, ანუ ლოკუტორის პოზიციას გამოხატავს, ერთი მხრივ, სპეციფიური ნიშნების საშუალებით, მეორე მხრივ კი, დამატებითი ხერხების საშუალებით*“ .

ამრიგად, ბენვენისტმა გამონათქვამში სამი ტიპის სიტუაციური ელემენტი, ანუ დეიქტიკი, გამოყო: პირის, სივრცისა და დროის, რომლებიც, მისივე აზრით, წარმოადგენენ გამონათქვამის განუყოფელ „ცარიელ ნიშნებს“ და თქმის პროცესთან არიან დაკავშირებულნი. აქვე უნდა აღვნიშნოს, რომ ბენვენისტმა ტრადიციული პირის ნაცვალსახელთა სისტემის ახლებური ხედვა შემოგვთავაზა. როგორც პავო აღნიშნავს,



სწორედ ბენვენისტმა დაამტკიცა, რომ პირველ და მეორე პირის ნაცვალსახელებს მესამე პირის ნაცვალსახელისაგან განსხვავებული სტატუსი გააჩნიათ, იქიდან გამომდინარე, რომ ისინი გამონათქვამის სიტუაციურ მარკერებს წარმოადგენენ. მართლაც, *მე* და *შენ* აღნიშნავენ თქმის პროცესში მონაწილე სუბიექტებს, « *Alors que il est la personne dont on parle, n'appartenant pas à la situation d'énonciation* » (Paveau 2003 : 173). „*მაშინ როცა ის არის პირი, რომელზეც საუბრობენ და არ მიეკუთვნება ამ პროცესს*“. მას ბენვენისტი « non-personne » „არა პირს“ უწოდებს.

ამრიგად, უნდა აღინიშნოს, რომ ბენვენისტმა თავისი თეორიის საფუძველზე მეტყველი სუბიექტი ენონსიაციური, ანუ თქმის პროცესის ცენტრში მოაქცია, რომლის მიმართებაშიც განისაზღვრება პირის, სივრცის და დროის პარამეტრები, მათ შორის თანამოსაუბრეც.

გამონათქვამის თეორიაში ასევე მნიშვნელოვანია მოდალობის ცნებაც, რომელიც ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში არსებობდა, თუმცა ლინგვისტიკაში იგი შარლ ბალიმ დაამკვიდრა და იგი დღემდე დიდ როლს ასრულებს გამონათქვამის აქტუალიზაციის პროცესში.

როგორც პავო აღნიშნავს, გამონათქვამის მოდალობა შეეხება თანამოსაუბრესთან მოსაუბრის სუბიექტურ დამოკიდებულებას. არსებობს მრავალი ტიპის მოდალობა, რომლებიც დისკურსში ექსპლიციტურად ან იმპლიციტურად არიან მოცემული.

გამონათქვამის თეორიის სფეროში შედარებით ახალი მოსაზრებები ფრანგ მეცნიერ, დ.მენგენოს ეკუთვნის, რომლის თვალსაზრისითაც, გამონათქვამი არის « *Un piveau liant le monde à la langue* » (Maingueneau : 2002 : 228). „*სამყაროსა და ენის დამაკავშირებელი ლერძი*“.

ასევე მნიშვნელოვანია კ. კერბატ-ორეკიონის მოსაზრებანი გამონათქვამის თეორიებთან დაკავშირებით. იგი ავითარებს ორ, ვიწრო და ფართო, კონცეფციას. პირველის მიხედვით, გამონათქვამის თეორიები ძირითადად მოიცავს იმ ლინგვისტურ

საშუალებებს, რომელთა დახმარებითაც მეტყველი სუბიექტი, იმპლიციტურად თუ ექსპლიციტურად, თავს იჩენს გამონათქვამში (დეიქტიკები, ჩვენებითი ნაცვალსახელები, მოდალობა). ხოლო მეორეს მიხედვით, „ La linguistique de l'énonciation a pour but de décrire les relations qui se tissent entre l'énoncé et les différents éléments constitutifs du cadre énonciatif » (Kerbat-Orrechioni, 1980 :30). *„გამონათქვამის ლინგვისტიკის მიზანი იმ ურთიერთობების აღწერაა, რომლებიც არსებობს გამონათქვამსა და მის შემადგენელ სხვადასხვა ელემენტს შორის“*.

დისკურსის ანალიზის სფეროსათვის გამონათქვამი ასევე ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს. აღსანიშნავია მრავალი ლინგვისტის შრომები, რომლებიც ენას გამონათქვამის ჭრილში განიხილავენ. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ფრანგი მეცნიერის ო. დიუკროს ნაშრომები, რომელმაც გამონათქვამსა და თქმას დიდი ყურადღება დაუთმო.

ო. დიუკრომ საკუთარი მოსაზრებანი გამონათქვამის შესახებ თავის პოლიფონიურ თეორიაში სუბიექტურობის გათვალისწინებით შემოგვთავაზა. მისთვის « L'énonciation est le produit de l'activité du sujet parlant » (Ducrot 1984: 179) *„თქმის პროცესი არის მოლაპარაკე სუბიექტის აქტივობის შედეგი“*. ასევე, მან თავისი გამონათქვამის თეორია ლინგვისტური სემანტიკის ჭრილში ჩამოაყალიბა. ამრიგად, იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საზრისს (sens) და აღნიშნავს, რომ მისთვის « le sens de l'énoncé pour moi, c'est une description de son énonciation » ( Ducrot 1984: 192) *„ გამონათქვამის საზრისი, ეს არის თქმის პროცესის აღწერა“*. ამრიგად, მისთვისაც გამონათქვამი (énoncé) თქმის პროცესისაგან (énonciation) განუყოფელია. აღსანიშნავია ასევე, რომ დიუკროს პოლიფონიის თეორიის არსი იმაში მდგომარეობს, რომ გამონათქვამში ყოველთვის ისმის ისეთი ხმები, რომლებიც ლოკუტორს არ ეკუთვნის. ამდენად « le sens de l'énoncé, dans la représentation qu'il donne de l'énonciation peut y faire apparaître des voix qui ne sont pas celles d'un locuteur » . ( Ducrot 1984: 204) *„ გამონათქვამის საზრისს თქმის პროცესში შეუძლია წარმოაჩინოს ის ხმები, რომლებიც ლოკუტორს არ ეკუთვნიან“*. ამრიგად , დიუკრომაც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა მოლაპარაკე სუბიექტის ერთადერთობა.

პოლიფონიის თეორიაზე საუბრისას ჩვენ დიუკროს მოსაზრებებს უფრო ვრცლად განვიხილავთ. ბოლოს კი დავძენთ, რომ დიუკროს გამონათქვამის თეორია, მართლაც ნიშანდობლივია იმ მხრივ, რომ მან გამონათქვამის ახლებური ხედვა შემოგვთავაზა სემანტიკურ ჭრილში.

აღსანიშნავია აგრეთვე ა. კულიოლის თეორია გამონათქვამის შესახებ. იგი ძირითადად ინტერესდება გამონათქვამის, როგორც პროდუცირების პირობების შედეგის მნიშვნელობით. იგი ინტერაქციის სიტუაციას აქცევს დიდი ყურადღებას და შემოაქვს co-énonciation-ის ცნება, რაც აიხსნება, როგორც თანა თქმის პროცესი. თითოეული მოლაპარაკე სუბიექტი ერთდროულად ახდენს სხვისი ნათქვამის აღქმას და მის რეპროდუცირებას. კულიოლი ასევე გამონათქვამის ფუნქციონირებას აღწერს შემდეგი ოპერაციების საშუალებით, ესენია: ლოკალიზაციის (fonction de localisation), გამოკვეთის (fonction de repérage) და გამონათქვამის ძირითადი ფუნქციები (fonction principale de l'énoncé) (Paveau 2004,181-183).

მაშასადამე, როგორც ვნახეთ, გამონათქვამის ამ თეორიების მიხედვით, ადამიანი, მოსაუბრე, განიხილება სოციალურ გარემოსთან მიმართებაში, ანუ მის გარე სამყაროსთან დამოკიდებულებაში, რაც გულისხმობს მის კომუნიკაციურ ურთიერთობებს, ანუ ვერბალურ გაცვლას, ინტერაქციას თანამოსაუბრესთან, რაც თქმის პროცესით გამოიხატება.

ამრიგად, ჩვენ მიერ ჩამოთვლილი გამონათქვამის თეორიები, რომლებიც მე-20 საუკუნის 60-იან წლებში განვითარდა და ჩამოყალიბდა, თანამედროვე კომუნიკაციური ლინგვისტიკის საფუძველს წარმოადგენენ. ჩვენი კვლევისათვის ისინი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც დიალოგიზმის, პოლიფონიისა და ინტერტექსტუალურობის ფენომენები ღრმა კავშირში არიან მათთან და მათ მნიშვნელოვან კომპონენტებს წარმოადგენენ.

### 1.3 ტექსტის ლინგვისტიკა

ტექსტის ლინგვისტიკამ, როგორც თანამედროვე ენათმეცნიერების ერთ-ერთმა მიმართულებამ, განვითარება მე-20 საუკუნის 60-70-იან წლებში დაიწყო. მის წარმოშობას სათავე დაუდო სხვადასხვაგვარმა მოსაზრებებმა, კერძოდ: პოსტსტრუქტურალისტურმა ჰიპოთეზამ, რომლის მიხედვითაც ფრაზაზე ზემდგომი ერთეულები ფრაზის მსგავსად არიან ორგანიზებულნი. აღსანიშნავია რიკერის შრომები, ლიტერატურული სემიოტიკა, რომელთა კვლევის ობიექტი სცდება ფრაზას და წარმოადგენს ტექსტს. ამ მხრივ აღსანიშნავია ბართის, კრისტევას, ჟენეტის, გრემასის შრომები, ასევე გრიზისა და ბორელის სემიოლოგია, რომლებიც ვერბალური პროდუცირების ანალიზს ტექსტის დონეზე ახორციელებენ. ტექსტის ლინგვისტიკა ასევე ეყრდნობა ანტიკურ რიტორიკასაც და შესაბამისად ახლებურ მიდგომას გვთავაზობს. ამ თვალსაზრისით, ასევე ნიშანდობლივია ლაბოვისა და გოფმანის სოციოლინგვისტიკაც. ამრიგად, შესაძლებელი გახდა ტექსტის, როგორც ლინგვისტური ცნების არსის განსაზღვრა, ტექსტობრივ კატეგორიათა პრობლემის დასმა, ტექსტის ორგანიზაციის კანონების დადგენა, ტიპოლოგიების შემუშავება და ა.შ. (Paveau 2003: 185)

რა თქმა უნდა, ტექსტის ლინგვისტიკის შესწავლის საგანს ტექსტი წარმოადგენს. იგი მეტად რთული ფენომენი და მულტისემიოტიკური კონცეპტია. მისი დეფინიცია გარკვეულ სირთულესთან არის დაკავშირებული. ტექსტი შეიძლება იხმარებოდეს როგორც ფართო, ისე ვიწრო გაგებით. მაგალითად, ტექსტი შეიძლება იყოს რამდენიმე ასეული გვერდის მოცულობის ნაწარმოები და ასევე, ორი ან ორზე მეტი თემატურად ურთიერთდაკავშირებული წინადადება. ჩვენ უშუალოდ მისი ლინგვისტური განსაზღვრება გვჭირდება, რადგან მასზე ვსაუბრობთ როგორც ლინგვისტური მიმდინარეობის კვლევის ობიექტზე. თუ გავითვალისწინებთ მის ეტიმოლოგიას, ვნახავთ, რომ „ტექსტი“ (textum) ლათინურიდან მომდინარეობს და ნიშნავს „ქსოვილს“, „კავშირს“, „შეკავშირებულობას“.

მანამ, სანამ ტექსტის ლინგვისტიკის ძირითად საკვლევ საკითხებზე გადავიდოდეთ, განვიხილოთ ტექსტის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციები ტექსტის ლინგვისტიკასთან მიმართებაში, რომლებიც ამ სფეროში მოღვაწე არა ერთმა მეცნიერმა შემოგვთავაზა. როგორც ნ. თევდორაძე აღნიშნავს, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ტექსტის ფენომენი მრავალასპექტიური ბუნებით გამოირჩევა, ბუნებრივია ისიც, რომ მისი მრავალი განსაზღვრება არსებობს და მათ ფონზე შეუძლებელია საერთო დეფინიციის შემუშავება. ტექსტის შესახებ ყველაზე ცნობილ დეფინიციათა მიხედვით, ტექსტი მიიჩნევა თანამედროვე ჰუმანიტარული მეცნიერების ერთ-ერთ საკვანძო ცნებად, რომელიც წარმოადგენს წინადადებათა სიმრავლეს, რომლებიც ერთმანეთს აზრობრივად და ლექსიკურ-გრამატიკული კავშირებით უკავშირდებიან. (თევდორაძე 2010: 31).

უნდა აღინიშნოს, რომ თავდაპირველად ტექსტის კონცეპტის განმარტება იყო გრამატიკული და ტიპოლოგიური. ამრიგად, ტექსტის გრამატიკისათვის, ტექსტი არის « Une séquence bien formée de phrases qui se progressent vers la fin » „*კარგად ფორმირებული ფრაზებისაგან შემდგარი მონაკვეთი, რომლებიც დასასრულისაკენ პროგრესირდებიან*“. ეს განსაზღვრება შემდეგ გაკრიტიკებულ იქნა, რადგან შეუძლებელი იყო ტექსტის დეფინიცია მხოლოდ ფრაზის ერთეულზე დაყრდნობით. ამდენად, ეჭვის ქვეშ დადგა ის მოსაზრებაც, რომლის თანახმადაც ტექსტის გრამატიკის შესწავლის საგანი ფრაზების კარგად ფორმირებული თანამიმდევრობა უნდა იყოს. ამგვარად, ტექსტისადმი მიდგომაც შეიცვლა, რომელიც ახლებურია და მის პრაგმატიზაციას, ანუ კომუნიკაციურ და ფუნქციურ განზომილებას გულისხმობს (Maingueneau 2002 , 571 ).

ასევე აღსანიშნავია, რომ, აკ. ჰალიდეი და რ. ჰასანი ტექსტს განმარტავენ, როგორც: « Comme une unité d'usage de la langue dans une situation d'interaction » ( Haliday et Hasan 1976: 293 in Maingueneau 2002 : 571) „*ენის გამოყენების ერთეულს ინტერაქციულ სიტუაციაში*“. ჰალიდეის აზრით, თავად ენის ცოდნის ფაქტი გულისხმობს, რომ მეტყველი სუბიექტი ეყრდნობა არა სიტყვებისა და სტრუქტურების ცოდნას, არამედ იმ

როლს, რომელსაც ენა ასრულებს მოცემულ სიტუაციაში (Haliday 1970 : 142). მსგავსი არის ტექსტის ვეინრიხისეული განმარტებაც: „Le texte est une suite signifiante des signes entre deux interruptions marquées de la communication“. (Weinrich 1973:13) *„ტექსტი არის კომუნიკაციის ორ გამოკვეთილ წყვეტას შორის არსებული ნიშნების მნიშვნელობის მეორე თანამიმდევრობა“.*

ჟან-მიშელ ადამი, რომელმაც ვრცელი ნაშრომი მიუძღვნა ტექსტის ლინგვისტიკას, მიიჩნევს, რომ ტექსტი არის „Unité communicative de rang supérieur « *„უმაღლესი რანგის კომუნიკაციური ერთეული.“* (Adam , 1999 : 84) ხოლო, როგორც გ.ლეზანიძე მიიჩნევს:

*„ტექსტის ლინგვისტიკა არის კომუნიკაციური ლინგვისტიკის ორგანული კომპონენტი, ტექსტი წარმოადგენს იმ ენობრივ სინამდვილეს, რომლის არსში და რომლის სტრუქტურაში ჰპოვებს რეალიზაციას კომუნიკაციის ის განახლებული იდეა, რომელსაც ეყრდნობა ლინგვისტიკის კომუნიკაციური პარადიგმა და აქედან გამომდინარე, თვით კომუნიკაციური ლინგვისტიკა“.* ( ლეზანიძე 2004: 142)

ამდენად, ტექსტის ლინგვისტიკა კომუნიკაციურად არის ორიენტირებული მის და წინა პლანზე პრაგმატიკული მიდგომაა წამოწეული.

ამასთან, არ შეიძლება არ ვისაუბროთ იმ მნიშვნელოვანი ცნებების შესახებ, რომლებიც ტექსტის ლინგვისტიკამ ენათმეცნიერების სფეროში დაამკვიდრა. პირველ რიგში ეს არის ჰალიდეისა და ჰასანის მიერ შემოტანილი ტერმინი, კოჰეზია (1976). ხსენებული მეცნიერები საუბრობენ „ ტრანსფრაზულ კოჰეზიაზე“, რომელიც აღნიშნავს სამეტყველო ფენომენების ერთიანობას, რომლებიც სპეციფიური მარკერებით გამოიხატება და ფრაზებს სძენენ უნარს, დაუკავშირდნენ ერთმანეთს და შექმნან ტექსტი. ასევე აღსანიშნავია კოჰერენტულობა, ტექსტის მნიშვნელოვანი კატეგორია, რომელიც ბოგრანდმა შემოიტანა და რომელიც შეეხება არა ლინგვისტურ დონეს, არამედ იმ რეპრეზენტაციების ორგანიზაციას, რომლებიც ცვლიან ტექსტის მიერ წარმოდგენილ სამყაროს. ტექსტის ლინგვისტიკის მონაპოვარს წარმოადგენს თემატური პროგრესიის ცნებაც. იგი ეფუძნება ბინარულ ოპოზიციას თემა/რემა thème /rhème. ამდენად, ყოველ

ტექსტს გააჩნია თემა, ესე იგი ის, რაც ცნობილია და რომელზეც არის საუბარი, და რემა, ანუ ის, რასაც ამბობენ თემაზე და რაც ახალ ინფორმაციას წარმოადგენს. ამრიგად, სარფატის განმარტებით, « Un développement progressif et cohérent de l'information communiquée à partir d'un thème donné ». ( Sarfati 1999 ; 30) *„ყოველი ტექსტი შეიძლება განისაზღვროს, როგორც „გადმოცემული ინფორმაციის კოჰერენტული და პროგრესული განვითარება მოცემული თემიდან გამომდინარე“.* უნდა გამოვყოთ, დანესა და ადამის ნაშრომებიდან მოყოლებული, პროგრესიის სამი ტიპი: მუდმივი თემის პროგრესია, ლინეარული თემის პროგრესია, გაყოფილი თემის პროგრესია.

ამგვარად, ამ თავში შევეცადეთ მეტ ნაკლებად ცხადად დაგვენახვებინა ტექსტის ლინგვისტიკასთან დაკავშირებული ყველა ცნება-კონცეპტი და ის ფაქტი, თუ რამდენად აქტუალურია დღეს ლინგვისტიკის ეს მიმდინარეობა.

## 1.4 პრაგმატიკა

როდესაც ვსაუბრობთ გამონათქვამის თეორიებსა და ტექსტის ლინგვისტიკაზე, არ შეიძლება არ ვახსენოთ თნამედროვე ენათმეცნიერების ასევე მეტად მნიშვნელოვანი მიმდინარეობა, როგორც არის პრაგმატიკა, რომელიც კომუნიკაციური ლინგვისტიკის შემადგენელ ნაწილს, ანუ მის კონცეპტუალურ ბირთვს წარმოადგენს. ტერმინი პრაგმატიკა ენათმეცნიერებაში ენის ფილოსოფიიდან შემოვიდა, მის ფუძემდებლად ჩ.უ. მორისი ითვლება, რომელმაც ეს ტერმინი პირველად 1938 წელს გამოიყენა. როდესაც თავის დროზე შეიქმნა ნიშნის სამგანზომილებიანი მოდელი, რომელშიც სინტაქტიკა, სემანტიკა და პრაგმატიკა ერთიანდება, პრაგმატიკა განისაზღვრა, როგორც მიმართება ენობრივ ნიშანსა და იმ სუბიექტს შორის, რომელიც ამ ენობრივ ნიშანს იყენებს. (ლუბანიძე 2004: 253). აღსანიშნავია პავოს განმარტებაც, რომლისათვისაც „ლინგვისტური პრაგმატიკა“ აღნიშნავს: « L'ensemble des théories élaborées, dans le cadre de la linguistique » (Paveau 2003 :208). *„შემუშავებული თეორიების ერთიანობას ლინგვისტიკის ფარგლებში».* როგორც ხსენებული მეცნიერი გადმოგვცემს, პრაგმატიკას ხშირად

განსაზღვრავენ, როგორც კონტექსტის მეცნიერებას, რომელიც გვთავაზობს კონტექსტის ტიპების კლასიფიკაციას: გარემოებითი კონტექსტი, ანუ ფიზიკური გარემო (სივრცე, დრო, კომუნიკაციის ტიპი და შემადგენლობა); სიტუაციური კონტექსტი, ანუ დისკურსის კულტურული გარემო; ინტერაქციული კონტექსტი, რომელიც დამახასიათებელია დისკურსის ფორმებისათვის და ნიშნობრივი სისტემისათვის (ნათქვამი, ჟესტები...); ეპისტემიური კონტექსტი, რომელიც მოიცავს თანამოსაუბრეთათვის საერთო ღირებულებებსა და რწმენას.

პრაგმატიკის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს მეოცე საუკუნეში მოღვაწე ამერიკელმა მკვლევარებმა ჯ. ოსტენმა, ჯ.რ. სეარლმა, პ. გრაისმა, და ასევე ფრანგმა მეცნიერმა ო. დიუკრომ.

ოსტენისეული სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ მან შემოგვთავაზა « La théorie des actes de paroles » „სამეტყველო აქტების თეორია“, რომელიც ენის კლასიკურ კონცეფციას შორდება. მისი აზრით, ენას ქმედების ფუნქცია აქვს. ენის ორგანიზებისათვის მან გამონათქვამი დაყო შემდეგ ორ კატეგორიად: კონსტატივები, გამონათქვამები, რომლებიც სინამდვილეს აღწერენ და არიან ან ჭეშმარიტი ან მცდარი, და პერფორმატივები, გამონათქვამები, რომელთა საშუალებითაც ხდება გარკვეული ქმედების შესრულება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ოსტენის აზრით, მხოლოდ სიტყვის წარმოთქმით შეუძლებელია ქმედების განხორციელება, ამისათვის საჭიროა გარემო პირობები წარმოთქმული სიტყვების ადეკვატური იყოს. მან გამოყო სამი ტიპის გარემოება, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ თქმის პროცესის ქმედებად გარდაქმნაში, ესენია: ლინგვისტური ( გარკვეული ლინგვისტური ფორმულა უნდა იქნას წარმოთქმული), სოციოლოგიური (მოსაუბრეებს შესაბამის დროსა და ადგილზე სიტუაციის შესაბამისი ავტორიტეტი თუ სტატუსი უნდა გააჩნდეთ) და ფსიქოლოგიური (მოსაუბრის ფსიქოლოგიური განწყობა იმ ვალდებულებების ტიპს უნდა შეესაბამებოდეს, რომელსაც თავის თავზე იღებს) (Paveau, 2003: 209-210). ამრიგად, პერფორმატივები გულისხმობენ მოსაუბრეთა ქმედებას ენის საშუალებით. თავად



ოსტენს ეკუთვნის ცნობილი გამოთქმა, რომლის მიხედვითაც. « Le dire est un faire ». (Austin, 1970) „*თქმა, ეს არის ქმედება*“ .

ოსტენის მიერ შემოთავაზებული სამეტყველო აქტების თეორიის მიხედვით, ნებისმიერი გამონათქვამი სამ ქვეაქტად იყოფა:

1. ლოკუციური აქტი, რომელიც არის გამონათქვამის პრედიკატული შინაარსი. ეს არის გარკვეული რეფერენტული სიტუაციის ინტერპრეტაცია, ის გვიჩვენებს, რას ვამბობთ.
2. ილოკუციური აქტი , რაც ნიშნავს, რომ ყოველი ქმედება გულისხმობს მიზანს, თუ რა მიზნით წარმოითქმის გამონათქვამი. არ არსებობს გამონათქვამი ილოკუციური ძალის გარეშე.
3. პერლოკუციური აქტი, რომელიც გულისხმობს შედეგს, ეფექტს. (ლებანიძე 2004:249-250).

ჟ. სეარლმა, ოსტენის მსგავსად შემოგვთავაზა თეორია სამეტყველო აქტების შესახებ თავის Speech acts-ში. როგორც იგი აღნიშნავს, « parler une langue, c'est réaliser des actes de langage, des actes comme : poser des affirmations, donner des ordres, poser des questions, faire des promesses et ainsi de suite ». ( Searle , 1972 : 52) „*ილაპარაკო, ნიშნავს განახორციელო სამეტყველო აქტები, როგორებიცაა: დაადასტურო, გასცე ბრძანება, დასვა კითხვები, მისცე დაპირებები და ა.შ.*“.

ამრიგად, ცნობილი ამერიკელი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ყოველი ლინგვისტური გამონათქვამი წარმოადგენს განსაკუთრებულ აქტს და გათვლილია იმისაკენ, რომ გარკვეული ცვლილება შეიტანოს ინტერლოკუციურ სიტუაციაში.

ამდენად, ოსტენისა და სეარლის თეორიებს ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა, ყველა მათგანისთვის ამოსავალია ის ფაქტი, რომ ჩვენ ყველას შეგვიძლია განვახორციელოთ გარკვეული ქმედება გამონათქვამების საშუალებით. ორეკიონის სიტყვებით რომ

ვთქვათ, ყოველ გამონათქვამს გააჩნია გარკვეული ძალა და შესაბამისად პრაგმატიკული დატვირთვაც (charge pragmatique) (Orecchioni 2001 : 22)

პრაგმატიკის საკითხზე საუბრისას ასევე არ შეიძლება არ ვახსენოთ გრაისის მიერ შემოთავაზებული თეორია, რომელიც ეფუძნება კომუნიკაციის მიზნობრივ ხასიათს და მის წარმატებით წარმართვის გარემოებებს. ამრიგად, მან შემოგვთავაზა კომუნიკაციის ოთხი კატეგორია, ანუ მაქსიმა, ესენია:

1. რაოდენობის მაქსიმა, რომლის მიხედვითაც საუბარში მონაწილეობა არ უნდა იყოს საჭიროზე მეტად ან ნაკლებად ინფორმაციული და უნდა შეიცავდეს იმდენ ინფორმაციას, რამდენიც საჭიროა.
2. ხარისხის მაქსიმა, რომლის მიხედვითაც მოსაუბრე არ ამბობს იმას, რაც მისი აზრით სიმართლეს არ შეესაბამება და ამბობს მხოლოდ იმას, რისი დასაბუთებაც შეუძლია.
3. ღირებულების მაქსიმა, რის მიხედვითაც მოსაუბრემ უნდა თქვას ღირებული;
4. მოდალობის მაქსიმა, რომლის მიხედვითაც, მოსაუბრის საუბარი არ უნდა იყოს ბუნდოვანი და ორაზროვანი. (Paveau, 2003: 218).

თავად დიუკროც აღნიშნავს, რომ იგი თავის კვლევებს „პრაგმატიკული ლინგვისტიკის“ სფეროში ახორციელებს და ძირითადად ენის საშუალებით ადამიანის მიერ შესრულებული ქმედებით ინტერესდება. ასევე მისთვის მნიშვნელოვანია ისიც, თუ რისი ქმედება შეუძლია თავად სიტყვას გამონათქვამის საშუალებით. მაგალითად, კითხვითი ფორმის გამონათქვამი თანამოსაუბრეს გარკვეული ქმედებისაკენ მოუწოდებს, კერძოდ კი პასუხის გაცემისაკენ. ამ შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია პარალელი გავავლოთ დიალოგიზმის ერთ-ერთ ფორმასთან - ინტერლოკუციურ დიალოგიზმთან, რომელიც მსმენელზეა მიმართული. დიუკროსათვის პრაგმატიკული ლინგვისტიკის მიზანია მხედველობაში მიიღოს ის, რაც გაკეთებულია სიტყვით, ამისათვის კი აუცილებელია თავად თქმის პროცესების სისტემატიური აღწერა. ამრიგად, მისი აზრით, თქმის პროცესის სიტუაციას შეუძლია გამონათქვამს შესძინოს საზრისი . (Ducrot 1984 : 174)

როგორც აღნიშნულ პარაგრაფში დავინახეთ, პრაგმატიკაც კომუნიკაციური ლინგვისტიკის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს იმდენად, რამდენადაც მისი თეორია ძირითადად ადამიანის მეტყველებას შეეხება და ამ სამეტყველო სიტუაციურ გარემოებებს და ასახავს.

## 1.5 დისკურსის ანალიზი

დისკურსის ფენომენი, ისევე როგორც ტექსტი, მეტად მნიშვნელოვანი ცნებაა ჩვენი კვლევისათვის, რადგანაც, სწორედ, დისკურსის ფარგლებში, კერძოდ კი, პოლიტიკური დისკურსის ჭრილში განვიხილავთ ჩვენ საკვლევ საკითხებს: დიალოგიზმს, პოლიფონიასა და ინტერტექსტუალურობას. ამრიგად, ამ პარაგრაფში შევეცდებით ნათლად წარმოვაჩინოთ ამ ფენომენისათვის დამახასიათებელი ნიშნები, მისი განვითარების ისტორია. იგი ასევე მნიშვნელოვანია ჩვენთვის იმდენად, რამდენადაც იგი ძალზე ახლოს დგას ისეთ ფენომენებთან, როგორებიცაა: გამონათქვამი და ტექსტი.

დისკურსის ანალიზი, როგორც ლინგვისტური მიმდინარეობა, ჩამოყალიბდა 60-იანი წლების ბოლოდან, რომლის მთავარ ობიექტს, რა თქმა უნდა, დისკურსი წარმოადგენდა. როგორც ქართველი მეცნიერი მ. დოხტურიშვილი აღნიშნავს, იგი ასევე ინტერდისციპლინარული კვლევის ობიექტს წარმოადგენს, რომლის სირთულეს განაპირობებს ის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომ ჰუმანიტარული კვლევის ისტორიაში პირველად შესწავლის საგანი ხდება ამა თუ იმ საზოგადოების მიერ შექმნილ გამონათქვამთა (énoncés) ერთიანობა, რაც ფუნქციურ სტილთა და ჟანრთა მრავალფეროვნებითაა წარმოდგენილი. (მ.დოხტურიშვილი, 2004: 33)

ამ პერიოდიდან მოყოლებული, იგი ენათმეცნიერებაში დღესაც არ კარგავს თავის აქტუალობას თანამედროვე. ეს მიმდინარეობა წარმოიშვა სტრუქტურქლიზმის ეპოქის დასასრულსა და პრაგმატიკული, ანუ კომუნიკაციური ლინგვისტიკის

კვალდაკვალ. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დისკურსის ანალიზს მკვეთრად შემოსაზღვრული ჩარჩოები არ გააჩნია. გარდა ლინგვისტიკისა, იგი სხვა ჰუმანიტარული მეცნიერებების ყურადღების ცენტრშია, როგორებიცაა, მაგალითად: ფილოსოფია, სოციოლოგია, ფსიქოლოგია და ა.შ. ამდენად, ნიშანდობლივია, რომ ფილოსოფიურმა სფერომაც გარკვეული გავლენა იქონია დისკურსის ანალიზის განვითარებაზე. განსაკუთრებით კი ალთუზერისა და ფუკოს შეხედულებებმა, რომელთა აზროვნების მთავარ წყაროს სწორედაც რომ დისკურსი წარმოადგენდა.

ტერმინი „დისკურსის ანალიზი“ პირველად ლინგვისტიკის სფეროში გაჩნდა ჰარისის მიერ 1952 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში « Analyse du discours », „დისკურსის ანალიზი“. მან დისკურსის ანალიზს ზეფრაზული განფენილობა მიანიჭა, რომელიც, თითქმის, ტექსტის ლინგვისტიკის სინონიმია.

უნდა აღინიშნოს, რომ დისკურსის ანალიზის ანგლო-საქსონური მიდგომისათვის, დისკურსის ანალიზი შეესაბამება საუბრის ანალიზს. მისი ძირითადი პოსტულატის მიხედვით, დისკურსს ინტერაქციული ხასიათი გააჩნია, რაც ზეპირი თუ წერილობითი ვერბალური ერთეულების გაცვლას გულისხმობს. (Paveau 2003 :194).

აღნიშვნის ღირსია ფრანგი ფილოსოფოსის მ. ფუკოს ნაშრომები დისკურსის ანალიზის სფეროში, რომლის ნააზრევი შემდგომში პეშემ და მენგენომაც განავრცეს. ასევე ბეილონის ნაშრომებიც, რომელთა მოსაზრებებს ჩვენ ქვემოთ გავეცნობით.

თავად სიტყვა *დისკურსი* პოლისემიური ტერმინია, ზოგიერთი მას ვიწრო თვალთახედვით შეისწავლის, ზოგიც უფრო ფართო გაგებით. იგი ხშირად ტექსტის და გამონათქვამის სინონიმადაც იხმარება. როგორც პავო აღნიშნავს, ფუკოსათვის დისკურსი: « Le discours étant un ensemble des phénomènes permettant d'écrire une histoire discursive de la pensée » (Paveau 2003 :198). „ეს არის იმ ფენომენების ერთიანობა, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია აღვწეროთ აზროვნების დისკურსული

ისტორია“. ფუკო დისკურსს ასევე გამონათქვამთან მიმართებაშიც განიხილავს, ამრიგად მისთვის დისკურსი არის « Un ensemble d'énoncés en tant qu'ils relèvent de la même formation discursive » (in Paveau 2003 :199) „ გამონათქვამების ერთიანობა, რადგანაც ორივეს ამოსავალი ერთი და იგივე დისკურსული ფორმაციაა“ .

ამასთან ერთად, მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ როგორი ურთიერთმიმართება არსებობს ტექსტსა და დისკურსს შორის. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ტექსტი და დისკურსი შეიძლება ჩაითვალოს არა მარტო თანამედროვე ლინგვისტური, არამედ თანამედროვე ჰუმანიტარული აზროვნების ცენტრალურ კონცეპტებად. ვინაიდან, სწორედ დისკურსისა და ტექსტის კონცეპტების ფარგლებში ხდება თანამედროვე აზროვნებაში ადამიანური რეალობის გააზრება როგორც სინქრონულ, ისე დიაქრონულ პლანში. როგორც ლებანიძე აღნიშნავს, ამ ორი კონცეპტის ამგვარი მნიშვნელობის ფონზე და ამ მნიშვნელობის გამო მუდმივად არსებობს მათი შინაარსობრივი გამიჯვნის პრობლემა. ძნელია, გავარკვიოთ, რა განსხვავება და რა მსგავსებაა მათ შორის. ხშირად ისინი იხმარებიან როგორც სინონიმები. თუმცა, წმინდა ინტუიციურ ემპირიულ დონეზე ცხადი უნდა იყოს მათი არა მხოლოდ კონტექსტუალური სიახლოვე (ისინი ერთ ანთროპოლოგიურ, სემიოტიკურ თუ სემიო-ესთეტიკურ კონტექსტს ეკუთვნიან), არამედ განსხვავებაც: ისინი წარმოადგენენ ამ კონტექსტის განსხვავებულ სეგმენტებს. დისკურსი, ეს არის ენის (ამ ტერმინის ფართო გაგებით) აქტუალიზაციის უშუალო და აუცილებელად პროპორციული ხასიათის მატარებელი შედეგი. ხოლო ტექსტი კი დისკურსის ის სემიოტიკურად ფიქსირებული ანაბეჭდია (შედეგი), რომელსაც შეუძლია განაგრძოს არსებობა მაშინაც, როცა დისკურსი უკვე წარსულს ეკუთვნის. ამიტომაც, ეს ორი ცნება ერთმანეთისაგან განსხვავდება არა მხოლოდ მიზეზ-შედეგობრივი თვალსაზრისით, არამედ დროსთან მათი განსხვავებული მიმართების თვალსაზრისითაც. დისკურსი ექვემდებარება დროს, ტექსტი არა. მაგრამ ამავე დროს, ტექსტი მუდამ გულისმობს დისკურსს. ტექსტის ანალიზი დისკურსის რეკონსტრუქციაა, რაც ამავე დროს ნიშნავს იმ რეალობის რეკონსტრუქციას, რომელსაც ის ეკუთვნის. დისკურსი და ტექსტი

განუყოფელნი არიან. ტექსტი ყოველთვის წარმოადგენს დისკურსის პროდუქტს და თავის მხრივ დისკურსი არ არსებობს ტექსტის გარეშე. როგორც ს.ომიაძე აღნიშნავს:

„არსებობს თვალსაზრისი, რომლის მიხედვით, დისკურსი გაგებულია უფრო ფართოდ, როგორც ყველაფერი, რაც ითქმება და იწერება, ანუ როგორც სამეტყველო ქმედება, რომელიც იმავე დროს წარმოადგენს ენობრივ მასალასაც ბგერითი თუ გრაფიკული გამოხატვით. ტექსტი კი (ვიწრო მნიშვნელობით) გაგებულია, როგორც წერის საშუალებით ფიქსირებული მასალა. (ომიაძე, 2009, 75)

ასევე აღსანიშნავია ფრანგი ლინგვისტის, შ. ბეილონის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, დისკურსის ანალიზი « Parole » „პაროლს“ (მეტყველება) ცვლის „დისკურსით“, რომელიც, მისი აზრით, ორი ტიპის წინააღმდეგობას აწყდება, კერძოდ, ენასთან და ისტორიასთან დაკავშირებით. ამგვარად წარმოიშვება მეთოდოლოგია, რომლის ერთი ნაწილი დაკავშირებულია ენასთან და წმინდად ლინგვისტურია, ხოლო მეორე ნაწილი მიემართება ისტორიასთან, სოციოლოგიასთან და პრაგმატიკასთან დაკავშირებულ ცოდნას. ასევე მისი აზრით, « L'analyse du discours vise non pas ce que dit un texte, mais la façon dont il le dit, à travers les deux perspectives indissociables de l'analyse du discours proprement dite et de la théorie du discours ». (Baylon, 1996 : 238) „დისკურსის ანალიზის მიზანია შეისწავლოს არა ის, რასაც ტექსტი ამბობს, არამედ ის, თუ, როგორ, ამბობს ამას ორი ერთმანეთისგან განუყოფელი პერსპექტივის, დისკურსის ანალიზისა და დისკურსის თეორიიდან გამომდინარე.“

აქვე უნდა ვახსენოთ შაროდოს მიერ გაკეთებული განმარტება დისკურსის კომპოზიციის შესახებ, რომელიც მიიჩნევს, რომ « c'est un ensemble des procédés de mise en scène de l'acte de communication qui correspondent à certaines finalités » (Charaudeau 1992 : 633) . „ეს არის საკომუნიკაციო აქტის იმ პროცედურების მიზანსცენა, რომელიც გარკვეულ მიზნებს შეესაბამება“.

აღნიშვნის ღირსია დ. მენგენოს მოსაზრებაც დისკურსის ანალიზის შესახებ: „L'analyse du discours n'a pour objet ni l'organisation textuelle considérée en elle-même, ni la situation de communication, mais l'intrication d'un mode d'énonciation et d'un lieu social déterminée ; ..... L'analyste du dsicours peut prendre pour base de travail un genre de discours“. (Maingueneau 1995 : 7-8) *„დისკურსის ანალიზის მთავარი ობიექტია არა უშუალოდ ტექსტური ორგანიზებულობა, არა კომუნიკაციის სიტუაცია, არამედ თქმის პროცესისა და განსაზღვრული სოციალური ადგილის კომპლექსურობა..... დისკურსის ანალიზის საფუძველი შეიძლება იყოს დისკურსის ესა თუ ის ჟანრი“.*

ამრიგად, მენგენოსათვის დისკურსის ანალიზის მთავარ საგანს წარმოადგენს არა ტექსტის შიდა ორგანიზაცია, არა საკომუნიკაციო სიტუაცია, არამედ გამონათქვამის მექანიზმი, რომელიც ერთმანეთს უკავშირებს ტექსტის ორგანიზაციასა და განსაზღვრულ სოციალურ კონტექსტს. ვინაიდან დისკურსის ანალიზისათვის ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს კონტექსტსაც, მენგენოს აზრით, მხოლოდ კონტექსტუალიზებული დისკურსი არსებობს. შეუძლებელია გამონათქვამს კონტექსტის გარეშე მიენიჭოს აზრი და ასევე დისკურსს შეუძლია განსაზღვროს თავისი კონტექსტი და შეცვალოს კიდეც თქმის პროცესში.(Maingueneau , 2002)

შიფრენისათვის კი დისკურსის ანალიზი არის დისციპლინა, რომელიც ენას შეისწავლის როგორც მოქმედებას კონტექსტში და იგი წარმოადგენს « L'utilisation du langage à des fins sociales, expressives et référentielles (cité in (Maingueneau , 2002 : 42) ». *„ექსპრესიული, რეფერენციალური და სოციალური მიზნებისათვის ენის გამოყენებას“.*

ბენვენისტი კი დისკურსს გამონათქვამის მონათესავე კონცეპტად მიიჩნევს. მისი აზრით დისკურსი არის ენა, რომელსაც ინტერსუბიექტურობის პირობებში იყენებს მეტყველი პირი (Benveniste 1966).

ასევე აღსანიშნავია შ. ბეილონის მოსაზრება, რომელიც მიიჩნევს, რომ « L'analyse du discours est une activité quotidienne banale ». „*დისკურსის ანალიზი, ესაა ყოველდღიური, ბანალური საქმიანობა*“. ყველანაირი მოსმენა და წაშეკითხვა წარმოადგენს დისკურსის ანალიზს, რადგან ყოველი ინდივიდი ანალიზებს იმას, რასაც კითხულობს თუ ისმენს. (Baylon, 1996 :235) .

ბოლოს კი, უნდა ვისაუბროთ მენგენოს მიერ შემოთავაზებული დისკურსის ანალიზის 7 ჰიპოთეზის შესახებ, რომელიც მან 1984 წელს ჩამოაყალიბა თავის ნაშრომში « Genèse du discours » „*დისკურსის გენეზისი*“ და რომელიც დღესაც აქტუალურია. ესენია:

დისკურსი და ინტერდისკურსი - ინტერდისკურსი აღემატება დისკურსს და დისკურსი სრულყოფილ მნიშვნელობას სწორედ სხვა დისკურსებთან ურთიერთობის შედეგად იღებს;

ურთიერთგაგება - არც ერთი დისკურსი არ არის ჰომოგენური და იგი სხვა დისკურსების გავლენის შედეგად იქმნება.

წესთა სისტემა - დისკურსში არსებობს იმპლიციტური და ექსპლიციტური ნიშნები, რომლებიც ამ დისკურსის სხვადასხვა დისკურსულ ფორმაციაში ჩართვას უზრუნველყოფს.

დისკურსული კომპეტენცია - მთქმელს ზოგჯერ თავისი განათლების, გარემოს და აღზრდის გავლენით გაუცნობიერებელი სამეტყველო კომპეტენცია უყალიბდება. ამდენად, იგი წარმოთქვამს მისი ინდივიდუალური დისკურსული ფორმაციის შესაბამის დისკურსებს და მისთვის განსხვავებული დისკურსული ფორმაციის გამონათქვამები შეუთავსებელია.



დისკურსული პრაქტიკა - დისკურსი არის არა კონტექსტიდან ამოვარდნილ გამონათქვამთა სისტემა, არამედ იგი სოციალურ, კულტურულ, ინტელექტუალურ და ტექნიკურ გარემოში განხორციელებულ პრაქტიკას წარმოადგენს.

ინტერსემიოტიკური პრაქტიკა - დისკურსი არ არის წმინდა წარმონაქმნი და მხოლოდ საკუთარი თავიდან არ გამომდინარეობს, ამრიგად, იგი არა მხოლოდ გამონათქვამთა ერთობლიობაა, არამედ ინტერსემიოტიკური პრაქტიკაც, რომელიც მოიცავს სხვა სემიოტიკური სფეროების წარმონაქმნებს.

სოციო-ისტორიული ფონი - დისკურსი სოციალურ-ისტორიულ გარემოსთან მჭიდრო კავშირის შედეგად ყალიბდება. ამრიგად, ყოველ ენობრივ წარმონაქმნს განაპირობებს ის სოციალურ-ისტორიული გარემო, რომელშიც ნებისმიერი დისკურსი წარმოიშობა. (Paveau 2003 :199-201).

მაშასადამე, დისკურსი და მისი ანალიზი მეტად მნიშვნელოვან სფეროს წარმოადგენს ლინგვისტური მიმდინარეობისათვის და, შესაბამისად, ჩვენი კვლევისათვისაც, რადგანაც სწორედაც მის ფარგლებში ხდება ჩვენ მიერ საკვლევი საკითხების შესწავლა. შემდგომ პარაგრაფში კი ვისაუბრებთ დისკურსის ჟანრების შესახებ.

## ***1.6 დისკურსის ჟანრები***

ჟანრის ცნება, რომელიც ფართოდ გამოიყენებოდა პოეტიკასა (ლიტერატურული ჟანრები) და რიტორიკაში (ორატორული ჟანრები), ნაკლები ყურადღების ცენტრში იყო ლინგვისტიკასა და დისკურსის ანალიზში. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ბახტინმა შესძინა ჟანრის ცნებას აქტუალობა დისკურსში. აქედან გამომდინარე, დისკურსის ანალიზის თეორიაში დიდი მნიშვნელობა აქვს ჟანრის ცნებასაც, რადგან, როგორც

პრაქსემატიკოსები აღნიშნავენ « La production du discours, oral, comme écrit, est structurée par les genres du discours » (Detrie, Siblot, Verine, 2001 : 129). *„დისკურსის პროდუცირება, ზეპირი იქნება ეს თუ წერილობითი, დისკურსის ჟანრებით არის აგებული“.*

რადგანაც ადამიანის საქმიანობა მრავალფეროვანი და ამოუწურავია, შესაბამისად, დისკურსის ჟანრებიც იმდენად მრავალფეროვანია, რომ შეუძლებელია მათ შესასწავლად ერთი საერთო ნიადაგის მოძებნა. მაგალითად, ეს იქნება ყოველდღიური ბანალური რეპლიკა თუ მრავალტომიანი რომანი. რადგანაც ჩვენი თემის კორპუსად ავირჩიეთ დისკურსის ჟანრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტიპი, პოლიტიკური დისკურსი, არ შეიძლება ზოგადად, არ შევვებით, კერძოდ კი, ბახტინის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს დისკურსის ჟანრების შესახებ. ბახტინი თავის ნაშრომში « Esthétique de la création verbale », აღნიშნავს:

*„Pour parler nous nous servons toujours des genres du discours... Dans la pratique nous en usons avec assurance et adresse... Ces genres du discours nous sont quasiment donnés autant que nous est donnée la langue maternelle ... Les genres du discours organisent notre parole de la même façon que l’organisent les formes grammaticales » (Bakhtine, 1984: 268).* *„საუბრისას ჩვენ ყოველთვის დისკურსის ჟანრებს ვიყენებთ.... პრაქტიკაში ჩვენ მათ დარწმუნებითა და მოხერხებით ვიყენებთ.... ეს დისკურსის ჟანრები ჩვენ თითქმის ისევე გვაქვს ბოძებული, როგორც ჩვენი მშობლიური ენა... ჩვენი მეტყველება ისევეა დისკურსის ჟანრებით აგებული, როგორც ამას გრამატიკული ფორმები ახერხებენ“.*

ამრიგად, ბახტინის ნათქვამიდან გამომდინარე, ჩვენ ჩვენს აზრებს გამოვხატავთ ჟანრების საშუალებით, ისე რომ ამას ვერც ვგრძნობთ და გაცნობიერებულაც არ გვაქვს. დისკურსული ჟანრების ფლობისა და ცოდნის გარეშე უბრალოდ, შეუძლებელი იქნებოდა, ყოველგვარი კომუნიკაცია რადგან ვერბალურ ინტერაქციაში მეტყველების

ორგანიზება დისკურსული ჟანრებისა და, ამავდროულად, ენის სინტაქსური სტრუქტურების დახმარებით ხდება.

ბახტინი აქვე გამოყოფს პირველად (მარტივ) და მეორად (რთულ) დისკურსის ჟანრებს. დისკურსის პირველად ჟანრს მიეკუთვნება სპონტანური ვერბალური გაცვლები. ხოლო, დისკურსის მეორადი ჟანრები - რომანი, თეატრი, მეცნიერული დისკურსი - თავს იჩენს კულტურული (ძირითადად წერილობითი) გაცვლის გარემოებებში, როგორცაა მხატვრული, მეცნიერული, სოციო-პოლიტიკური, რომლებიც უფრო რთული და მეტად ღირებულნი არიან. შექმნის პროცესში ეს მეორადი ჟანრები შთანთქავენ და გარდაქმნიან პირველად ჟანრებს, რომლებიც, თავის მხრივ, სპონტანური, ვერბალური გაცვლის დროს შეიქმნა. პირველადი ჟანრები, ხდებიან რა მეორადი ჟანრების შემადგენელი ნაწილები, გარდაიქმნებიან და განსაკუთრებულ მახასიათებლებს იძენენ, კარგავენ პირდაპირ კავშირს არსებულ და სხვისი გამონათქვამების რეალობასთან, რომლებიც რომანის ნაწილს შეადგენენ. მაგალითად, ყოველდღიური დიალოგის რეპლიკა, ან წერილი არსებული რეალობის ნაწილს შეადგენს იმდენად, რამდენადაც რომანის ნაწილია. რომანი თავის მთლიანობაში არის გამონათქვამი იმავე დონეზე, როგორც ყოველდღიური დიალოგის რეპლიკა ან პირადი წერილი, ხოლო მათგან განსხვავებით, რომანი მეორად ჟანრს განეკუთვნება. (Bakhtine 1984 : 267-284)

განსხვავებას დისკურსის პირველად და მეორად ჟანრებს შორის მეტად დიდი თეორიული მნიშვნელობა აქვს, ამიტომ საჭიროა თავიდანვე გაირკვეს და განისაზღვროს გამონათქვამის ტიპი, ბუნება ამ ორი ტიპის ჟანრის ანალიზის მიხედვით. ლინგვისტიკისა და ფილოლოგიისათვის ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს გამონათქვამთა ჟანრების მრავალფეროვნებასა და გამონათქვამის ბუნების შესწავლას. ბახტინის აზრით: « La langue pénètre dans la vie à travers des énoncés concrets ( qui la réalisent) et c'est encore à travers des énoncés concrets que la vie pénètre dans la langue“ (Bakhtine, 1984: 268) „ენა ცხოვრებაში იჭრება კონკრეტული გამონათქვამების საშუალებით (რომლებიც მას

გამოხატავენ) და ცხოვრებაც ასევე ამ კონკრეტული გამონათქვამების საშუალებით იჭრება ენაში“.

რაც შეეხება სტილს, ბახტინის აზრით, იგი განუყოფელია გამონათქვამისა და დისკურსის ჟანრებისაგან : « Là où il y a style il y a genre .... Le style est indissolublement lié à l'énoncé et à des formes typiques d'énoncé, c'est-à-dire à des genres du discours » (Bakhtine, 1984:271). « იქ რომელშიც არის სტილი, არის ჟანრიც ...სტილი უცილობლად დაკავშირებულია გამონათქვამთან და გამონათქვამის ტიპიურ ფორმებთან, ანუ დისკურსის ჟანრებთან“.

ასევე აღსანიშნავია, რომ ვერბალურ გაცვლაში (échange verbal) ნებისმიერი გამონათქვამი (ზეპირი თუ წერილობითი) ინდივიდუალურია და, ამრიგად, იგი ასახავს მოლაპარაკე სუბიექტის ინდივიდუალოზობას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მას გააჩნია ინდივიდუალური სტილი. ასევე, დისკურსის ჟანრების მრავალფეროვნება ნათლად წარმოაჩენს ინდივიდუალოზობის ასპექტებს, ხოლო ინდივიდუალურ სტილს შეუძლია თავისი საერთო კავშირი აჩვენოს ენასთან.

ამდენად, მოცემულ პარაგრაფში შევეცადეთ, გადმოგვეცა მეცნიერთა მიერ შემოთავაზებული მოსაზრებანი, დისკურსის ჟანრებთან მიმართებაში და გვეჩვენებინა, თუ რამდენად მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს იგი დისკურსის ანალიზისა და გამონათქვამის თეორიისათვის.

## **1.7 პოლიტიკური დისკურსი**

ვინაიდან ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის საკვლევ კორპუსს პოლიტიკური დისკურსი წარმოადგენს, რომელიც დისკურსის ერთ-ერთი ჟანრია, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოკლედ მიმოვიხილოთ სხვადასხვა მეცნიერთა შეხედულებები დისკურსის ამ სპეციფიური ჟანრის შესახებ.

პოლიტიკური დისკურსი სოციალური პრაქტიკის განუყოფელი ნაწილია და ამდენად, მნიშვნელოვანია მისი ბუნებისა და ფუნქციონირების შესწავლა და განხილვა. იგი თავისი სპეციფიურობითა და მისთვის დამახასიათებელი ნიშნებით გამოირჩევა. იმისათვის, რომ გავარჩიოთ პოლიტიკური დისკურსი დისკურსის სხვა ჟანრებისაგან, უნდა გამოვარკვიოთ მისი წარმოთქმის პირობები, ადგილი და მისი პრაგმატიკული მიზნები. როგორც საყოველთაოდ არის ცნობილი, პოლიტიკოსის მთავარი მიზანია სხვების, ანუ პუბლიკის დარწმუნება თავისი თეზისის სისწორეში და მისი მხარდაჭერის მოპოვება. ასევე მნიშვნელოვანია სოციო-კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური კონტექსტიც, რომელშიც ეს დისკურსი წარმოითქმის.

შაროდოს სიტყვებით რომ ვთქვათ, პოლიტიკური საქმიანობა და პოლიტიკური სიტუაცია ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი, « Ce qui justifie du même coup l'étude du politique par son discours ». (Charaudeau 2005 : 29) „ რაც ამართლებს იმ ფაქტს, რომ პოლიტიკოსის შესწავლა მისი დისკურსით უნდა დავიწყოთ“.

თავდაპირველად უნდა აღვნიშნოთ, რომ პოლიტიკური დისკურსი მულტიდისციპლინარული კვლევის საგანს წარმოადგენს. ჰუმანიტარული მეცნიერებების სხვადასხვა დარგები, როგორებიცაა: ლინგვისტიკა, სოციო-ლინგვისტიკა, პოლიტოლოგია, ისტორია, ფსიქოლოგია, სოციოლოგია, სტატისტიკა, არგუმენტაციის თეორიები და ანთროპოლოგია მას სხვადასხვა კუთხით იკვლევენ. ჩვენ შემთხვევაში კი მას ძირითადად ლინგვისტური კუთხით განვიხილავთ.

ფრანგულ ენათმეცნიერებაში პოლიტიკური დისკურსი არაერთი თანამედროვე მეცნიერისა თუ მკვლევარის შესწავლის ობიექტს წარმოადგენს. ყველაზე მეტად აღსანიშნავია ფრანგი მეცნიერი, პ. შაროდო და მისი მნიშვნელოვანი ნაშრომი « Discours politique, masques du pouvoir » (2005). „პოლიტიკური დისკურსი, ძალაუფლების ნიღბები“. იგი პოლიტიკური დისკურსის ინტერდისციპლინარული კვლევის ნიმუშს

გვთავაზობს, რომელშიც განიხილავს ურთიერთობებს: ენას, მოქმედებას, ძალაუფლებასა და ჭეშმარიტებას შორის. ასევე აღსანიშნავია, რომ შაროდოს აზრით, პოლიტიკური დისკურსისათვის მეტად მნიშვნელოვანია თავად საკომუნიკაციო სიტუაცია, რადგან „Ce n'est pas le contenu du discours qui fait qu'un discours est politique, c'est la situation qui le politise” „სწორედ საკომუნიკაციო სიტუაცია სძენს დისკურსს პოლიტიკურ ხასიათს და არა თავად დისკურსის შინაარსი“ (Charaudeau 2005 : 30).

შაროდო ასევე მიიჩნევს, რომ პოლიტიკური დისკურსი შეიძლება განვიხილოთ, როგორც საკომუნიკაციო აქტი (Acte de communication), რომელში მონაწილენიც ცდილობენ, თავიანთი დისკურსით გავლენა მოახდინონ პუბლიკაზე, ლინგვისტურად რომ ვთქვათ, თავიანთ თანამოსაუბრეზე.

ხოლო რაც შეეხება ფრანგ სოციოლინგვისტს შ. ბეილონს, მისი მოსაზრებით „Discours est politique quand il est tenu par un homme politique dans un but politique ». (Baylon 1996 :248) „დისკურსი პოლიტიკურია, როცა მას პოლიტიკოსი პოლიტიკური მიზნებისათვის წარმოთქვამს“ .

ბეილონს თავის ნაშრომში „სოციოლინგვისტიკა“ მოჰყავს რ. ფაგენის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც პოლიტიკური კომუნიკაციის ფენომენი მდგომარეობს გზავნილის კარგ გადაცემაში, რომელიც ხორციელდება ზემდგომი მეტყველი სუბიექტის მიერ და რომელიც მიმართულია მსმენელისაკენ, ანუ ხალხისაკენ (Baylon 1996 :248).

როგორც გესპენი აღნიშნავს, « Ce qui constitue un énoncé en discours politique, c'est la lecture politique qui en est faite » ( L. Guespin. 1971. 24). „ის, რაც გამონათქვამს პოლიტიკურ დისკურსად აქცევს, ეს არის მისი პოლიტიკური კუთხით წაშეკითხვა“.

რეთ ამოსის კი თავის სტატიაში “პოლიტიკური დისკურსი“ მოჰყავს ბონაფუსის მიერ გაკეთებული პოლიტიკური დისკურსის შემდეგი განმარტება: « Tout propos qui

implique un jugement sur l'organisation de la communauté». (Bonnafous 2003, 12) „*ნებისმიერი დისკურსი, რომელიც მოიცავს მსჯელობას საზოგადოების მოწყობაზე*“. ამდენად, ამოსი აღნიშნავს, რომ პოლიტიკურ დისკურსად შეიძლება ჩაითვალოს პოლიტიკოსთა მიერ წარმოთქმული ნებისმიერი პროფესიული დისკურსი თუ ნებისმიერი დისკურსი, რომლებიც საზოგადოების სფეროში საზოგადოების საკითხებს ეხება.(Amossy , 2010 :14)

რ. გილიონის თანახმადაც, პოლიტიკური დისკურსი ძალაუფლების დისკურსია, და შეუძლებელია პოლიტიკური ბრძოლა პოლიტიკური დისკურსის გარეშე. ეს ამ ტერმინის ვიწრო მნიშვნელობით, ხოლო ფართო გაგებით იგი შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც « une parole publique sur la chose publique ». Giglione (1989) „*სახალხო სიტყვა სახალხო საქმეზე*“.

პოლიტიკური დისკურსის ანალიზი არა მხოლოდ დისკურსის შინაარსის, არამედ მის მიერ შემოთავაზებული კომუნიკაციის ფორმათა შესწავლას გულისხმობს.

ამრიგად, ჩვენი კვლევის მიზანია, სიღრმისეულად განვიხილოთ პოლიტიკოსის დისკურსები და ვნახოთ რამდენადაა მათში წარმოჩენილი ჩვენი კვლევის ფენომენები: დიალოგიზმი, პოლიფონია და ინტერტექსტუალურობა.

## **1. 8 პირველი თავის დასკვნები**

დასკვნის სახით უნდა აღვნიშნოთ, რომ როგორც ვნახეთ, ჩვენი თემის საკვლევი ფენომენები - დიალოგიზმი, პოლიფონია და ინტერტექსტუალურობა - თანამედროვე ლინგვისტიკის სფეროს განუყოფელი ნაწილია. სწორედ ამიტომ, აღნიშნულ პირველ თავში, ფრანგ და ქართველ მეცნიერთა ნაშრომებზე დაყრდნობით, ჩვენ შევეცადეთ ნათლად წარმოგვეჩინა, თავდაპირველად, კომუნიკაციური ლინგვისტიკის მიმდინარეობების - კომუნიკაციური ლინგვისტიკის, გამონათქვამის

თეორიების, ტექსტის ლინგვისტიკის, პრაგმატიკისა და დისკურსის ანალიზის ძირითადი დებულებები. ხოლო შემდეგ, გამოგვეკვეთა ლინგვისტიკის სფეროში არსებული მოსაზრებები დისკურსის ჟანრებთან მიმართებაში. განსაკუთრებით კი, ყურადღება დისკურსის ერთ-ერთ ჟანრზე - პოლიტიკურ დისკურსზე შევაჩერეთ, რადგან, სწორედ, ის წარმოადგენს ჩვენი კვლევის ძირითად ობიექტს.

ხოლო, რაც შეეხება მომდევნო თავს, მასში უშუალოდ წარმოვადგენთ ჩვენი კვლევის ძირითად საკითხებს - დიალოგიზმის, პილიფონიისა და ინტერტექსტუალურობის ფენომენებს, როგორც ჰეტეროგენული დისკურსის არსებობის ფორმებს.



## თავი 2. დიალოგიზმი, პოლიფონია და ინტერტექსტუალურობა- ჰეტეროგენული დისკურსის არსებობის ფორმები

ქვემოთ მოცემულ პარაგრაფში, შევეცდებით მოკლე მონახაზი გავაკეთოთ ყველა იმ ტერმინის შესახებ, რომლებიც მთელი კვლევის მანძილზე შეგვხვდა და გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული, რადგან ქართულ რეალობაში მათი შესაბამისი შესატყვისები ჯერ კიდევ არ არსებობს. მომდევნო პარაგრაფებში ვრცლად ვისაუბრებთ დიალოგიზმის, პოლიფონიისა და ინტერტექსტუალურობის ფენომენების თაობაზე და მათ თეორიულ ჩარჩოს შემოგთავაზებთ. ბოლო პარაგრაფში კი გავაანალიზებთ ურთიერთმიმართებას ამ სამ ფენომენს შორის და წარმოვადგენთ მათ, როგორც ჰეტეროგენული დისკურსის არსებობის ფორმებს.

### *2.1 ტერმინოლოგიასთან დაკავშირებული პრობლემები*

სანამ უშუალოდ ჩვენს საკვლევ საკითხებზე გადავიდოდეთ, გადავწყვიტეთ, ეს პარაგრაფი ტერმინოლოგიასა და ცნება-კონცეპტებთან დაკავშირებულ პრობლემტიკას მივუძღვნათ.

უნდა აღინიშნოს, რომ მთელი კვლევის განმავლობაში ბევრ სირთულეს წავაწყდით, ვინაიდან ქართული ლინგვისტიკის სინამდვილეში, ჯერ კიდევ არ არის დამკვიდრებული მრავალი ახალი ლინგვისტური ტერმინი და შესაბამისად, მეტად რთულია მათთვის ზუსტი შესატყვისების მოძიება.

რადგანაც ბახტინის დიალოგიზმის ცნება ბევრ სირთულესთან არის დაკავშირებული, იგი მრავალი აზრთა სხვაობის საგანს წარმოადგენს დღემდე. ასევე პრობლემატურია პოლიფონიისა და ინტერტექსტუალურობის ცნებებიც.

ამდენად, შევეცდებით, სანდო წყაროებზე დაყრდნობით ქართული ლინგვისტიკის სინამდვილეში შემოვიტანოთ და დავამკვიდროთ ბევრი ისეთი ახალი ტერმინი, რომლებიც სწორედ ზემოთხსენებულ ფენომენებთან უშუალოდ კავშირშია და ამჟამად, ზოგადად, დისკურსის ანალიზის სფეროში არსებობენ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვინაიდან, ჩვენ არ გვქონდა საშუალება რუსულ ენაზე გავცნობოდით ბახტინის ნაშრომებს, ჩვენ დისერტაციაში ძირითადად ფრანგულად ნათარგმნ ნაშრომებს დავყვრდებით და, შესაბამისად, ფრანგული ციტირებები მოგვეყვავს.

რადგანაც ჩვენი კვლევის საკითხები თავად დისკურსის ანალიზის შესწავლის საგანს წარმოადგენენ, უმჯობესი იქნებოდა ეს პარაგრაფი მასთან დაკავშირებულ რამდენიმე ტერმინის განხილვით დაგვეწყო. ჩვენს ნაშრომში ხშირად შეგვხვდება ტერმინი *production du sens du discours* დისკურსის არსის პროდუცირება, ანუ შექმნა, რომელიც ბახტინის მოსაზრებებთან ყველაზე ახლოს მდგომი პრაქსემატიკოსების მიხედვით, აღნიშნავს მოცემული დისკურსის ინტერაქციას სხვა დისკურსებთან.

დისკურსის ანალიზის თეორიაში ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს *ჟანრის* ცნებასაც, რადგან, როგორც პრაქსემატიკოსები აღნიშნავენ, « *La production du discours, oral, comme écrit, est structurée par les genres du discours* » „დისკურსის შექმნა (პროდუცირება), ზეპირი იქნება ეს თუ წერილობითი, დისკურსის ჟანრებით არის აგებული“ (Detrie, Siblot, Verine, 2001 : 129).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბახტინმა საფუძველი ჩაუყარა ახალ მეცნიერებას, რომელსაც რუსმა მეცნიერებმა *металингвистика* უწოდეს. იგი თარგმნილია ფრანგულად, როგორც ტრანსლინგვისტიკა *translinguistique*. შესაბამისად, ქართულადაც შეგვიძლია ვთარგმნოთ, როგორც *ტრანსლინგვისტიკა*, რომლის ამოსავალი წერტილია არა მინიმალური ერთეულები და ენის სისტემა, არამედ ვერბალური ინტერაქციის

ფორმები და ტიპები, ანუ დისკურსი, რომელსაც ენის ფორმებთან გამონათქვამების ფორმებისა და ინტერაქციასთან დაკავშირებული სამეტყველო აქტების შესწავლის გავლით მივყავართ.

ახლა კი განვიხილოთ თავად ტერმინ *დიალოგიზმის* წარმომავლობა. თუ მივუბრუნდებით რუსი მეცნიერის მ. ბახტინის ტექსტს, ვნახავთ, რომ იგი დიალოგიზმის პრობლემატიკას ქმნის შემდეგი ტერმინებიდან გამომდინარე. ესენია: არსებითი სახელები: диалог, диалогичность, диалогизация, რომლებსაც ფრანგულში შეესაბამება dialogue, dialogisme, dialogisation, ხოლო ქართულ ენაზე ჩვენ მათ მივუსადაგეთ *დიალოგი, დიალოგიზმი და დიალოგიზაცია*. ასევე აღსანიშნავია თავად диалог-დან ნაწარმოები ზედსართავი სახელები: диалогический, диалогичен, диалогозование, პირველი ორი ფრანგულად გადათარგმნილია, როგორც dialogique, მესამე კი dialogisé, ხოლო ქართულად პირველ ორს შეესაბამება *დიალოგიკური*, მესამეს- კი *დიალოგიზირებული*.

ბახტინის თანახმად, диалогичен (dialogique) დიალოგიკური შეიძლება იყოს: კავშირი, ურთიერთობა, კონტაქტი და ამ ინტერაქციას ის განიხილავს საზრისის (sens) ცნებასთან მიმართებაში:

« Le sens ne s'actualise pas tout seul, il procède de deux sens qui se rencontrent et entrent en contact. Il n'y a pas un « sens en soi ». Le sens n'existe que pour un autre sens, avec lequel il existe conjointement ». (Bakhtine 1984 : 366)

*„არსი თავად მარტო არ აქტუალიზდება, ის მომდინარეობს ორი არსიდან, რომლებიც ერთმანეთს ხვდებიან და შედიან კონტაქტში. არ არსებობს „ არსი თავისთავად“. იგი არსებობს მხოლოდ სხვა არსისთვის, რომელთანაც ის თანაარსებობს.“*

ბახტინის ტექსტებიდან გამომდინარე, ყოველი დისკურსის დიალოგიზმი განისაზღვრება როგორც диалогическая ориентация слова (orientation dialogique du discours) დისკურსის დიალოგიკური ორიენტაცია, ანუ მისი მიმართება სხვა დისკურსებისაკენ.

ამ დიალოგიზაციას ბახტინი გამოხატავს სხვადასხვაგვარი მეტაფორით, როგორებიცაა: résonnances - ჩვენს გამონათქვამში სხვათა გამონათქვამების გამოძახილი, échos - ექო, reflets - ანარეკლი და harmoniques dialogiques - გამონათქვამის სხვათა გამონათქვამებთან დიალოგიკური ჰარმონიულობა და სხვ. ყველა ამ ტიპისათვის დამახასიათებელია la présence de l'un dans l'autre - ერთის ყოფნა სხვაში.<sup>4</sup>

ასევე მნიშვნელოვანია ტერმინი échange verbal - ვერბალური გაცვლა. როგორც ბახტინი აღნიშნავს, « Le dialogisme est un maillon dans la chaîne de l'échange verbal » (Bakhtine, 1984 : 301). „დიალოგიზმი არის რგოლი ვერბალური გაცვლის ჯაჭვში“. ბახტინისათვის სწორედ გამონათქვამი წარმოადგენს კომუნიკაციის, ანუ « L'unité réelle de l'échange verbal » (Bakhtine, 1984: 272). „ვერბალური გაცვლის რეალურ ერთეულს“. შესაბამისად, „ვერბალური გაცვლის რეალური ერთეული“ მის ნაშრომებში და შესაბამისად, ჩვენს კვლევაშიც ძალზედ ხშირად გვხვდება.

დიალოგიზმზე საუბრისას უნდა ვახსენოთ ამ ფენომენისათვის დამახასიათებელი ისეთი ბინარული ოპოზიცია, როგორიცაა dialogal/dialogique დიალოგალური (დიალოგური)/დიალოგიკური.

დიალოგალური (დიალოგური) აღნიშნავს დიალოგის გარე განზომილებას, ანუ ეს არის ჩვეულებრივი ზეპირი დიალოგი, რომელშიც ცხადად არის გამოხატული ლოკუტორების სიტყვათა მონაცვლეობა<sup>5</sup>. ხოლო, დიალოგიკური აღნიშნავს

---

<sup>4</sup> ეს გამოთქმა ეკუთვნის ოტიე რევიუს.

<sup>5</sup> ჩვენ კვლევაში ამ განზომილებაზე არ გვექნება საუბარი

გამონათქვამის შიდა განზომილებას, ანუ სხვა გამონათქვამებისადმი მის მიმართებას<sup>6</sup>. ამდენად, ფრანგი მეცნიერი ჟ. ბრესი მიიჩნევს, რომ დიალოგალური ფორმა გამონათქვამის გარე სტრუქტურისათვის არის დამახასიათებელია, ხოლო დიალოგიკური მისი შიდა, ღრმა სტრუქტურისათვის. ორივე კი საერთო ჯამში გამონათქვამს ეხება. (Bres 2005 :54)

დისკურსის ეს მიმართება გამოხატულია ინტერდისკურსულად, ინტერლოკუციურად და ინტრალოკუციურად, რომლებსაც შემდეგნაირად განვმარტავთ:

1) Dialogisme interdiscursif - ინტერდისკურსულია დიალოგიზმი, რომელიც გულისხმობს მოცემული დისკურსის ფარგლებში ე.წ. შიდა დიალოგს სხვა დისკურსებთან, რომლებიც წარმოთქმულ იქნა მანამდე, იმავე საგნის შესახებ და რომლებთანაც ის შედის ინტერაქციაში.

2) Dialogisme interlocutif - ინტერლოკუციურია დიალოგიზმი, რომელიც გამოხატავს გამომთქმელის მიერ აუდიტორიის რეაქციის ანტიციპაციას. გამომთქმელი ყოველთვის მიმართავს თავის ადრესატს და ამგვარად, მისგან შესაბამის რეაქციას ითხოვს.

დიალოგიზმის ამ ტიპთან დაკავშირებით, აქვე უნდა ვახსენოთ ბრესის მიერ შემოთავაზებული ტერმინი dialogisme interlocutif anticipatif/responsif, რომელიც ვთარგმნეთ როგორც ინტერლოკუციური ანტიციპაციური/რესპონსული (პასუხის გამცემი) დიალოგიზმი, რომელიც გულისხმობს, რომ გამომთქმელი წინასწარ სცემს პასუხს იმ კითხვებს, რომლებსაც მას აუდიტორია სავარაუდოდ დაუსვამს.

2) Dialogisme intralocutif (autodialogisme) - ინტრალოკუციური დიალოგიზმი, ანუ ავტოდიალოგიზმი, რომლის თანახმადაც გამომთქმელი საკუთარ ნათქვამთან შედის დიალოგში, ანუ მიმართავს უკვე თავის მიერ ნათქვამ სიტყვებს.

---

<sup>6</sup> ეს არის სამმაგი ტიპის ინტერაქცია, რომლებზეც ქვემოთ ვისაუბრებთ

რაც შეეხება ოტე რევიუს, დიალოგიზმის ფენომენზე საუბრისას იგი გვთავაზობს dialogisme constitutif - არსებითი დიალოგიზმისა და dialogisme montré - გამოხატული დიალოგიზმის კონცეპტებს. პირველი გამოხატავს იმ ფაქტს, რომ ყოველი დისკურსი წარმოადგენს წინა დისკურსების მოდიფიკაციისა თუ გამეორების შედეგს, ისე რომ, გამომთქმელს ეს გაცნობიერებული არა აქვს და ამას აკეთებს არა ექსპლიციტურად. ამრიგად, დიალოგიზმი გამოხატავს დიალოგის ამ უჩინარ განზომილებას (dimension in absentia), რომლითაც ყოველი მოსაუბრე სხვის სიტყვებს თავის მოსაზრებებში იყენებს ისე, რომ შეიძლება არც კი იცოდეს მათი წარმომავლობის შესახებ. ხოლო, მეორე ტიპის დიალოგიზმი გულისხმობს ნათლად აჩვენოს დისკურსის დონეზე იმ მრავალრიცხოვანი ხმების არსებობა, რომლებიც არსებით დიალოგიზმში უხილავი იყო (Authier-Revuz 1984).

ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი *hétérogénéité énonciative* - ენონსიაციური ჰეტეროგენულობაც ოტე-რევიუს ეკუთვნის, რომელიც, რა თქმა უნდა ბახტინის ნაშრომების გავლენით იყო ინსპირირებული. იგი გამოყოფს *hétérogénéité montrée* - ცხად ჰეტეროგენულობას და *hétérogénéité constitutive* - არსებით ჰეტეროგენულობას.

შევიცნოთ დისკურსში სხვა გულისხმობს, ვიფიქროთ დისკურსზე და მის ჰეტეროგენულ ხასიათზე. დიალოგიზმის ცნებამ შეცვალა აზრი მოლაპარაკე სუბიექტის ერთადერთობაზე (*unicité du sujet parlant*) და შემოგვთავაზა მრავალი ხმით გაჯერებული დისკურსისადმი ახალი მიდგომა. მიხაილ ბახტინმა პირველმა შემოგვთავაზა და თეორიის სახით ჩამოაყალიბა ენის *dimension hétérogène et interactive* - ინტერაქციული და ჰეტეროგენული განზომილება.

აგრეთვე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დიალოგიზმი დამოკიდებულია გამონათქვამის (*высказывание/énoncé*) ფუნქციონირებაზეც (ნათარგმნი რუსული ტერმინიდან, რომელიც წარმოადგენს რუსული ზმნის *высказать/сказать*-ის (თქმა)

ნომინალიზაციის შედეგს). გამონათქვამთან დაკავშირებულია ასევე შემდეგი ცნებები: texte - ტექსტი, discours - დისკურსი, tour de parole - სამეტყველო კონსტრუქცია. ამრიგად, იგი მეტად მნიშვნელოვან კონცეპტს წარმოადგენს ჩვენს კვლევაში.

აღნიშვნის ღირსია ყველა ის ტერმინი, რომლებიც თავად გამონათქვამთან არის კავშირში. მაგალითად énonciatif, რომელიც ვთარგმნეთ, როგორც *ენონსიაციური*. ასევე, არ შეიძლება არ ვაჩვენოთ რა განსხვავებაა énoncé და énonciation შორის. პირველი აღნიშნავს ნათქვამს, ანუ უკვე შედეგს, ხოლო მეორე თავად თქმის პროცესს, ანუ თქმას. ფრანგულ ენაში ეს განსხვავება მკაფიოდ არის გამოხატული, ქართულში მათ შეიძლება მივუსადაგოდ ტერმინები (*გამონათქვამი* და *თქმა (თქმის პროცესი)*).

ახლა კი ვნახოთ ეს ტერმინები რამდენიმე კონტექსტში. პრაქსემატიკოსების მიხედვით « L'énoncé dialogique présente une dualité énonciative hiérarchisée ». (Bres 2006 : 3) *„დიალოგიკური გამონათქვამი იერარქიულ ენონსიაციურ ორბუნებიანობას წარმოადგენს“*.

ასევე ნიშანდობლივია კონცეპტი mise en scène énonciative - ენონსიაციური მიზანსცენა. პოლიფონიის თაობაზე დიუკროს მოსაზრებიდან გამომდინარე, « c'est penser la production de la parole en terme non de réponse, mais de mise en scène énonciative ». (Bres 2005). *„სიტყვის პროდუცირება აღიქმება, როგორც ენონსიაციური მიზანსცენა და არა როგორც პასუხი“*.

გამონათქვამთან დაკავშირებით აღსანიშნავია აგრეთვე პრაქსემატიკოსების მიერ დამკვიდრებული შემდეგი ტერმინები: dédoublement énonciatif - ენონსიაციური გაორმაგება, double énonciation - ორმაგი თქმის პროცესი, l'enchassement d'un acte d'énonciation dans un autre - მოცემული გამონათქვამის აქტის ჩართვა სხვა აქტში, dualité énonciative - ენონსიაციური ორბუნებიანობა, რომლებიც დიალიგიზმის

ფენომენს მიემართებიან და ზემოთაღნიშნულ დიალოგიკურ ურთიერთობებს აღნიშნავენ.

სქემატურად კი ეს ენონსიაციური გაორმაგება ასე გამოიხატება: ორი გამონათქვამი, ანუ (E e), ორი გამომთქმელი énonciateur (E1 e1) და ორი მსმენელი énonciataire E2 e2. ეს სხვადასხვა ელემენტები იერარქიულად არიან წარმოდგენილნი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი დიალოგიკური ურთიერთობა, ბრესის აზრით, გამოხატულია « C'est tout énoncé, tant au niveau macrostructure (composition) qu'au niveau de ses microstructures (sémantique, syntaxe) qui peut être affecté par la dialogisation ». (Bres 2005 :53) „ გამონათქვამის როგორც მაკროსტრუქტურის დონეზე (კომპოზიცია), ისე მისი მიკროსტრუქტურის დონეზე (სინტაქსი, სემანტიკა)“.

ახლა კი, რაც შეეხება, ტერმინ (ცნება/კონცეპტ) *polyphonie* - პოლიფონიას. აუცილებლად უნდა ვახსენოთ ის ფაქტი, რომ ნაშრომში „Problèmes de la poétique de Dostoievski“, პირველი ნაშრომი, რომელიც ფრანგულად ითარგმნა (1970), ბახტინს შემოაქვს ახალი ტერმინი *полифония*, (პოლიფონია) *polyphonie*, რათა აღწეროს დოსტოევსკის რომანი, როგორც მრავალხმიანობის შესანიშნავი ნიმუში. თავად ტერმინი *პოლიფონია* მუსიკალური ტერმინია და მეტაფორულად ორკესტრში მრავალხმიანობას აღნიშნავს. როგორც შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, პრაქსემატიკოსები მიიჩნევენ, რომ ორივე ცნება ეფუძნება დიალოგის იდეას. ორ ან რამოდენიმე დისკურსს, ხმასა თუ გამონათავამს შორის ინტერაქციას, და რომ « Le dialogisme est un principe qui gouverne toute pratique langagière ». „ დიალოგიზმი არის პრინციპი, რომელიც ყველა სამეტყველო პრაქტიკას განაგებს“.

აქვე უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი ახალი ტერმინი *hiérarchisation* - იერარქიზაცია, რომელიც ამ ორი ფენომენის განმასხვავებელ კრიტერიუმს წარმოადგენს. ამდენად, დიალოგიზმის შემთხვევაში ხმები სხვადასხვა დონეზე, იერარქიულად არიან



წარმოდგენილი, ხოლო პოლიფონიის შემთხვევაში ეს ხმები თანასწორუფლებიანი არიან.

ნიშანდობლივია ასევე მეტად აქტუალური ტერმინი *голос – voix – ხმა*, რომელიც ბახტინის არაერთ ტექსტში თუ სტატიაშია გამოყენებული. ბახტინიდან მოყოლებული დღემდე, ყველა, ვინც ბახტინის მოსაზრებას იზიარებს, ამ კონცეპტს ფართოდ იყენებს იმ კონტექსტში, რომელშიც თავად რუსი მეცნიერი. ანუ იგი აღნიშნავს მოსაუბრეს, მთხრობელს თუ მთქმელს.

ამდენად, *ხმის* ცნება შეიძლება ორგვარად გავიგოთ, ერთი მხრივ, მატერიალური გაგებით, იგი წარმოადგენს ადამიანის ხმას, რომელიც აღიქმება ზეპირი დისკურსის დროს. ხოლო, მეორე მხრივ, ლინგვისტური გაგებით, იგი მიემართება ინტერაქციის შედეგად მოხმობილ სხვა დისკურსების გამოძახილს.

ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სკაპოლინის პოლიფონიური ლინგვისტიკის სკანდინავიური სკოლა დიუკროს გამონათქვამის თეორიის მეტ-ნაკლებად ერთგული რჩება და ტექსტს მიიჩნევს როგორც მრავალი ხმის მიზანსცენას. თუმცა, ისინი ხმის ნაცვლად ხშირად ხმარობენ *point de vue* - მოსაზრებას. მათთვის პოლიფონია განისაზღვრება სხვადასხვა მოსაზრებების არსებობით. ხოლო, პრაქსემატიკოსები ამ ხმებს უწოდებენ *énoncés actualisés* - აქტუალიზებულ (გამო)ნათქვამებს.

მეტად მნიშვნელოვანია ტერმინი *locuteur*, რომელიც გადმოვიტანეთ პირდაპირ, როგორც *ლოკუტორი*, ანუ ის, ვინც მოცემულ მომენტში საუბრობს და, შესაძლოა, თავად არ იყოს ავტორი ამ ნათქვამისა, ხოლო *énonciateur*, რომელსაც შევუსაბამეთ *მთქმელი*, ან *გამომთქმელი*, ანუ ის, ვისაც უშუალოდ ეკუთვნის მოცემული (გამო)ნათქვამი.

დიუკრო თავის პოლიფონიის თეორიაში გამოყოფს: énonciateur - მოლაპარაკე სუბიექტს, რომელიც თქმის პროცესზეა პასუხისმგებელი, ანუ მთქმელს და მას განიხილავს, როგორც sujet empirique - ემპირიულ სუბიექტს, რომელიც მოცემული დისკურსის შექმნას განაპირობებს. ხოლო დისკურსის მეტყველ სუბიექტს ის უწოდებს locuteur-ს -ლოკუტორს, რომელიც (გამო)ნათქვამზეა (énoncé) პასუხისმგებელი. ამასთან, დიუკრო განასხვავებს ლოკუტორის ორ ტიპს: « Locuteur en tant que tel, par abreviation L et le locuteur en tant qu'être du monde á ». „ლოკუტორი როგორც ასეთი, რომელიც აღინიშნება L -ით, და ლოკუტორი, როგორც სამყაროს არსება, რომელიც აღინიშნება á -ით.“ პირველი არის მხოლოდ პასუხისმგებელი გამონათქვამზე, ხოლო მეორე „სრული“ პერსონა, რომელიც გამონათქვამის სათავეა (Ducrot : 1984, 199-200).

ასევე აღსანიშნავია კონცეპტი actualisation - აქტუალიზაცია. პრაქსემატიკოსებმა შემოგვთავაზეს მეთოდოლოგიური ჩარჩო, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ბახტინის დიალოგიზმის თეორიას და ბალის მიერ შემოთავაზებული ფრაზის აქტუალიზაციის ფორმას.

ამრიგად, მათ ჩამოაყალიბეს აქტუალიზაციის პრაქსემატიკული თეორია, ეყრდნობიან რა ბალის ნაშრომებში შემოთავაზებულ მოდალური აქტუალიზაციის ცნებას (actualisation modale), რომელიც გულისხმობს « Actualisation modale consistant à appliquer un modus au dictum ».( Bally 1965 : 36-38) *”მოდუსის (modus) მისადაგებას დიქტუმთან (dictum)”*. უფრო სწორედ რომ ვთქვათ, ფრაზის აქტუალიზაცია, ანუ დიალოგიკური კავშირის დამყარება ხორციელდება მოდალური აქტუალიზაციის შედეგად.

ასევე მეცნიერი იყენებს აგრეთვე modalisation autonimique - ავტონომიური მოდალიზაციის ცნებას, რომელიც დიალოგიზმის მნიშვნელოვან მარკერს წარმოადგენს.

რაც შეეხება ტერმინი *intertextualité* - ინტერტექსტუალურობა, ცნობილი მეცნიერის - იულია კრისტევის სიტყვებით რომ ვთქვათ, რომლის ნაშრომებშიც ეს ტერმინი იღებს სათავეს, ეს არის პრინციპი, ტექსტობრივი განზომილება, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ტექსტის პროდუცირებაში.

ინტერტექსტუალურობის ფენომენის შესწავლისას *texte* - ტექსტი და *intertexte* - ინტერტექსტი მნიშვნელოვან ცნებებს წარმოადგენენ.

ბოლოს კი უნდა ასევე ვახსენოთ დიალოგიზმის გამომხატველი რამოდენიმე ახალი მარკერი, რომელთაც ქართულში შესაბამისი განმარტებანი არ გააჩნიათ, ეს ტერმინებია: *clivage* - კლივაჟი (გახლეჩილი ფრაზა), *détachement* - გამოყოფა, *détournement* - შებრუნება.

ამრიგად, აღნიშნულ პარაგრაფში ჩვენ შევეცადეთ მოკლე მონახაზი გაკვეთელებინა ყველა იმ ძირითადი ტერმინისა თუ ცნება-კონცეპტებისა, რომლებიც დიდ როლს ასრულებენ ჩვენი ნაშრომის მთლიანი სტრუქტურის აგების პროცესში და რომელთა ძირეული გააზრების გარეშეც, შეუძლებელი იქნებოდა მისი აღქმა.

## 2.2 დიალოგიზმის ფენომენი

დიალოგიზმის ფენომენს ენათმეცნიერების სფეროში არც ისე დიდი ხნის ისტორია აქვს. როგორც ჩვენთვის არის ცნობილი, XX საუკუნის 30-იან წლებიდან, აღნიშნული პრობლემატიკით, ანუ დიალოგიზმით, თავდაპირველად დაინტერესდნენ რუსი თეორეტიკოსი და მეცნიერი მიხაილ ბახტინი და მისი წრე. თავდაპირველად, 1929 წელს, ბახტინმა თავისი უნიკალური თეორია დიალოგიზმისა და პოლიფონიის შესახებ ნაშრომში „Проблемы творчества Достоевского“ შემოგვთავაზა, რომელიც შემდგომ განავრცო 1963 წელს გამოცემულ ნაშრომში “Проблемы поэтики Достоевского”. ბახტინის სიკვდილის შემდეგ მისი ნააზრევი მისმა მოწაფეებმა ვოლოშინოვმა,

მედედევა და ა.შ გამოსცეს, ესენია: 1975 წელს “Литературно-критические статьи” და “Проблемы речевых жанров” და 1986 წელს “Вопросы литературы и эстетики“. ამ პერიოდიდან მოყოლებული დღემდე დიალოგიზმის ცნებას თავისი აქტუალობა არ დაუკარგავს. ამდენად, ამ კონცეპტმა მრავალი ცნობილი ლინგვისტის დაინტერესება გამოიწვია, რომელთა ნაშრომებშიც იგი სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საგანი გახდა.

საფრანგეთში დიალოგიზმის ბახტინისეულ თეორიას სათავე დაუდო 1969 წელს « Séméiotikè, recherches pour une sémanalyse »-ში გამოქვეყნებულმა, ფრანგი (წარმოშობით ბულგარელი) ფილოსოფოსისა და კრიტიკოსის, იულია კრისტევას (Julia Kristeva) სტატიამ, „ბახტინი, სიტყვა, დიალოგი, რომანი“, « Bakhtine, le mot, le dialogue, le roman ». <sup>7</sup> ამის შემდეგ ფრანგულ აზროვნებაში მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა 1981 წელს გამოცემულმა ცვეტან ტოდოროვის (Tzvetan Todorov) ნაშრომმა ბახტინის თეორიის შესახებ, « Mikhail Bakhtine. Le principe dialogique, suivi de *Ecrits du Cercle de Bakhtine* ». ამ უკანასკნელმა თავისი ნააზრევით მართლაც დიდი წვლილი შეიტანა როგორც დისკურსის ანალიზის, ასევე გამონათქვამის თეორიის განვითარებაში. ასევე აღსანიშნავია, რომ 1970 წლიდან მოყოლებული, ფრანგულ ენაზე ითარგმნა ბახტინის თითქმის ყველა ძირითადი ნაშრომი, მათ შორის პირველი იყო « Problèmes de la poétique de Dostoïevski », რომელთა საშუალებითაც ბახტინის იდეოლოგია ფართო პუბლიკისათვის ხელმისაწვდომი გახდა. ამდენად, დიალოგიზმისა და პოლიფონიის თეორიებისადმი არა ერთი ახლებური მიდგომა გაჩნდა, რომლებსაც ჩვენს სადისერტაციო ნაშრომში განვიხილავთ.

მე-20 საუკუნის 70-იან წლებში საფრანგეთში, კერძოდ კი მონპელიეში შეიქმნა ახალი ლინგვისტური მიმდინარეობა *პრაქსემატკა*, რომლის მიმდევრებიც უშუალოდ დაინტერესდნენ დისკურსის არსის პროდუცირებით, ანუ იმით, თუ როგორ, რა

---

<sup>7</sup> თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ იულია კრისტევა ბახტინის დიალოგიზმს ინტერტექსტუალურობის ჭრილში განიხილავს.

პირობებში წარმოქმნის დისკურსი არსს და იმით, თუ როგორია მოლაპარაკე სუბიექტის როლი ამ არსის პროდუცირებაში (Detrie, Siblot, Verine : 2001).

ამრიგად, მათ ვრცლად განავითარეს თეორია დიალოგიზმის ფენომენის შესახებ და მის შესწავლას არაერთი ნაშრომი თუ კოლოქვიუმი მიუძღვნეს, რითაც დიდი წვლილი შეიტანეს ამ სფეროს განვითარებისათვის. ცნობილი პრაქსემატიკოსი ლინგვისტები არიან: ჟაკ ბრესი, Bres J. ა. ნოვაკოვსკა Nowakowska A. ლ. როზიე, Rosier L. ჟ-კ. აუტიე-რევუ Authier Revuz. J-C და სხვ. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მათ ნაშრომებში შედარებით ნაკლები ყურადღება ექცევა პოლიფონიის ფენომენის შესწავლას.

ცნობილია, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი შეისწავლიან საგანს, ხოლო ჰუმანიტარული მეცნიერებანი სუბიექტს. ამდენად, რადგანაც დიალოგიზმის ფენომენი სუბიექტის ფაქტორს გულისხმობს, სფერო, რომელიც ამ ფენომენს სწავლობს, ნამდვილად წარმოადგენს ჰუმანიტარული მეცნიერებების განუყოფელ ნაწილს.

როგორც ბულგარელი მეცნიერი ტოდოროვი აღნიშნავს, რა თქმა უნდა, მეცნიერების ამ ორ დარგს შორის არსებობს განსხვავება და ბახტინმაც ეს პრინციპი სრულიად შემთხვევით აღმოაჩინა, შეისწავლა რა სიტყვის როლი სხვადასხვა ადამიანურ საქმიანობებში. მისი აზრით, « En sciences humaines ce rôle est essentiel ; il est nul dans les sciences naturelles » (Todorov, 1981: 29) „ჰუმანიტარულ მეცნიერებაში ამ როლს დიდი მნიშვნელობა აქვს, ხოლო საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში მისი როლი ნულს უდრის“.

ტოდოროვი მიიჩნევს, რომ ბახტინმა შემოგვთავაზა ჰუმანიტარული მეცნიერების, სუბიექტისა და შედეგად, ენის, მეტყველების და ლინგვისტიკის დიალოგიკური კონცეფცია. ამრიგად, იგი ჰუმანიტარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს ერთმანეთს უპირისპირებს, დაჟინებით აღნიშნავს რა იმ ფაქტს, რომ იმ დამუხრებულ

საგნებისაგან (choses muettes) განსხვავებით, რაც საბუნებისმეტყველო მეცნიერებას ახასიათებს, ჰუმანიტარული მეცნიერება ძირითადად სწავლობს ადამიანს, რომელიც მოაზროვნე არსებაა. ამრიგად, წარმოიშვა დიალოგიკური ურთიერთობა მეცნიერსა და მის საკვლევ ობიექტს შორის, რომელიც მოიცავს « Des pensées sur les pensées, une émotion sur l'émotion, des mots sur les mots, des textes sur les textes ». (Bakhtine, 1984, p. 311  *cité in* Todorov, 1981 ) « აზრებს აზრებზე, ემოციას ემოციაზე, სიტყვებს სიტყვებზე, ტექსტებს ტექსტებზე ».

ბახტინისათვის, სწორედ, გამონათქვამი წარმოადგენს « L'unité réelle de l'échange verbal » (Bakhtine, 1984: 272) „ ვერბალური გაცვლის რეალურ ერთეულს“. ამიტომ, იგი უშუალოდ გამონათქვამის დონეზე შეისწავლის დიალოგიზმის ფენომენს<sup>8</sup>. მისი მოსაზრების თანახმად, ფრაზებისა და წინადადებისაგან განსხვავებით, გამონათქვამი ლინგვისტიკის მიერ არ იყო კარგად შესწავლილი და ამას მრავალი მიზეზი ჰქონდა, პირველი, იმიტომ, რომ ლინგვისტები ენის კომუნიკაციურ ფუნქციას დიდ ყურადღებას არ უთმობდნენ. მეორე, იმიტომ, რომ გამონათქვამი ძალიან ჰეტეროგენულია: დიალოგის რეპლიკით დაწყებული, დიდტანიანი რომანით დამთავრებული.

ამრიგად, ბახტინმა საფუძველი ჩაუყარა ახალ მეცნიერებას, რომელსაც რუსმა მეცნიერებმა მეტალინგვისტიკა *металингвистика* უწოდეს, ხოლო ფრანგულად თარგმნილია, როგორც *translinguistique* - ტრანსლინგვისტიკა. შესაბამისად, ქართულადაც შეგვიძლია ვთარგმნოთ, როგორც ტრანსლინგვისტიკა, რომლის ამოსავალი წერტილია არა მინიმალური ერთეულები და ენის სისტემა, არამედ ვერბალური ინტერაქციის ფორმები და ტიპები, ანუ დისკურსი, რომელსაც ენის ფორმებთან გამონათქვამების ფორმებისა და ინტერაქციასთან დაკავშირებული სამეტყველო აქტების შესწავლის გავლით მივყავართ. ამრიგად, დიალოგიკური ურთიერთობები ტრანსლინგვისტიკის საგანს წარმოადგენენ. თავად ბახტინი ამას შემდეგნაირად აღნიშნავს: „ « Les rapports dialogiques (y compris ceux du locuteur avec son

<sup>8</sup> ბახტინის გამონათქვამის თეორიის შესახებ მომდევნო პარაგრაფში ვისაუბრებთ.

propre mot) sont un objet de la translinguistique “ „*დიალოგიკური ურთიერთობები, (მათ შორის ლოკუტორის დამოკიდებულება საკუთარი ნათქვამის მიმართ) ტრანსლინგვისტიკის საგანს წარმოადგენენ*“ (Bakhtine, 1984: 238-239). ბახტინი ამ ურთიერთობებს ყველა დონეზე გულისხმობს: სიტყვა, გამონათქვამი, თუ ტექსტი.

ამრიგად, უნდა აღვნიშნოთ, რომ ბახტინის კვლევის საგანია დიალოგიზმი, რომელსაც ტრანსლინგვისტიკის ჭრილში განიხილავს.

როგორც ფრანგი ლინგვისტი ნოვაკოვსკა აღნიშნავს, მიუხედავად იმ სირთულეებისა, რომლებიც დიალოგიზმის ცნებას ახლავს, დღესდღეისობით დიდი პროდუქტიულობით სარგებლობს და საკვანძო ცნებას წარმოადგენს ორ სფეროში: გამონათქვამის თეორიისა და დისკურსის ანალიზის სფეროებში. ის ასევე განუყოფელია მოსაზრებებისაგან დისკურსის ჟანრების შესახებ. (Nowakowska 2004: 8)

საზოგადოდ ცნობილია, რომ დიალოგი, ესაა ადამიანური გამოცდილების ფუნდამენტური რეალობა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სწორედ ტერმინ *დიალოგი*-დან შექმნა ბახტინმა ნეოლოგიზმები *диалогичность* - დიალოგიზმი და *диалогизация* - დიალოგიზაცია, ტერმინები, რომლებიც ერთმანეთისაგან განუყოფელია. ბახტინი ასევე ფართოდ და მრავალმხრივად იყენებს დიალოგს და ამ ტერმინიდან გამომდინარეობს ორი ფუნდამენტალური ელემენტი, როგორებიცაა: *énoncé* - გამონათქვამი და მისი *orientation dialogique*- დიალოგიკური ორიენტაცია.

გამონათქვამის ყველაზე მნიშვნელოვანი და ამასთან ყველაზე მეტად იგნორირებული მახასიათებელი არის მისი დიალოგიზმი, ასე რომ ვთქვათ მისი ინტერტექსტუალური განზომილება, ანუ მისი ჰეტეროგენული ხასიათი. ადამიდან მოყოლებული, არ არსებობს ჯერ არ ნახსენები საგანი, არც ისეთი სიტყვა, რომლებიც ჯერ არ თქმულა. წინასწარი განზრახვით თუ მის გარეშე, ყოველი დისკურსი შედის სხვა, მანამდე იმავე საგანზე ნათქვამ დისკურსებთან დიალოგში, ასევე მომავალ

დისკურსებთანაც, რომელთა სავარაუდო რეაქციებსაც ის ითვალისწინებს. ინდივიდუალური ხმა შესაძლებელია გაისმას მხოლოდ უკვე სხვა, მანამდე არსებულ ხმებში. ეს დამახასიათებელია არა მხოლოდ ლიტერატურული ჟანრისათვის, არამედ ყველანაირი დისკურსისათვის. თუმცადა, რომანი საუკეთესო ჟანრია, რომელიც ხელს უწყობს ამ პოლიფონიას და, სწორედ, ამიტომაც ბახტინი თავისი შრომების ერთ ნაწილს მას უძღვნის. ამრიგად, იგი გვთავაზობს იმას, რასაც შეიძლება ვუწოდოთ »Poétique de l'énoncé« „გამონათქვამის პოეტიკა“.

ბახტინის მოსაზრებები ძალიან მდიდარი, კომპლექსური და მომხიბვლელია, თუმცა ძალიან რთულია ბოლომდე ჩავწვდეთ მათ არსს. ეს კი მრავალი მიზეზით აიხსნება.

პირველ რიგში, აღსანიშნავია ამ ნაშრომების გამოქვეყნების ისტორია. როგორც ცნობილია, ბახტინის მიერ სხვადასხვა პერიოდში შექმნილი მნიშვნელოვანი ნაშრომები მისი სიკვდილის შემდეგ (1975) გამოიცა. ამრიგად, დაგვიანებული, ფსევდონიმით გამოცემული თუ საერთოდ გამოუცემელი შრომების თავმოყრა მის მიერ შედგენილი ტექსტების სტრუქტურაზე დიდ გავლენას ახდენდა.

ამასთან ერთად, ბახტინის აზრით, ჰუმანიტარული მეცნიერების საგანი არის ტექსტი. იქ, რომელშიც არ არის ტექსტი, არც ძიების და ფიქრის საგანი არ არის. ადამიანი იმდენად წარმოადგენს ჰუმანიტარული მეცნიერების კვლევის ობიექტს, რამდენადაც იგი არის ტექსტების შემქმნელი.

როგორც ტოდოროვი აღნიშნავს, ჰუმანიტარული მეცნიერება არის ადამიანის და არა უხმო საგნის მეცნიერება თავისი სპეციფიკურობით. ადამიანი თავისი ადამიანური სპეციფიკურობით ყოველთვის გამოხატავს საკუთარ აზრს (ლაპარაკობს), ანუ იგი ქმნის ტექსტს. იქ, რომელშიც ადამიანი შეისწავლება ტექსტის გარეთ და მისგან დამოუკიდებლად, ეს უკვე აღარაა ჰუმანიტარული მეცნიერება. საბუნებისმეტყველო



მეცნიერებაში იკვლევენ საგანს, ხოლო ჰუმანიტარულ მეცნიერებაში - კი სუბიექტს. ამ სუბიექტს არ შეუძლია იყოს სუბიექტი, თუ მას ხმა არ გააჩნია და შედეგად, მისი ცნობიერება მხოლოდ დიალოგიკური იქნება. (Todorov 1981: 31-32)

დიალოგიზმი დამახასიათებელია ყოველი ადამიანური ფაქტისა (fait humain) და სუბიექტისათვის არის. ყველანაირი ურთიერთობა სამყაროსა და საკუთარ თავთანაც სხვების დისკურსის გათვალისწინებით, თუ მასზე დაყრდნობით, ხორციელდება. როგორც რუსი მეცნიერი აღნიშნავს:

« Voilà pourquoi l'expérience verbale individuelle de l'homme prend forme et évolue sous l'effet de l'interaction continue et permanente des énoncés individuels d'autrui. C'est une expérience qu'on peut, dans une certaine mesure, définir comme un processus d'assimilation, plus ou moins créatif, des mots d'autrui (et non des mots de la langue)“. (Bakhtine, 1984, p.296) „ სწორედ ამიტომაც, რომ ადამიანის ინდივიდუალური ვერბალური გამოცდილება ფორმას იძენს და ვითარდება სხვათა ინდივიდუალურ გამონათქვამებთან მუდმივი და უწყვეტი ინტერაქციის შედეგად. ეს გამოცდილება შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც სხვათა სიტყვების მეტ-ნაკლებად კრეატიული ასიმილაციის პროცესი“.

თავად რუსი მეცნიერი დიალოგიკურ ჭრილში განიხილავს მრავალ ასპექტს, მაგალითისათვის მოვიყვანოთ: « La compréhension est toujours dialogique » «*გაგება ყოველთვის დიალოგიკურია*“; « Le rapport au sens est toujours dialogique »; „*მიმართება საზრისთან ყოველთვის დიალოგიკურია*“ « La compréhension du tout de l'énoncé est toujours dialogique ». „*გამონათქვამის მთლიანობის გაგება ყოველთვის დიალოგიკურია*“. (Bakhtine 1984: 320-335)

ამრიგად, რასაც ჩვენ ვამბობთ, სიახლეს არ წარმოადგენს, ჩვენ არ ვართ ამ ნათქვამის პირველი ავტორები. ჩვენ ყოველთვის ვიმეორებთ იმას, რაც ჩვენამდე უკვე

მრავალჯობის ითქვა. ამ აზრის გასამყარებლად კვლავ ბახტინის სიტყვებს მოვიშველიებთ:

« Toute causerie est chargée de transmission et d'interprétations des paroles d'autrui. On y trouve à tout instant une « référence » à ce qu'a dit telle personne, à ce qu' « on dit », aux paroles d'interlocuteurs, à nos propres paroles intérieures.... La plupart d'informations sont transmises en général sous une forme indirecte, non comme émanant de soi, mais se référant à une source générale non précisée... Parmi toutes les paroles que nous prononçons dans la vie courante, une bonne moitié nous vient d'autrui ». (Bakhtine 1978 : 158) „*ნებისმიერი საუბარი წარმოადგენს სხვების სიტყვების გადმოცემასა და ინტერპრეტაციას. შესაბამისად, მათში აისახება ის, რაც სხვა ადამიანმა უკვე წარმოსთქვა, „რასაც ამბობენ“, თანამოსაუბრეების ნათქვამები, ჩვენ მიერ გაფიქრებული სიტყვებიც ... ინფორმაციის დიდი ნაწილი ძირითადად ირიბი ფორმით არის გადმოცემული, არა ისე, თითქოს ის უშუალოდ ჩვენ გვეკუთვნოდეს, არამედ ზოგადი, დაუზუსტებელი წყაროდან მომდინარეობდნენ... იმ სიტყვების დიდი ნაწილი, რომლებსაც ყოველდღიურობაში წარმოვთქვავთ, სხვებს ეკუთვნის“.*

საზოგადოდ, ცნობილია ის ფაქტი, რომ მხოლოდ ადამი იყო პირველი სულიერი არსება, რომელსაც სულ პირველი სიტყვები ეკუთვნის. როგორც თავად ბახტინი აღნიშნავს, « L'Adam mythique, abordant avec le premier discours un monde vierge et encore non dit » (Bakhtine 1975 : 100). „*მითური ადამი მის მიერ წარმოთქმული პირველი სიტყვებით ( დისკურსით) აღწერს უმწიკვლო და ჯერ კიდევ გამოუთქმელ სამყაროს“.* მას შემდეგ, სინამდვილეში, ადამიანის ყოველ ახალ დისკურსს უკვე ნათქვამი განაპირობებს. ასევე, დისკურსის ეს დიალოგიკური მიმართულებანი წარმოადგენენ ჩვენს „ კონსტიტუციურ (არსებით) დიალოგიზმს » « dialogisme constitutif »<sup>9</sup>. ოტიე-რევუს აზრით, ბახტინი ამგვარად დისკურსის მატერიალურობას აღნიშნავს და « Elle est toujours saisie solidairement à deux plans : celui des mots du discours

<sup>9</sup> ეს ტერმინი ოტიე-რევუს ეკუთვნის

et celui du sens de ces mots dans ce discours, également marqués du discours d'autrui » (J.A. Revuz 1995 : 251) . „იგი ყოველთვის ერთდროულად ორ პლანში განიხილება: დისკურსის სიტყვებისა და ამ დისკურსში იმ სიტყვების მნიშვნელობის პლანში, რომლებიც მანამდე სხვის მიერ შექმნილ დისკურსზე მიანიშნებენ“.

თავად ის ფაქტიც, რომ დიალოგურობა გასდევს მთელ ჩვენს ცხოვრებას, ბახტინის სიტყვებიდანაც ნათლად ჩანს: « La vie est dialogique de par sa nature. Vivre signifie participer à un dialogue, interroger, écouter, répondre, être en accord, etc. » (Bakhtine, 1979, p.103). „ცხოვრება თავისი ბუნებით დიალოგიკურია, იცხოვრო ნიშნავს მონაწილეობა მიიღო დიალოგში, გამოკითხო, მოუსმინო, უპასუხო, დაეთანხმო და ა.შ. ».

ტოდოროვიც სავსებით იზიარებს ბახტინის ამ მოსაზრებებს თავის ნაშრომში. აქვე მოვიყვანთ მის მიერ ციტირებულ ბახტინის სიტყვებს: « J'entends partout des voix et des rapports dialogiques entre elles ». (Bakhtine 1974, cité in Todorov 1981 :38) „ ყველგან მესმის ხმები და მათ შორის არსებული დიალოგიკური ურთიერთობები“.

იდენტური მოსაზრება იკითხება ბახტინის მოწაფის, ვოლოშინოვის სიტყვებშიც: « Toute expression linguistique est toujours orientée vers l'autre, vers l'auditeur, même si cet autre est physiquement absent ». (Volochinov 1930 in Todorov 1981 : 287) „ ყოველი ლინგვისტური გამონათქვამი ყოველთვის არის მიმართული სხვისკენ, მსმენელისკენ, მაშინაც კი, როდესაც ეს სხვა ფიზიკურად არ ჩანს“.

ბახტინის ნაშრომების კითხვის შემდეგ ვრწმუნდებით, რომ დიალოგიზმი წარმოადგენს მეტად რთულ ცნებას. იგი ძირითადად ორ განზომილებას მოიცავს: ერთი მხრივ, იგი დაკავშირებულია მეტყველებაში ვერბალური ინტერაქციის ან დიალოგის პრიმატთან. მეორე მხრივ, კი - ლინგვისტური ტრადიციით, ენისათვის დამახასიათებელ იმ არსებით განზომილებასთან (dimension constitutive), რომლის მიხედვითაც ყოველი დისკურსი დამოკიდებულია მანამდე შექმნილ სხვა დისკურსებზე, ან გულისხმობენ თუ

განაპირობებენ მომავალში სხვა დისკურსის/დისკურსების შექმნას. როგორც ბახტინი აღნიშნავს « Le dialogisme est un maillon dans la chaîne de l'échange verbal » (Bakhtine, 1984 : 301). „*დიალოგიზმი არის რგოლი ვერბალური გაცვლის ჯაჭვში*“. ამრიგად, არ არსებობს ისეთი დისკურსი, რომელიც ცალკე, სხვა დისკურსისაგან იზოლირებულად შეიქმნა. ამგვარი დამოკიდებულებიდან გამომდინარე, არსებობს წინამდებარე ან მომდევნო დისკურსებთან ურთიერთობების სხვადასხვა ფორმა: რეალური თუ ვირტუალური, როგორებიცაა მაგალითად: რეპრიზა-მოდიფიკაცია, იმპლიციტური დიალოგი სხვა დისკურსებთან, ინტერტექსტუალურობა, გამეორებული დისკურსი, ციტირება თუ სხვა (Orvig ,A .2005 :36). მათ მომდევნო თავში, დიალოგიზმის მარკერებზე საუბრისას შევხებით.

ფრანგი პრაქსემატიკოსი, დისკურსის ანალიზის სპეციალისტი, ჟ. ბრესიც იზიარებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ « Pour Bakhtin, la réalité première du langage c'est l'interaction verbale, qui se manifeste sous forme d'échange verbal, dont la forme prototypique est le dialogue » (Bres 2005 : 50). „*ბახტინისათვის ენის პირველადი რეალობა, ესაა ვერბალური ინტერაქცია, რომელიც გამოხატულია ვერბალური გაცვლის ფორმით და რომლის პროტოტიპული ფორმაცაა დიალოგი*“.

დიალოგიზმზე საუბრისას აუცილებლად უნდა ვახსენოთ ამ ფენომენისათვის დამახასიათებელი ისეთი ბინარული ოპოზიცია, როგორიცაა დიალოგალური/დიალოგიკური dialogal/dialogique.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბახტინისათვის ენის პირველადი რეალობა, ესაა ვერბალური ინტერაქცია და მისი პროტოტიპული ფორმა დიალოგი. სწორედ ამ დიალოგს გააჩნია ორმაგი ფორმა, ანუ დიალოგალური (დიალოგური) და დიალოგიკური, როგორც მათ მრავალი, ამ სფეროში მოღვაწე, მეცნიერი უწოდებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დიალოგალური (დიალოგური) აღნიშნავს დიალოგის გარე განზომილებას dimension, ანუ ეს არის ჩვეულებრივი ზეპირი დიალოგი, რომელშიც ცხადად არის გამოხატული ლოკუტორების სიტყვათა მონაცვლეობა. ხოლო დიალოგიკური აღნიშნავს გამონათქვამის შიდა განზომილებას, სხვა გამონათქვამებისადმი მის მიმართებას (ეს არის სამმაგი ტიპის ინტერაქცია, რომლებზეც ქვემოთ ვისაუბრებთ). ამდენად, როგორც ბრესი მიიჩნევს : დიალოგალური ფორმა დამახასიათებელია გამონათქვამის გარე სტრუქტურისათვის, ხოლო დიალოგიკური მისი შიდა, ღრმა სტრუქტურისათვის. ორივე კი საერთო ჯამში გამონათქვამს ეხება. (Bres 2005 :54)

თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ თავად ბახტინი მხოლოდ მეორე ტიპზე, ანუ დიალოგიკურზე საუბრობს და საერთოდ არ ახსენებს დიალოგალურს. ეს ტერმინი ლინგვისტურ რეალობაში ოტიე რევუმ დაამკვიდრა.

ნიშანდობლივია ისიც, რომ დიალოგიკური კონცეფცია მხოლოდ ვერბალურ ინტერაქციას არ ეხება. ბახტინი მიიჩნევს, რომ თავად დიალოგიზაციის პროცესი ახლავს ყველა დისკურსს, დიალოგალურია ის, თუ მონოლოგალური, რომელიც თავისთავად მხოლოდ ლოკუტორს არ ეკუთვნის.

«aucun discours, qu'il soit quotidien , rhétorique , scientifique-ne peut manquer de s'orienter dans le déjà dit, le « contenu », « l'opinion publique » etc. L'orientation dialogique est, naturellement, un phénomène propre à tout discours. C'est la fixation naturelle de toute parole vivante... Mais la dialogisation intérieure du discours (tant dans la réplique que dans l'énoncé monologique) qui pénètre dans toute sa structure, dans toutes ses couches sémantiques et expressives a presque toujours été ignorée. Or, justement cette dialogisation intérieure du discours est dotée d'une force stylisante énorme. La dialogisation intérieure du discours trouve son expression dans une suite de particularités de la sémantique, de la syntaxe et de la composition que la linguistique et la stylistique

n'ont absolument pas étudiées à ce jour. (Bakhtine 1934/1978 : 102-103). „არც ერთი დისკურსი, იქნება ეს ყოველდღიური, რიტორიკული თუ მეცნიერული, არ შეიძლება, ორიენტირებული რომ არ იყოს „უკვე ნათქვამისაკენ“, „ნაცნობისაკენ“, „საზოგადო აზრისაკენ“ და ა.შ. დიალოგიკური ორიენტაცია ყველა დისკურსს ახასიათებს. ეს ნებისმიერი ცოცხალი მეტყველების ბუნებრივი დაფიქსირებაა. [...] თუმცა, დისკურსის შიდა დიალოგიზაცია, (როგორც რეპლიკაში, ასევე მონოლოგალურ გამონათვამში), რომელიც აღწევს მთელ მის სტრუქტურაში, ყველა მის ექსპრესიულ თუ სემანტიკურ ფენებში, თითქმის ყოველთვის იგნორირებული იყო. მიუხედავად ამისა, სწორედ დისკურსის ამ შიდა დიალოგიზაციას გააჩნია უზარმაზარი სტილისტური ძალა. დისკურსის შიდა დიალოგიზაცია თავის გამოხატულებას სწორედ სინტაქსის, სემანტიკის და კომპოზიციურ თავისებურებებში პოულობს, რაც დღემდე ლინგვისტიკას და სტილისტიკას საერთოდ არ შეუსწავლია.“

ამრიგად, ნებისმიერი დისკურსი, მონოლოგალურია ის თუ დიალოგალური განისაზღვრება იმით, ვისკენაც იგია მიმართული.

მეორე ფრანგი (წარმოშობით რუსი) პრაქსემატიკოსი, ა.ნოვაკოვსკა ბრესთან ერთად აღნიშნავს, რომ ბახტინის ტექსტებიდან გამომდინარე, დიალოგიზმი განიმარტება, როგორც

« L'orientation de tout discours, constitutive et au principe de sa production, vers d'autres discours : les discours réalisés antérieurement sur le même objet de discours, le discours-réponse qu'il sollicite, et lui-même en tant que discours . Cette orientation se manifeste sous forme d'échos, de résonnance, d'harmoniques, qui font signe vers d'autres discours, sous forme de voix, qui introduisent de l'autre dans l'un». (Bres & Nowakowska, 2006 :8)

“ყოველი დისკურსის მიმართება სხვა დისკურსებისადმი: მისი კავშირი მანამდე იმავე საგანზე წარმოთქმულ დისკურსებთან, ან მის საპასუხო დისკურსთან, რომლის შექმნასაც ის განაპირობებს. ეს მიმართება თუ კავშირი გამოხატულია

*ელოს, რეზონანსის, ჰარმონიულობის ფორმით, რომლებიც სხვა დისკურსებზე მიუთითებენ „ხმების“ (ეს ტერმინები ეკუთვნის ბახტინს) ფორმით, რომლებსაც შემოჰყავთ სხვა ერთში“.*

ამდენად, ბახტინის ტექსტების შესწავლის შედეგად, პრაქსემატიკოსებმა ჩამოაყალიბეს დიალოგიზმის მათეული განმარტებანი: « Le dialogisme, c'est la capacité de l'énoncé à faire entendre, outre la voix de l'énonciateur, une (ou plusieurs) autre(s) voix qui le feuilletent énonciativement » „*დიალოგიზმმა, რომელიც გამონათქვამის უნარია, გამომთქმელის ხმის გარდა უნდა გაგვაგონოს ერთი ან მრავალი სხვა ხმა, რომლებიც მოცემულ დისკურსს გამონათქვამების ერთობლიობად წარმოაჩენს*“. (Detrie, C. Siblot, P et Verine, B. 2001 : 83). აქვე მოვიყვანთ ბრესის ციტირებასაც დისკურსის ორმხრივი ორიენტაციის შესახებ:

« Le dialogisme est cette dimension constitutive qui tient à ce que le discours dans sa production rencontre (presque obligatoirement) d'autres discours ». (J. Bres, 2001 : 84)

*„ დიალოგიზმი წარმოადგენს იმ არსებით განზომილებას, რომლის მიხედვითაც ყოველი დისკურსი თავისი პროდუცირების დროს (თითქმის ყოველთვის) ხვდება სხვა დისკურსებს“.*

დისკურსის ეს ორმხრივი მიმართება გამოხატულია ინტერდისკურსულად და ინტერლოკუციურად, რასაც შემდეგნაირად განვმარტავთ:

1) ინტერდისკურსულია დიალოგიზმი, რომელიც გულისხმობს მოცემული დისკურსის ფარგლებში ე.წ. შიდა დიალოგს სხვა დისკურსებთან, რომლებიც წარმოთქმულ იქნა მანამდე იმავე საგნის შესახებ და რომლებთანაც ის შედის ინტერაქციაში.

თავად ბახტინი ასე განმარტავს დისკურსის დიალოგიკურ ბუნებას, ანუ მის მიმართებას სხვა, მანამდე შექმნილ დისკურსებთან:

« Sur toutes ses voies vers l'objet, le discours en rencontre un autre, « étranger », et ne peut éviter une action vive et intense avec lui. Seul l'Adam mythique abordant avec sa première parole un monde pas encore mis en question, vierge pouvait éviter totalement cette orientation dialogique sur l'objet avec la parole d'autrui ». (Bakhtine 1978 : 102)

*„საგნისაკენ მიმავალ ყველა გზაზე, დისკურსი ხვდება სხვა დისკურსს - „უცხოს“, და, შეუძლებელია, მასთან აქტიურ კავშირში არ შევიდეს. მხოლოდ მითიურ ადამს, რომელმაც, პირველმა, გამოხატა სამყარო, მხოლოდ მას შეეძლო სრულად აეცილებინა მოცემულ საგანზე თავისი დისკურსის დიალოგიკური მიმართება სხვისი დისკურსისადმი“.*

« Le dialogisme interdiscursif structure fondamentalement tout texte, en ce que celui-ci est obligatoirement réponse ». (Bakhtine, 1984. 298-299) *„ინტერდისკურსული დიალოგიზმი ნებისმიერ ტექსტს ფუნდამენტურად აგებს, იმგვარად, რომ იგი აუცილებლად წინა ტექსტების პასუხია“.*

2) ინტერლოკუციურია დიალოგიზმი, რომელიც გამოხატავს გამომთქმელის მიერ აუდიტორიის რეაქციის ანტიციპაციას. გამომთქმელი ყოველთვის მიმართავს თავის ადრესატს და ამგვარად, მისგან შესაბამის რეაქციას ითხოვს; ამგვარი მოსაზრება ჩანს თავად ბახტინის სიტყვებშიც:

« Tout discours est dirigé sur une réponse et ne peut échapper à l'influence profonde du discours-réplique prévu .... Se constituant dans l'atmosphère du « déjà-dit », le dsicours est déterminé en même temps par la réplique non encore dite, mais sollicitée et déjà prévue (Bakhtine 1978 : 103). *„ ყოველი დისკურსი მიმართულია პასუხისაკენ და შეუძლებელია თავი აარიდოს უკვე გათვალისწინებულ დისკურს-რეპლიკის ღრმა გავლენას. ჩვეულებრივ, ზეპირმეტყველებაში ცოცხალი დისკურსი პირდაპირ და უხეშად მიმართულია მომავალი პასუხი-დისკურსისაკენ: ის იწვევს ამ პასუხს და მას ხვდება. შეიქმნა რა „უკვე ნათქვამის“ ატმოსფეროში, დისკურსი*



*ამავდროულად განპირობებულია ჯერ არ წარმოთქმული, მაგრამ უკვე გათვალისწინებული რეპლიკით.*“

ამრიგად, როგორც ვხედავთ, თავად ბახტინმა დაუდო სათავე დიალოგიზმის ამ ორმაგი - ინტერდისკურსული და ინტერლოკუციური - ორიენტაციის გამოკვეთას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ორი ორიენტაციის გარდა, თანამედროვე დისკურსის ანალიზში გაჩნდა მესამე ფორმაც, რომელსაც ოტე-რევიუ ავტოდიალოგიზმს უწოდებს, ხოლო ბრესისთვის იგი ინტრალოკუციური დიალოგიზმია, რომელშიც გამომთქმელი თავის საკუთარ სიტყვებთან არის დიალოგიკურ კავშირში. როგორც მეცნიერები აღნიშნავენ, ბახტინი თითქმის არ ახსენებს ამ მესამე ტიპს. ამდენად, როგორც ბრესი აღნიშნავს: „ Le locuteur est son premier interlocuteur dans le processus de l’auto-réception : la production de sa parole se fait constamment en interaction avec ce qu’il a dit antérieurement, avec ce qu’il est en train de dire et avec ce qu’il a à dire » . (Bres 2005 :53) *„ლოკუტორი არის საკუთარი თავის პირველი ინტერლოკუტორი ავტო-მიღების პროცესში: მისი დისკურსის პროდუცირება მუდმივად ხდება იმასთან ინტერაქციაში, რაც უკვე მანამდე წარმოთქვა თავად, რასაც ამბობს და რაც უნდა თქვას“.*

ეს სამი ტიპის ინტერაქცია - ინტერდისკურსული, ინტერლოკუციური და ინტრალოკუციური - გამონათქვამის დონეზე ყოველთვის წარმოადგენს დისკურსის შიდა დიალოგიზაციის ნაყოფს. ხოლო, ამ დიალოგიკური ურთიერთობების კვალი ჩვენს დისკურსებში აისახება სხვადასხვა მარკერების საშუალებით, რომლებზეც ჩვენ მომდევნო თავში ვისაუბრებთ.

როგორც ბრესი აღნიშნავს, « Tout texte s’inscrit dans une interaction plus ou moins explicite avec d’autres textes ... Il naît d’eux, il leur répond en les rapportant pour les confirmer, les

infirmier, les rejeter, les retravailler, etc. » (Bres 2005 : 12) „ ყოველი ტექსტი სხვა ტექსტებთან ინტერაქციაში მეტ ნაკლებად იმპლიციტურად შედის. იგი მათგან იბადება, მათ პასუხობს და იმეორებს მათ, რათა დაეთანხმოს მათ, უარყოს, უკუაგდოს თუ გადაასხვავდეს“.

პრაქსემატიკოსებმა შემოგვთავაზეს მეთოდოლოგიური ჩარჩო, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ბახტინის დიალოგიზმის თეორიას და ბალის მიერ შემოთავაზებული ფრაზის აქტუალიზაციის ფორმას. ამრიგად, მათ ჩამოაყალიბეს აქტუალიზაციის პრაქსემატიკული თეორია, ეყრდნობიან რა შ. ბალის ნაშრომებში შემოთავაზებულ « Actualisation modale consistant à appliquer un modus au dictum » (Bally 1965 : 36-38), „*მოდალური აქტუალიზაციის ცნებას, რომელიც გულისხმობს მოდუსის modus მისადაგებას დიქტუმზე dictum*“. უფრო სწორად რომ ვთქვათ, ფრაზის აქტუალიზაცია, ანუ დიალოგიკური კავშირის დამყარება ხორციელდება მოდალური აქტუალიზაციის შედეგად. პრაქსემატიკოსების აზრით: « Dans l'énoncé dialogique, la modalisation de l'énonciateur s'applique non pas à un dictum, mais à une unité ayant déjà un statut d'énoncé, autrement dit à une unité déjà actualisée déictiquement et modalisée, par l'assertion ou une autre modalité par un autre énonciateur » (Bres 2005 (b) : 25 ). „*დიალოგიკურ გამონათქვამში გამომთქმელის მოდალიზაცია დიქტუმს კი არ მიესადაგება, არამედ უკვე გამონათქვამის სტატუსის მქონე ერთეულს, სხვაგვარად რომ ვთქვათ, სხვა გამომთქმელის მიერ დასტურით, კითხვით თუ უარყოფით დეიქტიკურად უკვე აქტუალიზებულ და მოდალიზებულ ერთეულს* » .

ნოვაკოვსკას მოსაზრების მიხედვით, ეს ენონსიაციური გაორმაგება შეიძლება იყოს:

- ექსპლიციტური, როგორც პირდაპირი ნათქვამი, რომელშიც ციტირებული და მაციტირებელი გამომთქმელების მოდალიზაცია და ენონსიაციური კოორდინატები მკაფიოდ არის გამოხატული;

- ან იმპლიციტური, რაც უფრო ხშირად გვხვდება. ამ შემთხვევაში ციტირებული გამომთქმელის მოდალიზაცია და ენონსიაციური კოორდინატები წაშლილია ტექსტიდან. (Nowakowska 2005:29)

უნდა აღვნიშნოთ, რომ პრაქსემატიკოსები დიალოგიზმს ასეთ შემთხვევაში განიხილავენ როგორც *dédoublement énonciatif*- ენონსიაციურ გაორმაგებას, ან კიდევ *double énonciation*- ორმაგ თქმის პროცესს « *Le dialogisme est donc conçu comme un spectacle de spectacle qui fonctionne sur un dédoublement énonciatif* ». (Bres 1998 : 4). „ამრიგად, დიალოგიზმი აღიქმება, როგორც სპექტაკლი სპექტაკლში, რომელიც ენონსიაციურ გაორმაგებაზეა აგებული“.

სქემატურად კი იგი ასე გამოიხატება : ორი გამონათქვამი, ანუ (E e) ორი გამომთქმელი *énonciateur* (E1 e1) და ორი მსმენელი *énonciataire* E2 e2 . ეს სხვადასხვა ელემენტები იერარქიულად არიან წარმოდგენილნი.

ამრიგად, დიალოგიზმი წარმოადგენს გამონათქვამის მიმართებას სხვა გამონათქვამებისაკენ. მეტ-ნაკლებად ცხადად აღნიშნავს ხმათა გაორმაგებას ან გამონათქვამთა ორბუნებიანობას. პროტოტიპულად, შეგვიძლია დიალოგიკური გამონათქვამი გამოვსახოთ ფორმულით E(e) , რომელშიც გამომთქმელი *énonciateur* E1 თავის გამონათქვამში E ხელახლა იმეორებს სხვა გამომთქმელის e1 ნათქვამებს, რომლის გამონათქვამიც აღინიშნება e-თი (Bres 1998 : 4) .

ამდენად, როგორც ბრესი აღნიშნავს: « *On définira l'énoncé dialogique par la double énonciation ... résultant de l'enchassement d'un acte d'énonciation dans un autre* » . (Bres 2005 : 14) „ დიალოგიკური გამონათქვამი განისაზღვრება ორმაგი თქმის პროცესით, რომელიც გულისხმობს გამონათქვამის აქტის ჩართვას სხვა აქტში“.

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ « Un même locuteur fait interagir, plus ou moins explicitement, deux (ou plusieurs) énonciateurs dont les voix sont parfois clairement distinctes, parfois superposées... » (Bres 2001 :84). *„ერთსა და იმავე გამომთქმელს შეუძლია, მეტ ნაკლებად ცხადად, მოახდინოს ორი ან რამოდენიმე გამომთქმელის ურთიერთქმედება, რომელთა ხმებიც ზოგჯერ ნათლად მკაფიოა, ზოგჯერ კი ერმანეთშია შერეული“.*

ბოლოს კი, დიალოგიზმის ფენომენის აქტუალობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, შემოგთავაზოთ კიდევ რამოდენიმე ფრანგი ლინგვისტის მოსაზრება.

ფონტანის მიხედვით : « Le dialogisme consiste à rapporter directement, et tels qu'ils sont sensés sortis de la bouche, des discours que l'on prête à des personnages, ou que l'on se prête à soi-même dans telle ou telle circonstance (Bres 2005 : 49) ». *„დიალოგიზმი გულისხმობს გადმოიტანო პირდაპირ, ანუ ზუსტად ისევე, როგორც ისინი იქნა წარმოთქმული, ის დისკურსები, რომლებსაც მივაკუთვნებთ სხვადასხვა პერსონაჟებსა თუ საკუთარ თავს სხვადასხვა გარემოებებში“.*

კიდევ ერთი ფრანგი მეცნიერის, რ. ვიონისათვის კი დიალოგიზმი « Pourrait être appréhendé comme l'ensemble des dialogues entretenus avec le tout discursif, qu'il s'agisse du travail sur les formes discursives ou sur des opinions » (Vion 2005: 149). *« შეიძლება განისაზღვროს, როგორც დიალოგების ერთობლიობა, რომლებიც ხორციელდებიან დისკურსულ მთლიანობასთან დისკურსული ფორმების თუ მოსაზრებების დამუშავების თვალსაზრისით“.*

რაც შეეხება ოტე რევიუს, დიალოგიზმის ფენომენზე საუბრისას იგი *არსებითი დიალოგიზმის* კონცეპტს (dialogisme constitutif) გვთავაზობს, რათა გამოვხატოთ ის ფაქტი, რომ ყველა დისკურსი წინა დისკურსების მოდიფიკაციისა თუ გამეორების

შედეგს წარმოადგენს, ისე რომ, გამომთქმელს ეს გაცნობიერებული არა აქვს და ამას აკეთებს არა ექსპლიციტურად. ამრიგად, დიალოგიზმი გამოხატავს დიალოგის ამ უჩინარ განზომილებას (in absentia), რომლითაც ყოველი მოსაუბრე სხვის სიტყვებს თავის მოსაზრებებში იყენებს ისე, რომ შეიძლება არც კი იცოდეს მათი წარმომავლობის შესახებ.

ავტორი ასევე საუბრობს გამოხატულ დიალოგიზმზე (dialogisme montré), რომელიც გულისხმობს ნათლად აჩვენოს დისკურსის დონეზე იმ მრავალრიცხოვანი ხმების არსებობა, რომლებიც არსებით დიალოგიზმში იყო უხილავი (Authier-Revuz 1984). თუმცა, ცნობილი ფრანგი მეცნიერი თავისი შეხედულებით დისკურსზე ბახტინის მოსაზრებასთან ახლოს მყოფ განმარტებას გვაძლევს: « Tout discours s'avère constitutivement traversé par les « autres discours » et par le « discours de l'autre ». L'autre n'est pas un objet (extérieur dont on parle) mais une condition constitutive pour qu'on parle du discours d'un sujet parlant qui n'est pas la source première de ce discours ». (Revuz, 1982 :141). „*ყოველი დისკურსი არსებითად წარმოადგენს „სხვა დისკურსების“ და „სხვისი დისკურსის“ გადაკვეთის ადგილს. ეს სხვა არ არის გარე საგანი, რომელზეც საუბრობენ, არამედ არსებითი პირობაა იმისათვის, რათა ვილაპარაკოთ მოლაპარაკე სუბიექტის დისკურსზე, რომელიც ამ დისკურსის პირველწყარო არ არის“.*

კიდევ ერთი ფრანგი ლინგვისტი, ჟან-მარი ბარბერისი კონცეპტ დიალოგიზმს პოლიფონიის ნაცვლად ხმარობს, რაც მიესადაგება პრაქსემატიკურ მიდგომას და გულისხმობს ერთდროულად გაითვალისწინო გამონათქვამთა სხვადასხვა ადგილობრივი და უფრო გლობალური ფენომენები, რომლებიც შეეხება სოციალურ ურთიერთობებს. მას სურს დაადგინოს, ექოსებრი გამეორება (reprise en écho) ყოველთვის გულისხმობს თუ არა დიალოგიზმს. მისი აზრით, დიალოგური ბუნების ექოსებრი გამეორება გამოხატავს გამომთქმელ მე-2-ის მხრიდან disensus უთანხმოებას განხეთქილებას გამომთქმელ 1-ლის ნათქვამთან. ამრიგად, გამომთქმელი მე-2 იმეორებს გამომთქმელ 1-ლის მიერ მანამდე წარმოთქმულ სიტყვებს, თუმცა იგი ამ სიტყვებს

თავისებურ ინერპრეტაციასაც აძლევს და შესაბამისად, თავის შეხედულებებთანაც დიალოგში შეჰყავს. თუმცა, არსებობს ისეთი ექსპერტიზები, რომლებიც უთანხმოებას არ წარმოშობენ. ამ შემთხვევაში გამომთქმელი მე-2 ყოველთვის სრულად იზიარებს გამომთქმელ 1-ლის ნათქვამს და ამგვარად, იგი ასიმილირდება გამომთქმელ 1-ლთან (Barberis 2005 : 159-161).

შევიცნოთ *სხვა* დისკურსში გულისხმობს ვიფიქროთ დისკურსზე და მის ჰეტეროგენულ ხასიათზე. დიალოგიზმის ცნებამ შეცვალა აზრი მოლაპარაკე სუბიექტის ერთადერთობაზე (*unicité du sujet parlant*) და შემოგვთავაზა მრავალი ხმით გაჯერებული დისკურსისადმი ახალი მიდგომა. მიხაილ ბახტინმა პირველმა შემოგვთავაზა და თეორიის სახით ჩამოაყალიბა ენის ინტერაქციული და ჰეტეროგენული განზომილება.

ამრიგად, როგორც ბახტინი მიიჩნევს, იმის აღიარება, რომ ყოველი დისკურსული კონსტრუქცია დიალოგიკური პროცესის შედეგად წარმოიშობა, იმაზე მიანიშნებს, რომ თავისთავად თქმის აქტი განისაზღვრება უკვე წარმოთქმული დისკურსის საგნის გარშემო შესაბამისი ლოკუტორის დისკურსულ ისტორიასთან კავშირში.

„L'objet du discours d'un locuteur, quel qu'il soit, n'est pas objet du discours pour la première fois dans un énoncé donné et le locuteur donné n'est pas le premier à en parler. L'objet a déjà, pour ainsi dire, été parlé, controversé, éclairé, et jugé diversement. Il est le lieu où se croisent, se rencontrent et se séparent des points de vu différents, des visions du monde, des tendances ». (Bakhtine, 1984: 301). „ *ლოკუტორის დისკურსის საგანი, როგორც უნდა იყოს ის, არ წარმოადგენს პირველი დისკურსის საგანს მოცემულ გამონათქვამში და მოცემული ლოკუტორიც არ არის პირველი, რომელიც მასზე საუბრობს. ამ საგანზე უკვე იყო ლაპარაკი, იგი იყო განხილული, კამათის საგანი და შეფასებული სხვადასხვაგვარად. ეს არის ის ადგილი, რომელშიც ერთმანეთს ეჯახებიან, ხვდებიან და შორდებიან სხვადასხვაგვარი მოსაზრებანი, მსოფლხედვანი და ტენდენციები“.*

მიხაილ ბახტინმა დააყენა რა დისკურსული კონსტრუქცია დიალოგიკური პროცესის ცენტრში, საბოლოოდ გამოვიდა მარტოსული მოლაპარაკე სუბიექტის წინააღმდეგ, რომელიც მარტოდ, დამოუკიდებლად წარმოთქვამს გამონათქვამებს. საქმე ეხება ჩვენი დისკურსების საგანს, ჩვენი სიტყვების შინაარსს, ან თავად ჩვენს დისკურსებს სხვა დისკურსების პასუხად, ჩვენი დისკურსები ყოველთვის შეიცავენ სხვა მხარესაც, ჩვენს სურვილს - ვუპასუხოთ წინა დისკურსებს, და ასევე წარმოვიდგინოთ და სტიმული მივცეთ გათვალისწინებულ რეპლიკებს, პასუხებს. დიალოგიკური ფენომენის კვალდაკვალ, რომლითაც ჩვენი დისკურსებია აღბეჭდილი, ჩვენ პოლემიკაში შევდივართ სხვა დისკურსებთან, ჩვენ ვთმობთ რაღაც არგუმენტებს, ან რაღაცებს უარყოფთ კიდევაც, ასევე გვიჭირავს გარკვეული დისტანციაც, რათა უკეთ დავიცვათ თავი და ზოგჯერ წამოვჭრათ ისეთი მოსაზრებები, რომლებიც ჩვენ გვაშორებს ან გვაახლოვებს ამ დისკურსებთან ( Bakhtine 1984 : 300 ).

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ ბახტინმა თავის ნაშრომებით შემოგვთავაზა დაუშრეტელი გზები თეორიული აზროვნების ენაზე, ენის პრაქტიკაზე და ტექსტებზე მათ მთლიანობაში, რომლებიც შემდეგ არა ერთი მკვლევარისა თუ მეცნიერის შესწავლის საგანი გახდა.

### ***2.3 ბახტინის გამონათქვამის თეორია***

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ბახტინი ფრანგულ ლინგვისტიკაში მოიაზრება, როგორც გამონათქვამის თეორიის ინიციატორი, როგორც ბენვენისტის მოწაფე და მისი იდეოლოგიის გამგრძელებელი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ბენვენისტი არის ლინგვისტი, რომელიც ძირითადად ენით არის დაკავებული, ხოლო ბახტინი კი თეორეტიკოსი, რომელიც ძირითადად დისკურსის სფეროსა და გამონათქვამს განიხილავს. ბახტინის კვლევის პრივილეგირებული საგანია ადამიანური გამონათქვამი, იგი მდებარეობს ენასა და თქმის კონტექსტში, რომელიც ისტორიას ეკუთვნის. ლინგვისტებისა და სტილისტებისაგან განსხვავებით, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ

გამონათქვამი არ არის ინდივიდუალური და ცვალებადი, დისკურსის ანალიზის თეორეტიკოსებს მიაჩნიათ, რომ გამონათქვამი შეიძლება იყოს და უნდა გახდეს ახალი ენათმეცნიერების საგანი, რომელსაც ბახტინმა დაარქვა, როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, ტრანსლინგვისტიკა. თავად ბახტინიც აღნიშნავს, რომ დიალოგიკური ურთიერთობანი წარმოადგენენ ტრანსლინგვისტიკის და არა თავად ლინგვისტიკის საგანს. (Todorov 1981:8)

ადამიანთა ნებისმიერი საქმიანობა, რაც უნდა მრავალფეროვანი იყოს იგი, დაკავშირებულია ენის გამოყენებასთან. ენის გამოყენება კი ხდება გარკვეული, კონკრეტული გამონათქვამების სახით (ზეპირი თუ წერილობით), რომლებიც ადამიანის საქმიანობის ნებისმიერ სფეროს ასახავენ.

შეუძლებელია შევიმეცნოთ ადამიანი იმ ურთიერთობის მიღმა, რომელიც მას სხვასთან მიმართებით გააჩნია. ცხოვრებაში ჩვენ ამას ყოველ ნაბიჯზე ვაკეთებთ: ჩვენ ჩვენს თავს ვაფასებთ სხვების აზრებიდან გამომდინარე და ვცდილობთ, სხვებს გავუწიოთ ანგარიში. ერთი სიტყვით, გამუდმებით, და საკმაოდ ხშირადაც, თვალყურს ვადევნებთ და ვიჭერთ ჩვენი ცხოვრების ანარეკლებს სხვა ადამიანების თვალთახედვებში. (Bakhtine 1984)

ამდენად, დიალოგიზმის ცნება მეტწილად დაკავშირებულია გამონათქვამის პრობლემატიკასთან, რომელსაც იგი გაღრმავებულად წარმოგვიდგენს, რადგანაც როგორც თავად ბენვენისტი აღნიშნავს, გამონათქვამს ძალუმს დააკავშიროს ენა, დისკურსი, სუბიექტურობა და ინტერსუბიექტურობა. (Benveniste, 1974:80). დიალოგიზმს კი შეუძლია, როგორც პრაქსემატიკოსები აღნიშნავენ, გამონათქვამს შესძინოს მეტი სიღრმე: გამომთქმელის სიტყვა სამეტყველო აქტში დაკავშირებულია არა მხოლოდ ადრესატთან, არამედ სხვა ხმებთანაც, რომლებსაც იგი აუცილებლად შეხვდება. (Cahiers de praxématique 43,2004, p.8) . როგორც ბახტინი აღნიშნავს: « Tout énoncé pris isolement est, bien entendu, individuel, mais chaque sphère d'utilisation de la langue élabore ses types



relativement stables d'énonés et c'est ce que nous appelons les genres du discours ». (Bakhtine, 1984 : 265) „თითოეული გამონათქვამი, რა თქმა უნდა, ცალკე აღებული, ინდივიდუალურია, თუმცა ენის გამოყენების თითოეული სფერო შეიმუშავებს გამონათქვამის საკმაოდ მყარ ტიპოლოგიას და ეს არის ის, რასაც ჩვენ დისკურსის ჟანრებს ვუწოდებთ”.

დიალოგიზმი მჭიდროდაა დაკავშირებული გამონათქვამთან, კვლავ დავეყრდნობით ბახტინს: « Il ne saurait y avoir d'énoncé isolé. Un énoncé présuppose toujours des énoncés qui l'ont précédé et qui lui succéderont, il n'est jamais le premier, jamais le dernier. (Bakhtine, 1984:355). „შეუძლებელია, არსებობდეს იზოლირებული, განცალკევებული გამონათქვამი. მოცემული გამონათქვამი ყოველთვის გულისხმობს სხვა გამონათქვამებს, რომლებიც მას ან წინ უსწრებდნენ, ან მას მოსდევენ; ის არასოდეს არის პირველი, არასოდეს უკანასკნელი“.

როგორც არაერთგზის აღვნიშნეთ, ბახტინის აზრით, არ არსებობს გამონათქვამი სხვა გამონათქვამებთან კავშირის გარეშე:

« Le locuteur lui-même, en tant que tel, est à un certain degré, un répondant, car il n'est pas le premier locuteur, rompant pour la première fois le silence d'un monde muet de toute éternité et il présuppose non seulement l'existence du système de la langue dont il use mais aussi l'existence des énoncés antérieurs - émanant de lui-même ou d'autrui, auxquels son propre énoncé se rattache sous un quelconque rapport, purement et simplement, il les suppose déjà connus de l'auditeur . Chaque énoncé est un maillon de la chaîne fort complexe d'autres énoncés » (Bakhtine 1952/1979/1984: 275). „თავად ლოკუტორი, როგორც ასეთი, რაღაც გარკვეულ დონეზე, არის მოპასუხე, რადგანაც იგი არ არის პირველი ლოკუტორი, რომელმაც დაარღვია მუნჯი სამყაროს მდუმარება, ის გულისხმობს არა მხოლოდ მის მიერ გამოყენებული ენის სისტემის არსებობას, არამედ წინა გამონათქვამების არსებობასაც, რომლებიც მისგან ან სხვებისგან

*გამომდინარეობს და რომლებთანაც მისი საკუთარი გამონათქვამი გარკვეულ კავშირშია და გულისხმობს, რომ ისინი აუდიტორიისთვის ცნობილია. თითოეული გამონათქვამი სხვა გამონათქვამების რთული ჯაჭვის რგოლია“.*

საბოლოოდ კი, ბახტინი მიდის იმ დასკვნამდე, რომ გამონათქვამი არის « l'unité réelle de l'échange verbale », „ვერბალური გაცვლის რეალური ერთეული“, <sup>10</sup> « Tout ce qui fonctionne comme unité de l'échange verbal, depuis la réplique brève jusqu'au roman ou au traité scientifique ». „ყველაფერი, რაც კი ისე გამოიხატება, როგორც ვერბალური გაცვლის ერთეული, მოკლე რეპლიკა იქნება ეს, რომანი თუ მეცნიერული ნაშრომი“. აღსანიშნავია ისიც, რომ გამონათქვამს ახასიათებს მოლაპარაკე სუბიექტების მონაცვლეობა, რადგან « Avant son début de l'énoncé, il y a des énoncés des autres, après sa fin, il y a des énoncés des autres ». (Bakhtine, 1978: 277-280 ). „ გამონათქვამის დაწყებამდე არის სხვათა გამონათქვამები, მისი დასრულების შემდეგაც არის სხვათა პასუხი-გამონათქვამები“.

ამრიგად, გამონათქვამი განისაზღვრება იმით, რითაც დიალოგი: მოლაპარაკე სუბიექტების მონაცვლეობით. ბახტინი ხაზს უსვამს, რომ ნამდვილ დიალოგში ყველაზე მკაფიოდ და პირდაპირ ჩანს თანამოსაუბრეთა გამონათქვამები, რომელთაც რეპლიკებს ვუწოდებთ და რომლებიც რეგულარულად მონაცვლეობენ. (Bakhtine, 1978: 278).

გამონათქვამის თეორიის განსაზღვრებას ვხვდებით ბახტინისა და ვოლოშინოვის ავტორობით გამოცემულ, ერთ-ერთ ყველაზე ძველ სტატიაში: « Le discours dans la vie et le discours dans la poésie » , „ დისკურსი ცხოვრებაში და დისკურსი პოეზიაში“, რომელიც თარიღდება 1926 წლით. ამ სტატიის მიხედვით, « La matière linguistique ne constitue qu'une partie de l'énoncé ; il existe aussi une autre partie, non verbale, qui correspond au contexte de l'énonciation ». (Todorov, 1981 : 67) „ლინგვისტური მასალა წარმოადგენს

---

<sup>10</sup> მის შესახებ წინა პარაგრაფში ვიასაუბრეთ.

*გამონათქვამის მხოლოდ რაღაც ნაწილს, არსებობს ასევე არავერბალური ნაწილიც, რომელიც თქმის კონტექსტს შეესაბამება“.*

ბახტინამდე ამ კონტექსტის არსებობა იგნორირებული არ ყოფილა, მას მიიჩნევდნენ როგორც გამონათქვამის გარეთ მყოფს. თუმცა, იგი მისი განუყოფელი ნაწილია. ამრიგად, ტოდოროვის მიხედვით, სიტუაცია გამონათქვამისათვის შეადგენს მისი სემანტიკური სტრუქტურისათვის აუცილებელ შემადგენელ ნაწილს. ამრიგად, ყოველდღიური გამონათქვამი შედგება ორი ნაწილისაგან: 1) ვერბალურად გამოხატული ნაწილი; 2) ნაგულისხმევი (sous-entendu) ნაწილი.

გამონათქვამის ექსტრავერბალური კონტექსტი სამ ასპექტს მოიცავს: 1) სივრცული ჰორიზონტი (ლოკუტორებისათვის საერთო), ის, რაც ჩანს, მაგ: ფანჯარა, ოთახი და ა.შ. 2) სიტუაციის ცოდნა და გაგება, ესეც საერთოა ორივესათვის 3) ამ სიტუაციის შეფასება, რაც აგრეთვე საერთოა ამ ორივესათვის.

შესაბამისად, გამონათქვამის ნაგულისხმევი ნაწილი სხვა არაფერია, თუ არა ლოკუტორებისათვის საერთო ჰორიზონტი, რომელიც შედგება სივრცულ-დროითი, სემანტიკური და შეფასებითი ელემენტებისაგან. გამონათქვამის ნაგულისხმევი ნაწილი შეიძლება გახდეს მხოლოდ ის, რაც ჩვენ, ლოკუტორებმა, ვიცით, ვხედავთ და გვიყვარს და რაც ჩვენ ყველას გვაერთიანებს. მე ჩემი თავის რეალიზებას დისკურსში მოვახდენ მხოლოდ „ჩვენზე“ დაყრდნობით.

ვერასოდეს შევძლებთ ვერბალური კომუნიკაციის გაგებას და ახსნას კონკრეტულ სიტუაციასთან მისი კავშირის გარეშე. განსხვავება გამონათქვამსა და ფრაზას შორის იმაში მდგომარეობს, რომ პირველი ყოველთვის და აუცილებლად წარმოითქმის განსაკუთრებულ კონტექსტში და ეს კონტექსტი ყოველთვის სოციალურია, მაშინ, როდესაც მეორეს არ ესაჭიროება კონტექსტი. გამონათქვამი ყოველთვის ვილადისკენ,

ადრესატისკენაა მიმართული, თვითონ ლოკუტორი კი სოციალური არსებაა. (Todorov, 1981 : 62-70)

ვოლოშინოვისა და ბახტინის აზრით, გამონათქვამი მხოლოდ ერთადერთ ლოკუტორის საქმე არაა, არამედ იმ აუდიტორიასთან ინტერაქციის შედეგაცაა, რომლის რეაქციასაც იგი იწვევს. «Le discours est orienté vers l'interlocuteur» „*დისკურსი მიმართულია ინტერლოკუტორისკენაც*“. (Bakhtine 1977 : 101). ხოლო აუდიტორია შეიძლება იყოს, ან მყოფი ინდივიდუალური არსება, ან წარმოსახვითი აუდიენციის იდეალური სურათი. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ იმაში, რასაც ერთი ინდივიდი გამოხატავს არაფერია ინდივიდუალური.(Todorov, 1981 : 68-71).

ამდენად, როგორც ტოდოროვი აღნიშნავს, გამონათქვამი ფრაზისაგან შეიძლება სამი ფაქტორის მეშვეობით განვასხვავოთ. გამონათქვამი დაკავშირებულია მთქმელთან, (ლოკუტორთან), საგანთან, და ის დიალოგში შედის მანამდე წარმოთქმულ გამონათქვამებთან. (Todorov,“1981: 80-85).

ადამიანური, ყველაზე პრიმიტიული გამონათქვამი, წარმოთქმული ინდივიდუალური ორგანიზმის მიერ, უკვე წარმოითქვა მის გარეთ, სოციალური გარემოს არაორგანიკულ პირობებში და ეს ხდება მისი შინაარსის, მისი აზრის, და მნიშვნელობის მიხედვით. თავად ჩვილის ტირილიც კი მიმართულია დედისაკენ.

ბახტინი მიიჩნევს, რომ გამონათქვამი არასოდეს არის მარტივი ანარეკლი თუ გამოხატულება რაიმესი, რომელიც მანამდე არსებობდა და მოცემულია. ის ყოველთვის ქმნის რაღაცას, რომელიც მანამდე არ არსებობდა, რომელიც ახალია და განუმეორებელი, რომელსაც ურთიერთობა აქვს ღირებულებებთან. თუმცა ეს რაღაცა ყოველთვის იქმნება უკვე მოცემული რაღაცეიდან გამომდინარე (რეალურ ფაქტებზე დაკვირვება), რაც მსოფლიოს შექმნისას არსებობდა უკვე. « Etudier, dans le créé, le donné (la langue) est bien plus facile que d'étudier le créé même ». (Bakhtine in Todorov, 1981 :80)

„ შეისწავლო შექმნილში მოცემული (მაგალითად ენა), უფრო ადვილია, ვიდრე შეისწავლო თავად შექმნილი“.

როდესაც ვსაუბრობთ გამონათქვამის თეორიის შესახებ, არ შეიძლება არ ვახსენოთ თავად *თქმა / თქმის პროცესი* - énonciation, რომელიც წარმოადგენს *გამონათქვამის* - énoncé - განუყოფელ ერთეულს. ამასთან, კიდევ ერთხელ დავაზუსტებთ, რომ გამონათქვამი წარმოადგენს ლინგვისტიკის საგანს, რომელიც იქმნება ენის გამოყენების შედეგად, ხოლო თავად თქმა არის ენის გამოყენების ინდივიდუალური აქტი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ ამ ინტერაქციის შედეგად ჩვენ გამონათქვამში ყოველთვის გვესმის სხვა ხმები, რომლებიც მარტო გამომთქმელს (ლოკუტორს) არ ეკუთვნის.

ხმის ცნება შეიძლება ორგვარად გავიგოთ, ერთი მხრივ, მატერიალური გაგებით, იგი წარმოადგენს ადამიანის ხმას, რომელიც აღიქმება ზეპირი დისკურსის დროს. ხოლო მეორე მხრივ, ლინგვისტური გაგებით, იგი მიემართება ინტერაქციის შედეგად მოხმობილ სხვა დისკურსების გამოძახილს.

უნდა აღინიშნოს, რომ ბახტინისეული გამონათქვამის თეორია მრავალი ფრანგი თუ სხვა ლინგვისტის ყურადღების ცენტრში მოექცა.

## **2.4 პოლიფონიის ფენომენი**

პოლიფონიის ტერმინი, რომელიც მუსიკალური მეტაფორისაგან მომდინარეობს, აღნიშნავს დისკურსში გაჟღერებულ მრავალხმიანობას. ცნობილი ფრანგი მეცნიერის ჟაკ ბრესის აზრით: « la voix réfère aux discours convoqués à partir des traces laissées par les différentes interactions» (Bres, 2005: 54). « ხმა ამ შემთხვევაში მიემართება სხვადასხვა

ინტერაქციის შედეგად გამოძახილ დისკურსებს“. ყველა მეცნიერი, რომელიც ამ ფენომენს იკვლევს ზოგადად ენის, ხოლო კონკრეტულად, დისკურსის სფეროში, მიიჩნევს, რომ ყველა დისკურსი სხვების მიერ მანამდე შექმნილი დისკურსების გამოძახილია, მათი ერთგვარი ინტერპრეტაციაა. როგორც დიალოგიზმის ფენომენზე საუბრისას აღვნიშნეთ, ჩვენ პირველები არ ვართ, რომლებიც პირველად წარმოვთქვამთ რაიმეს. შესაბამისად, ყოველი ინფორმაცია სხვადასხვა წყაროდან მომდინარეობს.

ამრიგად, ნებისმიერ დისკურსში ჩვენ ყოველთვის ვხვდებით: *ციტირებას, ირიბ ნათქვამს, რეფორმულაციებს, რეპრიზას* და კიდევ პოლიფონიის არსებობის მრავალ სხვა გამოვლინებას, რომლებზეც შემდგომ ვისაუბრებთ (ბევრი ისეთი ცნობილი ლინგვისტი, როგორებიც არიან: დიუკრო, მენგენო, ვიონი და სხვა, ამ ფენომენის შესახებ ვრცლად საუბრობენ თავიანთ ნაშრომებში). ამრიგად, გამონათქვამის პოლიფონიური თეორია, ისევე, როგორც, ზოგადად, გამონათქვამის თეორიები, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს « l'unicité du sujet parlant, le fait que chaque énoncé ne puisse être rapporté qu'à un seul énonciateur, identifié au locuteur » (Ducrot: 1984, 171). „*მოლაპარაკე სუბიექტის ერთადერთობას, იმ ფაქტს, რომ თითოეული გამონათქვამი შესაძლოა ეკუთვნოდეს მხოლოდ ერთ მეტყველ სუბიექტს ანუ ლოკუტორს*“ თუმცა, რობერ ვიონი აღნიშნავს : « Partant de l'idée que le terme de polyphonie réfère à une coexistence manifeste de voix dans le discours, nous postulons qu'on doit pouvoir parler de polyphonie dès que deux voix coexistent au sein d'un même discours. Ce qui est le cas de toutes les formes de discours rapportés » (R. Vion : 2006, 107). „*იქიდან გამომდინარე, რომ პოლიფონიის ტერმინი გულისხმობს დისკურსში ხმათა აშკარა თანაარსებობას, ჩვენ აღვნიშნავთ, რომ შესაძლებელია პოლიფონიაზე საუბარი მაშინვე, როგორც კი ერთსა და იმავე დისკურსში ორი ხმა ისმის. ასეთია ყოველი ირიბი ნათქვამის მაგალითი*“.

იმავე მოსაზრებას იზიარებს ოსვალდ დიუკროც, რომელიც აღნიშნავს: « le sens de l'énoncé, dans la représentation qu'il donne de l'énonciation, peut faire apparaître des voix qui ne sont pas celle d'un locuteur » (Ducrot : 1984, 204). „*ნათქვამის შინაარსში შეგვიძლია*

*გავარჩიოთ ხმები, რომლებიც მთქმელს არ ეკუთვნიან, იმის მიხედვით, თუ როგორ წარმოაჩენენ ისინი თქმის პროცესს“.*

პოლიფონიის თაობაზე არსებული გამოკვლევების ანალიზი გვამძლევს იმით თქმის საშუალებას, რომ პოლიფონიის თეორია, თეორიზაციისა და თეორიების მრავალფეროვანი ერთიანობაა. თავდაპირველად, ეს ცნება გვხვდება რუსი მეცნიერისა და კრიტიკოსის, მიხაილ ბახტინის ნაწერებში მე-20 საუკუნის 30-იან წლებში. თუმცა, ბახტინის მიერ ამ ტერმინის დისკურსულ კონცეპტუალიზაციამდე იგი მიეკუთვნებოდა ესთეტიკის სფეროს, ვინაიდან გამოიყენებოდა მუსიკის დარგში. უნდა აღინიშნოს, რომ ბახტინი პოლიფონიაზე ნათლად არ საუბრობს, რადგანაც თავის ნაშრომებს ძირითადად დიალოგიზმის ფენომენს უძღვნის. მაშასადამე, ტერმინ პოლიფონიას იგი მხოლოდ თავის ნაწარმოებში „Проблемы поэтики Достоевского“ იყენებს, რათა აღწეროს დოსტოევსკის რომანული ჟანრი და მისი ტექსტების თავისებურებანი. ბახტინისათვის არსებობს ტექსტების მთელი კატეგორია, კერძოდ კი ლიტერატურული ტექსტები, რომლებშიც მრავალი ხმა საუბრობს ერთდროულად ისე, რომ არც ერთი მათგანი არაა სხვებზე უფრო მნიშვნელოვანი და არ აკრიტიკებს მათ, ანუ მათ შორის არ არის იერარქიზაცია და ყველანი ერთ დონეზე არიან წარმოდგენილი. ოსვალდ დიუკრო, რომელმაც ეს ფენომენი ცოტა მოგვიანებით სიღრმისეულად შეისწავლა, აღნიშნავს: « la théorie de Bakhtine a toujours été appliquée à des textes, c'est-à-dire à des suites d'énoncés, jamais aux énoncés dont ces textes sont constitués » (Ducrot : 1984, 171). *„ბახტინის თეორია ყოველთვის ტექსტებს შეეხებოდა, ასე ვთქვათ გამონათქვამთა თანმიმდევრობას და არა თავად იმ გამონათქვამებს, რომლებითაც ეს ტექსტებია შედგენილი“.*

ნოვაკოვსკა, რომელმაც მნიშვნელოვანი ნაშრომი მიუძღვნა ბახტინის მიერ დიალოგიზმისა და პოლიფონიის ცნებებისა და კონცეპტების ფრანგულ ენაზე თარგმანის პრობლემატიკას, ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ “Si la polyphonie concerne bien des textes, le dialogisme désigne « un principe qui gouverne toute pratique langagière et au-delà, toute pratique humaine et donc tout énoncé”». (Nowakowska 2005 : 25-26) *„თუ პოლიფონია შეეხება მხოლოდ ტექსტებს, დიალოგიზმი აღნიშნავს პრინციპს, რომელიც ყველა*

*ენობრივ და ასევე ყველა ადამიანურ პრაქტიკას განაგებს და, შესაბამისად, ყველა გამონათქვამს“.*

ბახტინის შემდეგ პოლიფონიის თეორია მრავალი დეფინიციისა თუ ინტერპრეტაციის საგანი გახდა. პოლიფონიის ბახტინისეული თეორია ყველაზე ნათლად და ექსპლიციტურად განიხილა ფრანგმა მეცნიერმა ოსვალდ დიუკრომ მე-20 საუკუნის 80-იან წლებში. ამის შემდეგ სკანდინავიელმა პოლიფონისტებმა განავრცეს ეს თეორია. მათ უწოდეს სკაპოლინი la ScaPoLine, ანუ პოლიფონიური ლინგვისტიკის სკანდინავიური თეორია. მისი წარმომადგენლები არიან: ნოლკე, ფლოტუმი და ნორენი. ამ ლინგვისტების პარალელურად, ცნობილმა ფრანგმა ლინგვისტმა ჟაკ ბრესმა და პრაქსემატიკის მკვლევარებმა 90-ანი წლების ბოლოს შექმნეს გუნდი, რომელიც პოლიფონიის თეორიას ბახტინის ნაშრომებზე დაყრდნობით ლინგვისტურად იკვლევენ, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ისინი უპირეტესად მაინც დიალოგიზმზე საუბრობენ.

რაც შეეხება ოსვალდ დიუკროს, იგი აღნიშნავს, რომ გარდა ბახტინისა, რომლის მიმდევრადაც იგი ითვლება, მისი პოლიფონიის თეორია ასევე ეყრდნობა ამერიკელი მეცნიერის ბანფილდის, აგრეთვე ოწიესა (1978) და პლენას (1975 ნაშრომებს. თუმცა, იგი პოლიფონიის ნათელ განმარტებას არ იძლევა. მის ნაშრომებში ვხვდებით მხოლოდ არსის პოლიფონიურ განმარტებას : « C'est l'objet propre d'une conception polyphonique du sens que de montrer comment l'énoncé signale, dans son énonciation, la superposition des plusieurs voix ». *„არსის პოლიფონიური აღქმისათვის დამახასიათებელია აჩვენოს, თუ როგორ მიანიშნებს ნათქვამი თქმის პროცესში მრავალი ხმის თანაარსებობას“* . გამონათქვამის არსი (მნიშვნელობა), ესაა თქმის პროცესის რეპრეზენტაცია. ასევე, მისი აზრით, ნათქვამი, რომელსაც გააჩნია ილოკუტური ძალა (pouvoir illocutoire), თავად თქმის პროცესს სძენს „იურიდიულ“ ძალას, რომ აალაპარაკოს, აამოქმედოს თუ მართებული გახადოს ის, რაც მანამდე არ ყოფილა. ამდენად, მოლაპარაკე სუბიექტი სამეტყველო აქტებს ასრულებს, გადასცემს რა თავის თანამოსაუბრეს ინფორმაციას თავისი ნათქვამის შესახებ. შეიძლება ითქვას, რომ საქმე გვაქვს დიალოგსა თუ გაცვლის



სურათთან, რომელშიც მრავალი ხმის არსებობა იგრძნობა და ამდენად სიტყვათა იერარქიაც. (Ducrot : 1984, 173-184).

პოლიფონიის ცნება მოიცავს „ორმაგი გამონათქვამის“ ფორმებს, რომლებიც, ერთი მხრივ ეფუძნებიან გაორმაგებას, ასე ვთქვათ, ლოკუტორების (მეტყველი სუბიექტების) გამრავლებას (მაგალითად: პირდაპირი ციტირება, ავტონომიური მოდალიზაცია, ანდაზური თუ სენტენციური ფორმები), და, მეორე მხრივ, გამონათქვამში მოცემული მოსაზრებების დაყოფას (L.Perrin 2005 : 175).

დიუკრო თავის პოლიფონიურ თეორიაში გამოყოფს: მოლაპარაკე სუბიექტს, რომელიც თქმის პროცესზეა პასუხისმგებელი, ანუ მთქმელს (énonciateur) და მას განიხილავს როგორც ემპირიულ სუბიექტს sujet empirique, რომელიც მოცემული დისკურსის შექმნას განაპირობებს. ხოლო დისკურსის მეტყველ სუბიექტს ის უწოდებს ლოკუტორს (locuteur), რომელიც ნათქვამზეა (énoncé) პასუხისმგებელი. ამასთან, დიუკრო განასხვავებს ლოკუტორის ორ ტიპს: ლოკუტორი როგორც ასეთი, რომელიც აღინიშნება L -ით, და ლოკუტორი, როგორც სამყაროს არსება, რომელიც აღინიშნება Δ -ით. პირველი არის მხოლოდ პასუხისმგებელი გამონათქვამზე, ხოლო მეორე „სრული“ პერსონა, რომელიც გამონათქვამის სათავეა (Ducrot : 1984, 199-200).

« En ce qui concerne l'énonciateur, c'est un être qui s'exprime à travers l'énonciation ; s'il parle, c'est seulement en ce sens que l'énonciation est vue comme exprimant son point de vue, sa position, son attitude, mais non pas au sens matériel du terme, ses paroles ». Dans la plupart des cas, dans la phrase, il y a plusieurs énonciateurs qui tous ne sont pas identifiés au locuteur, ils sont plus ou moins en accord ou désaccord avec son point de vue ». (დიუკრო 1984 : 204). „ რაც შეეხება გამომთქმელს énonciateur, „ ესაა არსება, რომელიც აზრს გამოხატავს თქმის პროცესში; ის ლაპარაკობს მხოლოდ იმ თვალსაზრისით, რომ თქმის პროცესი გამოხატავს მის მოსაზრებებს, მის პოზიციას, მის მოქმედებებს და არა მის სიტყვებს, ტერმინის მატერიალური გაგებით“. უმეტეს შემთხვევაში, ფრაზაში მრავალი მთქმელია, რომლებიც

*ლოკუტორთან იდენტიფიცირებულნი არ არიან, და ასევე მის მოსაზრებებს მეტ ნაკლებად ეთანხმებიან ან არ ეთანხმებიან“.*

ამრიგად, დიუკრო პოლიფონიის თეორიას პრაგმატიკულ ჭრილში განიხილავს, თავადაც აღნიშნავს, რომ მისი კვლევები „სემანტიკურ პრაგმატიკას“ « *pragmatique sémantique* » და „ლინგვისტურ პრაგმატიკას“ « *pragmatique linguistique* » ეხება (დიუკრო 1984 : 173).

ხოლო დიუკროს მიმდევარი სკაპოლინის ჯგუფის წევრების მთავარი მიზანია ენის სემანტიკური აღწერა, ისინი მიიჩნევენ, რომ « *La théorie de la polyphonie, c'est une théorie énonciative, sémantique, discursive, structuraliste et instructive* » „*პოლიფონიური თეორია, ეს არის „ენონსიაციური, სემანტიკური, დისკურსული, სტრუქტურალისტური და ინსტრუქციული თეორია“.* იგი ენონსიაციურია, რადგან ეხება გამონათქვამს, სემანტიკურია, რადგან მისი საგანია გამონათქვამების აზრი (საზრისი), იგი დისკურსულია, რადგან აზრი დაკავშირებულია დისკურსთან, იგი სტრუქტურალისტურია, რადგან გამომდინარეობს დისკურსის ორგანიზაციის სტრუქტურალისტური კონცეფციიდან“ (Nolke, 2004 : 28).

როგორც ლ. პერენი აღნიშნავს, ნოლკესათვის : „*პოლიფონია, ეს არის ერთ გამონათქვამში სხვადასხვა მოსაზრებებისა თუ ხმების არსებობა*“ ( Perrin : 2006, 280). მოსაზრებები და ხმები, ეს ტერმინები დიუკროდან მომდინარეობს. ამრიგად, ნოლკე პოლიფონიას განსაზღვრავს მოსაზრებების კუთხით. ამასთანავე, იგი გამოყოფს პოლიფონიის სხვადასხვა ტიპს: შინაგანი პოლიფონია, შინაგანი პოლიფონია მკაცრი გაგებით, გარეგანი პოლიფონია, გარეგანი პოლიფონია მკაცრი გაგებით. რაც შეეხება აზრს (საზრისს), ნოლკე და სკაპოლინი მიიჩნევენ, რომ ესაა „ინსტრუქციების ერთობლიობა, რომლებიც წარმოდგენილია გადმომცემის მიერ, რათა მიმღებმა იგი კარგად გაიგოს“ (Nolke : 2004). პატრიკ დანდალი აღნიშნავს, რომ სკანდინავიური თეორია პოლიფონიის შესასწავლად ხშირად იყენებს ტერმინებს *responsabilité* - პასუხისმგებლობა და *prise en charge*- თავის თავზე აღება (P .Dendale : D .Coltier 2205.).

არსებობს გამონათქვამის (énoncé) პოლიფონიური თეორიის პრაქსემატიკული მიდგომა, რომელიც ბახტინის თეორიიდან გამომდინარეობს და მხედველობაში იღებს ბახტინის ტექსტს მთელი მისი სირთულითა და მრავალფეროვნებით. თუმცა, პრაქსემატიკოსები უფრო მეტად საუბრობენ დიალოგიზმზე, ვიდრე პოლიფონიაზე. ამდენად, ბრესისათვის დიალოგიზმი, ესაა: « La capacité de l'énoncé à faire entendre, outre la voix de l'énonciateur, une ou plusieurs voix qui le feuilletent énonciativement » „გამონათქვამის უნარი, მთქმელის ხმის გარდა გაგვაგონოს სხვა - კიდევ ერთი ან მრავალი ხმა, რომლებიც მას ენონსიაციურად ფარავენ“. ამრიგად, დიალოგიზმი, ესაა დისკურსისათვის დამახასიათებელი განზომილება, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ დისკურსი მისი პროდუცირების დროს ხვდება სხვა დისკურსებს ( P. Dendale & D. Goltier : 285). ამრიგად, ბრესის ამგვარი განმარტება დიუკროს მიერ შემოთავაზებული განმარტების მსგავსია. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პრაქსემატიკის მიმდევრები პოლიფონიის ცნებას დიალოგიზმის ცნებას ამჯობინებენ.

ამრიგად, კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით იმაში, რომ დიალოგიზმისა და პოლიფონიის ცნებები ერთმანეთის მსგავსი ცნებებია და რომ სწორედ პოლიფონია უზრუნველყოფს დიალოგიზაციის სამი ფორმის არსებობას, რომელზეც პირველ თავში გვექონდა საუბარი.

## 2.5 დიალოგიზმი/პოლიფონია

როგორც უკვე წინა თავებში აღვნიშნეთ, დიალოგიზმისა და პოლიფონიის ფენომენები, რომლებიც სათავეს მ. ბახტინის შრომებიდან იღებენ, ორივე ერთად წარმოადგენს ადამიანის ყოველდღიური მეტყველების განუყოფელ ნაწილს. უდაოა ისიც, რომ დიალოგიკური და პოლიფონიური მიდგომები საშუალებას გვაძლევვენ შევისწავლოთ გამონათქვამის ჰეტეროგენულობა (hétérogénéité énonciative), ანუ ის ფაქტი, რომ ნებისმიერ გამონათქვამში ყოველთვის აღბეჭდილია სხვათა სიტყვები, რომ

ადამიანი რასაც ამბობს, პირველად არ ამბობს. მისი ნათქვამი ყოველთვის გამომდინარეობს სხვების მიერ, მანამდე უკვე წარმოთქმული ნათქვამებიდან და ასევე მიმართულია თავისი ადრესატისადმი, რომლისგანაც შესაბამის პასუხს მოითხოვს.

ბახტინიდან მოყოლებული დღემდე, ეს ბინარული ოპოზიცია, დიალოგიზმი/პოლიფონია, არაერთი ლინგვისტისა თუ მკვლევარის შესწავლის საგანს წარმოადგენს. არსებობს ათასგვარი საპირისპირო მოსაზრება მათ შორის არსებულ სიახლოვესა თუ სიმორეზე. დღეისათვის იგი კვლავ დავისა თუ აზრთა სხვაობის საგანია.

ჩვენ წინა თავებში შევეცადეთ ეს ორი ფენომენი მეტ-ნაკლებად ცხადად დაგვენახებინა, ახლა კი ჩვენი მიზანია ვაჩვენოთ ორივე ერთად, რა საერთო და განმასხვავებელი ნიშნებით ხასიათდება თითოეული მათგანი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ორივე ტერმინი სათავეს სწორედ დიდი, რუსი თეორეტიკოსის, მ. ბახტინის ნაშრომებიდან იღებს. თუმცა, რუსი მეცნიერი ორივე მათგანს ერთნაირი სიხშირით არ მოიხსენიებს. თავად ტერმინ პოლიფონიას იგი მხოლოდ 1929 წელს, თავის ნაშრომში „Проблемы творчества Достоевского“ იყენებს, ხოლო შემდეგ 1963 ოდნავ შეცვლილ ვარიანტში “Проблемы поэтики Достоевского”, რათა აღწეროს დოსტოევსკის შემოქმედება, რომანის სტრუქტურასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია, რაც ასოცირდება თავად რომანთან.

მას შემდეგ, პოლიფონია მის არც ერთ ნაწარმოებში აღარ ფიგურირებს. სამაგიეროდ, დიალოგიზმის ცნებას ბახტინი მთელ შემოქმედებაში, 1929 წლიდან მოყოლებული 1970 წლამდე, ფართოდ იყენებს, რომელიც ასევე განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს თავის ნაწარმოებებში: „Эстетика словесного творчества“ და „Проблемы речевых жанров“.

როგორც უკვე ვახსენეთ, პოლიფონია მეტაფორული ტერმინია, რომელიც მომდინარეობს მუსიკის სფეროდან და აღნიშნავს ხმათა სიმრავლეს, ანუ იმ მოვლენას, რომ გამონათქვამში მთხრობელისა თუ გამომთქმელის ნათქვამში ყოველთვის ისმის სხვათა ხმები და ამ შემთხვევაში შეიძლება იგი დიალოგის ტოლფასივც კი იყოს.

ცნობილია, რომ ბახტინთან ორივე ცნება თან ახლავს დიალოგიზაციის პროცესს, ანუ გულისხმობს ინტერაქციას ორ, ან მრავალ დისკურსსა თუ გამონათქვამს შორის. ამასვე მოწმობს თავად მეცნიერის სიტყვებიც: „Le roman polyphonique est tout entier Dialogue. Entre tous les éléments de la structure romanesque existent des rapports de dialogue“ (Bakhtine 1970 : 52) „*პოლიფონიური რომანი მთლიანად დიალოგია. რომანის სტრუქტურის ყველა ელემენტებში არსებობს დიალოგიკური ურთიერთობები*“. « la parole de l’auteur est orientée vers le héros comme vers une parole et, de ce fait, adressée à lui dans le dialogue. L’auteur, de par toute la construction de son roman, ne parle pas du héros mais avec le héros ». (Bakhtine, 1970 : 77) „*ავტორის სიტყვები ყოველთვის გმირისკენ არის მიმართული, ისევე როგორც თავად სიტყვისაკენ, ამდენად, იგი მისკენ მიმართულია დიალოგში. ავტორი მთელ თავის რომანში საუბრობს არა გმირზე, არამედ გმირთან ერთად*“.

პრაქსემატიკოსების ტერმინოლოგიის განმარტებით ლექსიკონშიც პოლიფონიის განმარტება მოცემულია, რომანთან მიმართებით, ბახტინისეული განმარტებიდან გამომდინარე : « Le roman polyphonique se caractérise ainsi, d’une part, par une multiplicité de voix indépendantes et ; d’autre part, par l’interaction entre les différentes voix ». (Verine, Detrie 2001 : 256) „*პოლიფონიური რომანი ერთი მხრივ, ხასიათდება დამოუკიდებელი ხმების სიმრავლით, მეორე მხრივ კი - სხვადასხვა ხმის შორის არსებული ინტერაქციით*“.

ასევე ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ ბახტინის ტექსტებიდან გამომდინარე პოლიფონიის ტერმინი მხოლოდ ლიტერატურული ტექსტების, განსაკუთრებით კი

რომანების, შესასწავლად არის გამოყენებული. მაშინ როცა დიალოგიზმი ყველაზე მკაფიოდ გამონათქვამის ჩარჩოში ჩანს, დიალოგიური იქნება ის თუ მონოლოგიური. შესაბამისად, როგორც პრაქსემატიკოსები აღნიშნავენ, დიალოგიზმი არის « un principe qui gouverne toute pratique langagière et au-delà toute pratique humaine ». ( Nowakowska , 2005:26) „ პრინციპი, რომელიც ყველა სამეტყველო პრაქტიკას განაგებს და შესაბამისად ყველა ადამიანურ პრაქტიკას“. ამ განსხვავების მიუხედავად, ამ ორ კონცეპტს შორის მსგავსება მდგომარეობს იმაში, რომ ორივენი დიალოგის იდეას, ანუ ერთ ან რამოდენიმე დისკურსს შორის ინტერაქციას ეფუძნება.

ამრიგად, ორივე ტერმინი აღნიშნავს გამონათქვამში ერთის გარდა სხვა ხმების არსებობას, თუმცა, კიდევ ერთი არსებითი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ, დიალოგიზმის შემთხვევაში. ეს ხმები სხვადასხვა დონეზე, იერარქიით არიან წარმოდგენილნი, ხოლო პოლიფონიის შემთხვევაში ეს ხმები თანასწორუფლებიანია. ამ აზრს თავად პრაქსემატიკოსებიც იზიარებენ. როგორც ბრესი და ნოვაკოვსკა აღნიშნავენ: « Alors que dans le dialogisme les voix sont hiérarchisés énonciativement, la polyphonie les présente à égalité » (Bres&Nowakowska , 2006 :23). „*მაშინ როდესაც დიალოგიზმის შემთხვევაში ხმები ენონსიაციურად (გამონათქვამის დონეზე) იერარქიულად არიან წარმოდგენილნი, პოლიფონია ამ ხმებს თანასწორუფლებიანად წარმოგვიდგენს*“.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბახტინის შემოქმედების გავლენით, პოლიფონიის თეორია ფრანგულ ლინგვისტურ სინამდვილეში პირველად დიუკრომ შემოიტანა (1980), ხოლო შემდეგ მისმა მიმდევრებმა: ნოლკემ, ფლოტუმმა, (სკაპოლინის ScaPoLine მიმდინარეობის წარმომადგენლები), ანსკომბრმა, ვიონმა, რებულმა და სხვ. ხოლო, მათ პარალელურად, ბახტინის დიალოგიზმის თეორია განავრცეს და ღრმად შეისწავლეს ფრანგმა პრაქსემატიკოსმა მეცნიერებმა: ბრესი, ნოვაკოვსკა, ოტიე-რევიუ, მელე, მუარანი, როზიე და სხვ.

ოსვალდ დიუკრომ პოლიფონიის პრაგმატიკული თეორია შემოგვთავაზა, რადგან მასზე ლინგვისტურმა პრაგმატიკამ იქონია ზეგავლენა. ამრიგად, მას პოლიფონიის კონცეპტი ტექსტის დონიდან გამონათქვამის დონეზე გადააქვს და გამონათქვამის ჭრილში განიხილავს. შესაბამისად მისი თეორია ბევრად არის დაშორებული ბახტინისეული მიდგომისაგან, რადგანაც ამ უკანასკნელმა პოლიფონია ლიტერატურის, ანუ რომანის დონეზე შეისწავლა.

დიუკრო თავის პოლიფონიურ თეორიას აღწერს, როგორც « Une extension à la linguistique des recherches de Bakhtin sur la littérature » (Ducrot 1984 : 173). *“ბახტინის ლიტერატურის კვლევების გავრცობას ლინგვისტიკაში“*. ამგვარად, მან პოლიფონიის ტერმინი ლიტერატურის სფეროდან ყოველდღიური გამონათქვამის სფეროში გადმოიტანა. ამდენად, შეგვიძლია თავისუფლად ვივარაუდოთ, რომ ბახტინის თეორიას ამით დაშორდა. იგი აქვე აღნიშნავს, რომ როგორც მისთვის არის ცნობილი, « La théorie de Bakhtine a toujours été appliquée à des textes, c'est-à-dire à des suites d'énoncé, jamais aux énoncés dont ces textes sont constitués, de sorte qu'elle n'a pas abouti à mettre en doute le postulat selon lequel un énoncé isolé fait entendre une seule voix. » (Ducrot 1984 : 171). *„ბახტინის თეორია ყოველთვის ტექსტებს იკვლევდა, ანუ გამონათქვამების თანამიმდევრობას, და არასოდეს იმ გამონათქვამებს, რომლებითაც ეს ტექსტებია შედგენილი, იმგვარად, რომ მას არასოდეს დაუყენებია ეჭვის ქვეშ ის პოსტულატი, რომლის თანახმადაც თითქოს ერთ იზოლირებულ გამონათქვამში მხოლოდ ერთი ხმა ისმოდეს“*.

თუმცა, ამ მოსაზრებას პრაქსემატიკოსები და არც ჩვენ არ ვეთანხმებით, რადგან როგორც ბრესი აღნიშნავს: « Bakhtine a bel et bien esquissé des analyses de la pluralité des voix non seulement au niveau macro-textuel , mais également au niveau micro-textuel de l'énoncé . (Bres 2007 : 14) *„ ბახტინმა ხმათა მრავალფეროვნების ანალიზი არა მხოლოდ გამონათქვამის მაკრო- ტექსტუალურ დონეზე შემოგვთავაზა, არამედ მის მიკრო- ტექსტუალურ დონეზეც“*.

მოსაზრების გასამყარებლად მოვიყვანთ თავად რუსი მეცნიერის ციტირებას:

« Les rapports de dialogue ne sont pas seulement possibles entre énoncés complets : une attitude de dialogue est également possible à l'égard de n'importe quelle partie signifiante de l'énoncé ; même à l'égard d'un mot séparé s'il n'est pas considéré comme un mot impersonnel de la langue, mais comme signe d'une position de sens appartenant à quelqu'un d'autre, c'est-à-dire si nous percevons en lui la voix d'un autre . (Bakhtine 1970 : 214) . „ დიალოგიური ურთიერთობები მხოლოდ მთლიან გამონათქვამებს შორის არ არის შესაძლებელი: დიალოგიური მიდგომა ასევე გამონათქვამის ნებისმიერი მნიშვნელობის მქონე ნაწილის მიმართაც არის შესაძლებელი, თავად განცალკევებული სიტყვის მიმართაც, თუ იგი ენის გაუპიროვნებელ სიტყვად არ არის მიჩნეული, არამედ მიიჩნევა, როგორც მნიშვნელობის მქონე ნიშანი, რომელიც ვიღაც სხვას ეკუთვნის, ანუ თუ ჩვენ მასში სხვისი ხმა გვესმის“.

ამრიგად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დიუკრო ბახტინის მხოლოდ ერთ ნაშრომს, *Problèmes de la poétique de Dostoïevski*, იცნობდა და აქედან გამომდინარე ამბობდა ამას. თანაც, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იქ, რომელშიც ბახტინი საუბრობს დიალოგიზმზე, ანუ ხმათა იერარქიაზე ყოველდღიურ საუბარში, დიუკრო სწორედ აქ საუბრობს პოლიფონიაზე, რადგან ამ ხმებს იერარქიულად წარმოგვიდგენს.

პრაქსემატიკოსების მოსაზრება ბახტინის მოსაზრებასთან უფრო ახლოს დგას, რადგან მათთვის « L'énoncé dialogique présente une dualité énonciative hiérarchisée » (Bres 2006 : 3) . „ დიალოგიკური გამონათქვამი იერარქიულ ენონსიაციურ ორბუნებიანობას წარმოადგენს“.

ასევე, დიუკროს თეორია ბახტინისაგან იმით განსხვავდება, რომ იგი საერთოდ არ ახსენებს დიალოგიკური ურთიერთობების იმ ორ ძირითად ორიენტაციას, რომელზეც თავად ბახტინიც კი საუბრობს. ეს ურთიერთობებია ინტერდისკურსული და ინტერლოკუტური. ამრიგად, როგორც ბრესი და როზიე თავიანთ სტატიაში აღნიშნავენ,



დიუკროსათვის « L'hétérogénéité apparaît comme la mise en scène des différentes attitudes - indépendantes les unes des autres ou qui dialoguent entre elles» . ( Bres&Rosier 2008 : 15)

*„ჭეტეროგენულობა გამოხატულია, როგორც სხვადასხვა მოსაზრებების მიზანსცენა, რომლებიც ან ერთმანეთისაგან დამოუკიდებელნი არიან ან კიდევ, ერთმანეთს შორის დიალოგში იმყოფებიან“.*

ამგვარად, როგორც ბრესი აღნიშნავს, დიუკროს მოსაზრებიდან გამომდინარე, « c'est penser la production de la parole en terme non de réponse mais de mis en scène énonciative». (Bres 2005 : 58-59) *„სიტყვის პროდუცირება აღიქმება, როგორც ენონსიაციური მიზანსცენა და არა როგორც პასუხი“.* ეს მოსაზრება უპირისპირდება დისკურსის პროდუცირებასთან დაკავშირებულ მიდგომას, რადგანაც იმ ხმის გარდა, რომელსაც ლოკუტორი *გამოსცემს* (met en scène), არის კიდევ მრავალი ხმა, რაც მის დისკურსში მისდაუნებურად ისმის. ამგვარად, ეს ნიშნავს, რომ ნებისმიერი ლოკუტორის მიერ წარმოთქმული სიტყვა მხოლოდ სხვა დისკურსებთან ინტერაქციის შედეგად იძენს ძალას.

თუმცა, შესაძლოა, რომ ბახტინი დიუკროსათვის პირდაპირი ინსპირატორი არ იყოს, რადგან, როგორც ამ ციტატიდან ჩანს, სავარაუდოა, რომ მას ბალის გავლენა უფრო ჰქონდა, ვიდრე ბახტინის: « C'est en lisant Bally et spécialement le début de linguistique générale et linguistique française que j'ai été amené à esquisser une théorie linguistique de la polyphonie » (Ducrot 1986 : 13-14) . *„ სწორედ, რომ ბალის კითხვისას, განსაკუთრებით კი ზოგადი ლინგვისტიკისა და ფრანგული ლინგვისტიკის დასაწყისის კითხვისას, გადავწყვიტე, პოლიფონიური ლინგვისტიკის მონახაზი გამეკეთებინა“.*

თუმცა, ძირითადად, ყველა მიიჩნევს, რომ დიუკრო ბახტინის გავლენას ნამდვილად განიცდიდა. ამგვარად, მან პოლიფონია თავისი მნიშვნელობით გადმოიღო ბახტინიდან და იგი იმდენად შეითვისა, რომ თავის „Sa propre théorie de la polyphonie « *„საკუთარ პოლიფონიის თეორიაზე“* კი საუბრობს (Ducrot 1984 : 172).

შესაბამისად, მას ბევრი მიმდევარი ლინგვისტი გამოუჩნდა, რომლებიც დიუკროს პოლიფონიის შესწავლისას აღნიშნავენ, რომ პოლიფონია დიუკროსეული ცნებაა. ეს ლინგვისტები არიან, პირველ რიგში სკაპოლინის მიმდინარეობის წარმომადგენლები: ნოლკე, ფლოტუმი, ნორენი, ასევე რ. ვიონი, ლ. პერენი და ა.შ.

დიუკროს მოსაზრებებს პოლიფონიის შესახებ ასევე დიდი გამოხმაურება მოჰყვა, რომელთა შორის ნიშანდობლივია სკაპოლინის პოლიფონიური ლინგვისტიკის სკანდინავიური სკოლა, იგი მეტ-ნაკლებად ერთგული რჩება დიუკროს თეორიისა და გამონათქვამს, ისევე როგორც ტექსტს, მიიჩნევს როგორც მრავალი ხმის მიზანსცენას. ისინი ხმის ნაცვლად ხშირად ხმარობენ მოსაზრებას *point de vue*. მათთვის პოლიფონია განისაზღვრება სხვადასხვა მოსაზრებების არსებობით. ხოლო, პრაქსემატიკოსები ამ ხმებს უწოდებენ აქტუალიზებულ გამონათქვამებს (*énoncés actualisés*). როგორც ნოლკე აღნიშნავს « *La polyphonie c'est bien évidemment cette présence de différents points de vue ou de voix dans un seul énoncé* » (Nolke 2004 : 146). „ *პოლიფონია, რა თქმა უნდა, არის სხვადასხვა მოსაზრებებისა და თუ ხმების არსებობა ერთსა და იმავე გამონათქვამში*“.

საინტერესო იქნება, შემოგთავაზოთ ერთ-ერთი ფრანგი ლინგვისტის, პატრიკ დენდალის მოსაზრებანი ჩვენ მიერ ნახსენები ავტორების შემოთავაზებული დიალოგიზმსა და პოლიფონიას შორის არსებულ მსგავსება-განსხვავებასთან დაკავშირებით. როგორც დენდალი აღნიშნავს, ტერმინები დიალოგიზმი და პოლიფონია ბახტინის მიერ იხმარება ხმათა სიმრავლესთან მიმართებაში, თუმცა, ისინი ერთსა და იმავე კონცეპტს არ აღნიშნავენ: პოლიფონია, ესაა ხმათა სიმრავლე ტექსტში, ხოლო დიალოგიზმი - ხმათა სიმრავლე გამონათქვამში. როგორც პ. დენდალი და დ. გოტიე აღნიშნავენ, ძირითადი განსხვავება დიუკროს, სკაპოლინის პოლიფონიისა და პრაქსემატიკოსების დიალოგიზმის კონცეფციებს შორის არის ის, რომ პირველნი ცნებას განმარტავენ როგორც ხმათა სიმრავლეს, მეორენი მოსაზრებათა სიმრავლეს, ხოლო მესამენი, როგორც წინა და მომდევნო დისკურსებს შორის არსებულ დიალოგს. (Dendale&Gautier 2006 : 288)

აღსანიშნავია ასევე ფრანგი მეცნიერის ა.რაბატელის მოსაზრებანიც დიალოგიზმი/პოლიფონიას შორის არსებულ განსხვავებასთან დაკავშირებით. როგორც ეს მეცნიერი აღნიშნავს, პოლიფონია არის დიალოგიზმის „სხვა“ (და პირიქით), მაგრამ თეორიულ პლანში ეს სხვა სრულიად უცხოა. (A, Rabatel 2008 : 362)

თუ გავითვალისწინებთ მის მოსაზრებებს, დიალოგიზმი და პოლიფონია წარმოადგენენ « Deux facettes complémentaires pour aborder les phénomènes d'hétérogénéité énonciative d'un point de vue translinguistique (dialogisme) ou esthétique-anthropologique (polyphonie) ». (Rabatel 2008 : 363) „ორ ერთმანეთის შემავსებელ სახეცვლილებას, რათა შევისწავლოთ ენონსიაციური ჰეტეროგენულობა ტრანსლინგვისტური (დიალოგიზმი) თუ ესთეტიურ-ანთროპოლოგიური (პოლიფონია) კუთხით“ და რომლებიც მოლაპარაკე სუბიექტის ერთადერთობას უსვამენ ხაზს. მისთვის დიალოგიზმი არის

« le dialogisme, comme le phénomène linguistique fondamental de tout énoncé traversé par le dialogue interne ou externe que l'énonciateur entretient avec d'autres énonciateurs ; la polyphonie correspond à un phénomène langagier d'essence esthétique, caractéristique de certains discours romanesques dans lesquels le narrateur fait parler des points de vue différents, sans paraître les subordonner au sien propre . » (Rabatel 2008 : 364) „ყოველი გამონათქვამის ფუნდამენტური ლინგვისტური ფენომენი, რომელშიც იგრძნობა ის შიდა და გარე დიალოგი, რომელიც გამომთქმელს სხვა გამომთქმელებთან გააჩნია. ხოლო პოლიფონია შეესაბამება ესთეტიური მნიშვნელობის სამეტყველო ფენომენს, რომელიც ახასიათებს ზოგიერთი რომანისათვის დამახასიათებელ დისკურსს, რომელშიც მთხრობელი სხვადასხვა მოსაზრებებს ალაპარაკებს ისე, რომ მათ თავის საკუთარს არც უქვემდებარებს.

რაბატელი თვლის, რომ ეს ორივე კონცეპტი ერთმანეთს ავსებს, « Comme le montre le concept de dialogisation qui leur sert d'interface ». (Rabatel 2008 : 368) „როგორც

*ამას მოწმობს თავად დიალოგიზაციის ფენომენი, რომელიც მათთვის ინტერფასს წარმოადგენს“.* ამრიგად, დიალოგიზაცია პოლიფონიიდან დიალოგიზამდე გადასვლის საშუალებას იძლევა. საბოლოოდ რაბატელიც მიდის იმ დასკვნამდე, რომ პოლიფონიურ რომანშიც არის დიალოგიზმი, იშველიებს რა თავად ბახტინის სიტყვებს: « Dans le roman la dialogisation sous tend de l'intérieur la conceptualisation même de son objet et son expression (Bakhtine 1978 : 107 cité in Rabatel 2008 : 369) „რომანში დიალოგიზაცია ძირეულად აღნიშნავს თავისი საგნის კონცეპტუალიზაციას და მის გამომჟღავნებას“.

შეგვიძლია ისიც ვთქვათ, რომ ამ ორი კონცეპტიდან - დიალოგიზმი და პოლიფონია - პირველი უფრო სპეციფიკური კონცეპტია, ხოლო მეორე უფრო ზოგადი და შეუძლია, რომ პირველი მოიცვას. საბოლოოდ კი უნდა ითქვას, რომ დიალოგიზმსა და პოლიფონიას ერთი რამ უდავოდ აქვთ საერთო, დიუკროს სიტყვებით რომ ვთქვათ, ორივე ეს ფენომენი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს „მოლაპარაკე სუბიექტის ერთადერთობას“ « l'unité du sujet parlant », ანუ იმ ფაქტს, რომ თითოეული გამონათქვამი მხოლოდ ერთ, ლოკუტორტან გაიგივებულ გომომთქმელს არ მიეკუთვნება.

რაც შეეხება ლინგვისტურ მარკერებს, რომლებიც ახასიათებს ამ ორივე ფენომენს, როგორც ჩვენი კვლევებიდან დავადგინეთ, დიალოგიზმისა და პოლიფონიის მიმდევრების მიერ აღმოჩენილ მარკერებს შორის არის ბევრი ისეთი მსგავსი მარკერი, რომლებიც ორივე ფენომენისათვის იდენტურია, რადგანაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ისინი ერთსა და იმავე ფენომენზე საუბრობენ, უბრალოდ ერთნი პოლიფონიას ახსენებენ, მეორენი კი დიალოგიზმს. ხოლო, ვინაიდან ფრანგულ სინამდვილეში დიალოგიზმს უფრო ბევრი მიმდევარი ჰყავს და ჩვენც ძირითადად მათ შრომებს ვეყრდნობით, შესაბამისად დიალოგიზმის მარკერებიც უფრო მრავლად აღმოვაჩინეთ.

## 2.6 ინტერტექსტუალურობის ფენომენი

როდესაც ვსაუბრობთ დიალოგიზმისა და პოლიფონიის თეორიების შესახებ, არ შეიძლება ყურადღების მიღმა დავტოვოთ ინტერტექსტუალურობის ფენომენი, რომელიც თავისი არსით ახლოს დგას ამ ორ ფენომენტთან და ასევე დიდ როლს ასრულებს ნებისმიერი ტექსტი/დისკურსის არსის პროდუცირებაში, რადგან, როგორც, უკვე არაერთგზის, აღვნიშნეთ, ნებისმიერი ტექსტი სხვა ტექსტების გამოძახილია და მათთან მუდმივად არის დაკავშირებული.

ტერმინები *ინტერტექსტი* და *ინტერტექსტუალურობა* პირველად შემოიტანა იქნა ფრანგი სემიოტიკოსისა და პოსტმოდერნიზმის თეორეტიკოსის, იულია კრისტევის ნაშრომებში მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში. კერძოდ კი, 1967 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „ბახტინი, სიტყვა, დიალოგი, რომანი“ « Bakhtine, le mot, le dialogue, le roman». მან პირველად შემოიტანა ტერმინი *ინტერტექსტუალურობა* ლიტერატურის თეორიაში. ინტერტექსტის ცნება ასევე « Tel Quel »- ის თეორიული ნაშრომების ერთ-ერთი კვლევის საგანია. ავანგარდული ლიტერატურის ჟურნალი « Tel Quel » 1960 წელს პარიზში, Seuil-ს გამომცემლობაში დაარსდა და მისი მთავარი რედაქტორი ფ. სოლერსი იყო. მასში შევიდა მ. ფუკოს, რ. ბართის, ჟ. დერიდას, ფ. სოლერსისა და ჟ. კრისტევის ნაშრომები. 1968 წელს აღნიშნულ ჟურნალში იულია კრისტევა აქვეყნებს კიდევ ერთ ნაშრომს « Théorie d'ensemble » („ერთიანობის თეორია“), რომელშიც მან მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო ინტერტექსტუალურობის შესწავლას ისევე, როგორც 1969 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში « *Séméiotikè, recherche pour une sémanalyse* » („სემიოტიკა, კვლევა სემანალიზისთვის“). ამ პერიოდიდან მოყოლებული დღემდე ინტერტექსტუალურობის პრობლემა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე ფილოლოგიურ კვლევებში და იგი მრავალი მეცნიერის კვლევის საგანს წარმოადგენს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იულია კრისტევას ინტერტექსტუალურობის თეორია სათავეს იღებს ბახტინის თეორიული ნაშრომებიდან. როგორც ცნობილია, პირველად ბახტინი რუსულიდან ფრანგულად ითარგმნა 1970 წელს, იულია კრისტევას სტატიის „ბახტინი, სიტყვა, დიალოგი, რომანი“ გამოცემიდან სამი წლის შემდეგ. ამრიგად, კრისტევამ პირველმა მისცა საშუალება ფრანკოფონულ მკითხველს, გაეცნო და გაეაზრებინა ბახტინის თეორია. თუმცა, ბახტინი საერთოდ არ საუბრობს და არ ახსენებს ინტერტექსტუალურობას. უბრალოდ, კრისტევამ განავითარა მისი დიალოგიზმისა და პოლიფონიის თეორია და დიალოგიზმის ცნების ნაცვლად შემოიტანა ინტერტექსტუალურობის ცნება, რომელსაც იგივე ტექსტური ეფექტი გააჩნია და რომლის მიხედვითაც ყოველი ახალი ტექსტი წარმოადგენს რეაქციას სხვა, მანამდე შექმნილ ტექსტებზე.

ინტერტექსტუალურობის კვლევა საშუალებას გვაძლევს უფრო ღრმად გავაანალიზოთ ტექსტი, რადგან ხშირად ინტერტექსტუალური მინიშნების გათვალისწინების გარეშე ტექსტის გაგება-ინტერპრეტაცია ძნელი და ზოგჯერ შეუძლებელიც ხდება. ამრიგად, ინტერტექსტუალურობის ფენომენის შესწავლისას ტექსტი და ინტერტექსტი მნიშვნელოვან ცნებებს წარმოადგენენ. როგორც აღნიშნავს ჟან პეიტარი, ინტერტექსტზე ვერ ვისაუბრებთ, თუ ყურადღებას არ შევამჩნევთ ტექსტის კონცეპტზე (J. Peytard 1995,114).

იულია კრისტევაც ინტერტექსტუალურობას განიხილავს, როგორც ტექსტის უმთავრეს განზომილებას, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ტექსტის პროდუცირებაში და რომელსაც იგი ანიჭებს უფრო ზოგად მნიშვნელობას. მისი აზრით : « Tout texte se construit comme mosaïque de citations, tout texte est absorption et transformation d'un autre texte. A la place de la notion d'intersubjectivité s'installe celle d'intertextualité et le langage poétique se lit, au moins, comme double » ( Kristeva , 1967 : 440-441 ).*« ნებისმიერი ტექსტი აიგება როგორც ციტატების მოზაიკა, ნებისმიერი ტექსტი წარმოადგენს სხვა ტექსტის ტრანსფორმაციისა და შთანთქმის (აბსორბციის)*

*შედეგს. ინტერსუბიექტულობის ნაცვლად საქმე გვაქვს ინტერტექსტუალურობასთან და პოეტური ენა იკითხება, სულ მცირე როგორც ორმაგი“.*

იგი ინტერტექსტუალურობას განიხილავს, როგორც „ტექსტუალურ ინტერაქციას“, რომელიც ცალკე აღებულ, კონკრეტულ ტექსტში ხორციელდება. ამრიგად, ნებისმიერი ახალი ტექსტის წარმოქმნა შეუძლებელია უკვე არსებულ ტექსტებზე დაყრდნობის გარეშე.

როგორც კინწურაშვილი აღნიშნავს: ”ინტერტექსტის კრისტევასეული განმარტება მჭიდროდ უკავშირდება ბახტინის ნაშრომების მისეულ კომენტარს. სწორედ მან დაადგინა დიალოგსა და ტექსტებს შორის პარალელი და სიტყვის სტატუსი. სიტყვა, რომელიც ერთდროულად ეკუთვნის წარმომთქმელსა (პროდუცენტს) და აღმქმელს (რეციპიენტს) და ორიენტირებულია როგორც წინამავალი, ასევე თანამედროვე გამონათქვამებისაკენ. ამრიგად, ტექსტი იბადება სხვა ტექსტების გადაკვეთაზე” (მ. კინწურაშვილი 2009.15-16) .

კრისტევასეული მოსაზრების ანალოგიური აზრი ჩანს ფრანგი მეცნიერის, ს.რაბოს განმარტებაშიც: « L'intertextualité désigne le travail de transformation et d'assimilation de plusieurs textes ». (S.Rabau,2002 :65) „*ინტერტექსტუალურობა აღნიშნავს მრავალი ტექსტის ასიმილაციასა და ტრანსფორმაციას“.*

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინტერტექსტუალურობას მეცნიერები ლიტერატურული ტექსტის დონეზე იკვლევენ. ს.რაბოც აღნიშნავს, რომ ინტერტექსტუალურობა საშუალებას გვაძლევს ლიტერატურა წარმოვიდგინოთ, როგორც სივრცე, ან ქსელი, რომელშიც ყოველი ტექსტი სხვა ტექსტებს გარდაქმნის. მისივე აზრით, ინტერტექსტუალურობა ტექსტების ანალიზის წარმოადგენს. ასევე, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, რადგანაც ტექსტებს შორის არსებობს უწყვეტობა « Il est possible, par l'intertextualité de franchir les limites de sa clôture ». (S. Rabau, 2002 : 24)

*„ინტერტექსტუალურობა საშუალებას გვაძლევს გადავლახოთ ტექსტის შემოფარგვლის საზღვრები.“*

საინტერესო იქნება, აქვე ვახსენოთ სხვა მეცნიერთა მოსაზრებები ინტერტექსტუალურობის ფენომენის შესახებ, რომლებიც მას ასევე ტექსტთან მიმართებაში განიხილავენ. ამერიკელი მეცნიერის, ლორან ჯენისათვისაც « l'intertextualité est affaire de rapport entre plusieurs textes, ou entre un texte et un « arché-texte » (L. Jenny 1976, 262). *“ინტერტექსტუალურობა, ესაა კავშირი რამდენიმე ტექსტს, ან მოცემულ ტექსტსა და ”არქე-ტექსტს შორის“.* იგი ასევე აღნიშნავს, რომ ინტერტექსტუალურობის განმარტების მიხედვით «... Toute prise en compte de l'altérité est en même temps une transformation du discours de l'autre. » (L. Jenny , 1976 :262-263). *„ყოველ ჯერზე სხვის გათვალისწინება სხვისი დისკურსის ტრანსფორმაციაა“.*

ხოლო რიფატერისათვის, ინტერტექსტუალურობა აუცილებელია ტექსტის გაგებისათვის. მისი აზრით, „L'intertextualité est la perception par le lecteur des rapports, entre une œuvre et d'autres, qui l'ont précédée ou suivie. Ces autres œuvres constituent l'intertexte de la première » (Riffaterre in J. Peytard 1995,115). *« ინტერტექსტუალურობა, ესაა მკითხველის მიერ მოცემულ ნაწარმოებსა და სხვა მანამდე შექმნილ თუ მომდევნო ნაწარმოებებს შორის არსებული კავშირების აღქმა. ეს სხვა ნაწარმოებები წარმოადგენენ პირველის ინტერტექსტს ».* ამრიგად, მისთვის ტექსტი წარმოადგენს „სხვა ტექსტების პრესუპოზიციების ერთიანობას“ (Riffaterre, 1979, 125). განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომ მეცნიერი პოეტური ტექსტების დეტალური ანალიზის შედეგად მიდის იმ დასკვნამდე, რომ ეს ფენომენი არ არის მხოლოდ ტექსტის ლიტერატურულობის (littérarité) მაჩვენებელი, ის მიუთითებს აგრეთვე მკითხველის ადგილზე „ლიტერატურული ფაქტების“ გაგებაში, რაც იმას გულისხმობს, რომ « le phénomène littéraire n'est pas seulement le texte, mais aussi son lecteur et l'ensemble des réactions possibles du lecteur au texte ». (Rifaterre ,1979: 9) *„ლიტერატურული ფენომენი*



არ არის მხოლოდ ტექსტი, ის არის აგრეთვე მისი მკითხველი და იმ შესაძლებელი რეაგირებების ერთობლიობა, რომლებიც არსებობს ტექსტსა და მკითხველს შორის“. სოფი რაბოც მიიჩნევს, რომ ერთხელ დაწერილი ტექსტი არ რჩება მხოლოდ ავტორის მიერ შექმნილ ტექსტად, იგი კვლავ შეიძლება დაიწეროს იმის მიერ, ვინც მის ციტირებას ახდენს ან მას გადაწერს (S. Rabau, 2002 : 25).

აქვე მოვიყვანთ დე ბიაზის საინტერესო მოსაზრებას ინტერტექსტუალურობასთან დაკავშირებით :

« Le concept d'intertextualité est également un outil critique puissant permettant l'élucidation du processus par lequel tout texte peut se lire comme l'intégration et la transformation d'un ou plusieurs autres textes » ( De Biasi 389). „ინტერტექსტუალურობა, ესაა აგრეთვე მძლავრი კრიტიკული ხერხი, რომელიც საშუალებას იძლევა, ნათელი მოჰფინოს იმ პროცედურას, რომლის საშუალებითაც ყოველი ტექსტი შეიძლება წაკითხულ იქნეს, როგორც რომელიმე სხვა ან რამდენიმე ტექსტის ინტეგრაცია და ტრანსფორმაცია.“

ახლა კი განვიხილოთ თავად ინტერტექსტის ფენომენი. როლან ბართის მიხედვით : « Tout texte est intertexte „ ყველა ტექსტი არის ინტერტექსტი“ (Barthes. 1973, 78). ხოლო რაც შეეხება ინტერტექსტუალურობას, მისი აზრით, იგი არის « condition de tout texte quel qu'il soit » (Barthes, 1984 : 73) „ყოველი ტექსტის პირობა, როგორც უნდა იყოს იგი“. ასევე აღსანიშნავია ჟ.დერიდას თეორია ინტერტექსტუალურობის შესახებ, რომელიც ახლოს დგას ბართის მოსაზრებებთან. მისი აზრით, ინტერტექსტი წარმოადგენს ტექსტის სრულ გახსნილობას. ყოველი ტექსტი თავის მნიშვნელობას პოულობს სხვა ტექსტების ტრანსფორმირების შედეგად (Derrida 1967). ინტერტექსტთან დაკავშირებით ფრანგი მეცნიერი დომინიკ მენგენო მიიჩნევს, რომ

« L'intertexte est l'ensemble des fragments convoqués (citations, allusions, paraphrases...) dans un corpus donné, tandis que l'intertextualité est le système de

règles implicites qui sous-tendent cet intertexte, le mode de citation qui est jugé légitime dans la formation discursive, le type ou le genre de discours dont relève ce discours. » (Maingueneau, 2005, 328) . „ინტერტექსტი, ესაა მოცემულ კორპუსში მოხმობილი ფრაგმენტების ერთობლიობა (ციტირებები, ალუზიები, პარაფრაზები...), ხოლო ინტერტექსტუალურობა კი იმ იმპლიციტური წესების სისტემაა, რომლებიც ამ ინტერტექსტს წარმოქმნიან, ციტირების მანერა, რომელიც დისკურსის ფორმაციაში ლეგიტიმურად ითვლება, იმ დისკურსის ტიპი და ჟანრი, რომელსაც ეს დისკურსი მიეკუთვნება“.

მიუხედავად ტექსტის/დისკურსის სფეროში ინტერტექსტუალურობის საკითხებისადმი მიძღვნილი მრავალი ნაშრომისა, ტექსტთა შორის ურთიერთქმედების პრობლემა არ შეიძლება ჩაითვალოს ამოწურულად, ვინაიდან ტექსტის ჩამოყალიბება ხდება სხვა, როგორც მანამდე შექმნილი, ისე მომავალში შესაქმნელი, ტექსტების გავლენით და, ამგვარად, ინტერტექსტუალურობის თვალთახედვით, ტექსტი მუდამ იმყოფება ახალი აზრებისა და კავშირების ჩამოყალიბების დინამიკურ პროცესში. ყოველი მომდევნო მკითხველი აღმოაჩენს ინტერტექსტუალური დიალოგის ახალ ვარიანტებს. ამგვარად, ინტერტექსტუალურობის თეორია გვევლინება არა მხოლოდ როგორც გაგების თეორია, არამედ როგორც ევოლუციის თეორიაც.

როგორც სოფი რაბო აღნიშნავს, ინტერტექსტუალურობა არ ჩერდება მხოლოდ იმ მარტივ დებულებაზე, რომ ტექსტები ერთმანეთს შორის ურთიერთკავშირში არიან. იგი ჩვენ გვიბიძგებს სხვანაირად ვიფიქროთ ჩვენი ლიტერატურული ტექსტების გაგების სტილზე, მივიჩნიოთ ლიტერატურა, როგორც სივრცე, ან ქსელი, ანდა ბიბლიოთეკა, რომელშიც თვითოეული ტექსტი გარდაქმნის სხვა ტექსტებს, რომლებიც თავის მხრივ მას ცვლიან (S. Rabau, 2002 : 25). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინტერტექსტუალურობა მხოლოდ ლიტერატურულ ტექსტებს არ ეხება, იგი შეიძლება

განხილულ იქნეს ყველა ჟანრის დისკურსში<sup>11</sup> - იურიდიულში, პოლიტიკურში, მეცნიერულში, ჟურნალისტიკურში - და ასე შემდეგ.

უნდა აღინიშნოს, რომ ფრანგმა მეცნიერმა, ჟერარ ჟენეტმა უფრო ვრცლად განავითარა ინტერტექსტუალურობის თეორია და შემოიღო ტრანსტექსტუალობის ცნება, რომელსაც ”ის განიხილავს როგორც ტექსტის ტექსტუალურ ტრანსცენდენტულობას, ანუ ყველაფერ იმას, რაც მოცემულ ტექსტს სხვა ტექსტებთან აშკარა თუ ფარულ ურთიერთობას ამყარებინებს” (დოხტურიშვილი 2009: 175-176). 1982 წელს გამოქვეყნებულ სქელტანიან ნაშრომში « Palimpsestes » მან ჩამოაყალიბა თავისი შეხედულებები ამ კონცეპტის შესახებ (Genette 1982). ამგვარად, ჟ. ჟენეტის ტრანსტექსტუალობის თეორია ტექსტებს შორის ურთიერთობების ყველა შესაძლო ფორმას აერთიანებს და ამ ურთიერთობების ხუთწევრიან კლასიფიკაციას გვთავაზობს:

1. *ინტერტექსტუალურობა*. იგი ინტერტექსტუალურობას განიხილავს, როგორც ცალკეულ ნაწარმოებებსა და ჟანრულ სისტემას შორის არსებული ურთიერთობების შედეგს, როგორც ორი ან რამდენიმე ტექსტის თანაარსებობას, ანუ ერთი ტექსტის ფაქტობრივ არსებობას მეორე ტექსტში. ეს თანაარსებობა გამოიხატება ისეთი ფორმებით, როგორცაა ციტირება, პლაგიატი, ალუზია...
2. *პარატექსტუალობა*. ტექსტის დამოკიდებულება თავისი სათაურის, ეპიგრაფის, წინასიტყვაობის, ილუსტრაციების, ბოლოსიტყვაობისა და სხვა ამგვარის მიმართ.
3. *მეტატექსტუალობა*. კრიტიკული დამოკიდებულება, კომენტარი, რომელიც აკავშირებს მოცემულ ტექსტს იმ ტექსტთან, რომელზეც ის საუბრობს.

---

<sup>11</sup> თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ დიკურსი შედგება სხვადასხვა ტიპის ტექსტებისგან ისევე, როგორ ტექსტები შედგება სხვადასხვა ჟანრის დისკურსებისგან.

4. *ჰიპერტექსტუალობა*. ყველა ფორმის გამაერთიანებელი, როდესაც მომდევნო ტექსტი („ჰიპერტექსტი“) მთლიანად ან ნაწილობრივ ორიენტირებულია მანამდე არსებულ ტექსტზე („ჰიპოტექსტზე“) და ვერ იქნება გაგებული უკანასკნელის გარეშე. ჰიპერტექსტუალობა არის *ტრანსფორმაციის* და *იმიტაციის*, მიბაძვის ოპერაცია ორ ტექსტს შორის. ტექსტს, რომელიც ექვემდებარება ტრანსფორმაციას თუ იმიტაციას, ჟენეტი *ჰიპოტექსტს* უწოდებს, ხოლო ტრანსფორმირებულ ან იმიტაციის შედეგად მიღებულ ტექსტს - *ჰიპერტექსტს*. ტრანსფორმაციასა და იმიტაციას შორის ის განსხვავებაა, რომ ტრანსფორმაცია ეხება ტექსტს, ხოლო იმიტაცია - ჟანრს. *ტრანსფორმაციის* ხერხებია: *პაროდია*, რომელიც არის სემანტიკური ხასიათის ტრანსფორმაცია, *ტრავესტისმენტი* რომელიც არის ტექსტის სტილისტური ტრანსფორმაცია, ხოლო *ტრანსპოზიცია* მოიაზრება, როგორც *პაროდისა* და *ტრავესტისმენტის* სერიოზული ვარიანტი. *იმიტაციის* ხერხებს ჟენეტი მიაკუთვნებს *პასტიშს*, რომელიც სტილის იმიტაციაა.

5. ბოლოს, ტრანსტექსტუალობის მეხუთე ტიპი, *არქეტექსტუალობა* მიგვანიშნებს ზოგადი ან ტრანსცენდენტული კატეგორიების ერთობლიობაზე, როგორცაა დისკურსის ტიპები, გამონათქვამის ფორმა, ლიტერატურული ჟანრები, და ა.შ., რომელსაც მიეკუთვნება თითოეული კონკრეტული ტექსტი.

აღსანიშნავია, რომ თავისი ტაქსინომიური კუთვნილებიდან გამომდინარე, არქეტექსტუალობა შეიძლება შეგვხვდეს პარატექსტში (ტიტრებს შორის, ან თუნდაც, ტიტრებს შორის მოხსენიება), ან ტექსტში, მაგრამ ის უმრავლეს შემთხვევაში იმპლიციტური, ცვალებადია და ყოველ შემთხვევაში მკითხველის კომპეტენციას განეკუთვნება. არქეტექსტუალობის კატეგორიაში გაერთიანებულია შემდეგი დისკურსული საშუალებები: *Parodie-პაროდია*, რომელიც წარმოადგენს ავტორის ნაწარმოების ან სტილის კომიკურ იმიტაციას. *Pastiche - პასტიში*, რომელიც წარმოადგენს ავტორის სტილის მიბაძვას. „*კვლავწერა*“, „*გადამუშავება*“,

რომელიც მოიცავს თარგმანს, მიბაძვას და ტრანსპოზიციას. *Réminiscence* - რემინისცენცია, რომელიც დავიწყებულის გახსენებას ემსახურება.

ყველა ეს ურთიერთობა, განსაკუთრებით ჰიპერტექსტუალური ნაშრომის ბირთვის წარმოადგენს. იგი ემსახურება ახალი ტექსტების შექმნას ძველი ტექსტების საშუალებით, რომლებთანაც მას მიბაძვით თუ ტრანსფორმაციით მრავალფეროვანი ურთიერთობანი გააჩნია: პაროდია, პასტიში, შარჟი, გარდაქმნა. ყველა ეს ტექნიკა წარმოადგენს ჟენეტის კვლევის თემას.

ამრიგად, როგორც მოცემულ თავში ვიხილეთ, ინტერტექსტუალურობის ფენომენი ნამდვილად რთული ფენომენია და მის შესახებ უსასრულოდ შეგვიძლია ვისაუბროთ. მომდევნო პარაგრაფში ვეცდებით ინტერტექსტუალურობა დიალოგიზმთან და პოლიფონიასთან მიმართებაში განვიხილოთ და ვაჩვენოთ, რომ თითოეული მათგანი ტექსტი/დისკურსის არსებობის ფორმებია.

## **2.7 ურთიერთმიმართება დიალოგიზმს, პოლიფონიასა და ინტერტექსტუალურობას შორის**

უდავოა, რომ ტერმინი ჰეტეროგენულობა პოლისემიური და მრავლისმთქმელია. დისკურსთან მიმართებით იგი აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ნებისმიერი დისკურსი თავის თავში ყოველთვის მოიცავს სხვა დისკურსებს და მათი გამოძახილია. იდენტური მოსაზრება ჩანს ბახტინის სიტყვებიდანაც, რომელიც ამ ჰეტეროგენულობას გამონათქვამის დონეზე აღწერს « *Un énoncé est rempli des échos et des rappels d'autres énoncés* » (Bakhtine 1984 : 298). „*გამონათქვამი სხვა გამონათქვამების შეხსენებას და ექოს კვალს ატარებს*“. ამრიგად, ძირითადად ყველა გამონათქვამი ყოველთვის სხვა გამონათქვამებთან ინტერაქციის შედეგად იქმნება, რაც მას ენონსიაციურ

ჰეტეროგენულობას სძენს. დისკურსის ჰეტეროგენულობა კიდევ შეიძლება აიხსნას იმ გარემოებით, რომ ჩვენ რასაც ვამბობთ, პირველად არ ვამბობთ. მხოლოდ მითიური ადამი იყო, პირველი, რომელსაც პირველი სიტყვები ეკუთვნის. თავად ბახტინმაც არა ერთხელ აღნიშნა ეს თავის ნაშრომებში, რომლებზეც წინა თავებში გვექონდა საუბარი.

ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი ენონსიაციური ჰეტეროგენულობა ეკუთვნის ფრანგ მეცნიერს, ოტიე-რევიუს (1982, 1995), რომელიც, რა თქმა უნდა ბახტინის ნაშრომების გავლენით იყო ინსპირირებული. იგი გამოყოფს *hétérogénéité montrée* - ცხად ჰეტეროგენულობას და *hétérogénéité constitutive* - არსებით ჰეტეროგენულობას. პირველი ნათლად არის გამოხატული ირიბი ნათქვამით, ავტონომიური მოდალიზაციით (*modalisation autonimique*), რომელიც პრაქსემატიკოსების მოსაზრების თანახმად, « *fait de l'énonciateur, plus qu'un simple utilisateur des mots, un observateur et un juge des mots utilisés* » (Detrie, Siblot, Verine 2001 : 137) „*მთქმელისაგან ქმნის არა მხოლოდ სიტყვების მარტივად გამომთქმელს, არამედ გამომთქმული (გამოყენებული) სიტყვების დამკვირვებელს და შემფასებელს*“. ხოლო, არსებითი ჰეტეროგენულობა « *pose la présence de l'autre comme une condition nécessaire à l'existence du sujet et de son discours* » (Detrie, Siblot, Verine 2001 : 137). „*სხვის არსებობას წარმოაჩენს, როგორც დისკურსისა და მისი სუბიექტის არსებობის აუცილებელ პირობას*“.

ამის შემდეგ, პრაქსემატიკოსებმა ოტიე-რევიუს ეს ტერმინები დიალოგიკურ ურთიერთობებს მიუსადაგეს. ამდენად, ისინი საუბრობენ ორი ტიპის დიალოგიზმზე: *dialogisme constitutif* - არსებით დიალოგიზმზე და *dialogisme montré* - ცხად დიალოგიზმზე. პირველის მიხედვითაც, ნებისმიერი გამონათქვამი ან დისკურსი წინა გამონათქვამების ან დისკურსების შედეგია და ამას ჩვენ ვერ ვგრძნობთ. ხოლო მეორე აღნიშნავს, რომ ის ხმათა სიმრავლე, რომელიც ყველა დისკურსში ისმის, ნათლად არის წარმოჩენილი სხვადასხვა მარკერის საშუალებით (Vion 2005 : 152).

როგორც უკვე არაერთგზის აღვნიშნეთ, ჩვენს შემთხვევაში, დისკურსის ჰეტეროგენულობა გამოხატულია სამი დისკურსული ფენომენის - დიალოგიზმის, პოლიფონიისა და ინტერტექსტუალურობის საშუალებით, რომლებიც უპირობო საშუალებებს წარმოადგენენ იმისათვის, რომ დისკურსში დავინახოთ სხვათა ხმები, მოსაზრებები, ანუ, ის რომ ნებისმიერი დისკურსი სხვა დისკურსებთან ინტერაქციის შედეგად იქმნება.

როგორც ჟაკ ბრესი აღნიშნავს, პრაქსემატული მიდგომა და გამონათქვამის პოლიფონიური თეორია წარმოადგენენ «*Deux facettes différentes d'aborder un même phénomène linguistique : l'hétérogénéité énonciative*» (Bres 2005 : 29). *„ერთი და იგივე ლინგვისტური ფენომენის - ენონსიაციური ჰეტეროგენულობა - შესწავლის ორ სხვადასხვა ფორმას“*. ორივე აღნიშნული მიდგომა ბახტინის თეორიიდან იღებს სათავეს, თუმცა მას სხვადასხვანაირ ინტერპრეტაციას აძლევს<sup>12</sup>.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ დიალოგიზმი ჰეტეროგენული დისკურსის ყველაზე ნათელი მაგალითია, რადგან მასში სხვა დისკურსების კვალი აშკარად არის გამოხატული სხვადასხვა მარკერის სახით. როგორც უკვე აღვნიშნეთ, დიალოგიზმი იმ ურთიერთობებს ასახავს, რომლებიც დისკურსს სხვა დისკურსებთან მიმართებით გააჩნია. ეს ურთიერთობები გამოხატულია დისკურსის სამმაგი ორიენტაციით - ინტერდისკურსული, ინტერლოკუციური და ინტრალოკუციური. პირველი აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ გამომთქმელი ყოველთვის „დიალოგობს“ (დიალოგში შედის), ანუ ინტერაქციაშია სხვა, წინა, მანამდე შექმნილ გამონათქვამებთან, ხოლო, მეორეს მიხედვით, გამომთქმელი თავისი ნათქვამით ყოველთვის აკეთებს მომდევნო გამონათქვამების ანტიციპაციას. რაც შეეხება მესამე ტიპის დიალოგიზმს, იგი აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ადამიანი თავის დისკურსში ხშირად ახსენებს თავის ნათქვამ სიტყვებს და ეყრდნობა მათ. ამასვე ადასტურებს ბახტინის მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც «

---

<sup>12</sup> ამ განსხვავებული მიდგომის შესახებ წინა პარაგრაფში, დიალოგიზმსა და პოლიფონიის ფენომენების დაპირისპირებით ანალიზში ვისაუბრეთ.

Se constituant dans l'atmosphère du déjà dit, le discours est déterminé en même temps par la réplique non encore dite, mais sollicitée et déjà prévue ». ( Bakhtine 1978 : 103) *“დისკურსი, შეიქმნა რა უკვე ნათქვამის ატმოსფეროში, ამავდროულად, განსაზღვრულია ჯერ არ თქმული, მაგრამ უკვე გათვალისწინებული და განპირობებული რეპლიკით“.*

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავად ბახტინი მხოლოდ დიალოგიზმის ორ - ინტერდისკურსულ და ინტერლოკუციურ - ტიპზე საუბრობს, დიალოგიზმის ეს მესამე ფორმა - ინტრალოკუციური - პრაქსემატიკოსებმა დაამკვიდრეს.

ბახტინის მოსაზრებებთან ყველაზე ახლოს ფრანგი პრაქსემატიკოსები დგანან, რომლებიც დისკურსის არსის პროდუცირებას ყველაზე დიდ ყურადღებას აქცევენ, ანუ მოცემული დისკურსის ინტერაქციას სხვა დისკურსებთან. ამდენად, ფრანგი ლინგვისტი, ჟაკ ბრესიც იდენტურ აზრს გამოთქვამს გამონათქვამის ჰეტეროგენულობასთან დაკავშირებით:

« Tout énoncé apparaît dans sa joyeuse incomplétude comme hétérogénéité énonciative, qui fait signe vers d'autres énoncés et invite à le replacer dans les dialogues internes (et pour des genres monologiques, externes) qui président à sa production et peuvent seuls rendre compte de sa structure » (Bres 1999 : 32) „*ყოველი გამონათქვამი, მთელი თავისი სახალისო ფრაგმენტულობით, წარმოიჩინდება როგორც ენონსიაციური ჰეტეროგენულობა, რომელიც სხვა გამონათქვამებისაკენ მიანიშნებს და უბიძგებს მათ აღადგინონ ის იმ შიდა დიალოგებში (მონოლოგიური ჟანრებისთვის კი გარე დიალოგებში), რომლებიც მის პროდუცირებას მართავდნენ და მხოლოდ მათ შეუძლიათ პასუხი აგონ მის სტრუქტურაზე“.*

რაც შეეხება ტერმინ პოლიფონიას, უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ იგი მუსიკალური ტერმინია და აღნიშნავს მრავალხმიანობას ორკესტრში. ამდენად, იგი ლინგვისტიკაში მეტაფორულად დამკვიდრდა და დისკურსში თუ გამონათქვამში



მრავალი ხმის არსებობას შეესაბამება, რაც თავისთავად დისკურსის ჰეტეროგენულობას უსვამს ხაზს.

პოლიფონიის მიმდევრები მიიჩნევენ, რომ როგორც მუსიკალურ პოლიფონიაში მუსიკალური ხმები ერთ დონეზე არიან განაწილებული, ასევეა ლინგვისტიკაშიც, რადგან ხმები, რომლებიც ნებისმიერ დისკურსსა თუ გამონათქვამში გაისმის, თანასწორუფლებიანნი არიან, ანუ ერთ დონეზე დგანან. დიალოგიზმის შემთხვევაში კი ეს ხმები სხვადასხვა დონეზე, იერარქიით არიან წარმოდგენილნი. ამდენად, დიალოგიზმი და პოლიფონია ამ მხრივ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

ასევე ნიშანდობლივია ისიც, რომ პოლიფონიის თაობაზე დიუკროს მოსაზრებიდან გამომდინარე, « c'est penser la production de la parole en terme non de réponse, mais de mise en scène énonciative» ( Bres 2005 : 58-59) „*სიტყვის პროდუცირება აღიქმება როგორც ენონსიაციური მიზანსცენა და არა როგორც პასუხი*“. ეს მოსაზრება უპირისპირდება პრაქსემატიკოსების დისკურსის პროდუცირებასთან დაკავშირებულ მიდგომას, რადგანაც იმ ხმის გარდა, რომელიც ლოკუტორს *ეკუთვნის* (met en scène, რომლის მიზანსცენასაც ლოკუტორი ახდენს), არის კიდევ მრავალი ხმა, რომლებიც ისმის მის დისკურსში მისდაუნებურად. ამგვარად, ეს ნიშნავს, რომ ნებისმიერი ლოკუტორის მიერ წარმოთქმული სიტყვა მხოლოდ სხვა დისკურსებთან ინტერაქციის შედეგად იძენს ძალას.

ამ განსხვავების მიუხედავად, ამ ორ კონცეპტს შორის მსგავსება მდგომარეობს იმაში, რომ ორივე დიალოგის იდეას ეფუძნება, ანუ ერთ ან რამოდენიმე დისკურსს შორის ინტერაქციას, რომელსაც საბოლოოდ ჰეტეროგენულ დისკურსამდე მივყავართ.

რაც შეეხება ტერმინ *ინტერტექსტუალურობას*, იულია კრისტევას სიტყვებით რომ ვთქვათ, ვინც პირველმა შემოიტანა ეს ტერმინი, ეს არის პრინციპი, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ტექსტის პროდუცირებაში. მისი აზრით, « Tout texte se

construit comme mosaïque de citations , tout texte est absorption et transformation d'un autre texte . A la place de la notion d'intersubjectivité s'installe celle d'intertextualité et le langage poétique se lit, au moins, comme double ». (Kristeva 1969 : 146) „ ყველა ტექსტი აიგება როგორც ციტატების მოზაიკა, ნებისმიერი ტექსტი წარმოადგენს სხვა ტექსტის ტრანსფორმაციისა და შთანთქმის (აბსორბციის) შედეგს. ინტერსუბიექტულობის ნაცვლად, საქმე გვაქვს ინტერტექსტუალურობასთან და პოეტური ენა იკითხება, როგორც ორმაგი“.

თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ კრისტევა ბახტინის ნაშრომებით იყო ინსპირირებული, ამიტომ თავის სტატიაში იგი დიალოგიზმზე და პოლიფონიაზეც საუბრობს. ამდენად, დიალოგიზმთან მიმართებით იგი აღნიშნავს: « Le dialogisme bakhtinien désigne l'écriture à la fois comme subjectivité et comme communicativité ou, pour mieux dire, comme intertextualité ». (Kristeva 1969 : 149) „ ბახტინის დიალოგიზმი ტექსტის შექმნას აღნიშნავს, ერთდროულად, როგორც სუბიექტურობას და როგორც კომუნიკაციის დამყარებას, უკეთ რომ ვთქვათ, როგორც ინტერტექსტუალურობას“.

როგორც ბრესი და როზიე აღნიშნავენ კრისტევას ნააზრევის შეფასებისას, « l'intertextualité est conçue comme un dialogue intertextuel » (Bres&Rosier 2007 : 87). „ინტერტექსტუალურობა აღიქმება, როგორც ინტერტექსტუალური დიალოგი“.

ინტერტექსტუალურობის კვლევა საშუალებას გვაძლევს უფრო ღრმად გავაანალიზოთ და ჩავწვდეთ ტექსტს, რადგან ხშირად ინტერტექსტუალური მინიშნების გათვალისწინების გარეშე ტექსტის გაგება-ინტერპრეტაცია ძნელი და ზოგჯერ შეუძლებელიც ხდება. ყოველი მონაცვლეობა წარმოადგენს სხვისი დისკურსის ტრანსფორმაციას (Rabau, 2002 : 76).

საბოლოოდ კი, უნდა ითქვას, რომ ჰეტეროგენულობის გამოხატვის ეს სხვადასხვა ფორმა - დიალოგიზმი, პოლიფონია და ინტერტექსტუალურობა - ერთხელ და

სამუდამოდ უსვამს წერტილს მოლაპარაკე სუბიექტის ერთადერთობის მითს და საშუალებას გვაძლევს, ნებისმიერ დისკურსში დავინახოთ ამ დისკურსის მიერ სხვა დისკურსებთან ურთიერთობების შედეგად მიღებული ნაკვალევი.

## **2.8 მეორე თავის დასკვნები**

ამდენად, წინამდებარე ნაშრომის მეორე თავში ჩვენ შევეცადეთ ნათლად წმომოგვეჩინა დისკურსის ჰეტეროგენული ხასიათი. რაც იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი დისკურსი (ტექსტი თუ გამონათქვამი) არსებითად წარმოადგენს უწყვეტ კავშირს სხვა მანამდე შექმნილ, თუ მომდევნო, ნავარაუდებ დისკურსებთან. სწორედ ჩვენი საკვლევი ფენომენები - დიალოგიზმი, პოლიფონია და ინტერტექსტუალურობა, წარმოადგენენ ჰეტეროგენული დისკურსის არსებობის ფორმებს და ამიტომაც ეს სამივე ფენომენი ერთმანეთთან მიმართებაში განვიხილეთ. თავდაპირველად ვისაუბრეთ ტერმინოლოგიასთან დაკავშირებულ პრობლემებზე, ვინაიდან ბევრი ტერმინი (ცნება-კონცეპტი), რომლებიც ჩვენი კვლევისას შეგვხვდა, ჯერ კიდევ არ არის ქართულ ენათმეცნიერებაში დამკვიდრებული და ჩვენთვის რთული აღმოჩნდა მათთვის შესაბამისი თარგმანებისა და განმარტებების მოძიება. ამიტომ მთელი პარაგრაფი მას მივუძღვენით, რომელშიც ჩვენეული ფრანგულ-ქართული განმარტებები შემოგთავაზეთ. ამის შემდეგ ვისაუბრეთ დიალოგიზმის ფენომენზე არსებულ, მეცნიერთა მიერ შემოთავაზებულ მოსაზრებებზე დაყრდნობით, რის შემდეგაც ცალკე პარაგრაფად გამოვყავით ბახტინის გამონათქვამის თეორია, რადგან სწორედ მან დაუდო სათავე აღნიშნულ ფენომენს. შემდეგი პარაგრაფები მივუძღვენით პოლიფონიას და ამ ორი ფენომენის - დიალოგიზმისა და პოლიფონიის შეპირისპირებით ჭრილში განხილვას, რადგან, როგორც არა ერთგზის აღვნიშნეთ, ისინი მსგავსი და ამავდროულად განსხვავებული ფენომენებია. ბოლო პარაგრაფში კი შევეცადეთ გვესაუბრა ინტერტექსტუალურობის ფენომენთან დაკავშირებული შეხედულებების შესახებ და მის კავშირზე დიალოგიზმისა და პოლიფონიის ფენომენებთან.

### თავი 3. დიალოგიზმისა და პოლიფონიის მარკერები

იქედან გამომდინარე, რომ ჩვენ მიერ შესწავლილი მეცნიერების ნაშრომებში არ ხდება დიალოგიზმის მკვეთრი გამიჯვნა პოლიფონიისაგან და რომ, ხშირ შემთხვევაში, ერთსა და იმავე მარკერს სხვადასხვა მეცნიერები მოიაზრებენ ან როგორც დიალოგიზმის, ან როგორც პოლიფონიის მარკერს. გადავწყვიტეთ მათი ერთ პარაგრაფში გაერთიანება, რათა ნათლად დავინახოთ ეს აზრთა სხვადასხვაობა და შემოგთავაზოთ ჩვენი მოსაზრებები აღნიშნული მარკერების ფუნქციის თაობაზე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დიალოგიზმი შეიძლება განისაზღვროს, როგორც « L'orientation de tout discours, constitutive et au principe de sa production, vers d'autres discours : les discours réalisés antérieurement sur le même objet du discours, le discours-réponse qu'il sollicite, et lui-même en tant que discours ». (Bres et Nowakowska 2005: 140) *„ყოველი დისკურსის მიმართება (შეიძლება ითქვას ორიენტაცია) სხვა დისკურსებისადმი: დისკურსის იმავე საგანზე მანამდე წარმოთქმული დისკურსებისა და დისკურსი-პასუხისადმი, რომელსაც იგი თავად იწვევს, როგორც დისკურსი“*. დისკურსის ეს ორმაგი მიმართება ნათლად არის გამოხატული სინტაქსურ, გრამატიკულ, სემანტიკურ თუ დისკურსულ დონეებზე.

ხოლო, რაც შეეხება პოლიფონიას, როგორც არა ერთგზის აღვნიშნეთ, იგი მუსიკალური ტერმინიდან მომდინარეობს და ორკესტრში მრავალხმიანობაზე მიუთითებს. როგორც ნოლკე აღნიშნავს « La polyphonie c'est bien évidemment cette présence de différents points de vue ou de voix dans un seul énoncé » (Nolke 2004 : 146).

*„პოლიფონია, რა თქმა უნდა, არის სხვადასხვა მოსაზრებებისა თუ ხმების არსებობა ერთსა და იმავე გამონათქვამში“*.

ჟაკ ბრესი მიიჩნევს, რომ დიალოგიზმის ფენომენის ლინგვისტურად შესწავლის ერთადერთი საშუალება იმ მარკერების შესწავლაა, რომლებიც დისკურსში მის

გამომჟღავნებას უწყობენ ხელს (Bres 2005). ასევე მიიჩნევენ ს. მელეც, რომელიც თვლის, რომ რადგანაც დიალოგიზმი გამოხატულია ლექსიკაში, შეგვიძლია დავადგინოთ, რომ ყველა ენონსიაციური ოპერაცია დისკურსში ტოვებს გარკვეულ კვალს სხვადასხვა მარკერის სახით, იქნება ეს ლექსიკური, გრამატიკული თუ სინტაქსური, ისინი ლინგვისტს საშუალებას აძლევენ ადადგინოს « modèle métalinguistique » „მეტალინგვისტური მოდელი“ (Sylvie Mellet 2009: 3).

აგრეთვე, ამავე ლინგვისტის აზრით: « même si le dialogisme est un phénomène très courant et polymorphe, son expression et son interprétation sont nécessairement portées par des marqueurs ». (Mellet, 2009 : 157) „მიუხედავად იმისა, რომ დიალოგიზმი ძალზედ გავრცელებულ და მრავალფეროვან (პოლიმორფულ) ფენომენს წარმოადგენს, მისი გამოხატულება და ინტერპრეტაცია აუცილებლად მარკერების საშუალებით ხორციელდება“.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს მარკერები, რომლებსაც ჩვენ მიერ შესწავლილი ნაშრომების ანალიზის შედეგად განვიხილავთ, ძირითადად ლიტერატურულ და ჟურნალისტიკურ ჟანრშია შესწავლილი, ასევე ზეპირ დისკურსებში. კვლევამ გვიჩვენა, რომ არც ერთი მათგანი, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, არ განიხილავს პოლიტიკურ დისკურსს. ამრიგად, ესეც ჩვენი კვლევის ერთ-ერთი სიახლე იქნება.

ასევე ნიშანდობლივია ისიც, რომ ჩვენ მიერ შესწავლილ ნაშრომებში არც ერთი ლინგვისტი არ აკეთებს მათ მიერ განხილული დიალოგიზმისა თუ პოლიფონიის მარკერების მეტ-ნაკლებად მკვეთრ კლასიფიკაციას. შესაბამისად, ჩვენ ვეცდებით გამოვასწოროთ ეს ხარვეზი და, ამასთან ერთად, ჩვენი კვლევის შედეგად შევავსოთ პოლიფონიის მარკერების ნუსხა, შევადაროთ ისინი დიალოგიზმის მარკერებს, რათა დავადგინოთ, რამდენად არის შესაძლებელი მათი ერთმანეთისაგან კატეგორიული გამიჯვნა.

სწორედ ამიტომ, ვინაიდან ეს მარკერები სხადასხვა ენობრივ კატეგორიას განეკუთვნებიან და იმისათვის, რომ ნათელი წარმოდგენა შეგვექმნას მათ როლსა და

მნიშვნელობაზე დისკურსის პროდუცირებაში, ანალიზის შედეგად, ჩვენ გადავწყვიტეთ, ისინი ორ დიდ კატეგორიად დაგვეჯგუფებინა: ენობრივი (ლინგვისტური) მარკერები და ენონსიაციური ან დისკურსული მარკერები.

ამასთან, გადავწყვიტეთ, რომ აღნიშნულ პარაგრაფში გაგვეერთიანებინა დიალოგიზმისა და პოლიფონიის მარკერები, გამომდინარე იქიდან, რომ ეს ორივე ფენომენი მეტად მსგავსი და ამავე დროს განსხვავებულია და რომ მათი გამიჯვნა და შესაბამისი მარკერების დადგენა დღემდე მრავალი მეცნიერის დავის საგანს წარმოადგენს<sup>13</sup>.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ პარაგრაფში შევეცდებით, თავდაპირველად, წარმოგიდგინოთ ყველა ის ლინგვისტური და დისკურსული მარკერები, რომლებიც დისკურსის სფეროში მოღვაწე მეცნიერებმა შემოგვთავაზეს დიალოგიზმისა და პოლიფონიის ფენომენების განხილვისას.

ხოლო უშუალოდ ჩვენი კორპუსის კვლევისას შემოგვთავაზებთ დიალოგიზმის და პოლიფონიის მარკერების საბოლოო კლასიფიკაციას ფრანგულ და ქართულ ენებში, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ დღეისათვის ყველა შესაძლო მარკერი შესწავლილი არ არის და, რაც ამავდროულად ძალზე მნიშვნელოვანია, არ არსებობს არც ერთი გამოკვლევა, რომელიც ამ პრობლემას შეპისპირებით პლანში განიხილავდა.

შესწავლილი დიალოგიზმის და პოლიფონიის მარკერების დიდი ნაწილი გავაერთიანეთ პირველ კატეგორიაში, რომელსაც ლინგვისტური მარკერები ვუწოდეთ და რომელშიც ოთხი ჯგუფი გამოვყავით: ლოგიკური კონექტორები, გრამატიკული დროები, სიტყვათშეთანხმებები და სხვადასხვა კომპოზიციის მქონე სინტაქსური სტრუქტურები.

---

<sup>13</sup> თუმცა, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მეცნიერთა მიერ შემოთავაზებული და ჩვენ მიერ კლასიფიცირებული მარკერების უმრავლესობა ძირითადად დიალოგიზმის გამომხატველია.

## პირველი კატეგორია: ლინგვისტური მარკერები

### I. ლოგიკური კონექტორების ჯგუფი სამ ქვეჯგუფად დავყავით:

1. Marqueurs affirmatifs ანუ დადასტურების გამომხატველი მარკერებია: *oui* - დიახ, *sans doute* - რა თქმა უნდა; *puisque* - ვინაიდან; *certes* - რასაკვირველია; *bien* - მართლაც; *évidemment* - რასაკვირველია, ცხადად; *décidément* - გადაწყვეტით, ნამდვილად; *certainement* - უეჭველად, ნამდვილად; *effectivement* - არსებითად, მართლაც; *sûrement* - ნამდვილად, საიმედოდ, რასაკვირველია, უდავოა; *sans doute* - უეჭველია; *justement* - სწორედ, სამართლიანად; *tout à fait* - სავსებით; *forcément* - აუცილებლად, ნამდვილად; *naturellement* - ბუნებრივია, აუცილებლად; *il est nécessaire* - საჭიროა. *bien sûr* - რასაკვირველია, *précisément* - ზუსტად, ნამდვილად, სწორად.

2. Marqueurs concessifs ანუ დათმობის გამომხატველი მარკერებია: *quoique* - თუმცა, მაინც; *même si* - მიუხედავად იმისა, რომ; *quand même* - მაინც, *bien que* - თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ; *un peu* - ცოტა; *peut-être* - ალბათ. *Presque* - თითქმის, *à peine* - ძლივს, *non que* - არა იმიტომ რომ,

3. Marqueurs d'opposition ანუ დაპირისპირების გამომხატველი მარკერებია: *mais* - მაგრამ, *toutefois* - მაგრამ, თუმცა, მაინც, *néanmoins* - მიუხედავად ამისა, მაინც; *quand bien même* - მიუხედავად ამისა; *seulement* - მხოლოდ, მაგრამ. *au contraire* - პირიქით; *car* - რადგან.

### II. გრამატიკული დროები.

ლინგვისტურ მარკერებში გავაერთიანეთ რამდენიმე გრამატიკული დრო: *présent* - აწმყო დრო, *futur* - მომავალი დრო; *imparfait* - წარსული დაუსრულებელი დრო; *conditionnel* - პირობითი კილო; *le conditionnel épistémique* - ეპისტემიური პირობითი კილო; *performatifs* - პერფორმატიული ზმნები.

### III. სიტყვათშეთანხმებები.

ლინგვისტურ მარკერებს მივაკუთვნეთ აგრეთვე ისეთი სიტყვათშეთანხმებები, როგორებიცაა: *autrement dit* - სხვანაირად რომ ვთქვათ; *c'est-à-dire* - ანუ; უპირობა გამოთქმები: *il paraît que* - ჩანს რომ, *selon* - მიხედვით, *il est vrai que/il n'est pas vrai que* - მართალია, რომ / არ არის მართალი, რომ; *il est certain que* - ცხადია, რომ; *il est nécessaire que* - აუცილებელია; *on* ნაცვალსახელით შედგენილი შესიტყვებები: *dira-t-on* - იტყვიან; *qu'en dira-t-on* - რას იტყვიან ამაზე; *quoi qu'on en dise* - რაც უნდა თქვან ამაზე; *comme on dit* - როგორც ამბობენ; *dites-vous* - როგორც თქვენ ამბობთ, *contrairement à ce qu'on dira* - იმის საპირისპიროდ, რასაც იტყვიან.

### IV. სხვადასხვა კომპოზიციის მქონე სინტაქსური სტრუქტურები

ბოლოს, ლინგვისტური მარკერების მეოთხე ჯგუფში გავაერთიანეთ სხვადასხვა კომპოზიციის მქონე სინტაქსური სტრუქტურები, რომლებიც, ზოგადად დისკურსის პროდუცირებასთან ერთად, ემსახურებიან დილოგიზმის სხვადასხვა ტიპის გამოხატვას: *SN possessif* - კუთვნილებითი ნომინალური სინტაგმა, რომელშიც შედის *déterminatif possessif* - კუთვნილებითი დეტერმინატივი და *déterminant démonstratif* - ჩვენებითი დეტერმინატივი; *renchérissement* [ *non /pas x/ mais y* ] - მატება [არა/ x არა. მაგრამ y]; *concession* [ *Bien sur x, mais y* ] - დათმობა [რასაკვირველია x, მაგრამ y]; *opposition* [ *non x, mais y* ] - დაპირისპირება [არა x, მაგრამ y]; *thématisation* - თემატიზაცია; *extraction/clivage* - ამოღება/გახლეჩა (კლივაჟი); *détachement/dislocation* - გამოყოფა/დანაწევრება, (დისლოკაცია); *apposition* - დანართი; *détournement* - გადახვევა; *l'incise* - ჩართული; *incipit* - ხელნაწერის ან წიგნის პირველი სიტყვა; *reprise-écho* - გამეორება-ექო; *anaphore pronominale* - ნაცვალსახელოვანი ანაფორა; *relatives disjointes* - განცალკევებული მიმართებითი ნაცვალსახელები; *propositions juxtaposées* - თანწყობილი წინადადებები; *propositions subordonnées* - დაქვემდებარებული წინადადებები; *propositions subordonnées circonstancielles* - გარემოებითი დაქვემდებარებული წინადადებები; *comparaison par corrélation* - შედარება კორელაციით; რომელიც მოიცავს *comparaison d'égalité* - თანასწორობის შედარება; *comparaison d'inégalité* - არათანასწორობის შედარება;



*comparaison avec altérité* - სხვასთან შედარება, *négation*- უარყოფითი ფორმა; *négation polémique* - პოლემიური უარყოფითი ფორმა, *négation descriptive* - აღწერითი უარყოფითი ფორმა; *négation restrictive ne .... que* - შემზღველი ნაწილაკი მხოლოდ; *forme d'interrogation* - კითხვითი ფორმა; *transformation par nominalisation* - ტრანსფორმაცია ნომინალიზაციით; *transformation infinitive* - ინფინიტივური ტრანსფორმაცია; *hypothèse en si* - ჰიპოთეზა თუ-თი, რომელსაც უწოდებს *marqueur d'altérité énonciatif* - ენონსიაციური სხვის მარკერი;

### მეორე კატეგორია: ენონსიაციური / დისკურსული მარკერები

რაც შეეხება ენონსიაციურ, ანუ დისკურსულ მარკერებს, ჩვენ ამ კატეგორიაში გავაერთიანეთ ისეთი (გამო)ნათქვამები, რომლებიც ნათლად წარმოაჩენენ განსხვავებას *énoncé*-სავტორსა და *énonciation*-ის ავტორს შორის. ასეთებია: *citation*- ციტირება, *ironie* - ირონია, *allusion* - ალუზია, *blague* - ხუმრობა, *discours rapporté* - მოტანილი დისკურსი, რომელიც მოიცავს *discours direct* - პირდაპირი ნათქვამს, *discours indirect* - ირიბ ნათქვამს და *discours indirect libre* - თავისუფალ ირიბ ნათქვამს.

ახლა კი ეს მარკერები, უფრო დეტალურად, განვიხილოთ თითოეულ ავტორთან, რომელთა ნაშრომებსაც ჩვენ ვრცლად გავეცანით. აქვე დავძენთ, რომ ყველა მაგალითი, რაც ამ პარაგრაფში მოგვყავს ამ ავტორების მიერ არის ციტირებული და გაანალიზებული, რომელთაგანაც ზოგს აქვს შესაბამისი წყარო მითითებული, ზოგს კი არა. აღსანიშნავია ისიც, რომ დიალოგიზმის აღნიშნული მარკერებიდან ყველაზე დიდი ჯგუფი ფრანგმა მეცნიერმა ჟ. ბრესმა შემოგვთავაზა თავის არა-ერთ სტატიაში.

თავდაპირველად, შევეხებით ლინგვისტურ მარკერებს, რომლებიც ჩვენ მიერ შემოთავაზებული ოთხი ჯგუფიდან პირველს მიეკუთვნება - ესენია ლოგიკური კონექტორები, რომელშიც სამი ქვეჯგუფი გამოვყავით.

1. ბრესის თანახმად, დადასტურების გამომხატველი კონექტორები : *bien, sûrement, puisque, c'est-à-dire, il est vrai que/il n'est pas vrai que, oui* ინტერდისკურსული

დიალოგიზმის მნიშვნელოვანი მარკერებია, ვინაიდან ისინი გამომთქმელს საშუალებას აძლევენ სხვის ნათქვამს გამოეხმაუროს, დაეთანხმოს და დაადასტუროს იგი და უკვე შემდეგ გამოხატოს საკუთარი მოსაზრება.

*Les difficultés qu'il a rencontrées dans la mise en œuvre de son plan ont **bien** suscité des interrogations sur sa crédibilité.*

*La coopération internationale est **sûrement** souhaitable à condition qu'elle ne serve pas d'alibi pour excuser nos faiblesses.*

*Il n'y a aucun dérèglement **puisque** les arrêtés d'avril 97 restent intégralement en vigueur. (Document universitaire).*

***Oui**, le pays évolue vers le marché, mais, les conséquences en sont terribles. (Le Monde, 4.3 ;1995).*

ასევე ფრანგი მეცნიერი, რ. ვიონიც საუბრობს დადასტურების მარკერებზე, რომელთაც ის შემდეგ მარკერებს მიაკუთვნებს: *certainement, effectivement, justement, seulement, forcement, naturellement, tout à fait, , il est nécessaire de/que, il est certain de/que, précisément ; sûrement, sans doute.* ამ მარკერებს ის მოდალიზატორებს უწოდებს და აღნიშნავს, რომ ისინი ხელს უწყობენ და უზრუნველყოფენ წინა დისკურსებთან კავშირს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იგი მკვეთრად არ გამიჯნავს, ესა თუ ის მარკერი ემსახურება დიალოგიზმის თუ პოლიფონიის გამოხატულებას (R. Vion 2006: 107-115). მხოლოდ ზმნიზედების - *effectivement* და *justement* - შემთხვევაში ამბობს, რომ ისინი დიალოგიზმის მარკერებს წარმოადგენენ, « Par lesquels le locuteur s'efforce, de manière non consciente, de construire l'image d'un sujet qui domine sa production » (Vion, 2005 : 149). „რადგან მათი საშუალებით ლოკუტორი ცდილობს გაუცნობიერებლად, შექმნას მისი სახე, ვინც მის პროდუქციაზე ბატონობს.“

*Non, mais je : enfin, je... vous me le dites... comme ça... effectivement euh.....*

ხოლო, რაც შეეხება დანარჩენ მარკერებს, მათ ის მიიჩნევს, როგორც დიალოგიზმის, ასევე პოლიფონიის გამოხატვის საშუალებას (Vion 2006 :117).

*Nous devons réduire les dépenses de l'Etat, ce qui ne veut pas dire **naturellement** réduire la situation des fonctionnaires ou les traitements des fonctionnaires. (entretien télévisé 26/10/1995)*

სილვი გარნიესა და ფრედერიკ სიტრის მოსაზრებების მიხედვით, დიალოგიზმის გამომხატველი დადასტურების მარკერია *Certes*, რომლის საშუალებითაც გამომთქმელი გარდაქმნის გამონათქვამს, რომელსაც წარადგენს როგორც გაზიარებულ სინამდვილეს (certitude partagée), რაც საბოლოოდ დიალოგიკურ სივრცეს წარმოშობს. (*Garnier&Sitri , 2009 : 135*)

*Bien vieillir, ça se mérite. Pas question de voir s'installer les rides, se rouiller les articulations, s'enfuir la mémoire. Mourir, **certes**, il le faut, mais mourir en détail, comme le disait Voltaire, non ! (Le Nouvel Observateur, 31 mai-6 juin 2001)*

2. რაც შეეხება **დათმობის მარკერებს**, ბრესმა დიალოგიზმის ამ ტიპის შემდეგი მარკერები შემოგვთავაზა: *bien que, même si, peut-être*.

***Bien que** les milices serbes aient fait plus de victimes que celles des Croates, la violence n'est pas leur apanage (Le Monde).*

*Les manifestants posent **peut-être** des questions sans apporter des réponses, au moins, eux n'attendent pas les « bonnes questions » du Front National.*

პირველ შემთხვევაში **bien que**, გულისხმობს, რომ გამომთქმელი იმეორებს სხვის ნათქვამს, რათა მისი მართებულობა დაადასტუროს და შემდეგ შეცვალოს მისი არგუმენტაციული მიმართულება (Bres 2005 (b): 19). მეორე მაგალითში კი **peut-être**

გამომთქმელ e1-ის გამონათქვამს ვარაუდის დონეზე გადმოსცემს, ანუ არ ეთანხმება მას (Bres 1999: 39).

აქვე უნდა აღინიშნოს ს. მელეს მიერ შემოთავაზებული დიალოგიზმის გამომხატველი დათმობის მარკერები: *quand même, quand bien même*; იგი თვლის, რომ ეს ორი მარკერი ფორმალურად მსგავსია, თუმცა მათ განსხვავებული მორფოსინტაქსური სტატუსი გააჩნიათ (Mellet : 2009. 159).

*Ça m'étonnerait qu'elle ne rentre pas de toute la nuit. Notez que ça lui arrive quelquefois ; elle a une amie chez qui elle va coucher quelquefois. Mais ça m'étonnerait **quand même**.*  
(Le Clézio, *Le Procès*).

ამ შემთხვევებში გამომთქმელი იმეორებს სხვის ნათქვამს და ასევე ცხადად შემოაქვს თავისი მტკიცებულება, როგორც ახალი მტკიცება (*prise en charge*), რომელიც უფრო კრიტიკული და შეგნებულია, ვიდრე თავდაპირველი გამონათქვამი.

აქვე განვიხილოთ მეორე მაგალითი, რომელშიც გამოყენებულია მარკერი *quand bien même*, რომელშიც დათმობის მოცემული მარკერი შეიძლება წმინდად თემატური იყოს (Mellet, 2009 : 163).

***Quand bien même** l'heure est aux économies, la crise, qui est, qui est sur toutes les lèvres et dans toutes les bourses, n'a pas eu raison des illuminations.* (*Presse Océan, 31 décembre 08*)

რაც შეეხება **დათმობის მარკერებს**, როგორც პოლიფონიის გამოხატულების საშუალებებს, ძირითადად, მათ შესახებ, ო. დიუკრო საუბრობს თავის პოლიფონიურ თეორიაში და აღნიშნავს, რომ მორფემების *presque, à peine, peu* და *un peu* « l'effet est d'imposer certaines contraintes sur le potentiel argumentatif des éventuels énoncés de cette phrase » „ეფექტი არის ის, რომ ისინი გარკვეულ იძულებას წარმოშობენ შესაძლო გამონათქვამების არგუმენტაციულ პოტენციალზე“. (Ducrot, 1984 : 184) მას აქვე მოჰყავს

შემდეგი მაგალითი, თუ ვიტყვით, რომ « A gagne à peine X francs » იგულისხმება, რომ გამომთქმელი თანამოსაუბრეში სიბრაღულს აღძრავს.

ასევე აღსანიშნავია დ. ვლადის მიერ გამოყოფილი პოლიფონიის დათმობის მარკერი: *non que*; ეს ავტორი მიიჩნევს, რომ ამ მარკერის საშუალებით ხდება ორი, განსხვავებული მოსაზრების ერთმანეთზე დამატება.

*Personne ne s'attendait à rien; non que le secret eût été gardé, mais la nouvelle n'avait trouvé que des incroyables. Personne ne croyait à une révolution. (France, frantex)*

ამდენად, როგორც აღნიშნული ავტორი მიიჩნევს, ამ შემთხვევაში *non que*-თი დაქვემდებარებულ წინადადებაში ორი საწინააღმდეგო მოსაზრება ჩანს: ერთია ის, რომ ლოკუტორი მოსაზრებას *le secret a été gardé*, სხვას მიაკუთვნებს და შემდეგ მას *non que*-ს საშუალებით უპირისპირებს თავის მეორე, სავარაუდოდ მტკიცებით ფორმაში წარმოთქმულ მოსაზრებას- *le secret a été gardé* (Vlad, 2012 : 37).

3. რაც შეეხება დაპირისპირების მარკერებს, ბრესმა შემოგვთავაზა დიალოგიზმის გამოხატულების დაპირისპირების მარკერი *mais*.

*La morale sans le socialisme, c'est de peu d'efficacité, mais le socialisme sans la morale, ce n'est rien.*

ამ მაგალითის ანალიზის დროს იგი აღნიშნავს, რომ გამომთქმელი E1 ანგარიშს უწევს სხვა გამომთქმელ e1-ის არგუმენტებს, მათ დადებითად აფასებს და საპირისპირო დასკვნამდე მიდის (Bres 1999: 39).

ხოლო, რაც შეეხება ოსვალდ დიუკროს, იგი აღნიშნულ დაპირისპირების გამომხატველ კავშირს *mais* პოლიფონიის მარკერად მიიჩნევს და მოჰყავს ასეთი მაგალითი « *Peut-être que tu n'as pas dormi, mais en tout cas tu as sacrement ronflé* ». იგი აქვე აღნიშნავს, რომ გამომთქმელი ამ ორივე საპირისპირო მოსაზრების ავტორი ვერ

იქნება და შესაბამისად მისთვის ეს გამონათქვამი არის პოლიფონიის გამოძახილი. (Ducrot, 1984 : 193). იგი ასევე საუბრობს პოლიფონიის გამომხატველ დაპირისპირების მარკერზე *au contraire* შემდეგ მაგალითში « *Pierre n'est pas gentil, au contraire ; il est détestable* ». ამდენად, მისი მოსაზრების მიხედვით გამომთქმელი ამ მარკერით სხვის ნათქვამს უპირისპირდება. (Ducrot, 1984 : 216).

სკაპოლინის წარმომადგენელი ფლოტუმიც დაპირისპირების მარკერს *mais* პოლიფონიურ ჭრილში განიხილავს. განვიხილოთ მის მიერ შემოთავაზებული მაგალითი, რომელშიც იგი მიიჩნევს, რომ საქმე ეხება სურვილს იმისა, რომ სხვადასხვა მოსაზრებებთან ითანამშრომლოს (*coopérer entre points de vue différents*) (Flottum 2005 : 307)

*« En situation imparfaite, le régulateur ne connaît pas les caractéristiques de l'exploitation, mais il peut tenir compte de la connaissance statistique des rendements des terres pour proposer un contrat d'exploitation » (Frecon 27) .*

სილვი მელე და მიშელ მონტე კი გვთავაზობენ დიალოგიზმის მარკერებს ლიტერატურის ჟანრისათვის, რომლებიც დაპირისპირებას გამოხატავენ. ესენია: *toutefois* და *néanmoins*. როგორც ხსენებული მეცნიერები აღნიშნავენ, დაპირისპირების ეს კონექტორები ხელს უწყობენ დიალოგიკური ურთიერთობის ჩამოყალიბებას (S.Mellet & M. Monté 2005 : 250).

*La petite planète obligée de rester intérieure à la courbe (...) est néanmoins libre d'aller. (Poincaré)*

II . ახლა კი განვიხილოთ მეცნიერთა მიერ შესწავლილი დროის ფორმები, როგორც დიალოგიზმის გამოხატვის საშუალებები:

ჟ. ბრესმა დიალოგიზმის მარკერად შემოგვთავაზა დროის ფორმები: *présent აწმყო დრო, futur მომავალი დრო, imparfait წარსული დაუსრულებელი დრო* და

*conditionnel* პირობითი კილო. ხოლო ჰანს კრონინგმა *le conditionnel épistémique-ეპისტემიური პირობითი კილო* გამოყო, როგორც პოლიფონიის მარკერი.

რაც შეეხება *présent აწმყო დროს*, ბრესი მიიჩნევს, რომ იგი დიალოგიზმის მარკერად მოიაზრება მაშინ, როდესაც საქმე ეხება « *Présent déictique, où le dédoublement énonciatif permet de renouveler les explications de la problématique éculée de l'usage du présent en narration rétrospective, en alternance avec les temps du passé* » (Bres, 2009 : 35).

„ *დეიქტიკურ აწმყო დროს, რომელშიც ენონსიაციური გაორმაგება წარსულის დროსთან მონაცვლეობით რეტროსპექტულ თხრობაში აწმყო დროის გამოყენების პრობლემატიკის განმარტების განახლების საშუალებას იძლევა*“ : მაგალითად:

*J'entre dans la garde-robe où je trouvai la petite lampe de nuit ; je me déshabille.....*

*Ici Jacques fit halte à son récit, et donne une nouvelle atteinte à sa gourde. (Diderot, Jacques le Fataliste).*

ამ მაგალითში ვხედავთ, რომ *აწმყო დრო* (რომელსაც ტრადიციულ გრამატიკაში *présent narratif*-ს უწოდებენ) მოცემულია წარსულთან ერთად, რაც მოვლენებს მოცემულ თხრობით აქტთან შედარებით უკვე წარსულში გადმოგვცემს. ამასთანავე, *აწმყო დრო* სხვა გამომთქმელ- *e1*-ს გულისხმობს, რომელიც კოტექსტურად *E1*-ის წარსულში დგას.(Bres 2009: 35)

რაც შეეხება *futur-ს*, *მომავალ დროს*, ბრესის აზრით, ისიც დიალოგიზმის ერთ-ერთი მარკერია, ვინაიდან იმდენად, რამდენადაც *აწმყო დროის* შემდგომია, პროცესს მომავალში წარმოგვიდგენს. იგი ასევე მიიჩნევს, რომ ეს დრო ძირითადად ინტერლოკუციური ანტიციპაციური დიალოგიზმის მარკერად გვევლინება, მაგალითად:

*Dans dix ans, que restera-t-il de vous, de cette entente, de cette joie qui nie la fatigue ? (Butor, La Modification).*

ამ მაგალითში ზმნა არის მომავალში, რომლის საშუალებითაც მთხრობელი E1 მიმართავს თავის ადრესატს და იწვევს მის სავარაუდო რეაქციას (Bres 2009: 28).

რაც შეეხება *imparfait*-ს, წარსული დაუსრულებელ დროს, ბრესის აზრით იგი დიალოგიზმის მარკერად შეიძლება ჩაითვალოს მაშინ, როდესაც ირიბ ნათქვამში გვხვდება. მას ასეთი მაგალითი მოჰყავს:

*Madame Pailleron a dit que Pascal était un petit homme. (Aragon, Les voyageurs de l'impériale)*

როგორც ბრესი აღნიშნავს, ამ მაგალითში წარსული დაუსრულებელი დრო დიალოგიკურია იმდენად, რამდენადაც ექსპლიციტურად თუ იმპლიციტურად მთხრობელის გამონათქვამი გაორმაგებულია მოქმედი პირის (actant) გამონათქვამით, ანუ ბახტინის სიტყვებით რომ ვთქვათ, აქ ისმის ორი ხმა: მთხრობელის და პერსონაჟის. (Bres 2009: 31).

ბოლოს კი *conditionnel პირობითი კილო*, ბრესის მოსაზრების მიხედვით დიალოგიზმის მარკერს წარმოადგენს, რადგან მისი აზრით, იგი გამომთქმელის გამონათქვამის გაორმაგებას ახდენს, ანუ ენონსიაციურ გაორმაგებას E1/e1 გულისხმობს, მაგ:

*Le vin blanc s'attaquerait à vos dents (Titre d'article)*

ამ მაგალითიდან ჩანს, რომ გამომთქმელს მოჰყავს სხვისი მტკიცებულება, და არ ჩანს, იზიარებს თუ არა ამ მოსაზრებას, ანუ ლოკუტორი არ არის აღნიშნული (გამო)ნათქვამის ავტორი (Bres 2006).

*D'après..., il vendrait toutes ses vignes et prendrait sa retraite (conversation, novembre 2008)*



ასევე აღსანიშნავია, რომ ამ მაგალითში წინა გამონათქვამი იგრძნობა იმდენად, რამდენადაც იგი წინა სამეტყველო აქტის პრესუპოზიციას ეყრდნობა, რომელიც ექსპლიციტურად გამოხატულია კონსტრუქციით *D'après* (Bres 2009:27) .

ბრესი აქვე მიიჩნევს, რომ შესაძლოა მომავალი დრო და პირობითი კილო ერთმანეთს შეენაცვლოს, მაგალითად :

*Quelle leçon pour ce prêtre tourmenté que la découverte de ce juste ignoré de tous et de lui-même....*

*Hélas ! pour une part, cette leçon **serait** vaine. La paix qu'il ne **connaîtra** jamais, ce prêtre est nommé pour la dispenser aux autres (Bernanos, Sous le soleil de Satan).*

ამ მაგალითში, მთხრობელი თავის აზრის წარსულში გამოსახატავად ჯერ იყენებს პირობით კილოს, ხოლო შემდეგ მომავალ დროს. ამრიგად, მომავალი ახდენს არა მხოლოდ პროცესის, არამედ მისი გამოთქმის აქტუალიზაციას e1-ის საშუალებით (Bres 2009: 30).

ერთ-ერთი მეცნიერი ჰ. კრონინგი კი *conditionnel épistémique* - ეპისტემიურ პირობით კილოს პოლიფონიის მარკერად მიიჩნევს და მას ძირითადად ჟურნალისტიკურ პირობით კილოდ განიხილავს. მაგ:

*Ben Laden ne **serait** pas à Tora Bora où les combats se poursuivent (Le Monde 08/12/2001)*

*Il y en a eu [d'amant] très jeune, [il **serait tué** pour elle]... je ne sais pas bien. (Duras 1991 : 40)*

ეს ავტორი მიიჩნევს, რომ ამ გამონათქვამში ეპისტემიური მოდგომა იგრძნობა დაურწმუნებლობაში. (Kronning, 2005 : 297-302)

ბოლოს კი, უნდა აღვნიშნოთ, რომ პერფორმატივებზე, როგორც პოლიფონიის მარკერზე, მხოლოდ დიუკრო საუბრობს და როგორც ზოგადად მიღებულია, აღნიშნავს, რომ მათი საშუალებით თქმას ქმედებაც მოსდევს შედეგად. ვიხილოთ მისი მაგალითი: « *Je te souhaite de bonnes vacances* ». ეს ზმნა აღნიშნავს სურვილის აქტის შესრულებას. (Ducrot, 1984 : 2001).

III . ახლა კი განვიხილოთ ჩვენ მიერ ლინგვისტურ კატეგორიაში გაერთიანებული მარკერების მესამე ჯგუფი, **სხვადასხვა სიტყვათშეთანხმებები**.

ბრესი მიიჩნევს, რომ ინტერლოკუციური, რესპონსული ან ანტიციპაციური დიალოგიზმი შეიძლება გამოხატული იყოს ისეთი რეფორმულაციის მარკერებით, ანუ *locutions conjonctives* - მაკავშირებელი გამონათქვამებით, როგორებიცაა: *autrement dit*- სხვანაირად რომ ვთქვათ, *c'est-à-dire*- ანუ, *contrairement à ce qu'on dira* იმის საპირისპიროდ, რასაც იტყვიან.

*Un principe simple : le président de la République cohabite, c'est-à-dire respecte la Constitution.*

ამ შემთხვევაში *c'est-à-dire* გამომთქმელს საშუალებას აძლევს დააზუსტოს და წინასწარ პასუხი გასცეს თავის მსმენელს, ანუ საქმე გვაქვს რესპონსულ დიალოგიზმთან (Bres 2005: 150).

*Ceci n'est pas une accusation en l'air, contrairement à ce qu'on dira.*

აქ კი გვაქვს ინტერლოკუციური ანტიციპაციური დიალოგიზმი, რადგან გამომთქმელი წინასწარ გამოხატავს მსმენელის მოსაზრებას. (Bres 2008 :6)

როგორც ბრესი აღნიშნავს, სიტყვათშეთანხმება *dira-t-on*, იტყვიან, რომელიც სინტაქსურად მოცემულია როგორც ჩართული, ინტერლოკუციური ანტიციპაციური დიალოგიზმის მარკერია.

*Que révèle un examen à froid et honnête de la situation linguistique du monde ? Tout bêtement le triomphe absolu de l'europhonie [...]*

*Mais, **dira-t-on**, le monde arabe, la Chine et le Japon échappent à cette domination. C'est qu'elle n'est donc pas si totale que cela. Là encore, il s'agit d'une erreur d'appréciation. (Le Monde, 21. 3.2006)*

ამ მაგალითიდანაც ჩანს, რომ გამომთქმელი წინასწარ სცემს პასუხს სავარაუდოდ აუდიტორიის მიერ დასმულ შეშუშუკითხვას. (Bres 2008: 25).

ასევე აღსანიშნავია ამავე ავტორის მიერ შემოთავაზებული მარკერები: *il paraît que, Il est vrai que, Il est certain que, il est vrai que/il n'est pas vrai que, და selon.*

***Il est vrai que** la Tchétchénie n'est pas assujettie au droit international (Le Monde).*

***Il n'est pas vrai que** les voix obtenues par ces présidents (de région) l'aient été sans compromission (Le Monde).*

ამრიგად, პირველ შემთხვევაში გამომთქმელი ეთანხმება სხვის ნათქვამს, ხოლო მეორე შემთხვევაში პირიქით უარყოფს სხვის ნათქვამს. (Bres, 2005: 18)

*L'Elysée veut donc exploiter, diront les détracteurs, contrer, la peur de l'immigration que susciteraient, **selon** la droite, les révolutions arabes. (Le Monde, 25 mars 2011).*

ამდენად, ვხედავთ, რომ ამ მაგალითში გვაქვს მოტანილი დისკურსი, რომელშიც სხვის სიტყვები გამოხატულია გამონათქვამ *selon*-ის საშუალებით. (Bres 2012: 9)

IV. ახლა კი განვიხილოთ **სინტაქსური სტრუქტურები**, რომლებიც **ლინგვისტური მარკერების** ბოლო, მეოთხე ჯგუფში გავაერთიანეთ.

პირველ რიგში განვიხილოთ *Déterminatif possessif*. ფრანგ მეცნიერს ჟ-მ სარალს მიაჩნია, რომ ამ მარკერს, რომელიც კუთვნილებას აღნიშნავს, დიალოგიკური ეფექტის მოხდენა შეუძლია.

*Déjà le baron avait mille fois juré que, depuis vingt-cinq ans, tout était fini entre Madame Hulot et lui. On la dit si belle, répliquait Mme Marneffe, je veux des preuves. Vous en aurez, dit le baron, heureux de ce vouloir par lequel sa Valérie se compromettrait.*

ერთი მხრივ, გვაქვს გამომთქმელის მიერ მოყვანილი პირდაპირი ნათქვამი, რაც დიალოგიზმის ცხადი მარკერია. მეორე მხრივ, გვაქვს *ნომინალური სინტაგმა კუთვნილებითი დეტერმინატივი* საკუთარ სახელთან *sa Valérie*, რომელიც იმპლიციტურად კიდევ სხვა ჩართული გამონათქვამის კვალს წარმოადგენს. (J-M. Sarale, 2009 : 43).

ბრესი კი მიიჩნევს, რომ *Déterminant démonstratif* ხშირად დიალოგიზმის მარკერად გვევლინება.

*(25) L'Europe tenait toute prête une nouvelle exigence : l'élargissement à l'Est, imposé d'en haut plutôt que négocié politiquement. C'est cela, et non les 500 pages de la Constitution, que vise lire des partisans du non. (Courrier international du 2 au 8. 6. 2005)*

ამ მაგალითში ჩვენებითი ნაცვლასახელი *cela*, რომელიც ასევე *l'élargissement à l'Est* - ის ანაფორას წარმოადგენს და ეკუთვნის გამომთქმელ E1-ს, ექსპილიციტურად ზმნიზება *non* -ის საშუალებით გამომთქმელ e1-ის ნომინალურ სინტაგმას *les 500 pages de la Constitution-ს* უპირისპირდება ( Bres 2008 :13).

ახლა კი, განვიხილოთ *renchérissement* [non /pas seulement x/ (mais aussi) y] , რომელიც ბრესის აზრით, ენონსიაციური მონაცვლეობის შესანიშნავი მაგალითია, რადგანაც « le rencherissement prend en considération la parole de l'autre pour lui faire une place ; façon d'intégrer la parole de l'autre pour mieux la dépasser » (Bres 1999 : 38). „ იგი მხედველობაში იღებს სხვის სიტყვას, რათა მას დაუთმოს ადგილი. ესაა საშუალება იმისა, რომ მოახდინო სხვისი სიტყვის ინტეგრირება, რათა უკეთ გადაწონო იგი“.

*Non, l'Europe n'est pas seulement le bloc économique puissant qui pourrait aspirer à la primauté dans le monde, elle est aussi une pauvre chère vieille toute petite chose qui doit désormais protéger et revivifier ses diversités.*

ამ შემთხვევაში ავტორი უარყოფს სხვის არგუმენტს მხოლოდ ნაწილობრივ და შემდეგ თავის მოსაზრებასაც ამატებს.

რაც შეეხება *concession*, ამ სინტაქსური ხერხით გამომთქმელი E1 დროებით ეთანხმება e1- ს ნათქვამს და შემდეგ საკუთარ საპირისპირო აზრს გამოთქვამს<sup>14</sup> (Bres 1999 : 38).

*Il n'y a qu'une façon et une seule de retrouver cette crédibilité : le respect. (...)  
Certes, les candidats à la présidence du mouvement tiennent tous peu ou prou ce langage ;  
Mais, il n'est pas question de mettre en doute leur bonne foi. Il se trouve que celui qui a voulu et su incarner ces différentes formes de respect s'est fait flinguer comme une vulgaire pipe de foire*

ამრიგად, ფრაზის პირველი ელემენტი მიეკუთვნება სხვა გამომთქმელს e1, რომელსაც გამომთქმელი E1 უპირისპირდება და კავშირი *mais* საშუალებით საპირისპირო დასკვნას გვთავაზობს.

---

<sup>14</sup> დათმობის გამომხატველი მარკერების შესახებ ჩვენ უკვე ვრცლად ვისაუბრეთ ამ მარკერების ჩამონათვალის დასაწყისში.

ხოლო რაც შეეხება *Thématisation*, ბრესის აზრით იგი დიალოგიზმის კიდევ ერთ მარკერს წარმოადგენს.

*Notre prospérité viendra du marché plutôt que de l'Etat (Le Monde).*

ამ მაგალითში ნათლად ჩანს, რომ გამომთქმელი E1 თემას *Notre prospérité viendra de* უკავშირებს ორ რემას *du marché* და *de l'Etat*, რათა გამოკვეთოს პირველის უპირატესობა მეორესთან შედარებით, რომელიც სხვა გამომთქმელ e1-ს მიეკუთვნება. (Bres 2005: 21).

ახლა კი განვიხილოთ *extraction [c'est.... que]*, სხვანაირად რომ ვთქვათ *clivage*, როგორც დიალოგიზმის ერთ-ერთი გამოხატულება. როგორც ბრესი აღნიშნავს, იგი დისკურსში ხშირად წარმოდგენილია კომპლექსური ფორმებით [ეს არის.... უარყ x რომ z, ეს არის/ მაგრამ y] [*c'est....neg x que z, c'est /mais y*].

*Ce n'est pas pour les beaux yeux de Maastricht que nous faisons les efforts de sérieux qui sont les nôtres, c'est dans notre propre intérêt.*

ამ შემთხვევაში თემას, რომელსაც საწყისი პოზიცია უჭირავს, უპირისპირდება ორი რემა. ამდენად, პირველ რემაში ჩანს სხვისი ნათქვამი, რომელსაც შემდეგ გამომთქმელი უარყოფს მეორე რემის საშუალებით. ბრესის აზრით, გამოკვეთის (გახლეჩა) საშუალებით გამოკვეთილია თემა, z, რომელიც, როგორც უკვე ცნობილი, მიემართება სხვა გამომთქმელს e1 (Bres 1998: 50).

რაც შეეხება ფრანგ ლინგვისტს ა. ნოვაკოვსკას. ისიც ვრცლად საუბრობს დიალოგიზმის ამ მარკერის, ანუ *clivage* შესახებ, ბრესისაგან განსხვავებით იგი ამ სინტაქსური ფორმის უფრო ბევრ მაგალითს გვთავაზობს, ესენია: (si z, c'est y) ; (თუ z, ეს

არის y); ( x c'est non x c'est y ); (x ეს არ არის x ეს არის y ); (si z c'est y) (თუ z ეს არის y); (c'est y que z) (ეს არის y რაც z).

*Le soir les moines firent entendre un chant harmonieux, inspiré, c'était un jeune moine à barbe noire qui officiait.*

ამ შემთხვევაში გამოყოფილი სინტაგმა *c'était un jeune moine à barbe noire qui officiait* იმპლიციტურად წინა გამონათქვამზე მიუთითებს. (Nowakowska 2006)

ახლა კი ვისაუბროთ *détachement /dislocation*, როგორც დიალოგიზმის მარკერის შესახებ, რომელიც ბრესის აზრით გულისხმობს გამოყოს სინტაქსური ჯგუფი ფრაზის თავში თუ ბოლოში და შემდეგ ხელახლა გაიმეოროს იგი ანაფორული ელემენტით (ან კიდევ აცნობოს კატაფორული ელემენტით). გამოყოფა დისკურსში რთული ფორმით არის წარმოდგენილი [z ანაფორული არა x, ანაფორული y ]

*L'enjeu de ce débat, ce n'est pas l'euro, c'est l'Europe.*

*Le terrain où s'éprouve aujourd'hui la souveraineté, ce n'est pas la maîtrise des frontières mais la capacité interne de faire face à leur ouverture.*

ამ შემთხვევაში მეორე რემა უპირისპირდება პირველს და ეს დაპირისპირება გამოხატულია კავშირი *mais* -ს საშუალებით. ( Bres 1998: 51).

რაც შეეხება *apposition*, ეს სინტაქსური ფორმაც, ბრესის აზრით, დიალოგიზმის მარკერად მიიჩნევა.

*Le président et le pouvoir, qui ont perdu tout soutien du peuple, ne peuvent pas être à l'origine de la stabilité.*

ამ მაგალითში გვაქვს მიმართებითი ნაცვალსახელი დანართის სახით. ბრესი მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში მიმართებითი დამოკიდებული წინადადება წარმოდგენილია ისე, როგორც მიღებული ფაქტი, რომლის კონსტატირებაც უნდა მოხდეს მხოლოდ. ამრიგად საქმე გვაქვს ერთი გამონათქვამის E მეორეში e ჩართვასთან. (L'enchâssement de E1 en e) (Bres 1998: 53).

როგორც ბრესი მიიჩნევს, *détournement* არის ისეთი სინტაქსური საშუალება, რომელიც ცხადად არ გვაგრძნობინებს გამონათქვამის ჰეტეროგენულობას და შესაბამისად დიალოგიზმზე მიუთითებს.

*Un spectre hante l'Europe : la démondialisation. (A.Adler, Le Figaro , 2-3 juillet 2011)*

ამრიგად, ამ გამონათქვამში არანაირი მარკერი არა გვაქვს, მხოლოდ ჩვენი დისკურსული მეხსიერების საშუალებით შეგვიძლია მასში სხვა ხმების გაგონება. ამ მაგალითში გაისმის კ. მარქსისა და ფ. ენგელსის სიტყვები « *Un spectre hante l'Europe : le spectre du communism* ».

ბრესის აზრით, *incise* რესპონსული დიალოგიზმის ერთ-ერთ მარკერს წარმოადგენს.(Bres 2012: 14).

*Nous sommes déçus de devoir supporter sur nos écrans ces visages déformés par la haine et le rejet de l'autre. Nous comptons sur les doigts de la main de Django Reinhardt – le guitariste manouche avait perdu deux doigts dans l'incendie de sa roulotte – quelques hommes d'honneur qui ont su prendre date avec la nation. (Le Monde, 5. 1. 2011)*

ამ მაგალითიდანაც ჩანს, რომ ჩართულის, *le guitariste manouche avait perdu deux doigts dans l'incendie de sa roulotte*, საშუალებით გამომთქმელი წინასწარ სცემს პასუხს მკითხველს და ასევე გამონათქვამს უფრო მეტ ექსპრესიულობას მატებს.



ასევე, ჟენევიევ სალვანი ფიქრობს, რომ ჩართული, როგორც თქვენ ამბობთ, l'incise : *dites-vous*, ინტერლოკუციური დიალოგიზმის შესანიშნავი მარკერია, რომელიც თან ახლავს სხვისი დისკურსის გადმოღებას სწრაფი სახით. ასევე აღსანიშნავია, რომ ამ მარკერის საშუალებით ხდება იმ გამონათქვამის გამეორება, რომელიც უახლოეს წარსულში წარმოითქვა. ამრიგად, ჩართული *dites-vous* იმეორებს სხვის ნათქვამს ლაპარაკის მომენტშივე (avec une image d'immédiateté) (G. Salvan 2005 : 265-267).

*Vous vous ennuyez, dites-vous. Cela veut dire que vous souffrez (Fromentin, Dominique).*

*Prolepse* ბრესის აზრით ინტერლოკუციური ანტიციპაციური დიალოგიზმის გამოხატულების ექსპლიციტური მარკერია იმდენად, რამდენადაც ენონსიაციური ჰეტეროგენულობა გამოხატულია ზმნითა და ქვემდებარით, როგორც პირდაპირ ან ირიბ ნათქვამში. იგი ასევე მომავალ მოსაზრებას წარმოადგენს.

*L'action du gouvernement apparaît zigzagante et confuse, même si dans la réalité elle sert toujours les mêmes intérêts.*

*On me dira que ce pouvoir a la faveur de l'opinion. Mais tout pouvoir élu démocratiquement en bénéficie à ses débuts. (Le Monde, 1. 2. 2003)*

ამ შემთხვევაში პირის ნაცვალსახელი On მიემართება სხვა გამომთქმელს, რომელიც წარმოადგენს მისი წინა დისკურსის ანტიციპაციურ პასუხს. (Bres,J.& Nowakowska 2008 : 5)

*Incipit* ასევე დიალოგიზმის მარკერად მოისაზრება. განვიხილოთ ბრესის მოსაზრება ამ მარკერთან დაკავშირებით.

*Le RPR connaît sans doute la crise la plus grave de son histoire.*

ამ შემთხვევაში, როგორც ბრესი აღნიშნავს, გამომთქმელი ზმნიზედური გამონათქვამით *sans doute* ეთანხმება უკვე ნათქვამს, რომელიც შეიძლება იყოს სტატიის სათაურის გამეორება *Le malaise du RPR*. (Bres 2005: 144).

ასევე უნდა აღინიშნოს ჟან-მარკ სარალის მიერ განხილული დიალოგიზმის მარკერი *reprise-écho*. ეს მეცნიერი თავის სტატიაში აღნიშნავს, რომ *reprise-écho* არის გამომთქმელის მიერ წინა გამომთქმელის მიერ აქტუალიზებული სახელის გამეორება მხოლოდ, ახლებურად აქტუალიზება, ამ შემთხვევაში კუთვნილებითი ნაცვალსახელით (J-M. Sarale 2009: 52). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ავტორის მიხედვით ეს მარკერი ძირითადად დიალოგალურ ტექსტებში გვხვდება და ამიტომ მაგალითიც შესაბამისად დიალოგალურია.

*Louise - chaque fois que je trouve un bolet, c'est une russule.*

*Mathilde - moi aussi, quand j'étais petite, mes bolets c'était des russules. (Exemple de source orale, 1995).*

აქვე გვაქვს ნოვაკოვსკას მიერ შემოთავაზებული დიალოგიზმის გამოხატულების შემდეგი საშუალებები: *anaphore pronominale*.

*Washington n'a pas décidé de libérer le monde de ses dictatures, comme le prétend G. W. Bush. (Le Monde)*

ამ მაგალითში პირის ნაცვალსახელი *le* ანაფორულად იმეორებს წინა გამომთქმელის, ამ შემთხვევაში ბუმის ნათქვამს, რომელიც შეესაბამება მტკიცებით ფორმას *Washington a décidé de libérer le monde de ses dictatures*.

ნაცვალსახელოვან ანაფორას, როგორც დიალოგიზმის მარკერს, ბრესიც განიხილავს თავის სტატიაში.

*FM- ah ! « Affaire Habache ! L'affaire habache ! cette question , ça vous obsède et je suis prêt à vous... ;*

*HS 17- ça nous intéresse .*

აღნიშნულ მაგალითში ნაცვალსახელი *ça* ანაფორულად იმეორებს წინა ნათქვამს და ამდენად, ბრესის აზრით, ნაცვალსახელოვანი ანაფორა თავისუფლად შეიძლება ჩაითვალოს დისკურსული კოჰეზიის ფენომენად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქმე გვაქვს დიალოგალურ შემთხვევასთან, თუმცა როგორც ბრესი აღნიშნავს « Nombre de phénomènes dialogaux sont susceptibles d'une approche dialogique » (Bres,J.& Nowakowska 2006 : 40) „ბევრი დიალოგალური ფენომენი შეიძლება დიალოგიკური მიდგომის საგანი აღმოჩნდეს“.

ჟ. სალვანმა კი გამოყო *relatives disjointes*, რომლებიც შეიძლება სამივე ტიპის დიალოგიზმის მარკერად შეგვხვდეს.

*Séraphin regardait avancer lentement le corbillard qui surplombait la foule, car le chemin est rapide qui conduit du moulin à l'église et au cimetière de Lurs.*

ამ მაგალითში გვაქვს ინტერლოკუციური ანტიციპაციური დიალოგიზმის შემთხვევა, რადგან *გამოყოფილი მიმართებითი ნაცვალსახელით* გამომთქმელი წინასწარ სცემს პასუხს მოსაუბრის შეშეკითხვას „რომელ გზაზე ლაპარაკობთ?“. (G. Salvan 2009 : 74).

*Subordination* ბრესის აზრით იმდენად, რამდენადაც იგი გულისხმობს ერთი წინადადების მეორეში ჩართვას, დიალოგიზმის გამოხატულების კიდევ ერთ მარკერს წარმოადგენს. დაქვემდებარებული წინადადება ძირითადად წარმოდგენილია კავშირ *que-ს* მეშვეობით (Bres 2005 (b) : 17).

*Que Lionel Jospin ait quelque peu oublié l'histoire de la fin du dernier siècle, c'est regrettable, **que** les maladroites qu'il commet relèvent en partie du bon docteur Freud, c'est probable. (Le Monde)*

ასევე აღსანიშნავია გარემოებით დაქვემდებარებული წინადადებები. მაგალითად, დადასტურების გამომხატველი კავშირი *puisque* დაქვემდებარებულ წინადადებაში გამომთქმელს საშუალებას აძლევს დაეყრდნოს უკვე სხვის მიერ ნათქვამს.

*Il n'y a aucune déréglementation **puisque** les arrêtés d'avril 97 restent intégralement en vigueur. (Document universitaire)*

ამ შემთხვევაში, აღნიშნული კავშირი მიუთითებს, რომ ეს გამონათქვამი წინა გამომთქმელს ეკუთვნის.

*Propositions juxtaposées* ბრესის აზრით ენონსიაციური გაორმაგების მაგალითი შეიძლება იყოს, ასეთი შემთხვევაა პირდაპირი ნათქვამი *discours direct*<sup>15</sup>. (Bres 2005 (b) : 16)

*Comparaison par corrélation* შედარება კორელაციით, რომელიც მოიცავს *comparaison d'inégalité* უთანასწორობის შედარებას და *comparaison d'égalité* თანასწორობის შედარებას. ბრესის მოსაზრების მიხედვით ეს შედარების ფორმები, რომლებიც ორ არგუმენტაციულ ელემენტს ერთმანეთს უკავშირებენ, ენონსიაციური გაორმაგების შესანიშნავ მარკერებს წარმოადგენენ. მისი აზრით, *comparaison d'inégalité* შეიძლება იყოს *de supériorité [ plus davantage x que y ]* ან *d'infériorité [ moins x que y ]*.

*La croissance britannique relève **d'avantage** de son appartenance au monde anglo-américain **que** de la valeur de sa monnaie.*

<sup>15</sup> ამ მარკერის მაგალითს განვიხილავთ ბოლოში, როდესაც პირდაპირ ნათქვამზე გვექნება საუბარი.

*La spécificité de l'époque actuelle réside **moins** dans la critique de la police **que** dans la façon dont celle-ci est formulée.*

ამ მაგალითებიდან ჩანს, რომ ერთ თემას მიემართება ორი რემა, რომელთაგან პირველში ერთს მეტი არგუმენტაციული უპირატესობა გააჩნია, ხოლო მეორეს ნაკლები.

რაც შეეხება *comparaison d'égalité* [*autant x que y*] [*იმდენად x რამდენადაც y*], ამ შემთხვევაში თემასთან მიმართებულ ორივე რემას თანასწორფულებიანი არგუმენტაციული ღირებულება გააჩნია. მის მიერ მოყვანილ მაგალითში ეს ნათლად არის ასახული. (Bres 1999: 35-40).

*La rhétorique familiale se trouve **autant** dans la littérature de la Résistance **que** dans celle de Vichy.*

ჟაკ ბრესს მიაჩნია, რომ *négation* საშუალებით « L'énonciateur E1 met en scène un énonciateur e1 à qui il attribue l'assertion de l'énoncé positif, énoncé auquel il s'oppose par la négation » (Bres 2006). „ გამომთქმელი E1 წარმოაჩენს (გამო)მთქმელს e1, რომელსაც იგი მტკიცებით გამონათქვამს აკუთვნებს და რომელსაც იგი უარყოფითი ფორმით უპირისპირდება“.

*Je **ne** détourne **pas** mon regard de la réalité.*

ასევე ერთ-ერთი ლინგვისტი ს.მელეტ მიიჩნევს, რომ *négation* მონაცვლეობის და შესაბამისად დიალოგიზმის ცხადი მარკერია და ყოველი უარყოფითი გამონათქვამი ეყრდნობა, და გაგვაგონებს შესაბამის მტკიცებით ფრაზას. იგი აქვე საუბრობს *négation descriptive dialogique* - აღწერით დიალოგიკურ უარყოფით ფორმაზე, (Mellet, 2009 : 168-169).

*C'était une nuit du dimanche au lundi. Digne dormait dans le calme. Les feux de signalisation clignotaient en pure perte. La circulation était nulle en direction de Berreme,*

*de maliji ou de barcelonnete. **Aucun** chien n'aboyait. Les autorails colorés étaient au repos dans la gare déserte. (P. Magnan, Les Artides).*

ამ შემთხვევაში მთხრობელი აღწერს სიტუაციას და განუსაზღვრელი ნაცვალსახელის გამოყენებით სხვის ნათქვამს მიემართება.

დიუკრო ვრცლად საუბრობს უარყოფითი ფორმის შესახებ, როგორც, რა თქმა უნდა, პოლიფონიის გამოხატულებაზე. იგი გამოყოფს *négation descriptive* (*Na demandé à Z, qui vient d'ouvrir les volets, quel temps il fait.*), რომელიც მხოლოდ საგნებს წარმოადგენს და ამით ავტორი არ უპირისპირდება მათ. ხოლო *négation polémique* ემსახურება საპირისპირო აზრის გამოთქმას. « *Il doit y avoir encore quelques nuages dans le ciel* » (Ducrot, 1984 : 2217)

როგორც ბრესი აღნიშნავს, შემზღუდველი უარყოფის გამომხატველი ნაწილაკი *ne .... Que* ემსახურება უარყოს ის რემები, რომლებიც სხვადასხვა გამომთქმელებმა შესთავაზეს. ამრიგად, შეზღუდვა გვატყობინებს სხვა ხმებს, თუმცა ცხადად არ ახდენს ამ სხვა გამონათქვამების ციტირებას. შესაბამისად იგი დიალოგიზმის მარკერია.

*L'envoi de l'armée et l'inévitable effusion de sang ne font que compliquer la situation (en Tchétchénie) (Le monde).*

რაც შეეხება *Forme d'interrogation*, როგორც ბრესი აღნიშნავს, იგი დიალოგიზმის მარკერია და ძირითად შემთხვევაში გვაგრძნობინებს სხვა ხმებს იმდენად, რამდენადაც « *l'énonciateur E1 met en débat l'assertion de e1* » (Bres 2005 : 145) „*გამომთქმელი E1 კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს გამომთქმელ e1-ის მტკიცებულებას*“, რომელიც შესაბამისად მოითხოვს მის დადასტურებას თუ უარყოფას.

*Amnésiques, ces opposants ? Frappés d'une hémiplegie de la mémoire, selon la formule de Stéphane Courtois, de la mémoire des crimes qu'ils ont combattus ? **Sûrement pas.***

ამრიგად, კითხვითი ფორმა და გამონათქვამი სხვის ნათქვამზე მიუთითებს.

რაც შეეხება კიდევ ერთ ფრანგ ლინგვისტს, ჟილ სიუფის, იგი თვლის, რომ *est-ce que*-თი წარმოებული *კითხვითი ფორმა* დიალოგიზმის მარკერს წარმოადგენს.

« *Qui peut vous inspirer une haine si forte ?*

*Est-ce que de Baal le Wèle vous transporte ? (Racine, Athalie : 915-916)*

ამრიგად, ამ კითხვითი ფორმით წარმოდგენილი წინადადებაში ჩანს, რომ იგი უკვე წარმოთქმული იქნა სხვის მიერ. (Siouffi, 2009: 47).

ო. დიუკრო კი მიიჩნევს, რომ კითხვითი ფორმა, პოლიფონიის ნათელ გამოხატულებას წარმოადგენს და როგორც ამ მაგალითიდან ჩანს « *Qui est venu ?* » იგი მიუთითებს პრესუპოზიციასზე, ანუ იმ ფაქტზე, რომ მასში ისმის სხვა ხმებიც. (Ducrot, 1984 : 193)

*Nominalisation* ანუ *dialogisme de la nomination* ენონსიაციური გაორმაგების ერთ-ერთ ნიმუშს წარმოადგენს. როგორც სერიო აღნიშნავს, ნომინალიზებული გამონათქვამი არის *préconstruit* წინასწარ შედგენილი ანუ წარმოდგენილი, როგორც „უკვე იქ“ მყოფი საგანი, რომელიც დისკურსს წინ უსწრებდა. მისი პროდუცირების პირობები წაშლილია (Seriot 1985 :24). ხოლო როგორც ბრესი აღნიშნავს, E1-ის გამომთქმელი წარმოდგენილია, როგორც წინა e1 მტკიცებულების მოდალიზატორი, ანუ ის, ვინც მის მოდალიზაციას ახდენს.

*L'aveuglement de l'Occident à l'égard de ce qui s'est passé, la naïveté des explications et des positions adaptées par la majorité des gouvernements sont stupéfiants.*

ამ შემთხვევაში გავქვს ორი ნომინალური სინტაგმა *L'aveuglement, la naïveté*, რომლებიც წინა ნათქვამებს მიემართებიან იმ თვალსაზრისით, რომ ხდება მათი შეფასება.

ბრესი აქვე აღნიშნავს, რომ სინტაქსური ფორმა *transformation infinitive* დიალოგიზმის ერთ-ერთი მარკერია.

*Annuler ou même retarder les nouvelles demandes d'habilitation de masters ne fera que creuser un peu plus notre handicap (document universitaire).*

მაშასადამე, ამ მაგალითში თავისუფლად შეგვიძლია აღვადგინოთ სხვა გამომთქმელის ნათქვამი *Il faut annuler ou même retarder les nouvelles demandes d'habilitation de masters*, რაც, შესაბამისად, დიალოგიზმის არსებობას ადასტურებს. (Bres 2005 : 22)

აქვე უნდა აღინიშნოს მელეს მიერ შეთავაზებული დიალოგიზმის მარკერი *si hypothétique*.

*S'il est riche, il se montrera généreux. (Vogue)*

ეს ლინგვისტი მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში ამ გამონათქვამში სხვა გამონათქვამიც ისმის, რომელიც ზოგად *on* ნაცვალსახელს მიემართება.

« *Quand on est riche on peut aisément se montrer généreux* ». (Mellet, 2009 :166)

ბრესიც მიიჩნევს, რომ *si hypothétique* დიალოგიზმის მარკერს წარმოადგენს განვიხილოთ მის მიერ შემოთავაზებული მაგალითი:

*Comment se fait-il, s'interrogeait un copain samedi, que nous n'ayons pas fait céder le gouvernement, alors qu'à plusieurs reprises, nous sommes descendus dans la rue bien plus nombreux qu'en 1985... Si le gouvernement n'a pas cédé, c'est que le plan Fillon est le premier d'une série d'attaques brutales (document syndical).*

ამდენად, ამ მაგალითში *Si le gouvernement n'a pas cédé* როგორც ბრესი აღნიშნავს, გვაქვს ჰიპოთეტური *si* და იგი სხვა გამომთქმელის ექსპლიციტურ



გამეორებას წარმოადგენს. იგი ასევე აღნიშნავს, რომ დაქვემდებარებული ელემენტი ჰიპოთეტიკურ კონსტრუქციაში ყოველთვის საწყის თემატურ პოზიციაში დგას (Bres 1999: 54).

II. ახლა კი განვიხილოთ **ენონსიაციური, ანუ დისკურსული** მარკერები. პირველ რიგში უნდა ვახსენოთ ციტირება, რომელიც სხვის ნათქვამს ნათლად გადმოსცემს და, რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში ყოველთვის საქმე გვაქვს პირდაპირ ნათქვამთან, რომელშიც სხვა გამომთქმელის სიტყვები პირდაპირ არის გადმოცემული.

*Lors de son trentième anniversaire, en 1998, Felipe de Bourbon avait déclaré qu'il ne se marierait que « par amour ». Il avait toutefois posé une condition : « la future reine devra connaître, apprécier et savoir représenter les valeurs de la couronne ». (Le Monde du 3 novembre 2003).*

ამდენად, როგორც ბრესი აღნიშნავს, პირდაპირი ნათქვამი ბრჭყალებში არის გადმოცემული, რაც ცხადია სხვა გამომთქმელს მიემართება (Bres 2005 (b) : 16).

რაც შეეხება *allusion*, ალუზია, როგორც ბრესი მიიჩნევს, ამ შემთხვევაში სხვა გამომთქმელის გამონათქვამი მატერიალურად არ არის წარმოდგენილი, თუმცა მხოლოდ მეტ-ნაკლებად რეფორმულირებულია.

*Elle esquisse un demi-sourire et fait le cadeau de cinq bis généreux. Yuja Wang possède la clé de tous les festins. (Article Portrait de la pianiste Yuja wang. (Le Monde, 6 décembre. 2011).*

აქვე ჩანს ინტერაქცია შემდეგ გამონათქვამთან: « *J'ai songé à rechercher la clé du festin ancien* » (Rimbaud, *une saison en enfer*), რომლიდანაც მხოლოდ *la clé du festin* გვაძლევს საშუალებას გავიგონოთ რემბოს „ხმა“ (Bres 2012 : 9).

ბრესი ასევე მიიჩნევს, რომ *შებრუნება*, რომელიც მოცემულია *blague* - ხუმრობაში დიალოგიზმის მარკერს წარმოადგენს.

- *Qu'est-ce qui t'arrive que tu es triste ?*
- *Tu connais pas la nouvelle ?*
- *Non, laquelle ?*
- *La petite Agnès est morte. (La Comédie Française)*

ამრიგად, როგორც ბრესი აღნიშნავს, *La petite Agnès est morte*- ის დიალოგიზმი გამომდინარეობს იქიდან, რომ იგი ინტერაქციულად დაკავშირებულია აგნესის რეპლიკასთან პიესაში *L'école des femmes (II,5) « Le petit chat est mort »*. (Bres 2008 : 10)

ახლა კი, განვიხილოთ *discours rapporté მოტანილი დისკურსი*, რომელიც მოიცავს *discours direct პირდაპირი ნათქვამს*, *discours indirect ირიბ ნათქვამს* და *discours indirect libre თავისუფალ ირიბ ნათქვამს*. ბრესი მიიჩნევს, რომ *discours direct პირდაპირი ნათქვამი* დიალოგიზმის პროტოტიპულ მარკერს წარმოადგენს და იგი ექსპლიციტურად ენონსიაციურ გაორმაგებას გამოკვეთავს.

*Lors de son trentième anniversaire, en 1998, Felipe de Bourbon avait déclaré qu'il ne se marierait que « par amour ». Il avait toutefois posé une condition : « la future reine devra connaître, apprécier et savoir représenter les valeurs de la couronne ».* (Le Monde)

მაშასადამე, სხვის მიერ ნათქვამი გამომთქმელის მიერ პირდაპირ, ყოველგვარი ცვლილების გარეშე არის გადმოცემული. (Bres 2005 : 16)

აქვე განვიხილოთ ირიბი ნათქვამის შემთხვევები, რომელშიც გამომთქმელს არაპირდაპირი, ანუ ირიბი გზით მოჰყავს სხვისი ნათქვამი. მაგ:

*Après avoir affirmé et écrit que la nation était la première des valeurs gaullistes, on a donné le sentiment fâcheux de vouloir la dissoudre dans la nébuleuse fédéraliste. (J-P Matière)*

ამრიგად, ამ მაგალითში გამომთქმელს ირიბად მოჰყავს სხვისი სიტყვები, რითაც ჩანს, რომ იგი მას კი არ უპირისპირდება, არამედ არა პირდაპირი გზით იმეორებს მას(Bres& Nowakowska 2005 :147).

დიუკრო და ასევე ზოგიერთი სხვა ფრანგი მეცნიერი, მათ შორის დ. მენგენო მიიჩნევენ, რომ *მეტაფორა და ირონია* პოლიფონიის გამოხატულების მარკერებს წარმოადგენენ. დიუკროს მეტაფორასთან დაკავშირებით შემდეგი მაგალითი მოჰყავს: « *Les deux berges (..) filèrent comme deux larges rubans que l'on déroule* » და აღნიშნავს, რომ ამ გამონათქვამში თავისუფლად შეგვიძლია დავინახოთ სხვა გამომთქმელი. ხოლო, რაც შეეხება ირონიას, იგი თვლის, რომ ეს იგივე ანტიფრაზაა და რომ ილაპარაკო ირონიულად, ნიშნავს, რომ ლოკუტორი თქმის პროცესში გამოხატავს გამომთქმელ E -ს პოზიციას, რომლის პასუხისმგებლობასაც ლოკუტორი არ იღებს თავის თავზე და მას აბსურდულად მიიჩნევს, მის მიერ მოყვანილი მაგალითია « *Excusez du peu* » (Ducrot, 1984 : 209-211) ფონტანიე მიიჩნევს, რომ ირონია გულისხმობს « *Dire par une raillerie, ou plaisante, ou sérieuse, le contraire de ce qu'on pense, ou de ce qu'on veut faire penser* » (Fontanier 1821). „*სერიოზული, თუ სასაცილო ხუმრობით თქვა იმის საწინააღმდეგო, რასაც ფიქრობ, ან გინდა რომ აფიქრებინო*“. ამრიგად ეს ანტიფრაზაა. ხოლო, დ. მენგენოს მოსაზრების თანახმად, იგი არა ანტიფრაზას, არამედ უფრო ციტირებას ჰგავს, ანუ ეს არის ლოკუტორის სიტყვების ხსენება (mention), « *La mention du propos d'un locuteur qui dirait quelque chose de déplacé* ». (Maingueneau 1993 : 84). „*ლოკუტორის სიტყვების ხსენება, რომელიც რაღაც უადგილოს იტყვოდა*“. ამდენად, იგი პოლიფონიურია, რადგან ლოკუტორის ხმის გარდა, მასში სხვა ხმასაც დავინახავთ და ამ პერსპექტივაში ირონიულ თქმაში გამოიკვეთება ის პერსონაჟი, რომელიც რაღაც უადგილოს წარმოადგენს და რომლის ლოკუტორიც თავისი ტონით და მიმიკით დისტანციას ინარჩუნებს. მას ეს მაგალითი მოჰყავს: « *Les canons renversèrent d'abord à peu près six mille hommes de chaque coté ; ensuite, la mousqueterie ota du meilleur des mondes environ neuf à dix mille coquins qui en infectaient la surface*». (Voltaire, *Candide*)

მეორე ფრაზა არის ირონიული, ამდენად მთხრობელი თავის სიტყვაში გვაგრძნობინებს სხვა გამომთქმელის მოსაზრებას, რომელთანაც დისტანციას ინარჩუნებს თავისი სიტყვების ბინძური ხასიათით. (Maingueneau 1993 : 85)

### ***3.1 მესამე თავის დასკვნა***

ამდენად, მესამე თავში შევეცადეთ, ნათლად გადმოგვეცა დიალოგიზმისა და პოლიფონიის მარკერების შესახებ არსებული მეცნიერთა მიერ შემოთავაზებული მოსაზრებები. როგორც გაირკვა, ისინი გარკვეულწილად ემთხვევა ან განსხვავდება ერთმანეთისაგან. ხშირ შემთხვევაში არ ხდება მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა. შესაბამისად, ერთსა და იმავე მარკერს სხვადასხვა ავტორი სხვადასხვანაირად განიხილავს. ერთნი მას დიალოგიზმის მარკერს უწოდებენ, ხოლო მეორენი - პოლიფონიისას.

ამიტომ, შემდეგ თავში ჩვენი კორპუსის კვლევის შედეგად ვეცდებით, დავამტკიცოთ ის მოსაზრება, რომ პოლიფონია და დიალოგიზმი ერთდროულად წარმოგვიდგენს ერთზე მეტ ხმას. ჩვენ ასევე ვეცდებით დავადგინოთ, რომ ყველა ეს განხილული მარკერი ემსახურება დიალოგიზმის სამი ფორმის: ინტერდისკურსულის, ინტერლოკუციურისა და ინტრალოკუციურის გამოხატვას. ხოლო ირონია, ალუზია, პირდაპირი ნათქვამი და ირიბი ნათქვამი, უარყოფითი ფორმა და პირობითი კილო შეგვიძლია მივიჩნიოთ პოლიფონიის მარკერებად, რომელშიც ნათლად ჩანს, რომ ხმები ერთ დონეზე თანაბრად ისმის, განსხვავებით დიალოგიზმისა, რომელშიც ეს ხმები იერარქიულად, არათანაბარ დონეზეა წარმოდგენილი.

## თავი 4. ფრანგული და ქართული პოლიტიკური დისკურსის შეპირისპირებითი ანალიზი

ჩვენი სადისერტაციო თემის კორპუსი შევადგინეთ ფრანგი და ქართველი პრეზიდენტების დისკურსებით. ფრანგი პოლიტიკოსებიდან ავიღეთ ჟაკ შირაკის, ნიკოლა სარკოზისა და ფრანსუა ოლანდის წინასაარჩევნო თუ თავიანთი პრეზიდენტობის პერიოდში წარმოთქმული დისკურსები. ხოლო ქართველ პრეზიდენტებს შორის არჩევანი მიხეილ სააკაშვილისა და გიორგი მარგველაშვილის დისკურსებზე შევაჩერეთ.

ჩვენი კორპუსის კვლევის მიზანია განვიხილოთ, თუ როგორი სიხშირით არის გამოყენებული ყველა ის მარკერი, რომელთა შესახებ წინა თავებში ვისაუბრეთ და რომლებიც მრავალი მეცნიერის მიერ უკვე გაანალიზებული და შესწავლილია. ასევე ჩვენი მიზანია, გამოვყოთ კიდევ მრავალი სხვა ახალი ენობრივი თუ დისკურსული მარკერი, რომლებიც, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ჯერ არ გამხდარა არც ერთი მეცნიერის კვლევის ობიექტი.

ამასთან ერთად, ვეცდებით, დავასაბუთოთ ჰიპოთეზის ფორმით სადისერტაციო ნაშრომის შესავალში წარმოდგენილი ჩვენი დებულება იმის თაობაზე, რომ ნებისმიერი ტექსტი და დისკურსი მოიაზრება ინტერტექსტუალური და ინტერდისკურსული ურთიერთობების დონეზე და რომ ამ ინტერტექსტუალური და ინტერდისკურსული ურთიერთობების გამოხატვას ემსახურება, ერთი მხრივ, დიალოგიზმი მისი სამი ფორმით: ინტერდისკურსული, ინტერლოკუციური და ინტრალოკუციური - გამოხატული ხმათა იერარქიულ დონეზე, მეორე მხრივ, პოლიფონია, რომელშიც ხმები თანაბარ დონეზეა განაწილებული.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი კვლევის სიახლეს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ჩვენ მიერ არჩეული კორპუსი, პოლიტიკური დისკურსი,

დიალოგიზმის ფენომენის შესწავლის კუთხით დღემდე ანალიზის ობიექტი არ ყოფილა. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ჩვენი ძიების პროცესში განხილული ნაშრომებისა თუ სტატიების ავტორები აღნიშნულ პრობლემატიკას ძირითადად პუბლიცისტურ და ლიტერატურულ ჟანრში და ასევე ზეპირ დიალოგებში განიხილავენ. როგორც ვნახეთ, კვლევისას, არც ერთი ლინგვისტი პოლიტიკოსების მიერ წარმოთქმულ დისკურსებს არ ააანალიზებს. მხოლოდ ზოგიერთ მათგანს მოჰყავს პოლიტიკური დისკურსებიდან რამოდენიმე მაგალითი ისე, რომ აღნიშნული დისკურსის სპეციფიკურ ხასიათს არ უსვამს ხაზს. ამდენად, ჩვენი კვლევის ერთ-ერთი სიახლე იქნება სწორედ ის, რომ ყველა ამ მარკერს, რომლებიც დიალოგიზმისა და პოლიფონიის ფენომენების გამოხატვას ემსახურება, შევისწავლით ფრანგი და ქართველი პრეზიდენტების მიერ საარჩევნო კამპანიისა თუ თავიანთი მოღვაწეობის პერიოდში (2002 წლიდან 2014 წლამდე) წარმოთქმული პოლიტიკური დისკურსების მასალებზე დაყრდნობით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მიერ გააანალიზებულ კორპუსშიც გამოვყავით ბევრი ის მარკერი, რომლებიც უკვე შესწავლილია მრავალი მეცნიერის მიერ სხვა ჟანრის დისკურსებში და რომელთა შესახებაც ვრცლად ვისაუბრეთ წინა თავში. იმავდროულად, ჩვენმა ანალიზმა სამი მნიშვნელოვანი მომენტი გვიჩვენა.

პირველი არის ის, რომ, უმეტეს შემთხვევაში, ჩვენ მიერ განსახილველ დისკურსებსა თუ გამონათქვამებში გვხვდება არა ერთი რომელიმე კონკრეტული მარკერი, არამედ ორი ან რამოდენიმე. იქნება ეს ერთი ტიპის დიალოგიზმის გამომხატველი ერთი და იგივე მარკერის გამოვლენა, თუ სხვადასხვა მარკერები.

ხოლო მეორე მომენტი არის ის, რომ ერთი და იგივე მარკერი შესაძლოა არა მხოლოდ დიალოგიზმის ერთი ტიპის განმსაზღვრელი იყოს, არამედ სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვა ტიპის დიალოგიზმს გამოხატავდეს, იქნება ეს ინტერდისკურსული, ინტერლოკუციური თუ ინტრალოკუციური დიალოგიკური ურთიერთობა.

მესამე მომენტი არის ის, რომ კორპუსის კვლევისას ჩვენ აღმოვაჩინეთ ბევრი ისეთი შემთხვევა, როდესაც ერთსა და იმავე დისკურსსა თუ გამონათქვამში არა მხოლოდ ერთი კონკრეტული დიალოგიზმის ტიპის გამომხატველი მარკერია, არამედ, მასში შეიძლება იყოს, ორი ან სამივე ტიპის დიალოგიზმის მარკერი, რაც პოლიტიკური დისკურსის მკვეთრ ჰეტეროგენულობას უსვამს ხაზს. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მიერ შესწავლილ მეცნიერთა ნაშრომებში და მათ მიერ მოყვანილ მაგალითებში, როგორც წესი, შეისწავლება მხოლოდ ერთი კონკრეტული მარკერი, მაშინ, როდესაც ამავე გამონათქვამსა თუ დისკურსში სხვა მარკერებიც გვხვდება. ასევე, ეს მეცნიერები ნაკლებად მიუთითებენ, ესა თუ ის მარკერი კონკრეტულად რომელი ტიპის დიალოგიზმის გამოხატულებას ემსახურება.<sup>16</sup> და ბოლოს, აღსანიშნავია ისიც, რომ არც ერთი მეცნიერის ნაშრომში არ არის გამოკვეთილი ისეთი შემთხვევები, როდესაც ერთსა და იმავე დისკურსში შეიძლება ორივე ან სამივე ტიპის დიალოგიკური ურთიერთობა იკვეთებოდეს.

ამდენად, მოცემულ თავს დავყოფთ რამოდენიმე პარაგრაფად. სამი პარაგრაფი მიემდგნება: ინტერდისკურსული, ინტერლოკუციური და ინტრალოკუციური დიალოგიზმის მარკერებს პოლიტიკურ დისკურსში, ხოლო მეოთხე პარაგრაფს კი დავუთმობთ სამივე ტიპის დიალოგიზმს ერთად პოლიტიკურ დისკურსში, ანუ იმ შემთხვევებს, როდესაც ერთსა და იმავე დისკურსში არა მარტო ერთი, არამედ ერთზე მეტი დიალოგიზმის ტიპის მარკერი გვაქვს. მეხუთე პარაგრაფში კი პოლიფონიის მარკერებს განვიხილავთ. თითოეულ პარაგრაფს შემდეგნაირად წარვმართავთ: ჯერ გავაანალიზებთ ფრანგულ დისკურსებს, ხოლო შემდეგ - ქართულს. ფრანგული დისკურსების ანალიზისას ჯერ ყურადღებას გავამახვილებთ ისეთ გამონათქვამებზე, რომელშიც გვხვდება მეცნიერთა მიერ შესწავლილი და გააანალიზებული ის მარკერები, რომელთა კლასიფიკაციაც უკვე წინა თავში გავაკეთეთ. მათი ანალიზის შემდეგ, ასევე

---

<sup>16</sup> მხოლოდ ბრესი აღნიშნავს თავის სტატიებში გარკვეულ შემთხვევებს, როდესაც ესა თუ ის მარკერი ამა თუ იმ დიალოგიზმის ტიპს გამოხატავს (Bres, J.& Nowakowska :2008), (Bres, J.& Nowakowska 2005), (Bres, J. : 2012).

გამოვკვეთავთ ჩვენ მიერ მიკვლეულ ისეთ ახალ მარკერებს, რომელთა შესახებაც ჯერ მეცნიერებს არ უსაუბრიათ და, შესაბამისად, სიახლეს წარმოადგენენ. რაც შეეხება ქართულ კორპუსს, ყველა იმ მარკერს, რომლებსაც მასში განვიხილავთ, ახალი მარკერები იქნება ჩვენთვის, ვინაიდან, როგორც არა ერთგზის აღვნიშნეთ, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ქართული დისკურსის ანალიზის სფეროში დიალოგიზმისა და პოლიფონიის ფენომენებს, და შესაბამისად, მათ მარკერებსაც ნაკლებად იკვლევენ. თითოეული პარაგრაფის ბოლოს კი მოვახდენთ ამ მარკერების კლასიფიკაციას, განვიხილავთ მათ შეპირისპირებით პლანში და შევეცდებით, ვაჩვენოთ, განაპირობებს თუ არა განსხვავებული სოციო-კულტურული გარემო და ორი განსხვავებული ენის სპეციფიკა პოლიტიკური დისკურსის სტრუქტურას და ყველა განხილული მარკერის მეტ-ნაკლები სიხშირით გამოყენებას.

#### **4.1 ინტერდისკურსული დიალოგიზმის მარკერები**

ინტერდისკურსული დიალოგიზმი დისკურსის დიალოგიკური მიმართების ყველაზე ნათლად გამოკვეთილი ფორმაა. იგი გულისხმობს, გამომთქმელის მიერ საკუთარ დისკურსში სხვა გამომთქმელის, მანამდე, იმავე საგნის შესახებ წარმოთქმული დისკურსის მეტ-ნაკლებად ექსპლიციტურად ასახვას (არეკვლას). როგორც ბრესი აღნიშნავს: « Le locuteur, dans sa saisie d'un objet, rencontre les discours précédemment tenus par d'autres sur ce même objet, discours avec lequel il ne peut pas manquer d'entrer en interaction » (Bres, 2005 :52) . „ლოკუტორი რაიმეზე საუბრისას, ყოველთვის ხვდება სხვა, მანამდე შექმნილ დისკურსებს ამ საგნის თაობაზე, რომელთანაც აუცილებლად შედის ინტერაქციაში“. დიალოგიზმის ამგვარი ფორმის დანახვა დისკურსში სხვადასხვაგვარი ლინგვისტური თუ დისკურსული მარკერით შეიძლება.

ზემონათქვამიდან გამომდინარე, დავასკვნით, რომ ამ ტიპის დიალოგიზმის მარკერები რაოდენობრივად ყველაზე ბევრი აღმოჩნდა, ვიდრე დანარჩენი ორი ტიპის დიალოგიზმისა.



აღნიშნულ პარაგრაფში თავდაპირველად გავაანალიზებთ ისეთ შემთხვევებს, როდესაც ინტერდისკურსული დიალოგიზმი ამა თუ იმ გამონათქვამში წარმოდგენილია იმ მარკერების საშუალებით, რომლებიც უკვე განხილული და გააანალიზებულია ჩვენ მიერ შესწავლილი არა-ერთი მეცნიერის ნაშრომში. ამასთან ერთად, განვიხილავთ ისეთი შემთხვევებს, როდესაც ჩვენი კვლევის შედეგად გამოვყავით ამ ტიპის დიალოგიზმის გამომხატველი სხვა ისეთი მარკერები, რომელთა შესახებაც ჯერ მეცნიერებს არ უსაუბრიათ. ასევე შევეცდებით, ეს მარკერები გავაანალიზოთ ჩვენ მიერ წინა თავში შემოთავაზებული მარკერების კლასიფიკაციის შესაბამისად.

როგორც ამ თავის შესავალში აღვნიშნეთ, ყველა ის მეცნიერი, რომლებიც ამ მარკერების შესახებ საუბრობენ, გამონათქვამში არსებულ მხოლოდ ერთ მარკერს განიხილვენ, ანუ, როდესაც ერთსა და იმავე გამონათქვამში არის ერთზე მეტი მარკერი, ისინი ამ ფაქტს უგულებელჰყოფენ. ამდენად, შევეცდებით მოცემულ მაგალითში არსებული ყველა მარკერის განვიხილვას.

მაგალითებში 1-ლი და მე-2 გავქვს დადასტურების გამომხატველი მარკერი, ნაწილაკი *Oui*, რომელიც ერთ-ერთი ექსპლიციტური ინტერდისკურსული მარკერია, რომლის საშუალებითაც გამომთქმელი ეთანხმება სხვის ნათქვამს და შესაბამისად, გადმოსცემს მას. ანუ ის, რასაც ამ მარკერის შემდეგ ამბობს, უკვე სხვას ეკუთვნის. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ 1-ლ მაგალითში ეს ნაწილაკი რამოდენიმეჯერ მეორდება, რაც ასევე დისკურსულ ანაფორას გამოხატავს.<sup>17</sup>

- 1) *Oui, nous voulons créer une société pour exploiter l'uranium. Oui, nous voulons créer une société pour exploiter, maintenir, louer des hélicoptères. Oui, nous voulons vous aider à créer des emplois chez vous et nous en voulons chez nous aussi, ensemble comme deux puissances, comme deux forces.* (Sarkozy)

---

<sup>17</sup> ამ მარკერის შესახებ ცოტა ქვემოთ ვისაუბრებთ.

2) *La sous-capitalisation des PME françaises les condamne à choisir entre le surplace mortel et le surendettement mortel. C'est un obstacle à la croissance. **Oui**, pas assez de fonds propres et quand on n'a pas de fonds propres, on ne peut pas se développer, on ne peut pas emprunter et quand, pour faire des fonds propres, on s'endette, on est trop endetté et on est étranglé au premier retournement de la conjoncture. (Sarkozy)*

ასევე მაგალითებში (3), (4), (5), (6), (7), (8), (9) გვაქვს დადასტურების სხვა მარკერები *certes, naturellement, certainement, justement, bien, bien sûr*, რომლებიც, წინა მარკერის მსგავსად, ხელს უწყობენ მანამდე წარმოთქმულ დისკურსებთან თუ გამონათქვამებთან დიალოგიკური კავშირის არსებობას. როგორც მესამე თავში აღვნიშნეთ, ფრანგი მეცნიერი რ. ვიონი მათ მოდალიზატორებსაც უწოდებს. ხოლო, ფრანგი მეცნიერები ს.გარნიე და ფ. სიტრი *certes* განიხილავენ დიალოგიზმის დადასტურების მარკერად. მაგრამ ამავე მაგალითებში დადასტურების მარკერებთან ერთად ვხვდებით სხვა ტიპის მარკერებსაც, რომლებიც ასევე ემსახურებიან ინტერდისკურსული დიალოგიზმის გამოხატვას. მე-3 მაგალითში *უფროობითი ხარისხის ფორმა mieux que*, რომლითაც გამომთქმელი ზოგადად აღნიშნავს ევროპის ქვეყნების სიტუაციას და, შესაბამისად, სხვათა ნათქვამებს ახსენებს. მაგ. მე-4 დაპირისპირების მარკერი *Mais*, რომელიც მიუთითებს, რომ გამომთქმელი მისი საშუალებით უკვე ნათქვამს უპირისპირდება. მე-5 მაგალითი *ლოგიკური კავშირი donc*. მე-7 მაგალითში ჩვენებითი ნაცვალსახელისა *cette* და ასევე *si* ჰიპოთეტიკურის საშუალებით გამომთქმელი სხვების სიტყვებს ადასტურებს და იმეორებს.

3) *Alors certes, grâce à notre démographie, nous pourrons mieux faire face que la plupart des autres pays européens. (Sarkozy)*

4) *Certes, les critères de l'euro, remplis dès 1997, ont été respectés. Le pacte de stabilité, d'abord rejeté avec véhémence, a finalement été accepté et appliqué. Mais les déficits de la France sont aujourd'hui parmi les plus élevés d'Europe. Pour la première fois en 8 ans, ils s'aggravent fortement cette année. (Chirac)*

- 5) *Nous devons **donc** faire un choix courageux. Alors, **naturellement**, c'est difficile parce que lorsqu'il s'agit de baisser les cotisations, elles baisseront pour 93 % des salariés de l'agriculture, pour 75 % des salariés de l'industrie et pour 63 % des salariés des services. (Sarkozy)*
- 6) *Nous sommes **justement** au temps des projets. Au temps des choix qui précèdent l'action et les décisions. (Chirac)*
- 7) *Et **bien** aujourd'hui, **cette** mission est achevée. Il est donc temps de décider le retrait qui s'impose, et je l'ai décidé de longue date. J'en assumerai donc, **si** les Français m'en donnent mandat, toute la responsabilité. (Hollande)*
- 8) *Et **bien sûr**, diversité de ces femmes et de ces hommes qui, a chaque génération, sont venus rejoindre la communauté nationale et pour qui la France a d'abord été un idéal avant de devenir une patrie. (Chirac)*

ახლა კი განვიხილოთ დაპირისპირების მარკერი - **Mais**, რომელსაც პოლიფონიის მიმდევრები: დიუკრო და ფლოტუმი, რა თქმა უნდა, პოლიფონიის მარკერად მიიჩნევენ, ხოლო ბრესის მოსაზრების თანახმად, ის დიალოგიზმის მარკერია, რადგან დაპირისპირებას გამოხატავს და ამდენად ენონსიაციურ მონაცვლეობას უწყობს ხელს. (Bres 1998).

9) *Chacune, chacun, ici, plus loin, en métropole, en Outre-mer a son histoire, ses racines, son parcours, ses préférences, sa singularité. **Mais** nous appartenons à la même Nation, avec ses valeurs, ses principes, sa culture, sa langue, ses institutions et nous aspirons donc au même avenir. (Hollande)*

ახლა განვიხილოთ გრამატიკული დროები. თავდაპირველად, უნდა აღინიშნოს, რომ მოყვანილ მაგალითებში ძირითადად გვხვდება ინტერდისკურსული

დიალოგიზმის მარკერი-*აწმყო დრო*, რომელზეც არსებით ყურადღებას არ გავამახვილებთ. განვიხილოთ *პირობითი კილო*, რომელიც ბრესის მოსაზრების მიხედვით დიალოგიზმის მარკერს წარმოადგენს, რადგან მისი აზრით, იგი გამომთქმელის გამონათქვამს აორმაგებს, ანუ ენონსიაციურ გაორმაგებას E1/e1 გულისხმობს. ამ მარკერების ნიმუშები გვაქვს შემდეგ გამონათქვამებში: (10), (11), (12). ხოლო მე-10 მაგალითში გარდა *პირობითი კილოსა* გვაქვს *შედარების მარკერი au lieu de*.<sup>18</sup> მაგ. მე-13 კი- *უარყოფითი ფორმა ce n'est pas*.

10) *Moi je pense qu'il y a un besoin d'amour et que l'expression des sentiments, y compris lorsqu'on est Président de la République, ça devrait rassurer au lieu d'inquiéter.* (Sarkozy)

11) *Pendant cinq ans, elle aurait pu cent fois prendre l'initiative de créer un grand ministère de la sécurité pour placer sous une même autorité la police et la gendarmerie, tout en conservant à celle-ci son statut militaire.* (Chirac)

12) *L'avenir, ce n'est pas le mirage d'une fausse autonomie qui aurait pour seule ambition de remplacer les parents par l'Etat.* (Chirac)

როგორც მეცნიერთა ნაშრომებში განვიხილეთ, *წარსული დაუსრულებელი დრო* დიალოგიკურია იმდენად, რამდენადაც მისი საშუალებით, ექსპლიციტურად თუ იმპლიციტურად მთხრობელის გამონათქვამი გაორმაგებულია მოქმედი პირის (actant) გამონათქვამით. (Bres 2009: 31). ვნახოთ მაგალითი მე-13, რომელშიც გარდა ამ დროისა კიდევ გვაქვს *ანაფორული ნაცვალსახელი le*, რომელიც ასევე ინტერდისკურსული დიალოგიზმის მარკერია.

13) *La culture, Baudelaire l'évoquait.* (Chirac)

---

<sup>18</sup> აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს მარკერი არც ერთ მეცნიერთა ნაშრომში არ არის ხსენებული და ამიტომ მას ჩვენ მიერ გამოკვეთილი მარკერების კლასიფიკაციაში მოვაქვევთ.

რაც შეეხება სიტყვათშეთანხმებებს, რომლებიც ჩვენი მარკერების მესამე კატეგორიაში გავაერთიანეთ, ზოგიერთი მათგანი ინტერდისკურსული დიალოგიზმის მარკერს წარმოადგენს, რადგან გამომთქმელი მათი საშუალებით ან ეთანხმება, ან უარყოფს სხვის ნათქვამებს.

განვიხილოთ რამოდენიმე მათგანი, რომლებიც ჩვენი კვლევისას პოლიტიკოსთა დისკურსებში გამოვყავით, ესენია: (14) (15) *c'est vrai*, (16) *quoi qu'en disent*, *il est vrai que* (17) *c'est-à-dire*, რომელთა საშუალებითაც გამომთქმელი ეთანხმება წინა ნათქვამს. გარდა ამ მარკერებისა, აღნიშნულ მაგალითებში კიდევ გვაქვს ინტერდისკურსული დიალოგიზმის სხვა მარკერები: მე- 14 მაგალითში გამომთქმელს კავშირი *Mais* -სა და *ზმნიზედა alors que-ს* საშუალებით შემოაქვს კიდევ სხვისი მოსაზრებები. მაგ. (15) სიტყვათშეთანხმება *c'est vrai* ჩართული ფორმით არის მოცემული ფრაზის შუაში, რაც აღნიშნავს, რომ გამომთქმელი ადასტურებს მანამდე წარმოთქმულს. მაგ. (16) ასევე ჩვენ გამოვკვეთეთ ახალი მარკერი, სიტყვათშეთანხმება *c'est bien naturel*. და ასევე დაპირისპირების მარკერი *ზმნიზედა pourtant*. მე- 17 მაგალითში გვაქვს *გახლეჩილი ფრაზის (კლივაჟის)* შემთხვევა *ce que x c'est y*.

*14) C'est vrai, la France a de grands champions industriels. Mais beaucoup trop d'entre eux préfèrent investir et produire à l'étranger alors que PME et ETI créent des emplois en France. (Sarkozy)*

*15) Le temps de l'action est aussi, c'est vrai, celui du changement. (Chirac)*

*16) Mes Chers Amis, quoi qu'en disent les sceptiques, notre débat démocratique est riche, actif, vigoureux. De fortes oppositions existent entre les projets, et c'est bien naturel. Et pourtant, il est vrai que les différences ont souvent été escamotées. (Chirac)*

17) *Parce que ce qu'attendent une grande majorité de nos concitoyens, c'est finalement le choix entre la Gauche et le Droite, c'est-à-dire le choix le plus clair pour permettre à notre pays de faire véritablement la décision. (Hollande)*

აქვე განვიხილოთ ლინგვისტური მარკერების მეოთხე ჯგუფში გაერთიანებული სხვადასხვა კომპოზიციის მქონე სინტაქსური სტრუქტურები, რომლებიც, ზოგადად, დისკურსის პროდუცირებასთან ერთად, დილოგიზმის სხვადასხვა ტიპის გამოხატვას ემსახურებიან<sup>19</sup>.

თავდაპირველად, ვნახოთ *გახლეჩილი ფრაზ-ის* შემთხვევები, რომელთა საშუალებითაც, ბრესისა და ნოვაკოვსკას აზრით, გამოკვეთილია თემა, რომელიც, როგორც უკვე ცნობილია, მიემართება სხვა გამომთქმელ e1 -ს (Bres 2006). ჩვენ მიერ გამოკვეთილ მაგალითებში ეს კლივაჟი მოცემულია სხვადასხვაგვა ფორმით. მაგ: (18) *C'est x que y, C'est ce que x*, (19) *ce qui est x c'est y, C'est x que y*. ასევე, მე-18 მაგალითში გამომთქმელი ნაცვალსახელების *le, en* და *Cela-* ს დახმარებით *ანაფორულად* იმეორებს წინა ნათქვამებს.

**18) *C'est scandaleux de dire que l'on veut promouvoir l'investissement et le taxer.***

***C'est ce que nous avons fait. Je n'en tire aucune gloire, c'était notre devoir.***

***Je le sais. Cela m'a choqué aussi, je le sais parfaitement. (Sarkozy)***

**19) *Aujourd'hui ce qui est en cause, c'est notre cohésion nationale, ce sont les valeurs de la République auxquelles tous les Français sont profondément attachés.***

***C'est dans l'action que la France forge son destin, retrouve son énergie, sa générosité, sa capacité à créer et à partager. (Chirac)***

ბრესის აზრით, *გამოყოფა/დისლოკაცია* გულისხმობს გამოყოს სინტაქსური ჯგუფი ფრაზის თავსა თუ ბოლოში და შემდეგ ხელახლა გაიმეოროს იგი ანაფორული

---

<sup>19</sup> იხ. გვ112

ელემენტით, ან კიდევ აცნობოს კატაფორული ელემენტით. პირველ ორ შემთხვევაში მაგალითებში: (20), (21) და (22) გვაქვს გამოყოფა ფრაზის დასაწყისში - მარცხნივ. ხოლო მაგალით 23-ში ფრაზის ბოლოში- მარჯვნივ, რომლებიც გამომთქმელის მიერ სხვების ნათქვამების გამეორებას წარმოადგენენ. ასევე მაგალითებში (20) და (23) გვაქვს გახლეჩილი ფრაზების შემთხვევებიც *c'est x, ce qui x; ce qui xc'est*.

*20) Le génie français, c'est d'accueillir ce qui distingue, de refuser ce qui sépare et de privilégier ce qui rassemble. (Chirac)*

*21) Faire vivre l'égalité des chances, c'est aussi redonner toute sa force a notre tradition d'intégration en nous appuyant sur les réussites déjà acquises mais aussi en refusant l'inacceptable. (Chirac)*

*22) c'est un mal français, l'insuffisance d'investissement. (Sarkozy)*

*23) Ce qui manque à l'Europe, c'est du mouvement. (Hollande)*

ახლა კი განვიხილოთ *ჩართული*. ჟ. სალვანი მიიჩნევს, რომ ის დიალოგიზმის ერთ-ერთ მარკერს წარმოადგენს, იგულისხმობს, რომ ჩართულის დახმარებით იგი სხვის მიერ წარმოითქვა. განვიხილოთ ამ სტრუქტურის რამოდენიმე მაგალითი. 24-ე მაგალითში გვაქვს *ჩართული cette idée*, რომელიც კატაფორულადაა წარმოდგენილი. 24-ე მაგალითში კი *ჩართული - sauvées par les Etats*, ფრაზის თემას *Les banques* მიემართება და იმეორებს გამომთქმელის ნათქვამს.

*24) Elle est en train de changer, cette idée , la crise est déjà passée par là. (Sarkozy)*

*25) Les banques, sauvées par les Etats, mangent désormais la main qui les a nourries. (Hollande)*

განვიხილოთ შედარება კორელაციით, რომელიც მოიცავს უთანასწორობის და თანასწორობის შედარებას. ბრესის მოსაზრების მიხედვით, შედარების ფორმები, ორ არგუმენტაციულ ელემენტს უკავშირებენ ერთმანეთს და ენონსიაციური გაორმაგების შესანიშნავ მარკერებს წარმოადგენენ. 26-ე მაგალითში თანასწორობის შედარების ფორმა გამოხატულია ზმნიზედა **autant**-ის საშუალებით და იგი წინა ნათქვამს იმეორებს, ხოლო დანარჩენ მაგალითებში გვაქვს უთანასწორობის ხარისხის მარკერები, რომლებიც არის უფროობითი ხარისხის ფორმები, რომელშიც ჩანს ერთი ელემენტის მეორესთან შედარებით უპირატესობა და ამდენად ისინი ინტერდისკურსული დიალოგიზმის საუკეთესო მარკერებად გვევლინებიან და ენონსიაციურ მონაცვლეობას უწყობენ ხელს. ესენია: (27) **mieux que**, ასევე ანაფორული ჩვენებითი ნაცვალსახელი **cela** (28) **de plus en plus, plus** (29) **Plus que jamais**, (30) **plus que**, (31) **plus**. ხოლო 29-ე მაგალითში გვაქვს გახლეჩილი ფრაზაც **Ce sont x qui**.

26) *Jamais la science, jamais la technique ne vous ont ouvert **autant** de perspectives. .*  
(Sarkozy)

27) *Notre démocratie mérite **mieux que cela**. (Chirac)*

28) *La société civile africaine s'organise et pèse **de plus en plus**. Elle attend **plus** d'équité, **plus** de transparence, **plus** de liberté. (Chirac)*

29) ***Plus que jamais**, la solidarité et la protection seront nécessaires. **Ce sont elles qui** fondent la confiance dans l'avenir, permettent de faire des projets et garantissent les capacités d'engagement qui font la force d'une Nation. (Chirac)*

30) *Le Président de la République doit pouvoir s'appuyer sur un gouvernement en qui il puisse avoir confiance. Un gouvernement **plus** soucieux d'agir **que** de durer. (Chirac)*



31) *Il faut des villes plus équilibrées. (Hollande)*

როგორც ბრესი აღნიშნავს, უარყოფის შემზღვეველი ნაწილაკი *Ne .... Que* ემსახურება უარყოს ის რემები, რომლებიც სხვადასხვა გამომთქმელმა შესთავაზა. ამრიგად, შეზღუდვა გვატყობინებს სხვა ხმებს, თუმცა ცხადად არ ახდენს ამ სხვა გამონათქვამების ციტირებას. მაგალითში (32) ნაწილაკი *ne ..... que*, რომელიც შეზღუდვის მაჩვენებელია, აღნიშნავს, რომ ამ ფრაზაში უკვე იგულისხმება სხვის მიერ გამოთქმული მოსაზრება. ხოლო მაგალითში (33) უარყოფით ნაწილაკ *ne.... ni ni*-ს გარდა ასევე გვაქვს გახლეჩილი ფრაზა, რომელიც წარმოდგენილია შემდეგნაირად: *C'est x que*.

32) *Pour moi, la France est une. Elle n'est forte que rassemblée. (Chirac)*

33) *Ce n'est ni dans l'immobilisme, ni dans la nostalgie, que nous retrouverons une nouvelle communauté de destin. C'est dans la lucidité, dans l'imagination et dans la fidélité que nous sommes. (Chirac)*

როგორც მეცნიერები აღნიშნავენ, ინფინიტივური ტრანსფორმაციაც დიალოგიზმის ერთ-ერთი მარკერია. ჩვენ კი განვიხილოთ ეს მარკერი რამდენად გამოხატავს ინტერდისკურსულ დიალოგიზმს შემდეგ მაგალითებში: (34), (35) და (36). ამგვარად, 34-ე მაგალითში ინფინიტივური ტრანსფორმაცია, რომელიც თავში არის გამოყოფილი და ასევე ჩვენებითი ნაცვალსახელი (დეტერმინანტი) *ce* ინტერდისკურსულ ურთიერთობაზე მიუთითებს, რადგანაც გულისხმობს, რომ სხვამ უკვე წარმოთქვა შესაბამისი გამონათქვამი. 35-ე მაგალითში ასევე გვაქვს ზმნიზედა *simplement*, რომელიც ჩვენ მიერ არის გამოკვეთილი და სხვა ლინგვისტები მის შესახებ არ საუბრობენ. ხოლო, 36 -ე მაგალითში კავშირი *mais*, უარყოფითი ფორმა და ასევე თანასწორობის ხარისხის ფორმა *aussi*, ინტერდისკურსულ დიალოგიზმს მიუთითებენ.

*34) Dire cela, c'est éviter toute forme de débordement, c'est renforcer l'attachement de nos compatriotes à la République. (Sarkozy)*

*35) Ne rien occulter des heures sombres de notre Histoire, c'est tout simplement défendre une idée de l'Homme, de sa liberté et de sa dignité. C'est lutter contre les forces obscures, sans cesse à l'oeuvre. (Chirac)*

*36) Redresser l'économie, redresser l'industrie, mais aussi redresser les finances. Le niveau de la dette publique n'a jamais été aussi élevé. (Hollande)*

ახლა კი განვიხილოთ შეპირისპირების ფორმა, რომელიც ასევე ინტერდისკურსული დიალოგიზმის ნათელი გამოხატულებაა. მაგალითში (37) დაპირისპირება გამოხატულია გახლეჩილი ფრაზის საშუალებით *ce n'est... C'est*. თუმცა გარდა ამისა ამ მაგალითში კიდევ გვაქვს შემდეგი ინტერდისკურსული დიალოგიზმის მარკერები: ინფინიტივური ტრანსფორმაცია და უარყოფითი ფორმა.

*37) Dire qu'on a des racines chrétiennes, ce n'est exclure personne. C'est simplement revendiquer une mémoire collective. (Sarkozy)*

მეცნიერმა ნოვაკოვსკამ შემოგთავაზა ნაცვალსახელოვანი ანაფორა, როგორც დიალოგიზმის გამოხატვის საშუალება. განვიხილოთ შემდეგი მაგალითები: (38) (39) და (40). 38-ე მაგალითში ნეიტრალური ნაცვალსახელი *le* (*pronom neutre*) ანაფორულად ცვლის წინა ნათქვამში მოცემულ არსებით სახელს - მინისტრს *ministre*. ასევე ზმნა *reprochant*, რომლის საშუალებით მანამდე წარმოთქმული საყვედური, გამომთქმელის მისამართით, ირიბად არის გადმოცემული. 39-ე მაგალითში ანაფორული ნაცვალსახელები *le* და *en* ანაფორულად მანამდე წარმოთქმული ფრაზის რეფორმულაციის საშუალებას იძლევიან. ხოლო, ბოლო, მე-40-ე მაგალითი ის შემთხვევაა, რომელშიც მანამდე წარმოთქმული გამონათქვამი ანაფორულად

განუსაზღვრელ ნაცვალსახელ *tout*-ს საშუალებით გამომთქმელის მიერ ბოლოშია გამეორებული. ამავე მაგალითში გვაქვს ჩვენებითი ზედსართავი *ce*-ც.

38) *Certains me reprochent de n'avoir jamais été ministre. Quand je vois ceux qui le sont aujourd'hui, cela me rassure! (Hollande)*

39) *Je connais l'intérêt actif et militant que l'Allemagne, et notamment la Chancelière, portent aux intérêts sociaux et économiques de l'Afrique. Je l'en remercie chaleureusement. (Chirac)*

40) *Notre drapeau, notre langue, notre histoire : tout nous parle de ces valeurs de tolérance et de respect de l'autre, de ces combats, de cette diversité qui font la grandeur de la France. (Chirac)*

როგორც ს. მელე და ბრესი მიიჩნევენ, *Si hypothétique*- თუ ჰიპოთეტური დიალოგიზმის მარკერს წარმოადგენს. შემდეგ მაგალითებში: (41) და (42) განვიხილოთ, ისინი, თუ რამდენად შეესაბამებიან ინტერდისკურსული დიალოგიზმის მარკერებს. მაგალით 41-ში ვარაუდის მანიშნებელი ნაწილაკი *Si* გამომთქმელს საშუალებას აძლევს ახსენოს მანამდე წარმოთქმული გამონათქვამი, ეჭვის ქვეშ დააყენოს იგი და თან თავისი მოსაზრებაც დაამატოს. აქვე გვაქვს ასევე გახლეჩილი ფრაზაც *c'est x qui*, ხოლო მაგალითში 42 მოცემულია *si* -თი დამოკიდებული წინადადება, *დათმობის მარკერი Bien sûr* და ასევე *ლოგიკური კონექტორი donc* (ამ კონექტორის შესახებ სხვა მეცნიერები არ საუბრობენ, ამიტომ მას ჩვენ მიერ გამოკვეთილი მარკერების კლასიფიკაციაში მოვაქცევთ.), რომელთა საშუალებითაც გამომთქმელი ნაწილობრივ ეთანხმება სხვის ნათქვამს და ინტერდისკურსულ დიალოგიზმზე მიუთითებენ.

41) *La sécurité sociale fait partie de notre pacte républicain. Chaque Français lui est profondément attaché. Si elle est en risque aujourd'hui, c'est à cause d'une gestion qui s'est montrée incapable de maîtriser l'évolution de notre système de soins, d'engager la*

*nécessaire et urgente réforme de nos retraites, de sauvegarder la solidarité entre les générations. (Chirac)*

**42) Bien sûr, si le chômage est le premier problème, c'est donc que l'emploi est la première solution. (Chirac)**

ახლა კი განვიხილოთ ჩვენ მიერ ფრანგულ დისკურსში მიკვლეული ინტერდისკურსული დიალოგიზმის გამომხატველი ისეთი მარკერები, რომელთა შესახებ არც ერთი მეცნიერი თავის ნაშრომში არ საუბრობს:

თავდაპირველად, უნდა მოვიყვანოთ ორი ლინგვისტური მარკერი: (43) *განუსაზღვრელი ზედსართავი aucune* და (44) *ზმნიზედა ainsi*. მათი საშუალებით გამომთქმელი ზოგადად მიღებულ აზრს ეთანხმება, რაც ასევე ინტერდისკურსული მარკერის გამოვლინებაა.

**43) Et aucune circulaire ne doit empêcher de circuler les étudiants, les savants, les artistes qui viennent ici pour donner le meilleur d'eux-mêmes. (Hollande)**

**44) Partout dans le monde, la France est ainsi reconnue comme la patrie des droits de l'homme. (Chirac)**

შემდეგ კი გამოვყოთ ისეთი ლოგიკური კონექტორები, როგორებიცაა: 45-ე მაგალითში *ზმნიზედა seulement*.

**45) Le levier fiscal n'est pas seulement destiné à prendre aux uns pour donner aux autres. (Chirac)**

ხოლო, დანარჩენი მარკერები, რომლებიც კვლევის შედეგად გამოვყავით, ძირითადად სხვადასხვა სიტყვათშეთანხმებას წარმოადგენენ. განვიხილოთ ისინი: (46) *c'est bien naturel* (47) *alors même que*, *ზმნიზედა également*; (48) *Il va de soi*, (49) *C'est terrible de*, (50) *Cela veut dire*. ასევე გამოყოფა გამონათქვამის ბოლოში. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ 46-ე მაგალითში გვაქვს *ზმნიზედა pourtant*. ხოლო 50-ე მაგალითში *გამოყოფა* გამონათქვამის მარჯვნივ.

*46) De fortes oppositions existent entre les projets, et c'est bien naturel. Et pourtant, il est vrai que les différences ont souvent été escamotées. (Chirac)*

*47) Alors, je sais bien qu'il faut également reconstituer un fond de roulement parce qu'il va falloir faire les investissements différés pendant la crise alors même que votre trésorerie est au plus bas. (Sarkozy)*

*48) Il va de soi aussi que des épreuves importantes ou des examens ne doivent pas être organisés ces jours-là. (Chirac)*

*49) C'est terrible de mener une bataille contre l'échec scolaire, qui fait chaque année plus de 150 000 victimes, 150 000 qui sortent sans diplôme, sans qualification, de l'école. (Chirac)*

*50) Cela veut dire permettre à chaque jeune de réaliser ses projets, qu'il s'agisse de formation, de création d'une entreprise, de projet associatif ou humanitaire, par un nouveau contrat, le contrat d'insertion dans la vie sociale, le CIVIS. (Chirac)*

ახლა კი, განვიხილო ქართველი პოლიტიკოსების დისკურსებში გამოკვეთილი ყველა ის მარკერი, რომლებიც ინტერდისკურსული დიალოგიზმის გამოხატვას ემსახურებიან.

თავდაპირველად, განვიხილოთ დადასტურების გამომხატველი მარკერები: (1) (4) **რა თქმა უნდა**, (2) **დანამდვილებით შეიძლება ითქვას**, (3) **უდავოა**. (5) **ბუნებრივია**. გარდა ამ მარკერების აყველა მოცემულ შემთხვევაში გვაქვს სხვა, ინტერდისკურსული დიალოგიზმის გამომხატველი მარკერებიც, განვიხილოთ ესენი: 1-ლ მაგალითში ასევე გვაქვს **სიტყვათშეთანხმება ამის ილუზია**. მე-3 მაგალითში - **სიტყვათშეთანხმება ყოველივე ეს**. მე-2 მაგალითში **კუთვნილებითი ზედსართავი ჩვენი**. მე-4 მაგალითში **შედარების ფორმა ბევრად ნაკლები**. ასევე დაპირისპირების მარკერი **მაგრამ**.

- 1) **რა თქმა უნდა**, სიღარიბე 50 დღეში არ დაგვიმარცხებია და **ამის ილუზია** არც გვქონია. (სააკაშვილი)
- 2) **დანამდვილებით შეიძლება ითქვას**, რომ ის სიბრძნე, რომელიც ბოლოხანს გამოავლინა ასამბლეამ, ყველაზე ძვირფასი რამ არის ისეთი ახალგაზრდა დემოკრატიისათვის, როგორსაც **ჩვენი** ქვეყანა წარმოადგენს. (სააკაშვილი)
- 3) **ჩვენ** ვიყავით გამოუცდელი ქვეყანა, გამოუცდელი ხალხი და **უდავოა**, რომ **ყოველივე ეს** ძალზე ცუდად აისახა ჩვენს ცხოვრებაზე. (სააკაშვილი)
- 4) **რა თქმა უნდა**, ეს არის საკმარისზე **ბევრად ნაკლები**, **მაგრამ** ეს მხოლოდ დასაწყისია. (სააკაშვილი)
- 5) **ბუნებრივია**, პოლიტიკაში ბევრი რამ ხდება - **ჩვენი** ბოლო პერიოდის ისტორია სავსეა პერიპეტეებით, შეცდომებით, ერთმანეთთან დაპირისპირებით. (მარგველაშვილი)

რაც შეეხება შეპირისპირების ფორმას, იგი გამოხატულია შემდეგი სტრუქტურებით (6) **არა მხოლოდ ... არამედ**. (7) **არა ..... არამედ**. (8) **არა მხოლოდ.....არამედ**, რომელთა საშუალებითაც გამომთქმელი უპირისპირდება უკვე სხვათა გამონათქვამებს. მე -8 მაგალითში გვაქვს **მიმართებითი ნაცვალსახელი**

**რომლებსაც**, რომელიც ასევე ინტერდისკურსული დიალოგიზმის მარკერია. განვიხილოთ ეს გამონათქვამები:

6) დღეს ჩვენ აქ შეკრებილი ვართ არა მხოლოდ ახალი საპრეზიდენტო ვადის დაწყების აღსანიშნავად, არამედ იმისთვის, რომ ხმამაღლა მთელი ქვეყნისა და მსოფლიოს გასაგონად განვაცხადოთ, რომ საქართველო აგრძელებს თავის დიდ ისტორიულ სვლას თავისუფლებისა და დემოკრატიისაკენ. (სააკაშვილი)

7) ჩემთვის დღევანდელი დღე არის არა ტრიუმფის, არამედ ჩემი ხალხისთვის თავდადების დღე. (სააკაშვილი)

8) პროექტები, რომლებსაც ჩვენ ვახორციელებთ, ცვლის მომავალს და უკეთესი მომავალი, მეტი შესაძლებლობა და კეთილდღეობა მოაქვს არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნებისთვის, არამედ რეგიონული და გლობალური თვალსაზრისითაც. (მარგველაშვილი)

რაც შეეხება შედარებით ფორმებს, ქართველი პრეზიდენტების დისკურსებში ამ სინტაქსური ფორმის მაგალითიც გამოვკვეთეთ. ამ შემთხვევაში, ფაქტების კონსტატაციისას პრეზიდენტი მიმართავს შედარებით ფორმებს, რითაც ინტერდისკურსულ ურთიერთობაზე მიუთითებს. უთანასწორობის ხარისხის მარკერები, რომლებიც უფროობითი ხარისხის ფორმებია, გამოხატულია შემდეგნაირად: (9) უფრო .... ვიდრე, რომელშიც ასევე გვაქვს მიმართებითი ნაცვალსახელი რომლებიც, რაც ასევე ინტერდისკურსული დიალოგიზმის მარკერია.

9) მიზნები, რომლებიც ჩვენ გვაერთიანებს გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე უთანხმოებები, რომლებიც გვაპირისპირებს. (სააკაშვილი)

რაც შეეხება უარყოფით ფორმას, განვიხილოთ მე-10 მაგალითი, რომელშიც ასევე გამოიკვეთება ზმნიზედა მით უმეტეს, რაც ინტერდისკურსულ ურთიერთობას მიუთითებს.

*10) სახელმწიფო მართვაში არ არსებობს აბსოლუტური ჭეშმარიტება, მით უმეტეს, მას არ ფლობს არც პრეზიდენტი და არც პრემიერ მინისტრი. (სააკაშვილი)*

ახლა კი, განვიხილოთ ნომინალიზაციის შემთხვევა მე-11 მაგალითში, რომელშიც აშკარად ჩანს სხვისი ნათქვამი, რომლის აღდგენაც თავისუფლად შეიძლება მოქმედების არსებითი სახელის ნაცვლად თავად ზმნის გამოყენებით. ამ მაგალითში ასევე გვაქვს ზმნა *ასახავს*, რომელიც ინტერდისკურსულ ურთიერთობას აღნიშნავს.

*11) ჩვენი გადაწყვეტილება - მოგვეპატიჟა 1000 საერთაშორისო დამკვირვებელი და გავცნობოდით 34 ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების კვლევებს, ასახავს ჩვენს სწრაფვას ტრანსფარანტულობის უზრუნველყოფისა და დაცვისაკენ. (მარგველაშვილი)*

## **4.2 ინტერლოკუციური დიალოგიზმის მარკერები**

ამ პარაგრაფში კი, ვისაუბრებთ დიალოგიკური ურთიერთობის მეორე ტიპის- ინტერლოკუციური დიალოგიზმის შესახებ. როგორც ბახტინი აღნიშნავს: « Tout discours est dirigé sur une réponse et ne peut échapper à l'influence profonde du discours-réplique prévu.... Se constituant dans l'atmosphère du déjà-dit, le discours est déterminé en meme temps par la réplique non encore dite, mais sollicité et déjà prévue ». (Bakhtine, 1978/102 cité in Bres 2008 :2). „ყოველი დისკურსი მიმართულია პასუხისაკენ და შეუძლებელია მოსალოდნელი დისკურსი-რეპლიკის გავლენის ქვეშ არ მოექცეს. იქმნება რა „ უკვე ნათქვამის“



ატმოსფეროში, დისკურსი ამავდროულად განპირობებულია (განსაზღვრულია) ჯერ არ ნათქვამი, თუმცა უკვე მოსალოდნელი და გამოწვეული რეპლიკით“.

იგივე მოსაზრებას იზიარებს ბრესიც: « Le discours est d'autre part toujours adressé à un interlocuteur, sur la compréhension-réponse duquel il ne cesse d'anticiper ». (Bres 2008 :2) „დისკურსი ყოველთვის თავის თანამოსაუბრეს მიემართება, რომლის გაგება-პასუხზეც მუდმივად აკეთებს ანტიციპაციას“. ამდენად, ინტერლოკუციური დიალოგიზმი სხვა, ნავარაუდებ, მომდევნო, გამონათქვამთან ინტერაქციაში იბადება, რომელიც თანამოსაუბრეს ეკუთვნის (Bres 2008 :21).

როგორც ვოლოჰინოვი აღნიშნავს « Toute expression linguistique est toujours orientée vers l'autre, vers l'auditeur , meme si cet autre est physiquement absent. (Volochinov 1930 : in Todorov 1981 : 287) „ ყოველი ლინგვისტური გამოხატულება ყოველთვის მიმართულია სხვისკენ, მსმენელისაკენ, მაშინაც კი, როდესაც ეს სხვა ფიზიკურად არ იმყოფება“.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბრესი გამოყოფს dialogisme interlocutif anticipatif - ანტიციპაციურ ინტერლოკუციურ დიალოგიზმს, რომელიც თავის მხრივ, შეიძლება იყოს réponsif- რესპონსული. ზოგადად, დიალოგიკური ურთიერთობა ანტიციპაციურია, რომელიც გულისხმობს გამონათქვამს, რომელიც ჯერ არ წარმოთქმულა და მომავალში უნდა წარმოითქმება. ასევე, როდესაც გამომთქმელი თავისი ადრესატისაგან ითხოვს შესაბამის რეაქციას, პასუხს და უშუალოდ მასზეა გათვლილი. ხოლო რესპონსულია, როდესაც გამომთქმელი თავად სცემს პასუხს ცხადად თუ სავარაუდოდ, დასმულ შეშუშეკითხვას (Bres 2006).

ისევე როგორც წინა პარაგრაფში, ამ პარაგრაფშიც ვეცდებით, რომ მაგალითები მოვიყვანოთ ჩვენ მიერ კლასიფიცირებული მარკერების შესაბამისად.

თავდაპირველად, განვიხილოთ დადასტურების მარკერი. 1-ლ მაგალითში გვაქვს დადასტურების მარკერი *bien-sûr* და ასევე *მომავალი დრო*, რომლითაც

გამომთქმელი თავის აუდიტორიას წინასწარ სცემს პასუხს. ამდენად, ეს მაგალითი ინტერლოკუციურ-რესპონსული დიალოგიზმის გამოხატვას უწყობს ხელს.

1) *Alors, **bien-sûr**, ils **auront** un taux d'intérêt supérieur aux prêts bancaires classiques parce qu'ils **seront** risqués et qu'il n'y aura pas de garantie. (Sarkozy)*

შემდეგ კი განვიხილოთ *მომავალი დრო*, რომელიც ბრესის თანახმად, ინტერლოკუციურ-რესპონსული დიალოგიზმის მარკერს წარმოადგენს. მაგალითებში:

(2), ( 3 ), ( 4 ) გამომთქმელი *მომავალი დროის* საშუალებით ნათლად გადმოსცემს საკუთარ მოსაზრებებს და, სავარაუდოდ, აუდიტორიის შეკითხვებს სცემს პასუხს.

2) *Plus que jamais, la mission du Président de la République est et sera essentielle. (Chirac)*

3) *La reprise de cette politique, dès cette année, **profitera** immédiatement à l'emploi des travailleurs à revenus moyens et modestes, ceux justement qui souffrent le plus du chômage. (Chirac)*

4) *Je **travaillerai** avec cette somme d'énergie que sont les représentations citoyennes, économiques, sociales. C'est un atout extraordinaire pour notre peuple. (Hollande)*

მე-5 მაგალითში გვაქვს *სიტყვათშეთანხმება c'est-à-dire*, და ასევე *მომავალი დრო*, რომლებიც მიუთითებენ, რომ ეს არის ინტერლოკუციურ-რესპონსული დიალოგიზმის შემთხვევა, რადგან გამომთქმელი წინასწარ პასუხობს აუდიტორიას.

5) *Les produits financiers toxiques, **c'est-à-dire** sans lien avec les nécessités de l'économie réelle **seront** purement et simplement interdits. (Hollande)*

ინტერლოკუციურ-რესპონსული დიალოგიზმი ძირითად შემთხვევებში გამოხატულია *კითხვითი ფორმით*, რომელსაც გამომთქმელი შემდეგ თავად პასუხობს. განვიხილოთ ასეთი შემთხვევები: (6), (7), (8) (11) (12) (13) (14) წარმოადგენენ

რესპონსული დიალოგიზმის ფორმებს, (9) და (10) კი ანტიციპაციურ ფორმას, რადგან გამომთქმელი მხოლოდ შეშეშეკითხვას სვამს და ამდენად, აუდიტორიაზე აკეთებს ანტიციპაციას. გარდა ამისა, ამ მაგალითებში გვაქვს კიდევ სხვა ტიპის მარკერებიც. განვიხილოთ ისინი: მე-7 მაგალითში *პირობითი კილო*, და ასევე *კითხვითი ფორმა*. მაგალითში (8) *ჰიპოთეტიკური Si*, *მიზეზის ზმნიზედა parce que* და *ნაწილაკი Voilà*, რომლებიც ინტერლოკუციურ-რესპონსული დიალოგიზმის მარკერებია. მაგალითში (13) ინტერლოკუციურ-რესპონსული დიალოგიზმის სხვა მარკერებიც გვაქვს, ესენია: *მიზეზის ზმნიზედა parce que*, (*ამ მარკერის შესახებ სხვა მეცნიერები არ საუბრობენ*) *გახლეჩილი ფრაზა c'est x qui ზმნიზედა précisément* - თან ერთად. მე-14 მაგალითში კი გვაქვს გამონათქვამის თავში თემის გამოყოფა.

6) ***Et qu'est-ce qui a suivi après cette génération? Ont suivi trente années aussi... Trente années de pensée unique, d'aveuglement, de désordre monétaire, de mondialisation sans règles, de spéculation, de laxisme financier, de dévalorisation systématique du travail.***  
(Sarkozy)

7) ***Y a-t-il un seul Français, y a-t-il un seul habitant de cette région qui souhaiterait, aujourd'hui, connaître la situation de la Grèce, de l'Irlande, du Portugal ou de l'Espagne ?*** (Sarkozy)

8) ***Si j'avais cédé, dans quelle situation serions-nous aujourd'hui ? 9 manifestations nationales, des millions de gens dans la rue. Je n'ai pas reculé d'un millimètre parce que l'intérêt général était en cause. Voilà la vérité! Elle est là, la vérité!*** (Sarkozy)

9) ***Pour toutes ces personnes arrêtées, commence alors le long et douloureux voyage vers l'enfer. Combien d'entre-elles ne reverront jamais leur foyer? Et combien, à cet instant, se sont senties trahies ? Quelle a été leur détresse?*** (Chirac)

10) ***La ligne de front de ce combat passe désormais dans les quartiers. Comment demander à leurs habitants de se reconnaître dans la Nation et dans ses valeurs quand ils vivent dans***

*des ghettos à l'urbanisme inhumain, où le non-droit et la loi du plus fort prétendent s'imposer ? (Chirac)*

**11) Comment la société française saura-t-elle répondre à ces évolutions ? Nous y parviendrons en faisant le choix de la sagesse et du rassemblement des Français de toutes origines et de toutes convictions. (Chirac)**

**12) Mais pour se renseigner sur qui ? Et sur quoi ? cette politique de nomination a été jusqu'aux établissements financiers, jusqu'à l'audiovisuel public, et même dans les services hospitaliers. (Hollande)**

**13) On cherche les corps, on s'inquiète des têtes. Mais pourquoi intermédiaires ? parce que c'est précisément ceux-là qui nous permettent d'être représentés dans la société. (Hollande)**

**14) Quelle est la plus grande mission que de présider la République française?**

*Présider la République, c'est se dévouer à l'intérêt général, dont toute décision doit procéder. C'est éprouver la France par sa raison et dans son cœur. (Hollande)*

ასევე აღსანიშნავია გახლეჩილი ფრაზა, ანუ კლივაჟი, რომელიც მრავალ შემთხვევაში ინტერლოკუციური დიალოგიზმის მარკერიცაა. განვიხილოთ მაგალითები: (15) (16) (17) (18) და (19). მე-15 და მე-16 მაგალითებში გარდა კლივაჟის ფორმისა *c'est x qui* და *Ce qui x c'est*, ასევე გვაქვს მომავალი დრო და ძახილის წინადადება, ხოლო მე-17 მაგალითში მომავალი დრო და აღმატებითი ხარისხის მარკერი - **le plus** რომლებიც მიუთითებენ, რომ ეს არის ინტერლოკუციურ-რესპონსული დიალოგიზმის ფორმა, რომლის საშუალებითაც გამომთქმელი წინასწარ სცემს პასუხს. (19) გვაქვს კატაფორული ჩვენებითი ნაცვალსახელი *cela* და ასევე სიტყვათშეთანხმება უპირო გამოთქმა **Il faut** <sup>20</sup>.

---

<sup>20</sup>ეს მარკერი ჩვენ მიერ არის მოძიებული და მის შესახებ ცოტა ქვემოთ ვისაუბრებთ.

15) *Et c'est le peuple **qui tranchera** ! Et c'est lui **qui décidera** ! (Sarkozy)*

16) *Ce **qui** manque à l'Europe, c'est du mouvement ! (Sarkozy)*

17) *Mais c'est la croissance **qui** nous **permettra** d'y parvenir **le plus** sûrement. (Hollande)*

18) *Moi, je propose un pacte démocratique à toute la France : **c'est qu'**aucun enfant de la République ne puisse se considérer hors de la République ! (Hollande)*

19) ***Il faut** bien comprendre **cela** : un génie ne remplace jamais un autre génie, il **le** complète, ils s'additionnent et ils créent un patrimoine universel comme une beauté universelle. (Sarkozy)*

ახლა კი განვიხილოთ ჩვენ მიერ გამოკვეთილი ისეთი მარკერები, რომლებიც სხვა მეცნიერთა ნაშრომებში ჯერ არ შეგვხვებოდა.

პირველ რიგში, დადასტურების გამომხატველი ზმნიზება *également* და წინდებული *Pour*, მე- 20 მაგალითში. ხოლო მე- 20 მაგალითში ასევე დადასტურების ზმნიზება *exactement*, ასევე წინდებული *Voilà* და მიმართვის ფორმა *M. le Président*, რომლებიც ნათლად აჩვენებენ ინტერლოკუციურ-რესპონსულ დიალოგიზმს.

20) ***Pour** les recrutements en contrat de professionnalisation, les choses sont **également** claires: vous disposez d'une aide de 1 000 euros, portée à 2 000 euros si le jeune concerné n'a pas le niveau du bac. (Sarkozy)*

21) ***Voilà** très **exactement** ce qu'est notre politique, **M. le Président**. (Sarkozy)*

აქვე უნდა აღვნიშნოთ ისეთი ზმნები, რომლებიც ინტერლოკუციურ-ანტიციპაციურ დიალოგიზმს აღნიშნავენ. ესენია: (22) (23) **devoir** (აქვე გვაქვს კლივაჟიც *c'est x qui* (24) **appeller**, (25) **vouloir**. აქვე გვაქვს კავშირებითი კილო **ait**, ხოლო (26) **annoncer**, (27) **proclamer** (28) **constater**.

22) *La presse écrite **doit**, dans notre pays, jouer un rôle majeur, y compris avec la révolution numérique. (Hollande)*

23) *Ce monde **doit** changer, **c'est** la jeunesse de France **qui doit** porter le changement du monde ! On ne peut pas continuer ! (Sarkozy)*

24) ***Je vous appelle** à retrouver le récit républicain, celui qui nous a fait avancer pendant des décennies, le récit de la Révolution française, de ces hommes, de ces femmes aussi, qui ont voulu avancer dans une histoire inconnue qui s'ouvrait sous leurs yeux, qui était l'histoire de l'égalité humaine. (Hollande)*

25) ***Je veux que** la France défende l'égalité des droits et l'égalité des chances. **Je veux** une France solidaire où chacun **ait** sa place. (Chirac)*

26) *D'abord, **je vous annonce que** nous allons prolonger la mesure zéro charge dans les petites entreprises car elle a été un vrai succès, 500 000 embauches en ont déjà bénéficié. (Sarkozy)*

27) ***Je le proclame** très solennellement : la République s'opposera à tout ce qui sépare, à tout ce qui retranche, à tout ce qui exclut ! (Chirac)*

28) ***Je constate** avec plaisir que les choses avancent.*

29-ე და 30-ე მაგალითებში ასევე აღსანიშნავია კავშირებითი კილო, რომელშიც ასევე გვაქვს მიზნის გამომხატველი კავშირი **pour que**, როგორც ინტერლოკუციურ-რესპონსული დიალოგიზმის მარკერია.

29) *Savez vous que les intérêts de l'argent, qu'au nom de l'Etat, nous avons prêté aux banques et qui nous sont remboursés ces jours-ci ont rapporté 500 M d'euros, l'équivalent du financement du plan pour les jeunes, **pour que** les jeunes trouvent un emploi.* (Sarkozy)

30) *C'est une politique cohérente **pour que** vous soyez libérés des contraintes et que vous puissiez vous développer.* (Sarkozy)

ახლა კი განვიხილოთ სხვა ლინგვისტური მარკერები, ესენია: 31-ე მაგალითში კითხვითი ფორმის საწარმოებელი ზმნიზედა **Pourquoi** და მიზეზის კავშირი **parce que**.

31) *Avec la réforme de la taxe professionnelle nous engageons une révolution dans notre système fiscal et j'assume le choix de la taxe carbone en même temps. **Pourquoi** je l'assume? **parce que** nous allons cesser de taxer ce qui est bon pour notre pays, l'investissement, pour taxer ce qui est mauvais pour notre pays, la pollution.* (Sarkozy)

ახლა კი განვიხილოთ სიტყვათშეთანხმებები: (32) **c'est pourquoi**, (33) **il peut être** (34) **il faut**. (35) **A la différence, C'est pour cela que**, რომლებიც ინტერლოკუციური რესპონსული დიალოგიზმის მარკერებია, რადგან მათი საშუალებით გამომთქმელი თითქოს წინასწარ სცემს პასუხს თავის მსმენელს. ხოლო 36-ე მაგალითში გვაქვს ნომინალური სინტაგმა **tout autre chose**.

32) *La confiance est un mot qui ne figure pas dans les lois ou dans les règlements.... Elle ne résout rien par elle-même, mais elle autorise tout si on sait la saisir. Et **c'est pourquoi** je veux redonner confiance aux Français.* (Hollande)

33) *Le cinéma que vous aimez aujourd'hui, il peut être iranien, il peut être roumain mais ça ne rend pas moins nécessaire le cinéma français. (Sarkozy)*

34) *Ainsi, Il faut aider l'Union africaine y compris, je l'ai dit à l'ONU et à l'Union européenne, sur le plan financier et matériel pour rendre plus efficace son action, ou la rendre tout simplement(Chirac)*

35) *A la différence de grands groupes, chaque euro, investi dans le renforcement de vos fonds propres, est un euro investi dans l'emploi en France. C'est pour cela que nous allons agir maintenant, pour vous. (Sarkozy)*

36) *Le rôle de l'Etat reste essentiel pour la croissance. Le respect mal assumé des règles de l'économie de marché ne fait pas une politique économique. Nous avons besoin de tout autre chose aujourd'hui. (Chirac )*

რაც შეეხება ქართველი პოლიტიკოსების დისკურსებს, განვიხილოთ მათში გამოკვეთილი მარკერები.

ძირითადად, ინტერლოკუციური დიალოგიზმის მარკერი, რომელიც კორპუსის კვლევის შედეგად გამოვყავით, არის *მომავალი დრო* მაგალითებში : (1), (2) (3) და (4). განვიხილოთ ეს მაგალითები. 1-ლ მაგალითში ასევე გვაქვს ამ *მომავალი დროის* რამოდენიმეჯერ გამეორება, რაც ასევე დისკურსული ანაფორის შემთხვევას წარმოადგენს. მაგ. 3-ში კი გვაქვს *მიზეზის ზმნიზება რათა*, ხოლო მაგ. 4-ში - ვარაუდის გამომხატველი მარკერი *თუ ჰიპოთეტიკური*.

1) *მომავალი წლის ზამთარში საქართველოს ყველა სკოლაში იქნება ცენტრალური გათბობა და არც ერთ ბავშვს აღარ შეცივდება.*



მათი მინიმალური ხელფასი 1 დეკემბრიდან იქნება 200 ლარი, ხოლო მომავალში პედაგოგის საშუალო ხელფასი საქართველოში ზოგადად არსებულ საშუალო ხელფასთან შედარებით ორჯერ მეტი იქნება. (სააკაშვილი)

2) მასწავლებლების ვაუჩერები პირველი იანვრიდან იქნება. (სააკაშვილი)

3) ჩვენ მომავალშიც გავაგრძელებთ ჩვენს მოკავშირეებთან ერთად მუშაობას, რათა მთელი სამყარო იყოს მშვიდობიანი და მშვიდობამ დაისდგუროს ყველა ქვეყანაში, რაც მთავარია, საქართველოში. (მარგველაშვილი)

4) თუ მივიღებთ სასურველ შედეგს, ერთად გავაგრძელებთ მუშაობას, მაგრამ თუ შედეგები არ გვექნება, არც მეგობრობა, არც ახლობლობა და არც რაიმე სხვა ნიშანი მისცემს ვინმეს წინსვლის ან ადგილის შენარჩუნების გარანტიას. (სააკაშვილი)

რაც შეეხება კითხვითი ფორმით გამოკვეთილ ინტერლოკუციურ-რესპონსულ დიალოგიზმს. ისინი გამოკვეთეთ შემდეგ მაგალითები: მე-ში გვაქვს კითხვითი ფორმა და მასზე გაცემული პასუხი. ხოლო, მე-ნ მაგალითში გახლეჩილი ფრაზა ეს არის.

5) ეს ხელს შეუწყობს, საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების ერთდროულად გამართვას ხუთ წელიწადში ერთხელ. რისთვის ვაკეთებთ ამას? იმისათვის არა, რომ ამ კონკრეტულ პოლიტიკურ ჯგუფებს რაიმე შეღავათი გავუწიოთ. (სააკაშვილი)

6) დღეს აქ იმყოფება ერთ-ერთი ყველაზე დიდი ევროპული სახელმწიფოს - პოლონეთის პრეზიდენტი, თავისუფლებისა და დემოკრატიისთვის ევროპის ყველაზე დიდი მებრძოლი ლეხ კაჩინსკი. ეს არის ჩვენი პასუხი ყველასათვის,

*ვისაც საქართველოს იზოლაცია და ევროპისგან ჩამოშორება სურს.(სააკაშვილი)*

ქვემოთ მოცემულ მაგალითებში: (7) (8) (9) გვაქვს გახლეჩილი ფრაზის, ანუ კლივაჟის შემთხვევები - *ეს არის*, რომლებიც ინტერდისკურსულ-რესპონსულ დიალოგიზმზე მიუთითებენ, რადგან გამომთქმელი უკვე სცემს პასუხს სავარაუდოდ თანამოსაუბრის მიერ მისთვის დასმულ შეკითხვებს.

*7) პრაქტიკულად, მოგება ყველაგან აღინიშნა, კახეთში ასობით მილიონი ლარი შევიდა. ეს არის საქართველოსა და კახეთის გამარჯვება რუსეთის ეკონომიკურ ემარგოზე და ზოგიერთის არცთუ კარგად გააზრებულ პროპაგანდაზე. (სააკაშვილი)*

*8) ეს არის დიდი პასუხისმგებლობა, რომელიც ჩვენი ქვეყნისა და ხალხის წინაშე ვიკისრეთ მე და საქართველოს მთელმა მთავრობამ.(სააკაშვილი)*

*9) ეს არის ჩვენი პასუხი ყველასათვის, ვისაც საქართველოს იზოლაცია და ევროპისგან ჩამოშორება სურს. (სააკაშვილი)*

აღსანიშნავია სხვადასხვა კონსტრუქციის ზმნებიც: (10) (11) - *უნდა*, პირველში მაგალითში ასევე გვაქვს ზმნა *შეგვიძლია* და ორივე ერთად ანტიციპაციურ-ინტერლოკუციური დიალოგიზმის მარკერებია. ხოლო მეორეში - *პასუხი შეშეკითხვას*. მე-12 მაგალითში კი გვაქვს *უნდა და* სიტყვა *მაგალითად*, რომელიც ინტერლოკუციურ-რესპონსული დიალოგიზმის მარკერია. მაგალითში (13) ზმნა *გეტყვით*. (14) *მინდა გითხრათ*, *ეს იქნება ყველაზე .. (15) აღვნიშნავ*, (16) *ვაცხადებ*, (17) *შემიძლია დაგარწმუნოთ*.

10) თქვენ უნდა დაანახოთ ჩვენს საზოგადოებრიობასა და ხალხს, რომ ამ პერიოდის განმავლობაში სიღარიბის დასაძლევად პირველი რეალური ნაბიჯების გადადგმა შეგვიძლია.

11) 5 იანვარს ჩვენ უნდა გავცეთ პასუხი შეშეკითხვას - გვინდა თუ არა საქართველოს გაერთიანება და გვსურს თუ არა შემდგომი წინსვლა.(სააკაშვილი)

12) ეს ძალიან ბევრ საკითხს შეეხება, მაგალითად, გაზაფხულზე სასოფლო სამუშაოების მომზადება - სოფელი ჩვენი სამთავრობო პროგრამის ფუნდამენტია და მოსავლისთვის მზადება ახლავე უნდა დავიწყოთ.

13) მე გეტყვით რა არის ყველაზე მარტივი და მოკლე გზა აფხაზეთსა და ცხინვალში პროვოკაციების თავიდან ასაცილებლად - დავენებდეთ, შევუერთდეთ რუსეთის ფედერაციას, ვაღიაროთ აფხაზეთისა და ცხინვალის დამოუკიდებლობა, უარი ვთქვათ ჩვენს ტერიტორიებზე და ამ შემთხვევაში, პროვოკაცია გამოირიცხება, იქნება სიმშვიდე, სიწყნარე და შესაძლოა ვინმეს ეებაც დავიმსახუროთ.

მზად არის ნაციონალური მოძრაობა ამ გზით იაროს?

- თუ არა, მაშინ წინ გამარჯვებებისკენ! (სააკაშვილი)

14) მინდა გითხრათ, რომ ეს იქნება ყველაზე დემოკრატიული, ყველაზე თავისუფალი, ყველაზე გამჭვირვალე არჩევნები, თანაც იმ ფონზე, რომ ჩვენ ჩავატარეთ ექვსი თავისუფალი არჩევნები ბოლო ოთხი წლის განმავლობაში, ჩემი პრეზიდენტობის პერიოდში.(სააკაშვილი)

15) განსაკუთრებული კმაყოფილებით აღვნიშნავ, რომ განათლების სამინისტრომ ხელახალი მომზადების ცენტრები შექმნა.(სააკაშვილი)

16) როგორც უმაღლესი მთავარსარდალი, ვაცხადებ, რომ ვიზრუნებ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ასამაღლებლად. ჩვენ მუდამ მზად ვიქნებით, გარე საფრთხეების მოსაგერიებლად. (მარგველაშვილი)

17) ერთ რამეში შემიძლია დაგარწმუნოთ: დემოკრატიის კვალდაკვალ, ჩვენ ანტიკური ხანის ხალხისა და ახალგაზრდა სახელმწიფოს ენერჯიას ვაერთიანებთ. (საკაშვილი)

ბოლოს კი, განვიხილოთ ისეთი სიტყვათშეთანხმებები, რომლებიც, ჩვენი აზრით, ინტერლოკუციური დიალოგიზმის მარკერებს წარმოადგენენ. მაგალითებში (18) და (19) სიტყვათშეთანხმება ეს იმას ნიშნავს ინტერლოკუციურ-რესპონსული დიალოგიზმის ნათელ მაგალითს წარმოადგენს, რომლის საშუალებითაც გამომთქმელი აზუსტებს თავის პასუხს. აქვე გვაქვს მომავალი დროც. ასევე მაგ. 18-ში გვაქვს ზმნა უნდა, რომელიც ანტიციპაციურ დიალოგიზმს აღნიშნავს, რადგან უშუალოდ მსმენელზე ახდენს ანტიციპაციას. ვახსენოთ სხვა სიტყვათშეთანხმებებიც: (20) რაც შეეხება, (21) ასე რომ, აქვე გვაქვს შედარების მარკერი რაც უფრო..., მით უფრო (22) დაგარწმუნოთ იმაში, მიუხედავად იმისა, (23) ნურას უკაცრავად, და წინდებული აი, (24) და (25) სწორედ ამიტომ (26) იმის გამო, რომ, (27) ჩემი სურვილია (28) მინდა გამოვეყო (29) დარწმუნებული ვარ, (30) საგულისხმოა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ მაგალითებში ძირითადად მომავალი დროც გვხვდება, ვინაიდან მისი საშუალებით ნათლად არის გამოხატული ინტერლოკუციურ-რესპონსული თუ ანტიციპაციური დიალოგიზმი.

18) ეს იმას ნიშნავს, რომ იქ, რომელშიც საჭიროა ხალხს საწვავით დავეხმაროთ, რომელშიც აუცილებელი და უფრო მნიშვნელოვანია - გვარჯილითა და სხვა სასუქებით, უნდა ავამუშავოთ ტექნიკური სატრაქტორო სადგურები ემ-ტე-ეს-

ების ახალი სისტემა, ამ სისტემის ამუშავება სამართლიანად უნდა დავიწყოთ და ეტაპობრივად გავაძლიეროთ კიდევ. (საკაკაშვილი)

19) **ეს იმას ნიშნავს, რომ რთული საარჩენო პერიოდისა და საქართველოში დესტაბილიზაციის გააფთრებული მცდელობების მიუხედავად, სახელმწიფო აპარატმა ძალზე გამართულად იმუშავა.**(საკაკაშვილი)

20) **რაც შეეხება ჩვენს სხვადასხვა პარტიულ პოლიტიკურ ოპოზიციას, მიგვაჩნია, რომ ზოგადად ქვეყანაში ოპოზიციის არსებობა ძალზე მნიშვნელოვანი.** (საკაკაშვილი)

21) **ასე რომ, რაც უფრო მაღალია პენსია, რაც უფრო მეტი სამუშაო ადგილი შეიქმნება, მით უფრო ძლიერი იქნება სოფლები.** (საკაკაშვილი)

22) **გთხოვთ ნება დამართოთ, პირადად დაგარწმუნოთ იმაში, რომ მიუხედავად იმისა, თუ რამდენად რთული იქნება ეს გზა, მიუხედავად იმისა, თუ რამდენი მსხვერპლის გაღება მოგვიხდება, არ დავმარცხდებით.** (საკაკაშვილი)

23) **ნურას უკაცრავად, ისინი ვერასდროს ველარ დაბრუნდებიან!**

**აი, რა არის სამართლიანობა, მომავლის შესაძლებლობები და ჩვენი საერთო მონაპოვარი!** (საკაკაშვილი)

24) **სწორედ ამიტომ მიიღო ნაციონალურმა მოძრაობამ ფენომენალური შედეგი - ყველა თვითმმართველობისა და მაჟორიტარულ არჩევნებში გაიმარჯვა.** (საკაკაშვილი)

25) **სწორედ ამიტომ დავისახე ჩემი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მიზანი - საქართველო სიღარიბის გარეშე!** (საკაკაშვილი)

26) ზოგიერთი წევრი შეიცვალა იმის გამო, რომ, უმეტეს შემთხვევაში, მთავრობის  
ამა თუ იმ წარმომადგენლისაგან მოსალოდნელი შედეგი ვერ დავინახეთ.

ხალხი ჩვენგან ელის კიდევ უფრო ენერგიულ, აქტიურ, ქმედით მუშაობას და ამ  
მუშაობის სათანადო შედეგებს.

27) ამ დროისთვის შექმნილი იქნება და უკვე იფუნქციონერებს სიღარიბის  
დაძლევის ეროვნული კომისია, რომელშიც ჩემი სურვილია ვიხილო არა  
მხოლოდ მთავრობის და საზოგადოების, არამედ პოლიტიკური ოპოზიციის  
წარმომადგენლებიც. (საკაკაშვილი)

28) დასკვნებს მეთვალყურეთა ანგარიშის მიხედვით გამოვიტანთ, ყველაფერს  
გავითვალისწინებთ და ამ მიმართულებით ვიმუშავებთ. განსაკუთრებით  
მინდა გამოვყო ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა. (საკაკაშვილი)

29) დარწმუნებული ვარ, რომ სასულიერო და პოლიტიკურ ლიდერთა  
ერთობლივი ძალისხმევა ახალ იმპულსს შესძენს ევროინტეგრაციის პროცესს  
და არსებითად გაამდიდრებს საქართველოსა და ევროკავშირის  
ურთიერთობას. (მარგველაშვილი)

30) საგულისხმოა, რომ სამიტის შემდეგ ჩვენი ყველაზე დიდი მოლოდინია  
ასოცირებული წევრობის ხელშერულების ხელმოწერა, რომელიც მოიცავს  
შეთანხმებას ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ.  
(მარგველაშვილი)

ბოლოს კი, გვინდა ცალკე გამოვყოთ მაგალითი (31), რომელშიც ნათლად  
ჩანს უფროობითის ხარისხის ფორმები უფრო მეტი, უკეთესი, უფრო, როგორც  
ინტერლოკუციურ- რესპონსული დიალოგიზმის მანიფესტაცია.

31) იმ დღის შემდეგ, ჩვენ ერთად ბევრ რამეს მივალწიეთ - ახლა ქვეყანაში უფრო მეტი სინათლეა, უკეთესი გზებია, პრაქტიკულად, დამთავრდა განგსტერების თარეში, გვყავს პროფესიონალური პოლიცია, უფრო ძლიერი არმია, გვაქვს ახალი სტატუსი და გვაქვს ღირსება მსოფლიო ერთა თანამეგობრობაში.(საკაშვილი)

#### 4. 3 ინტრალოკუციური დიალოგიზმის მარკერები

ინტრალოკუციური დიალოგიზმი, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, ავტოდიალოგიზმი, ეს დიალოგიკური ურთიერთობის ისეთი ტიპია, როდესაც გამომთქმელი ყოველთვის დიალოგიკურ კავშირში, ანუ მუდმივ ინტერაქციაშია თავის ნათქვამთან, სიტყვებთან და ეს იქნება იმპლიციტურად თუ ექსპლიციტურად.

როგორც ჩვენი კვლევის შედეგად აღმოვაჩინეთ, ინტრალოკუციური დიალოგიკური ურთიერთობა უმეტეს შემთხვევაში გამოხატულია ზმნური კონსტრუქციებით. განვიხილოთ ისინი დეტალურად. დიდწილად ის გამოხატულია *dire* ზმნის საშუალებით, რითაც გამომთქმელი ხაზს უსვამს, რომ რასაც ამბობს, ნამდვილად თავისი ნათქვამია.

განვიხილოთ ეს მაგალითები: 1-ლ მაგალითში გვაქვს ასეთი ზმნური კონსტრუქცია *Je veux leur dire* ასევე ზმნიზედა *encore*, რაც ნამდვილად ინტრალოკუციურ ურთიერთობაზე მეტყველებს. მაგ. 2-ში - ზმნა *dire წარსულშია გადმოცემული* და ასევე, აქვე გვაქვს ჩვენებითი ზედსართავი *cette*, რომელიც ანაფორულად მის ნათქვამს იმეორებს. მაგ.(3) ზმნა *dire აწმყო დროშია*, ხოლო მაგ. 4-ში - უარყოფით ფორმაში და ასევე განუსაზღვრელი ნაცვალსახელით *cela*. შემდეგ

მაგალითში (5) კი იგივე ზმნა გერუნდივის ფორმითაა **en vous disant**. მაგ, (6) ზმნა **dire აწმყო დროში** დადასტურის მარკერთან **bien** და ზმნიზედა **jamais-სთან ერთად**. ბოლო მაგალითში (7) კი ინფინიტივურ ზმნასთან ერთად გვაქვს სიტყვათშეთანხმება **Je suis désolé**, რომელიც ასევე გამომთქმელის სუბიექტურობას გამოხატავს და თავისივე ნათქვამს მიემართება.

1) *Je veux leur dire encore ma confiance et mon estime. (Chirac)*

2) *Je vous ai dit que nous allions travailler, que nous allions réformer et que nous allions tout faire en même temps parce que la société française est complexe et que l'on ne peut pas moderniser un côté en omettant les autres. Je sais que cette stratégie a posé problème. (Sarkozy)*

3) *Je ne veux pas que vous ayez peur quand je dis que je donne à l'Europe un an pour changer. Lorsque le Général de GAULLE a fait la chaise vide en 1965, il n'a pas fait reculer l'Europe, il l'a fait avancer ! Voilà la vérité ! (Sarkozy)*

4) *C'est donner l'exemple, y compris dans son comportement et pour sa propre rémunération. Et je ne dis pas cela par facilité ou par commodité ou pour plaire, mais tout simplement parce que ce doit être un principe. (Hollande)*

5) *Je peux revenir devant vous en vous disant : « c'est fait ». (Sarkozy)*

6) *Il n'y a jamais, je dis bien "jamais", une seule politique possible, quelle que soit la gravité de la situation. Et je prends l'engagement que personne, je dis bien "personne" dans notre pays, ne soit à plus d'une demi-heure de transport d'un lieu de traitement des urgences médicales. (Hollande)*



7) *Je suis désolé de dire que ce n'est pas à la gloire de notre pays que le principal constructeur automobile français, en 2007, avait les 2/3 de ses effectifs hors de France avec l'Etat actionnaire à 17%. (Sarkozy)*

აღსანიშნავია, რომ როგორც ზმნა **dire**, ასეთივე დატვირთვითა და სიხშირით გამოიყენება სხვა ზმნეზიც, რომლებიც ასევე გამომთქმელს საშუალებას აძლევენ დაადასტუროს ის, რასაც ამბობს ნამდვილად. ესენია: (8) (9) (10) (11) (12) **parle**, ასევე ზმნიზება **toujours** (13) **annonce**, (14) **évoqué**, (15) **avertis**, **prévient**, (16) **emploi**, ამ მაგალითში ასევე ნეიტრალური ნაცვალსახელიც **le** კატაფორულად წინასწარ გადმოსცემს გამომთქმელის სათქმელს. ბოლო მაგალითში (17) კი ზმნიზება **davantage** ზმნასთან **dire** აღნიშნავს, რომ გამომთქმელი უკვე საუბრობდა მის შესახებ.

8) *Voilà ce que nous avons fait pour sauver l'industrie automobile française. Et le logement, je parle sous le contrôle des Parlementaires. (Sarkozy)*

9) *Nous ne pouvons pas laisser à la jeunesse autant de dettes que nous n'aurions pas payées, je ne parle pas simplement des dettes comptables, je parle des dettes morales ; autant de risques que nous n'aurions pas eu le courage de regarder en face ; autant de problèmes que nous n'aurions pas essayé de résoudre. (Sarkozy)*

10) *Chers amis, j'ai parlé du Rêve français. Oui, le beau rêve, le rêve que tout au long des siècles, depuis la Révolution française, les citoyens ont caressé, ont porté. (Chirac)*

11) *Je ne parle pas d'une note. Je ne parle même pas des comptes publics. Je parle des conditions de vie, des comportements, tout simplement de la situation du pays.*

*J'ai conscience de la tâche qui est la mienne : incarner le changement, faire gagner la Gauche et redonner confiance à la France. (Hollande)*

*12) L'égalité, toujours l'égalité, c'est aider les territoires qui en ont le plus besoin et notamment, et je parle ici en Seine Saint-Denis, nos banlieues. (Hollande)*

*13) Enfin, en 2010, nous poursuivrons la suppression de l'imposition forfaitaire annuelle que je vous avais annoncée à Lyon. (Sarkozy)*

*14) Ce sentiment vient d'abord de tout ce que j'ai déjà évoqué : la montée de l'insécurité, que le Gouvernement aura davantage commentée que combattue, la reprise du chômage, qui réveille aujourd'hui les blessures profondes de notre société, la pauvreté qui n'a pas reculé aux jours de croissance, les réformes que chacun sait nécessaires et qui pourtant ont constamment été différées. (Chirac)*

*15) Tous ceux-là, les délinquants financiers, les fraudeurs, les petits caïds, je les avertis : ceux qui ont pu croire que la loi ne les concernait pas, le prochain président les prévient, la République, oui, la République vous rattrapera! (Hollande)*

*16) Partout, des privilèges apparaissent à mesure qu'une nouvelle aristocratie – j'emploie le mot à dessein – arrogante et cupide s'installe et prospère. (Hollande)*

*17) Chers amis, laissez-moi vous en dire davantage. Je suis un élu de la France rurale où les agriculteurs démontrent l'excellence de leur travail sans en recevoir le revenu qu'ils méritent. Je suis de ce Limousin, de cette Corrèze où j'ai tant appris. (Hollande)*

ქართველი პოლიტიკოსების დისკურსში, ანალოგიურად, როგორც ფრანგებისაში, ინტრალოკუციური დიალოგიზმი ძირითადად პირველ პირშია ჩასმული და სხვადასხვა ზმნური ფორმებითაა წარმოდგენილი. პირველ მაგალითში გვაქვს ზმნური კონსტრუქცია *ვიმეორებ* და ასევე *სიტყვათმეთანხმება კიდევ ერთხელ*, ასევე მე-2 მაგალითში *ნება მომეცით*, რომლებშიც ნათლად ჩანს, რომ გამომთქმელმა უკვე ისაუბრა აღნიშნულის შესახებ. ასევე გვაქვს შემდეგი ზმნები: *(3) ვთქვი, (4) (5) მსურს ასევე*

განვაცხადო, (6) (10) არაერთხელ მითქვამს, არაერთხელ აღმინიშნავს, (7) მინდა ისიც ვთქვა, (8) ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, (9) მინდა აღვნიშნო, (11) კვლავ ვაცხადებთ.

- 1) კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ბუნებრივი პირობები - თოვლი და ყინვა ამწელებს გადაადგილებას და აფერხებს მოსამზადებელი სამუშაოების დაწყებას, მაგრამ როგორც კი თოვლი დადნება, დასახული გეგმის შესრულებას დავიწყებთ. (საკაშვილი)
- 2) ნება მომეცით, გავიმეორო, რომ საქართველო ამ ორივე კონფლიქტის თანამედროვე ევროპულ გადაწყვეტას გთავაზობთ. (საკაშვილი)
- 3) როდესაც ვთქვი, რომ საქართველო იქნებოდა კორუფციის გარეშე, ყველამ დაგვცინა, მაგრამ ეს სიტყვა საქმედ იქცა; მაშინ დაინახეს პირველად, რომ ჩემი დაპირებების მიმართ არასერიოზული მიდგომა არ შეიძლებოდა. (საკაშვილი)
- 4) მსურს ასევე, განვაცხადო, რომ საქართველოში ნატოს გენერალური მდივნის ვიზიტი წარმატებული იყო. (საკაშვილი)
- 5) ჩვენ ნათლად განვაცხადეთ, რომ ბანაკს იქიდან არსად არ გადავიტანთ. საბოლოოდ, პრინციპული პოზიცია იმარჯვებს. (საკაშვილი)
- 6) მე არაერთხელ მითქვამს - თუ აზერბაიჯანლები გეზიზღებათ, მე ვარ აზერბაიჯანელი! თუ სომხები გეზიზღებათ, მე ვარ სომეხი! თუ ებრაელები გეზიზღებათ, ებრაელი ვიქნები! თუ ოსები გეზიზღებათ, ისედაც ხომ ყველამ იცის, რომ ოსი ვარ! (საკაშვილი)
- 7) მინდა ისიც ვთქვა, რომ ამ მოვლენებმა მიაღწია იმ მიზანს, რისი თავიდან აცილებაც გვსურდა - ჩრდილი მიეყენებინათ საქართველოსათვის, მისი

წინსვლისათვის, ჩვენი საერთაშორისო პოზიციებისათვის და საქართველოს შემდგომი განვითარებისათვის.(საკაშვილი)

8) ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, რომ მილიონი დოლარის ინვესტიცია ქმნის 50 სამუშაო ადგილს.(საკაშვილი)

9) უნდა აღვნიშნო, რომ ასევე მივესალმებით ევროკავშირის დიალოგს რუსეთთან და ამით, განმარტავს იმას, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობა არა რუსეთის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკა, არამედ პრობლემათა იმგვარი გადაწყვეტაა, რომელშიც წაგებული არ არსებობს. ის ზრდის ეკონომიკურ კეთილდღეობას, უსაფრთხოებას და სტაბილურობას ჩვენს რეგიონში, რაც ასევე სარგებელს მოუტანს რუსეთს.(მარგველაშვილი)

10) არაერთხელ აღვნიშნავს, რომ ადამიანის თავისუფლება, ტოლერანტობა, განსხვავებულისადმი პატივისცემა, უპირველეს ყოვლისა, ქრისტიანული 11) ფასეულობებია და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ყოველთვის ამ მარადიულ, უზენაეს ღირებულებათა სადარაჯოზე იდგა. (მარგველაშვილი)

11) ჩვენ კვლავ ვაცხადებთ მზადყოფნას, გავაღრმავოთ რუსეთთან დიალოგი; ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პარალელურად, საქართველოს ეროვნული ინტერესების - საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების, ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის პრინციპების სრული პატივისცემის გათვალისწინებით და ურთიერთნდობის საფუძველზე გადავჭრათ დღეს არსებული პრობლემები. (მარგველაშვილი)

#### 4.4 სხვადასხვა ტიპის დიალოგიზმი და მათი გამოხატვის მარკერები ერთ გამონათქვამში

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჩვენი კორპუსის კვლევის შედეგად ყველა, ანუ ხუთივე პოლიტიკოსოს დისკურსში ვნახეთ, რომ ერთსა და იმავე გამონათქვამში, ერთი ტიპის დიალოგიზმის გარდა, კიდევ შეიძლება იკვეთებოდეს ორი, ან სამივე ტიპის დიალოგიზმი, რომლებიც შესაბამისად, სხვადასხვა ტიპის ან, ზოგიერთ შემთხვევაში, ერთი და იმავე მარკერით არის გამოხატული. ვფიქრობთ, რომ ასეთი შემთხვევები ლინგვისტური კუთხით შესასწავლად უფრო საინტერესო და მდიდარია. აქვე ნიშანდობლივია ისიც, რომ ყველაზე მეტი შემთხვევა გამოიკვეთა, როდესაც ერთად გვხვდება ინტერდისკურსული და ინტერლოკუციური დიალოგიზმის მარკერები. ამრიგად, განვიხილოთ ეს შემთხვევები.

ამ პარაგრაფსაც წინა პარაგრაფების მსგავსად წარმოვადგენთ, ანუ ჯერ ფრანგულ დისკურსებს განვიხილავთ, ხოლო შემდეგ- ქართულებს. ორივე შემთხვევაში კი შევეცდებით ერთნაირი ტიპის ორი დიალოგიზმის მაჩვენებელი მაგალითები ერთად მოვიყვანოთ.

თავდაპირველად, განვიხილოთ ისეთი შემთხვევები, რომლებიც ყველაზე დიდი რაოდენობით გამოიკვეთა ჩვენს კორპუსში, ეს არის *ინტერდისკურსული* და *ინტერლოკუციურ-რესპონსული* დიალოგიზმის ერთად არსებობის შემთხვევები. ქვემოთ მოყვანილ 1-ლ მაგალითში ინტერდისკურსული დიალოგიზმი გამოხატულია *ჰიპოთეტიკური თუ - თი* და ასევე გახლეჩილი ფრაზა *c'est x qui - თი*. ხოლო, ინტერლოკუციურ-რესპონსული წარმოდგენილია *კითხვითი წინადადებით* და *დადასტურების გამომხატველი მარკერით Puisque*.

1). *Mais si nous n'avions pas supprimé la taxe professionnelle sur les investissements, c'est progressivement l'assiette même de cet impôt qui allait disparaître. Nous allions être face à*

*un impôt virtuel, car peu à peu toutes les entreprises industrielles qui en supportaient l'essentiel, disparaissaient ou se délocalisaient. **La preuve, quel est le premier contribuable de la taxe professionnelle ? L'Etat. Puisque nous étions rendus dans un système absolument insensé où des élus augmentaient la taxe professionnelle, des entreprises ne la payaient plus puisqu'elles étaient plafonnées et la différence était payée par l'État donc par le contribuable. (Sarkozy)***

მე-2 მაგალითში ინტერდისკურსული დიალოგიზმი გამოხატულია უარყოფითი ფორმით. ხოლო ინტერლოკუციურ-რესპონსული - მომავალი დროისა და ჩვენებითი ნაცვალსახელი *celui*, რომელიც ანაფორულად უკვე ნათქვამს იმეორებს.

*2). Ces 2 milliards d'euros **ne seront pas** dépensés, mais investis dans l'économie française. Ils **produiront** un double bénéfice : celui des intérêts versés à l'État et surtout celui de la croissance et des emplois des entreprises. (Sarkozy)*

მე-3 მაგალითში გამოყოფილი არსებითი სახელი ინტერდისკურსული დიალოგიზმის მარკერია, ხოლო წინდებული *Voilà* - ინტერლოკუციურ-რესპონსულის.

*3). **Et le problème**, ce n'est pas le travail ; le problème, c'est le chômage. **Voilà**, la réalité des valeurs qui sont les nôtres. (Sarkozy)*

მე-4 მაგალითში ინფინიტივური ტრანსფორმაცია *Opposer* და განუსაზღვრელი ზედსართავი *aucun* ინტერდისკურსულ დიალოგიზმზე მიუთითებს, ხოლო მიზეზის კავშირი *parce que* სცემს პასუხს სავარაუდოდ დასმულ შეკითხვას, ანუ, ამ შემთხვევაში, საქმე გვაქვს ინტერლოკუციურ-რესპონსულ დიალოგიზმთან.

*4). **Opposer** les entreprises et les ménages **n'a aucun** sens, **parce que** les entreprises créent des emplois pour les ménages. (Sarkozy)*

მე-5 მაგალითში დაპირისპირების ზმნიზედა *d'ailleurs* და უარყოფითი ფორმა *n'est pas* ინტერდისკურსულ დიალოგიზმზე მიუთითებს. ხოლო შემდეგ, უპირო გამოთქმით *Il y a* ის წინასწარ სცემს პასუხს აუდიტორიის მიერ სავარაუდოდ დასმულ შეკითხვას, მაშასადამე, საქმე გვაქვს ინტერლოკუციურ - რესპონსულ დიალოგიზმთან.

*5) Et d'ailleurs, on était en passe d'y arriver, avec l'aide des 35 heures, et ce n'est pas un hasard si la France est devenue la plus désindustrialisée des grandes économies européennes. Il y a deux raisons à cela, une taxe professionnelle qui n'existe nulle part ailleurs en Europe et les 35 heures qui n'existent nulle part ailleurs dans le monde.*  
(Sarkozy)

ქვემოთ მოცემულ მე-6 მაგალითში უარყოფით ფორმაში მოცემული გახლეჩილი ფრაზა *Ce n'est pas x qui* ინტერდისკურსული დიალოგიზმის მაგალითია. ხოლო მეორე შემთხვევაში უკვე მტკიცებით ფორმაში წარმოთქმული გახლეჩილი ფრაზა *Ce x qui* ინტერლოკუციურ-რესპონსულ დიალოგიზმზე მიუთითებს.

*6). Ce n'est pas l'augmentation des impôts et l'augmentation des charges qui fera revenir la croissance. C'est la compétitivité et l'investissement qui feront revenir la croissance.*  
(Sarkozy)

მე-7 მაგალითში ინტერდისკურსული დიალოგიზმი წარმოდგენილია უარყოფით ფორმაში *n'ai pas* და ასევე ჩვენებით ზედსართავ სახელში *Cette*. ხოლო, ინტერლოკუციურ-რესპონსული დიალოგიზმი გამოხატულია კითხვითი ფორმით *peur de qui ?* და მასზე გაცემული პასუხით.

*7). Je n'ai pas peur de l'autonomie des universités ! Cette autonomie qu'on avait refusée à nos universités parce qu'on avait peur... peur de qui ? De syndicalistes qui ne pensaient qu'à eux et pas aux étudiants !* (Sarkozy)

ქვემოთ მოცემულ მე-8 მაგალითში უარყოფით ფორმაში მოცემული უპირო გამონათქვამით **Il ne s'agira pas** გამოხატულია ინტერდისკურსული დიალოგიზმი, რომელიც ასევე დისკურსული ანაფორის საშუალებით არის წარმოდგენილი. ხოლო შემდეგ კითხვა-პასუხი ინტერლოკუციურ-რესპონსულ დიალოგიზმს მიუთითებს.

**8) Il ne s'agira pas de voter par habitude. Il ne s'agira pas de choisir un camp. Il s'agira de répondre à une question, la seule : où, nous, les Français, voulons-nous aller ? C'est un moment absolument décisif. (Sarkozy)**

ქვემოთ მოყვანილ მე-9 მაგალითში ინტერდისკურსული დიალოგიზმის მარკერებია: დადასტურების მარკერი **certes**, და უფროობითის ხარისხის მარკერი **mieux**. ხოლო მომავალი დრო **pèsera**, უპირო გამოთქმა **il faudra** და დაპირისპირების კავშირი **Mais** ინტერლოკუციურ-რესპონსულ დიალოგიზმს გამოხატავენ.

**9). Alors certes, grâce à notre démographie, nous pourrons mieux faire face que la plupart des autres pays européens. Mais ce coût pèsera lourdement sur nos finances publiques. Si nous voulons préserver notre système social, qui fonctionne depuis 1945, il faudra s'adapter aux défis démographiques. (Sarkozy)**

ქვემოთ მოყვანილ მე-10 მაგალითში ინტერდისკურსული დიალოგიზმი წარმოდგენილია ინფინიტივური ფორმით **Dire**, ხოლო ინტერლოკუციურ-რესპონსული დიალოგიზმი - ზმნიზედა **simplement**-ის საშუალებით.

**10. Dire qu'on a des racines chrétiennes, ce n'est exclure personne. C'est simplement revendiquer une mémoire collective. (Sarkozy)**

მოცემულ მე-11 მაგალითში გვაქვს ინტერდისკურსული დიალოგიზმი, გადმოცემული სიტყვათაშეთანხმებით **Savez vous que** და ინტერლოკუციური



რესპონსული დიალოგიზმი კითხვა/პასუხის, მიზეზის ზმნიზედის *parce que*-სა და მომავალი დროის საშუალებით.

*11). Savez vous que les intérêts de l'argent, qu'au nom de l'Etat, nous avons prêté aux banques et qui nous sont remboursés ces jours-ci ont rapporté 500 M d'euros, l'équivalent du financement du plan pour les jeunes, pour que les jeunes trouvent un emploi.*

*Ca s'est passé comment ? Quand les deux grands constructeurs sont venus me trouver, il manquait 3 milliards d'euros parce que plus personne ne voulait leur prêter. L'Etat était là et a prêté l'argent. Nous ne laisserons pas sacrifier l'industrie automobile française. (Sarkozy)*

მე-12 მაგალითში ინტერდისკურსული დიალოგიზმის მარკერია *est sûre*. ხოლო, ინტერლოკუციურ-რესპონსულის მარკერი - *au contraire*, რომლითაც გამომთქმელი თავის საპირისპირო აზრს გამოთქვამს.

*12) Une chose est sûre : la réponse à ces interrogations n'est pas dans l'infiniment petit du repli sur soi ou du communautarisme. Elle est, au contraire, dans l'affirmation de notre désir de vivre ensemble, dans la consolidation de l'élan commun, dans la fidélité à notre histoire et à nos valeurs. (Chirac)*

მე-13 მაგალითში ამ გამონათქვამში ჰიპოთეტური *Si* და ნეიტრალური ნაცვალსახელი *le* ინტერდისკურსული დიალოგიზმის გამოხატვას უწყობენ ხელს. ზმნიზედა *alors*, უპირო გამოთქმა *il faut* და მომავალი დრო ინტერლოკუციურ-რესპონსული დიალოგიზმის მარკერია.

*13). Si la finance est l'adversaire, alors il faut l'affronter avec nos moyens et d'abord chez nous, sans faiblesse mais sans irréalisme, en pensant que ce sera un long combat, une dure épreuve mais que nous devons montrer nos armes. (Hollande)*

ქვემოთ მოცემულ მე-14 მაგალითში ჩვენებითი ზედსართავი სახელი *ce* და უარყოფითი ფორმა ინტერდისკურსული დიალოგიზმის მარკერებია, ხოლო სიტყვათშეთანხმება *C'est pourquoi* - ინტერლოკუციურ-რესპონსულის.

14). *Et j'insiste sur ce point : un député, un sénateur, ne représentent pas une circonscription, un département, une région. Ils représentent la nation toute entière. C'est pourquoi je ferai voter dès les débuts du prochain quinquennat, la fin du cumul d'un mandat parlementaire avec une fonction d'exécutif local. (Hollande)*

ქვემოთ მოცემულ მაგალით მე-15-ში ინტერდისკურსული დიალოგიზმი გამოხატულია უარყოფით ფორმაში მოცემული კავშირებითი კილოს ფორმით *ne soit pas*, ინტერლოკუციურ-რესპონსული კი - დაპირისპირების მარკერით *mais*, ზმნური ფორმით *je précise* და მომავალი დროით *sera*.

15). *Bref, je souhaite que désormais, une femme ou un homme au chômage ne soit pas indemnisé pour rester chez lui à perdre sa confiance mais soit rémunéré pour suivre une formation qualifiante. À la fin de cette formation – je précise les choses –, il sera obligé d'accepter l'offre d'emploi qui correspond à cette formation qualifiante. Des droits et des devoirs. Pas l'un sans l'autre, l'un et l'autre. (Sarkozy)*

შემდეგ კი, განვიხილოთ ისეთი დისკურსები, რომლებშიც ერთად არის მოცემული ინტერლოკუციურ-რესპონსული და ინტერდისკურსული დიალოგიზმის მარკერები.

მაგალითში № 16 ინტერლოკუციურ-რესპონსული დიალოგიზმი გადმოცემულია მიზეზის ზმნიზედით *parce que* და უპირო გამოთქმით *il faut*, ხოლო ინტერდისკურსული დიალოგიზმის მარკერებია: აღმატებითი ხარისხის ფორმები *plus, mieux* და უარყოფითი ფორმა *non pas*.

*16) Nous venons de faire voter la loi sur l'hôpital **parce que** l'hôpital c'est 51% des dépenses d'assurance maladie et qu'**il faut** regrouper un certain nombre de structures pour être **plus** efficace, **pour mieux** soigner et pour consacrer l'argent **non pas** à entretenir des structures qui n'ont pas les moyens d'être compétitives et d'être efficaces **mais** pour financer de nouvelles machines, de nouveaux traitements, de nouveaux médecins qui permettront d'assurer votre santé. (Sarkozy)*

მაგალითში № 17 გვაქვს ზმნური კონსტრუქცია ***je pense***, როგორც ინტერლოკუციურ-რესპონსული დიალოგიზმის მარკერი. ხოლო, ინტერდისკურსული დიალოგიზმი წარმოდგენილია *შედარების მარკერით **au lieu de***.

*17). Mais moi aussi ! Moi **je pense** qu'il y a un besoin d'amour et que l'expression des sentiments, y compris lorsqu'on est Président de la République, ça devrait rassurer **au lieu d'inquiéter**. (Sarkozy)*

მაგალითში № 18 გვაქვს ინტერლოკუციურ-რესპონსული დიალოგიზმი, რომელიც გამოხატულია *ზმნიზედა **Concrètement*** და *ზმნური ფორმით **je vous annonce***. ხოლო, ინტერდისკურსული წარმოდგენილია *ზმნიზედით **déjà***.

*18). D'abord **je vous annonce** que nous allons prolonger la mesure zéro charge dans les petites entreprises car elle a été un vrai succès, 500 000 embauches en ont **déjà** bénéficié. **Concrètement**, tous les recrutements des entreprises de moins de 10 salariés réalisés pendant le premier semestre 2010 **seront** exonérés de la totalité des charges patronales pendant un an. (Sarkozy)*

მაგალითში №19 ინტერლოკუციურ-რესპონსული დიალოგიზმი გამოხატულია *ზმნიზედა **Naturellement***, *მომავალი დროის **resteront*** და შეკითხვაზე გაცემული პასუხით. ხოლო, ინტერდისკურსული - *დადასტურების მარკერით **en fait*** და *ჩვენებითი ზედსართავი სახელით **cette***.

19). *Les signes discrets, par exemple une croix, une étoile de David, ou une main de Fatima, resteront naturellement possibles.*

*L'Afrique et le monde sont en fait à la croisée des chemins. Avec cette question majeure: quelle place pour l'Afrique dans la mondialisation ? De deux choses l'une. (Chirac)*

ახლა კი განვიხილოთ ისეთი შემთხვევები, რომლებშიც ერთად არის მოცემული ინტერლოკუციურ-ანტიციპაციური და ინტერდისკურსული დიალოგიზმი.

მაგალითში № 20 გვაქვს ინტერლოკუციურ- ანტიციპაციური დიალოგიზმი, რადგან გამომთქმელი რიტორიკულ შეშეკითხვას სვამს, ასევე ამ გამონათქვამში იგულისხმება რომ სხვების მიერ იქნა იგი წარმოდგენილი რადგან მასში არის კავშირებითი კილო *soient*, ამიტომ იგი ინტერდისკურსული დიალოგიზმის შემთხვევაა.

20). *Comment la France, comment la République peut-elle accepter que les femmes soient moins bien payées que les hommes? (Hollande)*

ახლა კი, განვიხილოთ ისეთი შემთხვევები, რომლებშიც ერთად გვაქვს ინტერლოკუციურ-ანტიციპაციური და ინტერლოკუციურ-რესპონსული დიალოგიზმები.

მაგალითში (21) ინტერლოკუციურ-ანტიციპაციური გამოხატულია სიტყვათშეთანხმებაში *Qu'on m'entende bien*, ხოლო შემდეგ ინტერლოკუციურ-რესპონსული დიალოგიზმი გადმოცემულია დაპირისპირებაში, რომელიც გამოხატულია ნომინალური სინტაგმის *L'égalité* მარცხენა მხარის გამოყოფით.

**21). *Qu'on m'entende bien, l'égalité, ce n'est pas l'égalitarisme, c'est la justice. L'égalité, ce n'est pas l'assistanat, c'est la solidarité. (Hollande)***

ახლა კი ვნახოთ შემთხვევა, როდესაც ერთად გვაქვს *ინტერლოკუციურ - ანტიციპაციური* და *ინტრალოკუციური* დიალოგიზმები.

ქვემოთ მოყვანილ მაგალითში №22 *კითხვითი ფორმა est-ce que* ინტერლოკუციურ - ანტიციპაციურ დიალოგიზმს მიუთითებს, ხოლო ინტრალოკუციურ დიალოგიზმს აღნიშნავს ზმნური კონსტრუქცია *J'avais dit*.

**22). *Aujourd'hui, est-ce que nous avons tenu les engagements ou est-ce que nous ne les avons pas tenus ? J'avais dit que le plan sans précédent de mobilisation de l'argent public pour éviter le collapsus des banques. (Sarkozy)***

ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში განვიხილოთ ერთად მოცემული *ინტრალოკუციური* და *ინტერლოკუციურ-რესპონსული* დიალოგიზმის შემთხვევები.

მაგ. 23-ში გვაქვს ინტრალოკუციური დიალოგიზმი, რომელიც გამოხატულია ზმნიზებად *Naturellement* და ასევე *Ce que je demande* საშუალებით. ხოლო ინტერლოკუციურ-რესპონსული დიალოგიზმი წარმოდგენილია უპირო გამონათქვამით *Il est venu le temps de*.

**23). *Ce que je demande naturellement pour les collectivités territoriales, se posera également pour les administrations territoriales. Il est venu le temps de tenir compte d'un certain nombre de choses. (Sarkozy)***

ქვემოთ მოყვანილ მაგალითში (24) ინტრალოკუციური დიალოგიზმის მარკერია *სიტყვათშეთანხმება un mot de plus*, ხოლო ინტერლოკუციურ-რესპონსული

დიალოგიზმი გამოხატულია უპირო გამოთქმით *il faut*, რომელიც ანაფორულად მეორდება და ასევე ზმნური ფორმით *j'affirme*.

*24). Alors, un mot de plus là-dessus, je crois au regroupement familial, car c'est un droit de vivre avec sa famille. Je ne le remettrai pas en cause. Mais j'affirme dans le même temps et avec la même force que pour faire venir sa famille, il faut avoir un logement pour loger sa famille. Il faut avoir un salaire pour faire venir sa famille. (Sarkozy)*

ბოლოს კი, განვიხილოთ ყველა ის შემთხვევა, რომელშიც სამი სხვადასხვა ტიპის დიალოგიზმი ერთად არის მოცემული.

მაგალითში (25) ინტერდისკურსული გამოხატულია ზმნიზება *particulièrement-*ით, ხოლო უპირო გამონათქვამი *Il s'agit* ინტერლოკუციურ-რესპონსული დიალოგიზმის მანიფესტაციაა. ბოლოს დასმული კითხვითი ფორმა კი ინტერლოკუციურ-ანტიციპაციური დიალოგიზმის მარკერია.

*25). L'autorité de l'Etat est particulièrement en cause aujourd'hui. Il s'agit d'un mal profond qui fragilise les fondements mêmes de la démocratie. Comment la société française saura-t-elle répondre a ces évolutions ? (Chirac)*

მაგალითში (26) ინტერლოკუციურ-ანტიციპაციური დიალოგიზმი გამოხატულია კითხვითი ფორმის *est-ce que* საშუალებით, ასევე გავქვს ინტერლოკუციური დიალოგიზმის მარკერი ზმნური ფორმა წარსულ დროში *J'avais dit*. ხოლო ინტერლოკუციურ-რესპონსული დიალოგიზმი გამოხატულია უარყოფითი ფორმით *non seulement*.

*26). Aujourd'hui, est-ce que nous avons tenu les engagements ou est-ce que nous ne les avons pas tenus? J'avais dit que le plan sans précédent de mobilisation de l'argent public*

*pour éviter le collapsus des banques, non seulement ne coûterait pas un centime à l'Etat mais rapporterait de l'argent. (Sarkozy)*

მაგალითში № 27 გავქვს შემდეგი ტიპის დიალოგიზმის მარკერები: ინტერდისკურსულის - *კუთვნილებითი ზედსართავი Notre*, გამოყოფილი ფრაზის თავში და ჩვენებითი ზედსართავით *ces*; ინტრალოკუციურის - *je parle* და *je conteste* და ინტერლოკუციურ -რესპონსულის- *კითხვითი ფორმა* და შემდეგ მასზე გაცემული პასუხი, რომელშიც ასევე არის *მიზეზის ზმნიზედა Parce que* და *გახლეჩილი ფრაზა c'est x qui*.

*27). Notre devoir, c'est de mener un leadership en Europe pour répondre à ces questions, les frontières, la nation, la réciprocité. Je parle sous le contrôle des élus, ici, il y a les circuits courts, il y a les productions locales, je conteste que 100 % de nos marchés publics doivent être attribués en vertu du seul critère du prix. Je le conteste pourquoi? Parce que c'est toujours le plus gros qui fait le prix le plus bas ! (Sarkozy)*

ახლა კი, ქართულ კორპუსში განვიხილოთ ანალოგიური შემთხვევები, ანუ ისეთი დისკურსები, რომლებშიც არა მხოლოდ ერთი, არამედ რამოდენიმე ტიპის დიალოგიზმია მოცემული.

თავდაპირველად განვიხილოთ დისკურსებში ერთად მოცემული, რაოდენობრივად ყველაზე მეტი ინტერდისკურსული და ინტერლოკუციურ-რესპონსული დიალოგიზმის შემთხვევები.

№1 მაგალითში ინტერდისკურსული დიალოგიზმი წარმოდგენილია ზმნიზედით *აქამდე*. ხოლო ინტერლოკუციურ-რესპონსული ზმნიზედით *ახლა-თი*, რაც ასევე შეპირისპირების ნათელ მაგალითს წარმოადგენს.

1) *აქამდე ჩვენი მიზანი იყო აგვეშენებინა საქართველო კორუფციის, ქაოსისა და მოძალადეთა გერეშე. ახლა ჩვენი მიზანია, ავაშენოთ საქართველო სიღარიბის გარეშე. (საკაკაშვილი)*

ქვემოთ მოცემულ №2 მაგალითში გვაქვს შეპირისპირებითი ფორმა *არა ის, არამედ ის*, რომელიც ინტერდისკურსულ ურთიერთობაზე მიანიშნებს, ხოლო რესპონსული დიალოგიზმის მარკერია *რაც დღეს* და ზმნური ფორმა *ვრწმუნდები*.

2) *განვიღო არჩევნებზე ფიქრისას, ვრწმუნდები, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი იყო არა ის, თუ ვის მისცა ხმა ქართველმა ხალხმა, არამედ ის, თუ როგორ და რას მისცეს მათ ხმა. მათ ხმა მისცეს სიღარიბის შემცირებას საქართველოში, რაც დღეს ჩვენი საზოგადოების უმაღლესი და უმთავრესი პრიორიტეტია. (საკაკაშვილი)*

მომდევნო №3 მაგალითში ინტერდისკურსული დიალოგიზმის მარკერია შეპირისპირებითი ფორმა *არა მხოლოდ, არამედ*, ხოლო ინტერლოკუციურ-რესპონსულის ჰიპოთეტიკური *თუ* და *მომავალი დრო*.

3) *არა მხოლოდ ჩემი პრეზიდენტობა, არამედ ჩემი ცხოვრებაც კარგავს ყოველგვარ აზრს, თუ არ აღვადგენთ ტერიტორიულ მთლიანობას, ვერ შევძლებთ საქართველოს ინტეგრაციას ევროპულ სტრუქტურებში და ევროპული დონის ცხოვრების დამკვიდრებას საქართველოში. (საკაკაშვილი)*

ქვემოთ მოცემულ №4 მაგალითში ინტერდისკურსული დიალოგიზმი წარმოდგენილია დადასტურების მარკერით *ბუნებრივია*. ხოლო, დაპირისპირების მარკერი *მაგრამ* და ზმნური ფორმა *მინდა ვთქვა* ინტერლოკუციურ-რესპონსულ დიალოგიზმს მიემართება.



4) *ბუნებრივია, ნებისმიერ საპრეზიდენტო არჩევნებში არის მხოლოდ ერთი გამარჯვებული, მაგრამ ყველას გასაგონად მინდა ვთქვა: როგორც პრეზიდენტი, მე ვემსახურები თითოეულ თქვენთაგანს. საქართველოს ყველა მოქალაქისთვის, ერთნაირად ვიქნები უფლებათა დაცვის გარანტი.*(მარგველაშვილი)

ქვემოთ მოყვანილ № 5 მაგალითში გვაქვს ინტერდისკურსული დიალოგიზმი, წარმოდგენილი დადასტურების მარკერით *მართალია*. ხოლო, ინტერლოკუციურ-რესპონსული, გამოხატული დაპირისპირების მარკერით *რადგან*.

5) *მართალია, რუსული არმია საქართველოდან ოფიციალურად გავიდა, მაგრამ წინ ჯერ კიდევ დიდი გზა გვაქვს, რადგან მათი ჯარისკაცები ჯერ კიდევ არიან ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში.*(მარგველაშვილი)

№6 მაგალითში ინტერდისკურსული დიალოგიზმის მარკერია *ზმნური ფორმები: გავიგე, ხმა, სურვილი გამოხატეს*. ხოლო მაგ. 7-ში იგივე ტიპს გამოხატავს *ზმნური ფორმები სხვადასხვა ხმაზე საუბრობს*. ხოლო, რაც შეეხება ინტერლოკუციურ-რესპონსულს, პირველ მაგალითში იგი წარმოდგენილია *სიტყვათშეთანხმებით ეს კი იმას მიანიშნებს*. ხოლო მეორეში- *ჩვენებითი ნაცვალსახელით ეს*.

6) *მე გავიგე ქართველი ხალხის ხმა, როდესაც მათ ნატოში შესვლის თავიანთი ყოვლისმომცველი სურვილი გამოხატეს - ეს კი იმას მიანიშნებს, რომ ჩვენ იმ საერთო ღირებულებების მატარებელი საზოგადოება გვყავს, რომელიც ამ უდიდესი ორგანიზაციის ღირებულებებს იზიარებს.*(მარგველაშვილი)

7) *დღეს საქართველოში დემოკრატია ბევრ სხვადასხვა ხმაზე საუბრობს. მე ვაფასებ და მივესალმები ამ ბევრ სხვადასხვა ხმას - ეს დემოკრატიული გუნდის ხმაა, ხმა, რომელზეც ჩვენი მომავალი უნდა აშენდეს.*(მარგველაშვილი)

მომდევნო მაგალითებში კი განვიხილოთ ისეთი შემთხვევები, რომლებშიც ინტერლოკუციურ-რესპონსული და ინტერდისკურსული დიალოგიზმის მარკერები გვაქვს მოცემული.

№8 მაგალითში ინტერლოკუციურ-რესპონსული გამოხატულია შემდეგი ზმნებით: *უნდა იყოს, მიმაჩნია, და მომავალი დროით*. ხოლო რაც შეეხება ინტერდისკურსულ დიალოგიზმს, მისი მარკერია *შედარების ფორმა უფრო მეტად*.

8) *მიმაჩნია, რომ განათლების მინისტრი უნდა იყოს ავტონომიური, უფრო მეტად თავისუფალი საკუთარ აზრებში, მეტად უნდა გახსნას ეს სისტემა და უფრო დემოკრატიული გახადოს ის, რაშიც ჩვენ ხელი უნდა შევუწყოთ.* (საკაშვილი)

ქვემოთ მოყვანილ №9 მაგალითში ინტერლოკუციურ-რესპონსული დიალოგიზმი წარმოდგენილია *ზმნური ფორმით მინდა ვთქვა*, და ასევე *მომავალი დროის* ფორმით *დაგვაკლებს*. ხოლო, ინტერდისკურსული გამოხატულია *დაპირისპირების მარკერით თუმცა*.

9) *მინდა ვთქვა, რომ საარჩევნო ხმების მხრივ, ეს ჩვენ ვერაფერს ვერ დაგვაკლებს, თუმცა ქვეყნისა და დემოკრატიული კულტურისათვის ამას უკიდურესად უარყოფითი გავლენა აქვს.* (საკაშვილი)

№10 მაგალითში ინტერლოკუციურ-რესპონსული დიალოგიზმის მარკერია *ზმნიზედები უპირველესად, იმიტომ, რომ*. ინტერდისკურსული დიალოგიზმი კი წარმოდგენილია *უპირო გამოთქმით რასაც ჰქვია*.

10) *დღეს აქ ყოფნა ბევრი თვალსაზრისითაა სასიხარულო, საამაყო და იმედის მომცემი. უპირველესად, იმიტომ, რომ ჩვენ დღეს ვზეიმობთ შეხვედრას, ერთად*

*ყოფნას, გაერთიანებას იმის ირგვლივ, რასაც ჰქვია უნარი, ძალა - არ შეგეშინდეს, არ გატყდე, აჩვენო შენი თავი, მუდმივად გქონდეს ბრძოლის ჟინი...(მარგველაშვილი)*

ქვემოთ მოცემულ №11 მაგალითში ინტერლოკუციურ-რესპონსული დიალოგიზმის მარკერია *საერთო სწრაფვა*, ხოლო ინტერდისკურსული გამოხატულია შეპირისპირების ფორმით *არა მხოლოდ.....არამედ* და უფროობითის ხარისხის ფორმით *უფრო*.

*11) მე ვგრძნობ, რომ ჩემს მეგობრებს შორის ვარ. ჩვენ გვაერთიანებს საერთო სწრაფვა - ვაშენოთ უფრო მიუკერძოებელი, უფრო დემოკრატიული და უფრო სამართლიანი საზოგადოება. ყველაზე კარგი მეგობრები არა მხოლოდ უნდა გვაქებდნენ, არამედ კონსტრუქციულ რჩევებსაც უნდა გვთავაზობდნენ. (მარგველაშვილი)*

მოცემულ № 12 მაგალითში ინტერლოკუციურ-რესპონსული დიალოგიზმის მარკერია *ზმნური ფორმები მინდა აღვნიშნო* და *ეს არის*, ინტერდისკურსულ დიალოგიზმზე კი მიანიშნებს უარყოფითი ფორმა *არ არის*.

*12) მინდა აღვნიშნო, რომ აზერბაიჯანი არ არის საქართველოსთვის მხოლოდ დიდი პროექტი, არ არის მხოლოდ ნავთობისა და ენერჯის ტრანსპორტიორი სახელმწიფო - ეს არის მნიშვნელოვანი კულტურული, სამეცნიერო და პირადი კონტაქტების ქვეყანა. (მარგველაშვილი)*

ახლა კი განვიხილოთ ინტრალოკუციური და ინტერლოკუციურ-რესპონსული დიალოგიზმის ერთად არსებობის ფორმები.

ქვემოთ მოცემულ №13 მაგალითში ინტერლოკუციური დიალოგიზმის მარკერია *სიტყვათშეთანხმება მიუხედავად ამისა*, ხოლო, ინტერლოკუციურ-რესპონსული დიალოგიზმის მარკერია *ზმნური ფორმა ვეუბნები*.

13) მთავრობაში მოვიყვანეთ ის ხალხი, რომელიც არასოდეს არ ყოფილა პოლიტიკაში და ახლა ქმნიან ქვეყნის აღორძინების პოლიტიკას. *მიუხედავად ამისა*, ჩემს მთავრობას ხმამაღლა ვეუბნები: ეს არ არის საკმარისი და ჯერ ნამდვილად არ ვარ კმაყოფილი. (საკაკაშვილი)

ქვემოთ მოყვანილ მაგ. 14-ში ინტერლოკუციური დიალოგიზმის მარკერია *ზმნიზედა არა ერთხელ* და *ზმნური ფორმა გვითქვამს*. ხოლო, ინტერლოკუციურ-რესპონსულის *ზმნიზედა აქედან გამომდინარე*.

14) ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, რომ მილიონი დოლარის ინვესტიცია ქმნის 50 სამუშაო ადგილს. *აქედან გამომდინარე*, ჩვენ მრავალი მილიარდი გვჭირდება იმისათვის, რომ საქართველოში ხალხი დასაქმდეს. (საკაკაშვილი)

ახლა კი, განვიხილოთ ინტერდისკურსული და ინტერლოკუციურ-ანტიციპაციური დიალოგიზმის მარკერები ერთსა და იმავე დისკურსებში.

ქვემოთ მოცემულ №15 მაგალითში ინტერდისკურსული დიალოგიზმი წარმოდგენილია *შეპირისპირებითი ფორმით არის არა.....არამედ*. ხოლო ინტერლოკუციურ-ანტიციპაციური დიალოგიზმის მარკერია *ზმნური კონსტრუქცია უნდა ვილაპარაკოთ*.

15) ჩემთვის დღევანდელი დღე არის არა ტრიუმფის, არამედ ჩემი ხალხისთვის თავდადების დღე. დღე, როდესაც უნდა ვილაპარაკოთ სიმართლე და ვიგრძნოთ პასუხისმგებლობა. (საკაკაშვილი)

№ 16 მაგალითში ინტერდისკურსული დიალოგიზმი გამოხატულია ჩვენებითი ნაცვალსახელით *ეს* და ზმნის ფორმით *აშუქებდნენ*, ხოლო ინტერლოკუციურ-ანტიციპაციური ბოლოს მოცემული კითხვითი ფორმით.

16) *ეს დიდი და ამბიციური პროგრამაა. იშვიათად, მსოფლიოში რომელიმე ქალაქს, ასეთ მოკლე პერიოდში განეცადოს რთული საწყისებიდან ასეთ პირობებში გადასვლა. რამდენიმე წუთის წინ ერთ-ერთ სატელევიზიო არხზე თავდაცვის სამინისტროში მიმდინარე პროცესებს და მათთან დაკავშირებით აღძრულ სისხლის სამართლის საქმეებს აშუქებდნენ. როგორ შეიძლებოდა ეს დაგვმართოდა? (საკაშვილი)*

ახლა განვიხილოთ ინტერლოკუციურ-რესპონსული და ინტრალოკუციური დიალოგიზმის შემთხვევები.

№ 17 მაგალითში გვაქვს ინტერლოკუციურ-რესპონსული დიალოგიზმის მარკერი ზმნიზედა *ჯერ*, ხოლო ზმნური ფორმა *ამაზე ველაპარაკებით* ინტრალოკუციურ დიალოგიზმს აღნიშნავს.

17) *ჩვენ ჯერ საკუთარი ბაზარი უნდა ავითვისოთ სრულად, ხოლო შემდეგ მეზობელი ქვეყნების ბაზრები უნდა დავიპყროთ, მით უმეტეს, რომ ამაზე ველაპარაკებით ყველას. ამას გარდა უნდა დავასრულოთ სოფლების გაზიფიკაცია და ავამაღლოთ სოფლებში კულტურული ცხოვრება.(საკაშვილი)*

№18 მაგალითში ინტერლოკუციურ-რესპონსული დიალოგიზმის მარკერია *მეორე, რაც მნიშვნელოვანია*, და ასევე გახლეჩილი ფრაზა *არის ის, რომ*. ხოლო, ინტრალოკუციურის - ზმნური კონსტრუქცია *ბევრჯერ აღმინიშნავს*.

18) მეორე, რაც მნიშვნელოვანია, არის ის, რომ საქართველო ამ ნაწილშიც აჩვენებს მსოფლიოს, რა განსაკუთრებულები ვართ. იმაზე საუბრისას, თუ როგორ, რა გზით დასვამს თავის თავს მსოფლიო რუკაზე ამდენი გამოწვევის წინაშე მდგარი, ასეთი პატარა ქვეყანა, ბევრჯერ აღმინიშნავს ის განსაკუთრებული როლი, რაც ქართულმა სპორტმა შეიძლება ითამაშოს. (მარგველაშვილი)

ახლა კი განვიხილოთ, ერთად მოცემული, ინტრალოკუციური და ინტერდისკურსული დიალოგიზმის მარკერები.

№19 მაგალითში ინტრალოკუციური დიალოგიზმი გამოხატულია ზმნური კონსტრუქციით **კიდევ ერთხელ გავიმეორო**, ხოლო, ინტერდისკურსული დიალოგიზმი წარმოდგენილია უარყოფითი ფორმით **არ არის**.

19) *ამავე დროს მინდა გითხრათ და კიდევ ერთხელ გავიმეორო, რომ ის რაც მოხდა გუშინ და ის რა ნაბიჯებსაც დავამს სახელმწიფო, არ არის ხელისუფლების დასაცავად გადაგმული ნაბიჯები.* (საკაკაშვილი)

ხოლო №20 მაგალითში ინტრალოკუციური დიალოგიზმის მარკერია ზმნური კონსტრუქცია **მინდა ისიც ვთქვა**, ხოლო, ინტერდისკურსულის - **გვსურდა**.

20) *მინდა ისიც ვთქვა, რომ ამ მოვლენებმა მიაღწია იმ მიზანს, რისი თავიდან აცილებაც გვსურდა - ჩრდილი მიეყენებინათ საქართველოსათვის, მისი წინსვლისათვის, ჩვენი საერთაშორისო პოზიციებისათვის და საქართველოს შემდგომი განვითარებისათვის.* (საკაკაშვილი)

ახლა კი განვიხილოთ ინტერლოკუციურ-ანტიციპაციური და ინტერდისკურსული დიალოგიზმის შემთხვევა.

№ 21 მაგალითში ინტერლოკუციურ-ანტიციპაციური დიალოგიზმის მარკერია **მინდა ხალხმა იცოდეს**. ინტერდისკურსული დიალოგიზმი კი გამოხატულია შედარებითი ფორმით **უფრო მეტია, ვიდრე**.

21) **მინდა ხალხმა იცოდეს**, რომ ეს ჩემთვის გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ ლოზუნგი. (საკაშვილი)

ქვემოთ მოცემულ მაგალითში № 22 კი გვაქვს ინტერლოკუციურ-ანტიციპაციურ და ინტრალოკუციურ დიალოგიზმთან საქმე. პირველი გამოხატულია **ზმნური კონსტრუქციით სანამ ვინმე დაიწყებს ლაპარაკს**, ხოლო მეორე, ანუ ინტრალოკუციური წარმოდგენილია **ზმნური ფორმით მინდა შეგახსენოთ**.

22) **სანამ ვინმე დაიწყებს ლაპარაკს** იმაზე, თუ რომელ ავტორიტარულ, ექსცენტრულ, ან მით უმეტეს, დიქტატორულ მმართველს ჰგავს საქართველოს პრეზიდენტი, **მინდა შეგახსენოთ**, რომ მე ვარ საქართველოს ის პრეზიდენტი, რომელიც უკვე მეორედ, საკუთარი ნებით იმცირებს საპრეზიდენტო ვადას და პრაქტიკულად, მივდივარ იმაზე, რაზეც ჩვენი რეგიონის არც ერთი პრეზიდენტი და მსოფლიოში ძალიან ცოტა ქვეყნის ლიდერი წავიდოდა. მე ნამდვილად არ ვიცნობ სხვა ასეთ პრეზიდენტს. (საკაშვილი)

და ბოლოს, მოცემულ №23 მაგალითში გამოვკვეთეთ ინტერდისკურსული და ინტრალოკუციური დიალოგიზმის ფორმები: პირველი გამოხატულია **ზმნიზედით მიუხედავად**, ხოლო მეორე **ზმნიზედით კვლავ** და **ზმნით ვაცხადებთ**.

23) **მიუხედავად** დღეისთვის არსებული გართულებული ვითარებისა, ჩვენ **კვლავ ვაცხადებთ** მზადყოფნას, გავაღრმავოთ რუსეთთან დიალოგი; **ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში** ინტეგრაციის პარალელურად,

*საქართველოს ეროვნული ინტერესების - საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების, ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის პრინციპების სრული პატივისცემის გათვალისწინებით და ურთიერთნდობის საფუძველზე გადავჭრათ დღეს არსებული პრობლემები. (მარგველაშვილი)*

#### **4.5 პოლიფონიის მარკერები**

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პოლიფონიასა და დიალოგიზმს მეცნიერები ნაკლებად მიჯნავენ ერთმანეთისაგან. შესაბამისად, ერთი და იმავე მარკერი ერთთან დიალოგიზმს აღნიშნავს, მეორესთან კი პოლიფონიას. ამიტომ, როგორც ამ თავის დასაწყისში აღვნიშნეთ, ჩვენი კვლევის მიზანიც სწორედ ეს არის: შევეცადოთ დავადგინოთ, თუ რომელი ლინგვისტური თუ დისკურსული მარკერი, ჰეტეროგენული დისკურსის არსებობის რომელ ფორმას აღნიშნავს: დიალოგიზმს თუ პოლიფონიას? რა არის მათ შორის განმასხვავებელი?

როგორც კვლევამ გვიჩვენა, პოლიფონია ძირითადად გამოხატულია ისეთი ლინგვისტური და დისკურსული მარკერებით, როგორებიცაა: *პირდაპირი თუ ირიბი ნათქვამი, ირონია, ალუზია, უარყოფითი ფორმა და პირობითი კილო*, რომლებშიც ეს ხმები, ანუ სხვისი ნათქვამები, ერთ დონეზე, ნათლად არიან წარმოდგენილნი. ამდენად, ამ პარაგრაფში ჩვენ განვიხილავთ აღნიშნული მარკერების საშუალებით გამოხატულ პოლიფონიის მაგალითებს, ჩვეულებისამებრ, ჯერ ფრანგულ, ხოლო შემდეგ ქართულ დისკურსებში.

თავდაპირველად, განვიხილოთ *პირდაპირი ნათქვამის* ფორმები. უმეტესწილად, ეს ნათქვამები გადმოცემულია ორი წერტილის, ბრჭყალებში ჩასმული ციტირებებისა და სხვადასხვა ზმნების ფორმებით. განვიხილოთ ქვემოთ მოყვანილი მაგალითები.



თითოეულ მაგალითში, პირდაპირი ნათქვამის გამომხატველი მარკერები მუქად არის აღნიშნული.

- 1) ***On me demande souvent*** : "mais comment allez vous faire pour faire venir vos alliés dans cette Europe, sur les positions que vous défendez, puisque le Président sortant n'y est pas arrivé"?
- 2) *Quand le plan de relance français a été mis en place, un certain nombre d'observateurs de très mauvaise foi ont dit "Tout petit, il n'apportera aucun résultat". Les mêmes aujourd'hui disent "le déficit est trop grand » il faut savoir ! (Sarkozy)*
- 3) *Vous voyez, en lisant la presse ce matin, que des gens apparemment qui me connaissent mal, disent « oh la la, il en parle mais il ne l'ouvrira pas ! ». (Sarkozy)*
- 3) ***Comme l'a très justement résumé Kofi ANNAN : "Pas de développement sans sécurité, pas de sécurité sans développement, ni développement ni sécurité sans respect des droits de l'Homme".(Chirac)***
- 4) *Lors de notre dernière rencontre, la jeunesse africaine avait exprimé ses attentes : le Président TOURÉ nous a dit les efforts faits pour y répondre, et la conférence de suivi de Bamako montre le succès de cette entreprise.(Chirac)*
- 5) *Chers amis, je veux citer Pierre Mendès France, qui nous disait que « la vérité doit forcément guider nos pas ». (Chirac)*
- 6) ***Mais que les choses soient claires, j'étais très heureux d'entendre le Président de Renault dire que sur les 4 usines qui fabriqueront des voitures électriques, 2 les fabriqueront en France, parce que l'argent du contribuable français servira à soutenir l'emploi en France. (Sarkozy)***

- 7) **J'avais dit** à Toulon : « pas un seul épargnant n'ira faire la queue à la banque pour récupérer son argent. Pas un seul épargnant ne sera spolié ! ». (Sarkozy)
- 8) Et à ceux qui me parlent des déficits, **je leur dit** : oui, oui, bien sûr, il faut s'en occuper, mais si on revenait dans la dépression, les déficits seraient bien plus grands. (Sarkozy)
- 9) « C'est être nulle part que d'être partout », **disait** Montaigne. (Hollande)
- 10) La France n'est pas venue vous dire : « voilà ce qu'il faudrait faire ». La France est venue vous dire : « voilà ce que nous faisons pour épouser le XXI<sup>e</sup> siècle ». (Sarkozy)
- 11) Les mêmes qui disaient "ce plan n'est pas à la hauteur de ce que font les Etats-Unis d'Amérique, pourquoi il ne va pas plus loin ?" les mêmes dans les mêmes journaux, les mêmes interlocuteurs disent "pourquoi il a tant dépensé ?" Il n'a servi à rien le plan de relance ? Il a sauvé l'industrie automobile française et quand je vois que les ventes d'automobiles ont augmenté malgré la crise, je le dis devant le ministre de l'Industrie Christian ESTROSI, de 2,5% avec 14% de plus le mois dernier. Ca s'est passé comment ? (Sarkozy)
- 12) On me demande souvent : "mais comment allez-vous faire pour faire venir vos alliés dans cette Europe, sur les positions que vous défendez, puisque le Président sortant n'y est pas arrivé"? **Mais** ce qui va changer, c'est le vote des Français, qui sera notre levier pour convaincre. Les destins de l'Europe et de la France sont liés, la grandeur de la France **ne peut pas être** séparée de la force de l'Europe. (Hollande)
- 13) Les plus anciens, **qui me posent une seule question** : quand est-ce que nous allons partir? Et les plus jeunes, **qui me posent une seule question** : quand est-ce que nous

*allons pouvoir entrer? Et je leur dis "mais si vous les seniors, vous accompagnez les jeunes, vous leur donnez votre savoir-faire, votre expérience, votre compétence, est-ce que ce n'est pas finalement la plus belle mission qui peut vous être confiée avant d'attendre le départ à la retraite ? Et vous, les jeunes, si vous entrez enfin dans l'emploi avec un contrat à durée indéterminée, vous pouvez retrouver l'autonomie que vous attendez depuis si longtemps". (Hollande)*

14) *Depuis cinq ans, nous vivons sous le règne de « l'omniprésidence ». (Hollande)*

15) *Tous ces thèmes dont on parlait depuis des années, aujourd'hui, je peux revenir devant vous en vous disant : « c'est fait ». Ce ne sont pas des engagements, ce n'est pas une promesse, ce n'est même pas un bilan. Ce sont des décisions qui ont été prises“. (Sarkozy)*

ახლა კი განვიხილოთ ირიბი ნათქვამის მაგალითი, რომელშიც სხვისი ნათქვამი გადმოცემულია არა პირდაპირ, ბრჭყალებითა და ციტირებით, არამედ ირიბად, დაქვემდებარებული წინადადების საშუალებით.

16) *On nous dit qu'il faut remettre la réforme des retraites en cause parce que c'est la réforme de Nicolas SARKOZY.*

რაც შეეხება უარყოფითი ფორმის გამომხატველ მარკერებს, მიგვაჩნია, რომ ისინიც პოლიფონიას აღნიშნავენ, ვინაიდან სხვის ნათქვამს ერთ დონეზე გაგვაგონებენ. განვიხილოთ ასეთი შემთხვევები.

17) *Il n'y a pas une histoire de France de droite et une histoire de France de gauche comme le croient le Parti socialiste et le parti Communiste” (Sarkozy)*

18) *La France ne fait pas simplement le pari de s'appuyer sur son histoire qui est longue, la France choisit l'avenir. (Sarkozy)*

19) *Il n'y a pas d'un côté une politique économique, de l'autre une politique étrangère, du troisième une politique tout court. Il y a une politique cohérente : faire de la France l'un des pays les plus modernes au monde, faire de la France une référence, faire de la France la nation de l'avenir et **pas simplement** celle de l'histoire et du passé. (Sarkozy)*

20) *En la matière, **rien n'est** insignifiant, **rien n'est** banal, rien n'est dissociable. Les crimes racistes, la défense de thèses révisionnistes, les provocations en tout genre - les petites phrases, les bons mots - puisent aux mêmes sources. (Chirac)*

21) *Je revendique une simplicité qui **n'est pas** une retenue, **mais** la marque de l'authentique autorité. (Hollande)*

22) *Je veux me souvenir que cet été 1942, qui révèle le vrai visage de la "collaboration", dont le caractère raciste, après les lois anti-juives de 1940, **ne fait plus** de doute, sera, pour beaucoup de nos compatriotes, celui du sursaut, le point de départ d'un vaste mouvement de résistance. (Chirac)*

ასევე განვიხილოთ პირობითი კილოს შემთხვევები მაგ: (23)და (24) რომლებიც, ვფიქრობთ, რომ პოლიფონიის მარკერს მიეკუთვნება. ქვემოთ მოყვანილ მაგალითში (23) კიდევ არის უთანასწორობის (ოდნაობითი) ხარისხის ფორმა, გამონატული სიტყვათშეთანხმებით **moins bien que**, რომელიც ასევე სხვა გამონათქვამზე მიუთითებს.

23) *Il dégénère en violence privée, familiale, sociale, urbaine, avec **cette** terrible idée qui s'est installée, qui se diffuse dans notre conscience collective: la marche vers le progrès se **serait** arrêtée, nos enfants **seraient** condamnés à vivre **moins bien que** nous. (Hollande)*

24) *Comment **serait-il** possible de parler de rêve au moment où la crise **condamnerait** toute ambition? Ce serait une chimère. (Hollande)*

ბოლოს კი მაგალითებში (25) და (26) ვნახოთ ალუზიის შემთხვევაც, რომელშიც ალუზიურად გადმოცემულია სხვების მიერ ნათქვამები და როგორც უკვე აღვნიშნეთ პოლიფონიის გამოხატვას ემსახურება.

25) *Je veux ici rassurer ceux qui pensent que je suis déjà passé de l'autre côté. (Hollande)*

26) *C'est être null part que d'être partout . (Hollande)*

ახლა კი, რაც შეეხება ქართულ დისკურსებს. უპირველესად, განვიხილოთ პირდაპირი ნათქვამის მაგალითები, რომლებიც გადმოცემულია: ორი წერტილით, ბრჭყალებით, ციტირებებითა და სხვადასხვა ზმნური ფორმებით.

- 1) თავის დროზე, ათათურქმა ერთ-ერთი ყველაზე მწვავე კრიტიკოსი, ერთხელ, საკუთარი ოთახიდან გააგდო კიდეც, რადგან მისი კრიტიკა ვერ აიტანა; თუმცა მეორე დღეს დაიბარა და განათლების მინისტრად დანიშნა. ათათურქმა აღნიშნა: "მე არ მჭირდება განათლების მინისტრი, რომელსაც დამოუკიდებლად აზროვნება არ შეუძლია". (საკაკაშვილი)
- 2) წელს ტელევიზიითაც გამოდიოდნენ აღმფოთებული მშობლები და ამბობდნენ: სახელოვანი ოჯახის შვილები ვერ მოხვდნენ უმაღლეს სასწავლებლებში და ქიზიყიდან, თუშეთიდან და სხვა რაიონებიდან ჩამოსულლებმა ჩააბარესო.
- 3) სწორად თქვეს ლადო გურგენიძემ და გიგი უგულავამ - რეფორმების შედეგები თითოეულმა ოჯახმა უნდა იგრძნოსო.

- 4) **ლაპარაკობენ:** ეს არის მთავრობა, რომელიც ეკლესიას ებრძვის; ბოლო ორი წლის განმავლობაში ჩვენ 250 მეგლი აღვადგინეთ, კომუნისტების მთელ პერიოდში კი სულ 30 ტაძარი აღდგა და ათი ამდენი დაინგრა. (სააკაშვილი)
- 5) **ჯერ არც ერთ პასუხისმგებელ დამკვირვებელს, საშინაოს თუ საერთაშორისოს, არ განუცხადებია, რომ ჩვენს საარჩევნო პროცესში აღმოჩენილი დარღვევები გავლენას მოახდენდა ქართველი ამომრჩევლის სურვილზე.**(სააკაშვილი)
- 6) ისტორია **გვასწავლის, რომ ამ ბარიერების გადალახვა ადვილი არაა და ამას ჩვენი დიდი ერთსულოვნება და შემართება სჭირდება.**(სააკაშვილი)
- 7) **ოთხი წლის წინ ამ ჯილდოს ვკარგავდით, სახელმწიფოებრიობა სულს ლაფავდა, ქართული სახელმწიფო მუხლებზე იდგა. მაშინ ზუსტად აქ დავდექით და რომ სამშობლოს არავის დაეუთმოთ! დავდეთ ფიცი, რომ ჩვენ ქართველი ხალხი-დავიცავდით, მოვუვლიდით და გავაძლიერებდით საქართველოს.** (სააკაშვილი)
- 8) **ჩვენი მეგობრები მეკითხებიან თუ როგორ შევძელით ამდენი გზის, სკოლის, სხვა ობიექტების მშენებლობა.**
- 9) **მე არ მჭირდება მთავრობა, რომელიც იტყვის მხოლოდ: "არის ბატონო პრეზიდენტი!"**(სააკაშვილი)
- 10) **იმ დღეს სხვადასხვა ტელეარხებს ვუყურებდი და მიტინგზე ერთ-ერთმა რადიკალურმა პოლიტიკურმა წარმომადგენელმა თქვა: ითხოვე და მოგეცემაო, დაუკაკუნე და კარს გაგიღებენო. ჰოდა, ჩემო კარგებო -**

*მოითხოვეთ ადრეული არჩევნები? - კიდევ უფრო ადრეული არჩევნები მიიღეთ! (საკაკაშვილი)*

ქართველი პოლიტიკოსების დისკურსებში ასევე გამოვყავით ირიბი ნათქვამები, რომლებშიც სხვისი სიტყვები ირიბად არის გადმოცემული, ძირითადად დაქვემდებარებული წინადადებების, მიმართებითი ნაცვალსახელებისა და ასევე სხვადასხვა ზმნის ფორმის დახმარებით. განვიხილოთ ქვემოთ მოყვანილი ირიბი ნათქვამის მაგალითები.

11) *გაკვეთილები, რომლებიც გვასწავლიან, რომ თავისუფლების დაცვას დიდი ჯაფა და გააზრებული გამბედაობა სჭირდება.*(საკაკაშვილი)

12) *შადრევნების ფონზევე ლაპარაკობენ იმას, თუ როგორი საზიზღრობაა სადრევნები და აღმშენებლობა ქვეყანაში!*(საკაკაშვილი)

13) *როგორც თქვენ უკვე აღნიშნეთ, ჩვენ ვავითარებთ ხალხთაშორის კავშირს, ვაღრმავებთ თანამშრომლობას კულტურულ, სამეცნიერო და საგანმანათლებლო სფეროებში.*(მარგველაშვილი)

14) *მინდა გითხრათ, რომ ფრაზა, რომელიც თქვენ ბრძანეთ - რომ თქვენ გჭირდებათ მთავრობის თანადგომა, ვფიქრობ, უფრო სწორი იქნება ასე: ჩვენ გვჭირდება ერთად მუშაობა და ერთად ყოფნა!*(მარგველაშვილი)

15) *საქართველომ კარგად იცის, თუ რას ნიშნავს მსგავსი ქმედება. რუსეთის ფედერაცია ასეთი "რეფერენდუმებითა" და "არჩევნებით" ახორციელებს საოკუპაციო მმართველობას საქართველოს ტერიტორიის ნაწილზე - აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში.*(მარგველაშვილი)

16) ქართველი კაცი ინდივიდუალისტია, მაგრამ, ამავე დროს, გვერთიანებს ლოზუნგი „ძალა ერთობაშია“. (საკაკაშვილი)

17) მეგობრებო, ურთულესი წლების შემდეგ, რაც ყველამ ერთად გამოვიარეთ, დადგა დრო, როცა უნდა დავიბრუნოთ ჩვენი იდენტობა. დიდი ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „ჩვენ უნდა ვშვათ ჩვენი მყოობადი“. დღეს ეს სიტყვები გვესმის მოწოდებად თითოეული ჩვენგანისადმი. (მარგველაშვილი)

18) ღვთის წყალობითა და ჩვენი ხალხის ძალისხმევით თავისუფლება გრძელდება, სახელმწიფოებრიობა დავიბრუნეთ და ჩვენი თავი ნამდვილად ჩვენადვე გვეყუდვნის. (საკაკაშვილი)

19) თავისი პარტნიორების მხარდასაჭერად, ევროკავშირი ირჩევს მიდგომას - „მეტი - მეტისთვის“. (საკაკაშვილი)

ქართულ დისკურსებში ჩვენ ასევე მივაკვლიეთ ალუზიის შემთხვევებსაც, რომლებიც ალუზიურად სხვის ნათქვამზე მიანიშნებენ:

20) ჩვენ ვერისა და ვაკის მთავრობა არ ვართ, პირველ რიგში გლდანის, ვარკეთილის, ვაზისუბნის, ნაძალადევის, აფრიკის, ლილოს, მესამე მასივის და განაპირა რაიონების მთავრობა ვართ. (საკაკაშვილი)

21) ოთხი წლის წინ ამ ჯილდოს ვკარგავდით, სახელმწიფოებრიობა სულს დაფავდა, ქართული სახელმწიფო მუხლებზე იდგა. მაშინ ზუსტად აქ დავდექით და რომ სამშობლოს არავის დავუთმობთ! დავდეთ ფიცი, რომ ჩვენ ქართველი ხალხი-დავიცავდით, მოვუვლიდით და გავაძლიერებდით საქართველოს. (საკაკაშვილი)



პოლიფონიის ამ აღნიშნული მარკერების კლასიფიკაციას ამ თავის ბოლოში შემოგთავაზებთ.

#### ***4.6 დიალოგიზმისა და პოლიფონიის მარკერების კლასიფიკაცია***

ამ პარაგრაფში შემოგთავაზებთ თითოეული ტიპის დიალოგიზმის - ინტერდისკურსული, ინტერლოკუციური და ინტრალოკუციური - და პოლიფონიის მარკერების კლასიფიკაციას ფრანგულ და ქართულ დისკურსებში. აქვე აღვნიშნავთ, რომ ფრანგულ დისკურსში გამოკვეთილი მარკერებიდან მეცნიერთა მიერ განხილულ და ჩვენ მიერ გამოკვეთილ მარკერებს ერთ კლასიფიკაციაში მოვაქცევთ.<sup>21</sup> რაც შეეხება ქართულ კორპუსში მოძიებულ მარკერებს, ისინი ერთ მთლიან კლასიფიკაციაში მოვაქციეთ, ვინაიდან, მათ შესახებ ქართული ლინგვისტიკის რეალობაში ჯერ მეცნიერული ნაშრომები არ არსებობს და შესაბამისად, ყოველი მათგანი სიახლეს წარმოადგენს ჩვენთვის. ნიშანდობლივია, ისიც, რომ დიალოგიზმის გამომხატველი მარკერები ძირითადად ჩვენ მიერ გამოყოფილ ლინგვისტურ კატეგორიას მიეკუთვნებიან, ხოლო პოლიფონიის მარკერები - დისკურსულს. კიდევ ერთხელ ხაზს გავუსვამთ იმ გარემოებასაც, რომ პოლიფონიის მარკერებისგან განსხვავებით, დიალოგიზმის მარკერები უფრო მეტი რაოდენობის აღმოჩნდა.

***ინტერდისკურსული დიალოგიზმის მარკერების კლასიფიკაცია ფრანგულ დისკურსში***

**ლინგვისტური მარკერები**

<sup>21</sup> სწორი შიფტით მეცნიერთა მიერ განხილულ მარკერებს შემოგთავაზებთ, ხოლო დახრილი, მუქი შიფტით- ჩვენ მიერ მიკვლეულ მარკერებს.

## I. ლოგიკური კონექტორების ჯგუფის მარკერები:

დადასტურების გამომხატველი მარკერები:

Oui, certes, naturellement, certainement, justement, bien, bien sûr.

დაპირისპირების გამომხატველი მარკერი:

Mais

*სხვადასხვა ტიპის ლოგიკური ურთიერთობების გამომხატველი ზმნიზედები:  
D'ailleurs, pourtant, seulement, particulièrement, également, simplement, ainsi, donc, en fait, car, déjà, alors que.*

## II. გრამატიკული დროები

Présent - აწმყო, passé composé - წარსული, imparfait - წარსული დაუსრულებელი დრო, conditionnel - პირობითი კილო.

*subjonctif- კავშირებითი კილო*

## III. სიტყვათშეთანხმებები.

C'est vrai, Quoi qu'en disent, Il est vrai que, C'est-à-dire.

*Alors même que, Savez vous que, Il va de soi, C'est terrible de, Cela veut dire, Il ne s'agira pas, C'est bien naturel, Au lieu de.*

## IV. სხვადასხვა კომპოზიციის მქონე სინტაქსური სტრუქტურები

Incise - ჩართული, détachement - გამოყოფა, transformation infinitive - ინფინიტივური ტრანსფორმაცია,

Clivage - გახლეჩილ ფრაზის ( კლივაჟი) ფორმები: C'est x que, C'est ce que, Ce qui est x c'est, C'est x qui, Ce qui x c'est, Ce n'est x C'est, C e que x c'est y.

Comparaison d'égalité - თანასწორობის ხარისხის ფორმა : autant, aussi

Comparaison de supériorité-აღმატებულობის (უფროობითი) ხარისხის ფორმები: mieux que, de plus en plus, plus que jamais, plus que, plus, mieux

Comparaison d'infériorité - დაქვემდებარების (ოდნაობითი) ხარისხის ფორმა: moins bien que.

Pronoms relatifs - მიმართებითი ნაცვალსახელები: qui, que

